

# მნათობი

ქართული  
ბიბლიოთეკა

114 / 2  
1936

1

## შინაარსი

პოეზია

ალექს. მაჭავჭავიძე  
ირაკლი ავაშიძე  
გიორგი ლომიძე  
გიორგი ქაჭავაძე  
ზარემოვლ. ცხცხლაძე  
ქორაბიძისი

პროზა

მიხეილ ჯამახიშვილი  
კანტელაიმიძის ჩიქვაძე  
მოსე გვასალია  
ა. ლავითიანი

სალიტერატურო არქივი

მ. ნინოშვილის წიგნიანი  
თ. სასოქიანაძისი

ლიტერატურის ისტორია

ალი არსენიშვილი  
შალვა ჩაღიანი  
მამია დუღუჩაძე

მოგონებანი

ი. მანუჩიშვილი  
ბიბლიოგრაფია  
ხ. ა.

პროლეტარებო! შვილა გვეხმარება, ღმერთო!



ქართული  
ბიბლიოტეკა

# მნათობი

სრულიად საქართველოს საბჭოთა  
მშენებლის კავშირის ყოველთვიური  
სალიბერატურო, სახელოვნო და საზოგადოებრივ-საკოლიტიო ჟურნალი

1813  
4479

1

წელიწადი მეცამეტე

საქართველოს  
პროლეტარული  
ბიბლიოტეკა

საქართველოს  
ბიბლიოტეკა  
Tbilisi

სახელგამი

1936

თბილისი

პ. მ. ბ. ჩხეიძის გიორგი ყუარაყვილი



ქართული  
ბიბლიოთეკა

საკრედიტო კოლეგია:

ირაკლი აბაშიძე  
ნოე ჯომლეთელი  
ნიკო ლორთქიფანიძე  
კონსტ. ლორთქიფანიძე  
ბრ. მუშიშვილი  
შალვა ჩადიანი  
გალაქტიონ ტაბიძე  
ტიციან ტაბიძე  
ლევ. კიაჩელი  
პანტელეიმონ ჩხეიძე  
დონა შინგალია

---

რედაქციის მისამართი:

თბილისი, შაბაძის ქ. № 13. ტელ. № 3—55—25.  
ვენ. ნინოშვილის სახელ. შენობა-ნაგებობა

კანტორის მისამართი:

თბილისი, კარგის ქ. № 7. პეროვსკი

---



ვ. ი. ლენინი

მიხეილ ჯავახიშვილი

## ქალის ტვირთი

რ. მ. მ. ნ. ი.

იმ დღეს ცაც კი აჯანყდა: უცებ აიძვრა, აფორიაქდა, ქექა-ქუხილით ჩამოსრიალდა შთაწმინდრიდან და გაწეწილ-გაშმაგებული ალქაჯივით მი-აწყდა ანდრო ახატნელის სამ-სართულიან სახლს, რომერ შეიღს, რომე-ლიც მამა-დავითის ფერდობზე იდგა.

კუდიანმა გრიგალმა ქუჩა მოჰგავა, ნაგავი სვეტივით აიტაცა, დაასო-რილა და ერთი წამით ისე შესდგა, თითქო ჰფიქრობდა, რომელ სახლს დასჯახებოდა. შემდეგ ოდნავ უკან დაიხია, თითქო მოქიდავე მოზვერი-ვით ფეხი მოინაცვლა. მერმე ბუხუნით ისკუპა, იმ სახლს შეასკდა, ის ბჭი ვეება დუჭივით შეაფურთხა, ღია ფანჯარა რახუნით მიხურა, მიხუ-რული — ლაწუნით გაალო, შიგ შეიჭრა, ზემო ბინიდან თეთრი რამ ნა-ჭერა ალაფივით მოიტაცა, ისევ გარეთ გამოფარდა, მეზობლის დაბალ სახლს გადაახტა, იქვე სადმე ავაზივით ჩასაფრდა და მიუქტდა.

ქეთო ზეზე წამოვარდა, ცალი ხელი ქაღალდებს დააფარა, მეორე ხე-ლი ქარის მიერ მოტაცებულ ქაღალდს დაადევნა, მაგრამ პაწია ფურცე-ლი მარდად გაუსხლტა, ფანჯრის რაფაზე გადახტა, იქიდან კორიანტელს შეერია და ფრიალით გაჰყვა სივრცეში.

ქალი ფანჯარაში გადაეყუდა. ფურცელი აღარსად სჩანდა.

იქვე სადმე ჩასაფრებული მეორე კაპასი ქაჯი ქეთოს თავპირში ეცა და შავი თმის ბულულს განძვინებით დაუწყო წეწვა და ჩაშლა. ქალმა სწრაფად მიხურა ფანჯარა, ვეება სარკიან კარადსთან მივიდა და იაპო-ნურად მორთულ თმას ხელახლა დაუწყო ვარცხნა და შესწორება.

სარკეში ახალგაზრდა ტანადი ქალი იდგა. მას ცისფერი სადა კაბა ეცვა, რომელსაც კისერზე და მკაგებზე თოვლივით თეთრი ბელგიური არშიის საყელო და ყურთმაჯები ჰქონდა შემოვლებული, ხოლო მკერდს ასეთივე ნაოჭებიანი ეაბო უმშვენებდა. წერილად ნაქედი ოქროს ძეწკვი მკერდის მარცხენა ჯიბეში ჩამძვრალიყო, სადაც ოქროს საათი და უბიწო ძუძუ ეკიდა. იმ ქალმა ქეთოს მეგობრულად გაუღიმა, თვალი ჩაუკრა და რამდენჯერმე დაუკრა თავი.

ქეთომ ყველაფერი მოუწონა: ხორბლის-ფერი მოგრძო სახეც სისხლით გატენილი წითელი ტუჩებიც, შიგნით მწკრივად ჩაწყობილი კბილა კბილებიც, ხშირი წამწამით დაბურული დიდრონი თვალეჭრებიც, მუქი მუქი კამკამიც, მერცხლის ფრთებივით გაშლილი წარბებიც, კლდევით მუხიანი თხელი ცხვირიც, სწორი უნაოჭო შუბლიც და კუპრივით შავი უღნარი თბაც. რომელიც წინ სადად ჰქონდა ავიარცხნილი, ხოლო კეფაზე — ოსტატურად შეკრული და ვეება მოოქროვილი ძვლის საეარცხლით გადაჭერილი.

შუბლიდან მოყოლებული კეფამდის კუპრივით შავ თმას თითის სიგანე თეთრი ნასთი ვერცხლის ზონარივით გადასწოლიყო, და ეს ნაოხუნჯარი ბუნებისა, განსვენებულ დიდედისგან გადმონაცემი, ქეთოს მილიონ ქალშიც კი გამოარჩევდა. ეს ნასთი მას გაგიჟებით უყვარდა და თმის დავარცხნის დროს ყოველ ბეწვს უფრთხილდებოდა და ერთად ჰქონავდა, რათა ეს სანუკვარი ზოლი უფრო მკაფიოდ გამოჩენილიყო.

ქეთო იმ ქალის ეიწროსა და გრძელ-თითა ხელეზსაც დააკვირდა, რომელნიც საღტესავით შემოეჭდო შუბლზე, და ყველაზე მეტად ის ხელები მოიწონა. ზედ ორი ბეჭედი უკრიალებდა — ლალისა და ზურმუხტისა, რომელნიც მწვანე და წითელი ბუნებებივით დასწაფებოდნენ თითებზე.

ბაწია ყურებზე, თითქმის უჩინარს ოქროს გრძელ ძაფზე. ორი ბრილიანტი ეკიდა, თითქო ჰაერში ორი ბრწყინავი კურცხალი გაბევებულიყო. მაჯაზე კი პლატინის გველის წიწილი შემოჰხვეოდა და ფირუზის თვალეჭრები ქეთოსთვის ჩაეშტერებინა.

ქეთოს კიდევ ბევრი სამკაული მოეპოვება, დედამისსა და ძმების მიერ ნარეჭარი, მაგრამ ჯერ არა ხმარობს, ვინაიდან გასათხოვარ ქალს მეტი-მეტი საზეიმო მორთულობა არ შეჰშვენის.

დღეს ქეთოს დაბადების ოცი წლის თავია და სადილად სტუმრები ეყოლება. მათთვის კი ეს კაბაც და ეს სამკაულიც საკმარისია. ამას მხოლოდ გვავილი აკლია: ვეება თაიგულიდან სისხლისფერი ვარდი ამოიღო და მკერდზე მიიმაგრა. ახლა სურათი სრულყოფილია. უძვირფასესი თვალმარგალიტიც რომ აიხხას, ისიც კი ზედმეტით გამოჩნდება.

ქეთოვანმა ერთხელ კიდევ მოიწონა თავის თავი, ერთხელ კიდევ გილიმა ჯადოსნურად, ისევ ბაწია საწურ მაგიდას მიუჯდა და რომელიღაც ფილოსოფიური წიგნი გადაფურცლა. წიგნი „იზმებით“ იყო საესე და ბევრი რამ სულ არ ესმოდა, ამიტომ ერთი ფურცელი ქაღალდი დილას აქეთ ჩანაწერებით გაავსო, რომელიც წედან ქარმა მოსტაცა, უნდოდა ის შენიშვნები ჯგუფის ხელმძღვანელისთვის ეკითხნა და მისგან განმარტება მიეღო. მართალია, უცხო სიტყვათა ლექსიკონი წინ ედო, მაგრამ იგი ისეთ ბუნდოვან და მოკლე პასუხს იძლეოდა, რომ მას თავის მხრივ აზნალი განმარტება სჭირდებოდა.

გრივალს ხანმოკლე შხაპი წვიმა მოჰყვა.

ქეთოს ამ წიგნის კითხვა მოსწყინდა. მის ლამაზ თავში უკლებლოდ ირეოდნენ მისთვის ბუნდოვანი სიტყვები: „მონიზმი... ინდივიდიზმი... დედუქცია... ინდუქცია... მატერიალიზმი“. იხმებს მან გარეგნულ-გაცრიალებული პაერი და შელის ლექსები ამჯობინა. პატარა ერთმეფულ ფანჯარა განიერად გააღო, რაფაზე ჩამოჯდა, წიგნი ვადაშაქსაყურსაყურელ „მიმოზა“-ს მოჰკრა თვალი, თითქმის დაზეპირებული ლექსი სიახით ჩაიკითხა და, გულგალხობილმა, ცას აპხედა.

ცაში კვლავ შფოთი იდგა. ღრუბლები ნადიროს მიერ დაფრთხალი ნახირივით მორბოდნენ: გამალეებით მოერეებოდნენ ერთმანეთს, ურთიერთს მუჯღუფუნს უშენდნენ, მუსრავენდნენ, ფხრეწდნენ, აფეთქებდნენ. აგერ განშარტოებით თეთრი მარშარილოს კოშკი მოსცურავს. კოშკის თავზე ყელმოღერებული შავი გედი წამომჯდარა. უკან პირდაღებული შავი ურჩხული მოსდევს... საცაა უნდა დაეწიოს... აჰა კიდევ დაეწია, კოშკი დაანგრია, გედიც ჩაყლაპა და თვითონაც ჩაიფუშა.

ქეთოს ხიბლი გაეფანტა და უცებ შეკრთა: თოფის თუ რევოლვერის ქახუნმა შეაკრთო, რომელსაც სამი კიდევ მოჰყვა ზედიზედ. მან ფანჯრიდან გაიხედა და დაინახა: ზევიდან ვილაც კაცი მორბის. ხელში რევოლვერი უჭირავს. აგერ შესდგა, კარის ქიმს ამოეფარა, მღევარს ესროლა და ისევ გამოიქცა.

საღდათები ხელახლა დაედევნენ. ზოგი ხეს ამოეფარა, ზოგი ქიშკარს შეეკედლა. წინ აფიცური მოუძლოდათ. ის უცებ შესდგა და უცნობს ორჯელ ესროლა ზედიზედ.

უცნობი ირიბულად მორბოდა. ქეთოს ფანჯრის ქვეშ ერთხელ კიდევ ამოეფარა ქიშკარის ქიმს, სამჯერ კიდევ დასცალა რევოლვერი, მღევარი მიძალა და თვითონაც მიიძალა.

„რა სულელი ვარ! — გაიფიქრა ქეთომ და ფანჯარას მოშორდა. — ტყეია ბრმა არის და ბრალიან-უბრალოს არა სცნობს“.

ანაზღად კბეზე ფეხის ხმა მოისმა. ვილაც ამორბის, ზარს გამალეებით რეკავს და აფორიაქებული ხელით არახუნებს კარს.

ქეთომ სირბილით გადასჭრა ოთახები და კარი გააღო. ვილაც გაფითრებული ახალგაზრდა შემოვიდა, თვითონვე ჩაკეტა კარი და ოდნავ შორთოლღვარე ხმით სთქვა:

— ქალბატონო, ყაჩაღი ნუ გგონივართ... ერთობის კაცი ვარ... დღეს დილით ფანდარმებს გამოვექეცი. ახლა საღდათები მომდევნ და, თუ დამიჭირეს, სასწრაფოა არ ამცდებთ. თუ შეგიძლიანთ, დამძალეთ.

ქეთო დაიბნა, ალულულადა:

— მეც ერთობის მომხრე ვარ და ამიტომ...

— სულ უკეთესი.

— საღდაც მინახვიხართ...

- რა დროს ვე არის!..
- თქვენი გვარი მაინც გამახსენეთ.
- რა საჭიროა! აგერ კიბეზე ამოდინა ჩქარა!
- მაშ მომყევით.



ერეკლეული

ქეთევანი გაიქცა, სასტუმრო ოთახი გაირბინა, თვეტა მჭირსაძის ოთახში შევარდა, კარადის საარკიანი კარი გააღო და იმ უცნობს უთხრა, რომელიც თითქმის დინჯი ნაბიჯით შეჰყვებოდა მას:

— ჩქარა შედით და კაბებში დაიმალეთ.

პასუხს აღარ მოუცადა და უკანვე გაიქცა. ზარს ხელახლა რეკავდნენ. ქალმა კარი გაუღო და გაოცებული შესდგა. კიბის ბაქანზე სრულ სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ქეთოს ნაცნობი სანდრო კლიშიაშვილი იდგა. იქვე ექვსი თოფიანი სალდათი გაჭიმულდყო. პარულიკმა გაუღიმა ქალს და მხედრული სალამი მისცა.

— ბოდიშს ვიხდი... ნება მიბოძეთ...

— შობრძანდით... რა მოხდა, რა ამბავია?

— ერთი კაცი გამოგვექცა და მგონი აქ შემოვიდა.

— აქ არავენაც არ შემოსულა.

— როგორ არა, აი კვალი. — ჩაერია ერთი სალდათი და იატაკზე მიუთითა, სადაც სველი ნაფეხბარი მოსჩანდა.

— ნუ ეჩრები, შენი საქმე არ არის. — დატუქსა პარულიკმა და ისევ გაუღიმა ქეთოს: — ნება მიბოძეთ ვალი მოვიხადო.

— მოიხადეთ — ჩურჩულით მიუგო შერცხვენილმა ქალმა და გამობრუნდა.

პარულიკი და სალდათებიც შემოჰყვნენ.

ტალანში და ქეთოს მამის კაბინეტში ვერავინ იპოვეს. სასტუმრო ოთახში ვეება ხალიჩა აგია და კვალი იკარგება. სანამ თოფ-მოღერებულნი სალდათები ავეჯის ქვეშ შეიხედავდნენ, სანდრომ ქეთოს ოთახის კარი შეაღო და იქვე შესდგა. ქეთომაც შეიხედა და, ელდანაკრავი, კარის ქიშს მიეყრდნო: — უცნობი მაგიდას მიჰყუდებიყო, ცალი ხელი ზედ დაეხვინა, მეორე ხელში რევოლვერი მოემარჯვებინა და აღმოდებული თვალებით მისჩერებოდა სანდროს.

„ვიამე, საცაა ორღვინი ასწევენ იარაღს და“... — და ქეთო უნებურად მოშორდა კარსაც და სანდროსაც.

სანდრომ არც რევოლვერი ასწია, არც სალდათებს დაუძახა. მშვიდად მოტრიალდა, კარი მოიხურა და თავისთვის ჩაილაპარაკა, ისე ჩაილაპარაკა, რომ სალდათებსაც გაეგოთ:

— აქ არავენ არის.

ვერც დანარჩენ სამ ოთახში იპოვეს ვინმე. კლიშიაშვილი ჩაფიქრებული დადიოდა, მოკლე ულვაშებს იგრებავდა და ხანგამოშვებით გულგრილად ეუბნებოდა სალდათებს:

— აქაც შეიხედეთ... ის კარიც გააღეთ... ფრთხილად დაევიტო

სანდრო ამ ბინაში მრავალჯერ ყოფილა და გაუჩინებელი არაფერი დასტოვა. საღდათები ყველგან შეიყვანა, ყველაფერი გადააბრუნებინა და მოაფათურებინა. როცა ჯარისკაცები სამზარეულოში შეიჭრნენ, მან თითქო მაშინდა გაიხსენა ქეთო და უთხრა. თან განზე იხედებოდა. თითქო სცხვენოდა: — მართო რომ დარჩენილხართ, არ გეშინიათ?

ქალიც დარცხვენილი იყო და ისიც განზე იხედებოდა.

— მართობა არ მაშინებს. მიყვარს კიდევაც. საცაა სხვებიც და ბრუნდებიან. მართლა, დღეს ჩემი დაბადების დღეობაა და...

— ვიცი. მახსოვს.

— იმედია საღდად მეწვევით.

— უმკველად გიახლებით. პატრული დამყავს და არ ვიცი როდის მოვიცილი.

ოთხი საღდათი კერში აცოცდა.

ხნიერი მეფხოვე ფორმაში გამოწყობილიყო და კბეზე ამოდიოდა. თეთრი წინსაფარი შემოგვრა, მკერდზე ლამაჯის ოდენა ნიშანი ჩამოეკიდნა, ილღიაში ვეება კორძიანი ჯოხი ამოეჩარჩა.

უნტერ-აფიცურმა მკაცრად დატუქსა:

— აქამდის სადა გდინხარ? ამ სახლში „ბუნტოვშიკი“ დაიძალა და შენ კი არხეინად გძინავს.

მეგზოვემ ლულულუით განაცხადა, რომ ის თავის მოვალეობას პირნათლად ასრულებს: უზოს და ქუჩას თავის დროზე ჰგვის; ჭიშკარი მუდამ დაკეტილი აქვს; როცა ქუჩაში „ბუნტი ზდება“, ისიც ქუჩაშია ხალხე და პოლიციელებთან ერთად ამ ჯოხით იცავს წესიერებას; თუ ამ სახლში საეკვო რამ მოხდა, მაშინვე ატყობინებს პოლიციას.

ჭერიდან საღდათები ხელკარიელნი ჩამოჭიდნენ და მეთაურს მისჩერებოდნენ.

ქეთოს მათი ეჭვი ეხამუშებოდა. კვალი ამ ბინაში შემოვიდა. მაშ იმ კაცს კარი ვინ გაუღო?

— კარი ღია იყო და მე არაფერი გამოვიდა, არც ვინმე მინახავს. — განგებ რუსულად უთხრა მან სანდროს. — მე ჩემს ოთახში ვიჯექე და წიგნის კითხვაში ვიყავი ვართუელი.

— ცხადია, აგრე იჭნება. ამ ოთახებს გამოირბენდა... ის რა კბეა? — იკითხა აფიცურმა.

კლიმაიშვილი მთელი სახლის გაჩხრეკას აპირებდა, რათა თავის ეალი ფორმალურად მაინც შეესრულებინა, მაგრამ ფუქი ჯაფა ეზარებოდა. მოულოდნელად უნტერ-აფიცური დაეხმარა. უპასუხა.

— ვაშე ბლაგაროდიე, ის კაცი ამ კბეზე ჩაირბენდა, აგრე იმ კბით მეორე ეზოში გადავიდოდა და წავიდოდა. Ушел треклятым. — წავგივიდა ის წყეტული.

— ვინ იცის — და ქეთომ უნდობლად გაუღიმა.

— მართალია, ერთობის კაცი ვარ, მაგრამ კაცის მველელი არ გახლავართ.

— არც გაბრალებთ.

— ასეა თუ ისე — მიუგო ვაჟმა, — თქვენი მადლი არ დაშავდება. ვეცდები როგორმე გადაგიხადოთ. თქვენი გვარი და სახელი მაინც მითხარით.

— ქეთოვან ახატნელი გახლავართ. თქვენა?

ვაჟმა პასუხი არ გასცა და ჰკითხა:

— მარიამ ახატნელისა რად გერგებათ?

— დედაჩემია, მამაჩემს კი ანდრია ჰქვია.

— მართლა? ანდროს შორიდან ვიცნობ. ორივენი ცნობილი საზოგადო მოღვაწენი არიან. მე და თქვენი დედა სახალხო სახლში ვმუშაობდით. მერმე გარემოებამ ხელი ამალეზინა. არ მეგონა, რომ მათ ხიფათს მივაყენებდი. თქვენ მგონი სამი ძმა უნდა გყავდეთ. სამივეს ვიცნობ. ზოგს პირადად და ზოგსაც შორიდან ვიცნობ. თქვენლა დამრჩით და ამა თქვენც გაგიცანით.

— ძლიერ სასიამოვნო და უცნაური გაცნობა გამოვიდა. — მიუგო ქეთომ. — საცაა ჩვენიანები დაბრუნდებიან და ეს ამბავი უნდა ვუამბო. ალბათ ისინიც ვიცნობენ. მაგრამ თქვენი გვარი რომ არ ვიცი.

ვაჟი თავის ვინაობის გამჟღავნებას ხელახლა მოერიდა და ურჩია:

— სჯობს ეს ამბავი არავის უამბოთ. მე ზედმეტ არაფერი დამიზავდება, თქვენ კი შეიძლება ჩემი დამალვის გამო ხიფათს გადაგკიდონ. გირჩევთ ჩემს გამოცდილებას დაუჯეროთ და ხმა არ ამოიღოთ.

— კეთილი, დაგიჯერებთ და გავჩუმდები. მაგრამ ერთი ეს მითხარით, როგორ გაატარეთ ეს ნახევარი საათი?

— სანამ სალდათები იქ შექებდნენ, აქ მე თქვენს წიგნებს ვათვალიერებდი. მარქსისტული წიგნებიც კი გქონიათ. ვილას აქა-იქ შენიშვნები ჩაუწერია. ქალმა გაოცებით შეხედა მას და —

— ნუ თუ მაგისტრის გეცალათ?

ვაჟმა თეთრად ჩაიღიმა შავ წვერ-ულვაშში და უპასუხა:

— მაშ რისთვისლა მოვიკლიდი? დრო მქონდა და გამოვიყენე. ეს ოთახი განაპირას არის და სალდათები აღარ შემოვიდოდნენ.

— რომ შემოსულიყვენ?

— რომ შემოსულიყვენ, ალბათ წიგნების სინჯვაზე ხელს ამალეზინებდნენ. ახლა კი დროა გეახლოდ. სტუმრობა გამიგრძელდა. ძლიერ შეგაწუხეთ და გთხოვთ მაპატიოთ.

— კოტაც მოითმინეთ. ერთი მითხარით, რატომ კარადაში არ შექებდებით?

— იმიტომ რომ — მიუგო ღიმილით უცნობმა — იმიტომ არ შეგძენია, რომ... მართალია, თქვენს კაბებში შეძრომა ძლიერ სასიამოვნოა, მაგრამ ეგ არას მიშველიდა. იქიდან ძალით გამომაძვრენდნენ და მასხარადაც ამოგდებდნენ. კიდევ კარგი, რომ მალე წავიდნენ.

„არ იკადრბა, ვაჟკაცი ყოფილა“. — გაიფიქრა ქალმა და დაუმატა: — ყუმბარის ხმა გაიგეს და იმიტომ წავიდნენ, თორემ იქნება მთელი სახლი ვაეზროკათ.

— ჩემ ბედზე გავარდნილა.

— საშინელებაა! რამდენი ხალხი იღუპება!

უცნობმა ღიმილით მიუგო:

— ჯერ სად არის! აქამდის დაღვრილი სისხლი დილის ნამია და მეტი არაფერი, მერმე კი ნიაღვარი წამოვა და მაშინ რაღას იზამთ?

— რას ვიზამ და მეც ჩავერევი.

— თქვენ თან სტორით და თან გინდათ სისხლის მორეეში შესტომოთ. ფრთხილად იყავით, თორემ ეგ ლამაზი ხელფეხი დაგისველდებათ.

— თქვენ ჯერ არ მიცნობთ. — იწყინა ქეთომ. — ტყუილად გგონიათ თითქო მე გულიც დიაცისა მქონდეს. მეც ვიცი, რომ უსისხლოდ ერთობავერ გაიმარჯვებს. ამიტომ მეც მოწადინე ვარ მცირე სამსახური მაინც გაუწიო მას.

— ამ ეგ მომწონს. მართლა ერთობის მომხრე ყოფილხართ და, თუ ერთობამ ოდესმე ეგ სიტყვები გავასწენოს, იმედია უკან არ დაიხვეთ.

— რა თქმა უნდა, არ დავიხვე.

— მაშ აგრე, არ დაივიწყოთ. ახლა კი გვახლებით.

— ცოტაც მოითმინეთ — შეაჩერა ქეთომ. — ჯერ გავიხედავ, ქუჩაში ჯაშუში ხომ არ დასტოვეს.

— ნუ შეწუხდებით. თანდარმები და პოლიცია უეჭველად დასტოვებდნენ, სამხედრო პატრულს კი სამაგისოდ არა სცალიან.

— თქვენ ჩემზე უკეთ გეცოდინებათ, მაგრამ მაინც... სიფრთხილეს თავი არ ასტკივა.

ქეთომ ფანჯარაში გაიხედა, ქუჩა შეათვალიერა, მობრუნდა და უთხრა:

— საეჭვო ვინმე არავინ მოსჩანს. ქუჩა თითქმის ცალიერია.

ქალვაყის თვალები ერთმანეთს ხელახლა დაუტაკნენ. ქეთომ ვერ გაუძლო და თვალი აარიდა, მაგრამ მაინც ხედავდა და გრძობდა, რომ იმ კაცმა მჭრელი თვალები გაკერით ხელეზივით მოუსვა სხეულზე. მამაკაცის მსინჯავი თვალი ელოს მრავალჯერ განეცადა. იგი ყრმობის დროს აკრთობდა მას, შემდეგში არცხვენდა, ახლა კი სირცხვილს გაუგებარი შიშიც დაერთო.

ქალმა იმ ვაყს ერთხელ კიდევ ააგლო თვალი და შიშის მიზეზს მიხედა: ვაყის შორი-შორ ჩასხმულ შავსა და ცივ თვალებში, ვიწრო ძალოსან პირზე და ოდნავ მთრთოლვარე ნესტოებშიც რაღაც წყურვილი და

სუძირო ნებისყოფა ეწერა — მკაცრი, დამშონებელი, უძლეველი. ეს თვალეზი ქეთოს მკერდზე მახვილივით იყო მიბჯენილი, მაგრამ ვაჟის დროს იმ თვალეზში ქეთოს მკერდის ნაცვლად სხვა რამ სჩვენდებოდა.

— ალბათ ეს ვარდი მოგწონთ. — ძლივს მოითქვა ქალმა შემფოთებული სული და მკერდზე იტაცა ხელი, საცა წითელი ვარდი გაღვივებულ ნაკვერცხალივით უღაჟღაჟებდა.

ვაჟმა უცებ იცვალა იერი: ფიჭვი გაიფანტა, თითქოს ვონს შოვიდა, თვალეზში სითბო და სინათლე ჩაიშვა და მიუფო:

— დიად, სხუცხოვო ვარდია და... ეგ თეთრი ნასთიც ძლიერ გიზღვბათ. ქეთომ ვარდი მოიძრო და გაუწოდა. ვაჟმა რამდენჯერმე უსუნა და წაქცა:

— მაშ ნახვამდის, ქალბატონო ქეთევან. თქვენი გმირობა სიკვდილამდის დამახსოვდება. იქნება მეც დაგახსოვდეთ... ვინძლო დაგახსოვდეთ. კიდევ გმადლობთ... ძლიერ გმადლობთ. მშვიდობით იყავით.

სასტუმრო ოთახში ერთი წუთით შესდგა, მარცხნივ მიტრიალდა, თითქო სდომოდა სასადილო ოთახზე გაველო და ეზოში ჩასულიყო. მაგრამ ბოლოს ისევ იმ გზით არჩია გავლა, რომელმაც ამ ბინაში შემოიყვანა.

კარებთან ხელი მაგრად ჩამოართვა ქალს და გავიდა. ქეთომ კიბეების მაიკლა, გამობრუნდა, თავის ოთახში შევიდა, ფანჯარა გააღო. შერბე მაგიდას მიუჯდა, წიგნი აიღო და ჩაფიჭრა.

## II

რა უცნაური ამბავი შეემთხვა! წელან ქეთომ იტყუა და მაშინვე გაუმელანდა: ნაფეხარმა ვასცა, გაამტყუნა, მაგრამ მადლობა უფალსა, რომ ბოლოს ყველაფერი კეთილად დასრულდა. ქეთო სანდრომ იხსნა. კეთილშობილი ახალგაზრდა ყოფილა. ქეთო დაუფასებს და მადლობას გადაუხდის. მაგრამ ის ახალგაზრდა ვიღა არის? სადღაც უნახავს და აღარ ახსენდება. თავის ვინაობას გულმოდგინედ რად მალავდა? ძლიერი ნებისყოფა უნდა ჰქონდეს: თავთ უდიდესი ხიფათი დასტრიალებდა, ის კი არხეინად შინჯავდა წიგნებს. ყუმბარა გავარდა და იმან კი აინუნშიც არ ჩაიგდო. ნამდვილი ერთობის კაცია.

„რა ექნა, ეს კაცი სადღაც მინახავს და აღარ მაგონდება. ღმერთო გამახსენე“.

ღმერთმა მისთვის მოიკალა და უცბად გაახსენა.

შარშან ხელოსნის ქალმა მართამ, აქვე ქვემო სართულში რომ ცხოვრობს, ქეთოს მუდარა შეისმინა და პირველ მაისს იმ ქუჩაში გაიყვანა, სადაც წითელი ბაირალი უნდა აეფრიალებინათ. თითქმის ცალიერი ქუჩა ხუთმეტ წუთში უცნაური ხალხით გაივსო. ყველანი ისე დადიოდნენ, თითქო სეირნობდნენ, და თანაც ერთმანეთს ჩურჩულით თითო-ოროლა სიტყვას ესროდნენ და თვალეზით რალაცას ანიშნებდნენ.

უცებ ერთი ჯგუფი შუა ქუჩაში გაეარდა. იმავე წუთს დროშაც აფრიალდა, მარსელური აფუგუნდა და ათასიოდე ქალვამაც იქნეულა და იმ ჯგუფს სალტესავით შემოეკრა. მართაც გაიქცა და, ჩაღვნიქსულ გულში მოეჭკა, ხოლო ქეთო კედელს აეკრო და იქიდან უყურებდა. დილას მან პატიოსანი სიტყვა მისცა მართას, რომ დემონსტრაციაში არ გაერეოდა და მართას დედამამისა და ძმების საყვედურს ააცდენდა.

იქვე ეზოებიდან და ვიწრო ქუჩებიდან პოლიციელები, მეეზოვენი, ცხენოსანი ფანდარმები და ყაზახები გამოცვივდნენ და ატყდა ცემა-ტყემა, კომბლების ჩახა-ჩუხი და მათრახების სივილი.

სისხლის დანახვაზე ქეთოს კინალამ გული შეუღონდა. მაგრამ მაინც არ გაიქცა და ამ ორომტრიალს ბოლომდის გაუძლო.

ბაირალი ირზეოდა, ვარდებოდა, მაგრამ ხელახლა სწორდებოდა და წინ მიიწევდა. მის გულისთვის მძაფრი ხელჩართული ბრძოლა გაჩაღდა. ნამეტან ერთი ახალგაზრდა იბრძოდა, იბრძოდა როგორც გაგიყვებული სატანა: თავგამეტებით, გამმაგებით, გავეშებით. ქეთოს უმცროსი ძმა ნიკო და მართას ძმა ლევანიც იმ ვაჟს გვერდში უდგნენ და გამალებით იცავდნენ ბაირალს, რომელიც იმ ახალგაზრდამ მოიტაცა და ლამობდა გადაეჩინა. ეს სამეული ხან იმალებოდა და ხან ისევ ჩნდებოდა. ბოლოს ქეთომ ერთხელ კიდევ მოჰკრა თვალი შორიდან: ათიოდე ვაჟმა ყაზახების წრე გამოარღვია, დასისხლიანებული ქაბუკიც გამოიტაცა, ბაირალიც გადააჩინეს და თვითონაც გადააჩინენ.

„ის არის, სწორედ ის ქაბუკია!“ — უხაროდა ახლა ქეთოს, მაგრამ მეორე მხრივ სწუხდა, ვინაიდან ვერც მისი სახელი გაიგო და ვერც გვარი.

შელის ლექსების წიგნში, რომელიც თვალწინ ედო, უცებ ქალაღდის ნაჭერი შენიშნა. მაშინვე გამოიღო იგი და ნაბეჭდი ასოებით დაწერილი რამდენმე სტრიქონი წაიკითხა:

„ქალბატონო, მადლს მარილი სჭირდება და მოაყარეთ. თუ ვინცობაა დამიჭირონ, მაშინვე გადაეცით მართას, რომ ვაშლები ღებება და ახლავე გაღმა გადაიტანონ. და თუ გადაეჩრჩი, მაშინ ნულარ შეწუხდებით. სამადლობელო ჩემზედ დარჩეს. ბოდიშს ვიხდი შეწუხებისათვის“.

რა თქმა უნდა, იმ კაცის დაწერილი იქნება. ის გადაარჩა, ქეთო კი მაინც „შეწუხდა“: მაშინვე წამოდგა და მართას დაძახებას აპირებდა, რომელიც იქვე ჰქვემო სართულში ცხოვრობდა. ახლა კი გაიგებს ქეთო იმ კაცის ვინაობას. მაგრამ ეს „ვაშლები“ რაღა არის? ნუ თუ ის ვაჟი ვაშლის ვაჭარია? არა, რა საფიქრებელია! „ვაშლი... მრგვალი ვაშლი... რა თქმა უნდა, ყუმბარა იქნება! ნამდვილად ყუმბარები იქნება!“

ქეთომ სიამით გაიღიმა, საკუთარ გუმანი მოიწონა და ისიც გაეხარდა, რომ ერთობის საიდუმლოების მონაწილე გახდა. დიდი სამსახურიც გაუწია: წელან ვიღაც მეთაური გადაურჩინა და, ახლა კი ყუმბარებსაც გადაურჩინს. დიდი ხანია რაც საბაბს ეძებდა გმირობა გამოეჩინა და

ბედმა თითონ მიუყენა კარზე. აქი უთხრა იმ კაცმა, თქვენი გმირობა სიკვდილამდის დამახსოვდებარ. ახლა მეორენაირ გმირობასაც შეუდგეს და მისი სახელი ერთობის ისტორიაში ჩაიწერება.

სასტუმრო ოთახში თავის დედას მარიაამს შეხვდა, რომელიც ეს არის ახლა ბაზრიდან დაბრუნებულიყო. იმ დღეს მას თავი გაემეტებინა და დღეობისთვის საჭირო სანოვაგის სასყიდლად მზარეულს გაჰყოლოდა.

— გენაცვალეთ, რა ღვთის რისხვაა! — წამოიძახა მარიაამა — თურმე სოფელში აღარავის დაედგომება. წუხელ ჩვენი მამულიდან ღვინო, ქათმები და ხილი მოგვივიდა, მამაშენის ნათლულმა ლაზარემ ჩუმად ჩამოიტანა და შემეხვეწა: არავინ გაიგოს, თორემ მეც ბოიკოტს გამომიცხადებენო.

— ერთობის ხანაა და უნდა მოვითმინოთ. — ანუ გეშა ქეთომ. — მაშ ერთობა ქორწილი ხომ არ გეგონა?

— შვილო, ეს ერთობა კი არა, ეს ომია, უბრალოს და ბრალისნის ელექტა. ვინ იცის რამდენი თავად-აზნაური გაელიტეს. ვინც გადარჩა, კისრის ტეხით გამოობის სოფლიდან. თურმე ჩვენი საზღკარიც შეჰკრეს. მოჯამაგირეები წაიყვანეს და მოურაეს მოკვლას უპირებენ. კიდევ კარგი, რომ გრიგოლმა დროზე დააღწია თავი იქაურობას და აქ სამსახური იშოვა. ახლა მარტო მოურაემა რა უნდა ჰქნას? საქონელს მოუაროს, ვენახს უწამლოს, ხილი მოჰკრიფოს თუ ნათესებს უდარაჯოს? გლეხებმა ხილი დაუკრიფეს, საქონელი დასტაცეს. განა მამაშენი ასეთი ქცევით ღირსია?

— მეტის ღირსიც არის. მამაჩემი ხალხის მტერია. — მიუგო ქეთომ.

— ეგ რა სიტყვი, შვილო!

— ამას შე კი არ ვამბობ, — გადაასხვადერა ქეთომ. — ამას ყველანო ამბობენ. მამის სახელს უკადრისად ახსენებენ: გლეხების სისხლის მწოველიო, მტავე პატრიოტიო, მეფის ლაქია, რეტროგრადი და ერთობის მტერია.

— მერე შენ რაღას ეუბნები, შვილო?

— რა უნდა ეუთხრა? სირცხვილით ვიწვი და ვდუმვარ. ხალხში აღარ გამესვლება.

მარიაამი სკამზე ჩამოჯდა. ახლა კი ყველაფერი ცხადია. ქეთოს თავის გულნადები ასე ნათლად ჯერ არ გადაუშლია დედისთვის. ქალი კეთილშობილთა ენსტიტუტში გამოზარდა და ეგონა: ქმრის მეტი არა უნდა რაო. ახლა კი აღმოჩნდა, რომ ქეთოს სულ სხვა რამე სდომებია. რამდენიმე ღირსეულმა საქმრომ დაადგა მას თვალი, ქეთოვანი კი გულგრილად არის და მგონი კიდევ ერიდება. მარიაამს ისიც ეყოფა, რომ მეორე ვაჟი ილიკო ლოთი და სახელგანთქმული ავარა გამოვიდა და ახატნელის ოჯახს საქვეყნოდ მოსჭრა თავი. ისიც საკმარისია, რომ უმცროსი ვაჟი სტუდენტი ნიკო ნაძალადევში გადასახლდა, მუშური ტანისამოსი ჩაიცვა,

ხელები დაიკოფიება, რევოლუციონერებს დაუკავშირდა, სოფელსაც დაეხეტება და გლეხებს აჯანყებს. თავის სოფელშიც კი გლეხების ხელით საკუთარი მამულიც კი გაუტიალენია.

ანდრიას განსვენებულმა ძმამ თავის პირმშო ვაჟი გრიგოლ ორბელიანს მონათვლინა და გრიგოლი დაარქვა. მართალია, ორბელიანისა ბევრი არაფერი სცნია, მაგრამ — მადლობა უფალსა — სოციალისტი მაინც არ არის. აგრონომია და ღმერთთა ხელი მოუმართოს. ფხიზელია, კეკელიანი და მშრომელი. სწავლა რუსეთში დაასრულა, მაშინვე სოფელში დასახლდა, ახატუნელის საერთო გაცერანებული მამული იჯარით აიღო და ზუსტმეტ წელიწადში ხელახლა ააყვავა. ააყვავა, მაგრამ ერთობამ მოუსწრო, იქაურობაზე ხელი ააღებინა და პირი ქალაქისკენ აქნენია. აქ გრიგოლმა თავის ბიძის ანდრიას შეწევნით შინა-მრეწველობის კომიტეტში იშოვა სამსახური და ახლა ერთობის დაწყებამდე ელის, რათა ხელახლა დაუბრუნდეს სოფელს და ხელახლა აღადგინოს მამულ-დედუღი, რომელიც ჯერჯერობით ოდნავ დაზიანებულიყო.

გრიგოლის ძმა დიმიტრი ყიფიანმა მონათლა და თავის სანატებო სახელი დაუწოდა. დიმიტრი 33 წლისა შესრულდა, მაგრამ ჯერაც არ მოკვიანებულა: მან სოციალ-დემოკრატიზმის დაიწყო და ლამობს ყიფიანებით მოველინოს საქართველოს. კარგი ექიმი, ბევრი მუსტარი ჰყავს და ნეტა თავისთვის იწებოდეს.

ანდრომ ძმას მიჰპაძა და თავის შვილებიც სახელოვან მოღვაწეებს მონათვლინა. არც მისი პირმშო აკაკი ჰყავს თავის ნათლიას აკაკი წერეთელს. აკაკი ნაფიცი ვეჭილია, ფულსაც ბლომად იგებს, მაგრამ მენშევიკი გამოვიდა და შესაძლოა დღეს ან ხვალ ისევ ციხეში ამოჰყოს თავიც წერეთლის ნათლული მაინც არ ყოფილიყო.

მეორე ვაჟი ანდრიას ილია ქავეჭავაძემ მოუნათლა და სახელიც ილია დაარქვეს. ვაი სირცხვილო! აეარა, ლოთი, ტუტუტო მფლანგველი და ახატუნელთა გვარის წამბილწველი გამოიჩიკა!

მესამე ვაჟი ნიკოლაძეს მონათვლინეს, მისივე სახელი დაარქვეს და... პოლშევიკი გამოიჩიკეს! ახლა ეს ქალიც ერთობის გზით მიდის და ქეთევან წამებულის ხსონას არცხვენს.

საწყალი ანდრო! საბრალო მარიამი! ჯერ წერეთელს მისწედნენ, მერმე ქავეჭავაძე და ნიკოლაძე მოიშველიეს. ეგონათ, მათი მადლი დაედებათ. მაგრამ მადლის მაგიერ პირი ეწევით: ოჯახში მუდმივად ომი ჩასახლდა, მშვილობა გასახლდა და სიტყბო სიმწარედ იქცა. კიდევ კარგი, რომ ანდრომ თავის შვილებსაც და ძმისწულებსაც ცალკალკე შინა მიუჩინა თავის მოზრდილ სახლში, თორემ აქამდის ერთმანეთს დაახობდნენ.

„ისევ ჩემი ბრალია — გამოტყდა მარიამი — საკუთარი შვილები დაკვიწვე და ხალხის აღზრდა მოვიწოდო“.

მის აქეთ, რაც ერთი ვაჟი გაუსალახანდა, ხოლო მეორე მკვლევს მიეკედლა, მარიამი ხშირად ნანობდა იმის გამო, რომ ოჯახს გულიყური და მზრუნველობა მოაკლო და იგი საქვეყნო საქმეს შეტყუებული საჩოგადობანი დრამატული, წერაკითვისა, საქველმოქმედო-საქმიანო-სახალხო თეატრი — ყველგან წვერად უნდა ყოფილიყო და ყველგან უნდა შეეტანა თავის სანაქებო შრომის უნარი და სიყვარული.

ქმარი ხშირად ეუბნებოდა ცოლს:

„მარო, დამიჯერე: ვინც ყველაფერს დასდევს, ის ვერაფერს მიღწევს“.

მარიამმა არ დაუჯერა. ორი შვილი რომ გააჩინა, მესამეზე უარი სთქვა. ქმარი ეხვეწებოდა, ეუბნებოდა:

„მარო, დამიჯერე: ვინც მშობიარობაზე ხელს იღებს, ის ბიოლოგიის კანონს ღალატობს და უმკველად დაისჯება, დასნეულდება. გარდა ამისა, ის ერსაც ღალატობს. სტატისტიკა გვეუბნება: ორი შვილი ზარალი, ვინაიდან დედამამაც ორი სულისგან შესდგება და ამრიგად ორი მოკვდება და ორი დარჩება. ნამდვილად კი, ბავშების სიკვდილიანობა, ომი და ქორიანობაც რომ ვიანგარიშოთ, ცხადი ზარალი გამოვა. სამი შვილი თავნია და ნამატი მხოლოდ მეოთხე შვილიდან იწყება“.


ამგვარ ბრძოლაში ოცდახუთი წელიწადი გავიდა. ორ შვილს მესამე და მეოთხე მოჰყვა. ცოლქმარი დაბერდა და სულიერად თითქმის მართონი დარჩნენ.

„ესეც დღევანდელი შვილები! ესეც შენი ახალი თაობა! — ტიროდა გულში მარიამი. — ახლა ერთობა ანდროს მოსდგომია და საქვეყნოდ დათორევეს ლაფში, ღვიძლი შვილები კი არა თუ არ ესარჩლებიან, თვითონაც ქვა და გუნდს ესვრიან, უდიერად ეპყრობიან“.

„ამბობენ, კვიცი მამაზე ხტისო. ტყუილია, ჭორია! სადღაა მემკვიდრეობის კანონი? რა ბედენაა, რომ შვილს თვალები დედამამის თვალებს დაემსგავსოს! სული და შეგნება სხვისია და უმთავრესს, კა, ეს არის და არა თვალები“.

ამას ჩივის ხოლმე ანდრო და ამასვე იმეორებს ახლა მარიამიც. მის მეტი ფიქრისა და ზრუნვისგან თავის ტკივილი დასჩემდა. აი ახლაც შემოუტია, უდროოდ შემოუტია: დღეს სტუმრები მოუვლენ და ღირსეულად უნდა დაუხვდეს. წელან უნდოდა ქეთოსთვის ახალი ამბავი ეამბნა: ბაზარში ყუმბარა გადაავდეს, ბოჭაული და პოლიციელები დაფლითეს, უბრალო მოქალაქენიც დასჭრეს. ისეთი ვაი-ვაგლახი, სირბილი და წივილ-კივილი ატყდა, რომ მარიამს კინალამ გული შეუწუხდა. კიდევ კარგი, რომ იქვე ეტლი იდგა. ჩაჯდა და იმ უშვილოებას თავი ძლივს დააღწია.

მარიამმა ეს ამბავი აღარ უამბო შვილს და სამხარეთლოსკენ გასწია.





იმავე სახლის ქვემო სართული ორ ბინად არის განყოფილებული. ერთი მთავანი ბნელია და ნესტიანი. მიმსვლელ-წამსვლელმა კი შეკარი უნდა გაიხროს და ეზო გადასჭრას, ვინაიდან ამ ბინას ქუჩის მხრივ კარი არ მოეპოვება.

ამ ბინაში ოქრომქედელთა უსტაბაშის განსვენებული დოვლათიშვილის ობოლი ქალ-ვაჟი ცხოვრობდა.

ქეთო აქეთ მოდიოდა, მაგრამ ზემო აივნიდანვე უცნაური რამ შეინიშნა და შესდგა. ეზოში ანტონის შვილი ლევანი კედელზე მიდგმულ კიბის თავზე იდგა. კედლის მეორე მხარეს ქეთოს ძმის ნიკოს გამხდარი თავი და გახუნებული სტუდენტური მუნდირის საყელო ამოცოცდა. მას სპილენძის პირგანიერი დოქი მოჰყვია, რომელიც ლევანმა მეტად ფრთხილად ჩამოართვა, ასევე ფრთხილად ჩამოვიდა კიბეზე და შინისკენ გამოემართა, ნიკო კი ისევ კედლის უკან მიიმალა.

ქეთომ იცოდა, რომ კედლის უკან ფარდული იდგა, და მიხვდა, რომ ნიკო იმ ფარდულის სახურავზე უნდა მდგარიყო.

მცირე ხნის შემდეგ ლევანი უკანვე გამოვიდა, ის დოქიც გამოიტანა, ზევით ამოიხედა, ქეთო დაინახა და შესდგა.

ქეთო მიუხედა, აივანს მოშორდა, სასადილო ოთახში შევიდა, ფარდას ამოეფარა და ისევ ეზოში გაიხედა. აქედან კედლისა და კიბის თავი და მოსჩანდა. ქეთოს ამაზე მეტი არც უნდოდა. სანახავს აქედანაც დაინახავდა.

ერთი წუთის შემდეგ კედელზე ლევანის და ნიკოს თავბელი გამოჩნდა და დოქი უკანვე გადაცოცდა, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ იგივე სურათი განმეორდა: ლევანს დოქი უკანვე გადმოსცეს. ცხადი იყო, რომ იგი ცარიელი გადაჰქონდათ და დატვირთული გადმოჰქონდათ.

„ნეტა მეტისმეტად რად ფრთხილობენ? რაღა დღისით გადმოაქვთ? რატომ ქუჩიდან არ შემოაქვთ? — ჰკითხა ქეთომ თავის თავს და პასუხიც თვითონვე მიუგო: — დღისით იმიტომ გადმოაქვთ, რომ სალამომდის ვერ მოიცილიან. ქუჩები ჯარით და პოლიციელებით არის სავსე და ქუჩის მხრიდან ამიტომ ვერ შემოაქვთ, ხოლო დოქს იმიტომ უფრთხილდებიან, რომ შიგ „ვაშლები“ აწყვია. დიად, აგრეა, ნამდვილია, მიეხდი!“

და გახარებული ქალი სწორედ იმ დროს ჩავიდა ეზოში, როცა ლევანი თავის ბინის აივანში შედიოდა. ქეთო დაეწია და ჩასურჩულა:

— ლევან, ფრთხილად იარე. მოიტა, მოგვევლები.

— თავი დაანებე. შენი საქმე არ არის. — უპასუხა ლევანმა და დოქი შინ შეიტანა.

დარცხვენილ ქეთოს ლევანის დაი მართა გამოეგება. იქვე კარებში მდგარიყო და მათი ნაჩურჩულები გაეგო.

— ზედნიერი დღე მომილოცია, ქეთო. — უთხრა მან და აკოცა მერმე მოეხვია, თავის ოთახში შეიყვანა და კარი ჩაკეტა.

პატარა სუფთა ოთახი გემოვნებით იყო მორთული. ვიწრო, ვუფროსაწოლი, უბრალო პირსაბანი, პაწია სატუალეტო მაგიდა, ჩვეულებრივი სარკე, პატარა ტახტი, ერთი რბილი საეარძელი, რამდენიმე ჩალური სკამი, და კედელში ჩატანებული განჯინა, ხოლო განჯინაში — ოციოდე წიგნი და რამერუმე.

მართა იმ უბანში სახელმოხვეჭილი ხელმოსაქმე იყო და თავის ოთახი საკუთარი ნახელავით ჰქონდა მორთული.

ფარდის ბოლო, ბალიშის საჭარებელი, პირსაბნისა და მაგიდის ნაოქიანი კალთები უწერილესი არსიებით იყო მოხატულ-მოვლებული.

იატაკზე დიდი ზოლებიანი ფარდავი ეგო, ტახტს უკან კედელზე ერთი მოზრდილი ხალიჩა, ხოლო აქეთ-იქით — ბალიშის ოდენა ორი აბრეშუმის ხალი ეკიდა. ტახტზედაც მუქ-წითელი ნოხი ეგო, რომელიც ზურგით კედელს მიჰკუდებოდა. ზედ ორი მუთაქა და რამდენიმე ბალიში ეყარა. ყოველივე ეს მართას და იმის განსვენებული დედის ხელით იყო მოქსოვილი, შეკერილი, მოქარგული.

— ეს რაღა არის? — იკითხა ქეთომ და კუთხეში მიმდგარ რაღაცას ზედ-დადარებული სუზანი ასწია. — ეს მე ჯერ არ მინახავს.

— ხელი არ ახლო! — მიძახა მართამ და ქეთოსკენ გაიწია.

მაგრამ გვიანლა იყო. საუცხოვოდ მოკაზმულმა აკვანმა თითქო თვითონ გადაიხადა საბურავი და მორთულ პატარძლივით გამოჩნდა.

ქეთომ გულიანად გადიკისკისა. მართამაც ჩაიციინა და უთხრა:

— ნუ იციინი, თორემ მეწყინება. მეც, ლევანიც, საწყალი დედაჩემიც და ჩემი დიდედაც მაგ აკვანში გავიზარდენით.

— თვითონ აკვანი ძველისძველია, მაგრამ ეს რაღა არის? ესეც დიდდაშენმა დაგიტოვა? — და ქეთომ აკვანის მორთულობაზე მიუთითა.

აკვანში პატარა ტიკინა იწვა. ზედ ატლასის არშიანი საბანი ეხურა. ხარხაზე ორი სხვადასხვანაირი შიბაქი და ოქრომკედით მოქარგული ფოლისფერი ზაფერდის არტახები ეკიდა.

— საბანი და არტახები მე შეკვერე — მიუგო მართამ, — ეს ტიკინა კი დედაჩემმა მაჩუქა და მითხრა: შეილო, ამ ტიკინასავით უბერებელი დარჩი და მუდამ შენ ასე ილიმებოდეო. მაშინ ექვსი წლისა ვიყავი და მუდამ ვიციინოდი, ახლა კი აგერ ოცდა-ორისა ვსრულდები და...

— და არავინ გთხოულობს, განა! — გააწყვეტინა ქეთომ — ნუ მატყუებ.

— არ გატყუებ. ბარემ ათი მთხოვნელი მყავს, მაგრამ ყველანი ხელოსნები არიან.



— ამა კიდევ. — და მართამ ვერცხლისავე სინი გაუწოდა. ზედ ხარნიშანი ვერცხლის ექვსი პაწია სასმისი და ერთი შეგვერტოვდა. ზედ აქა-იქ წვრილი ლალი, ზურმუხტი და ფიროქი.

— სულ მამაჩემის ნაკეთებია. ახლა სხვა რამესაც ვაჩვენებ.

საწოლის ქვედან კაკლის ხის უძველესი ხარატიანი სკივრი გამოიღო, საბურავი აპხადა და ჯადოქარით ამოალაგა ძველებური ქათიბი, კაბა, იალქანი, ქისები, ყამჩები და სამზეური, დორი და პირსაბურავი, სარტყელი და სუხანი. ამოალაგა და ლოგინზე გაშალა, რომელიც საუცხოვო ხელოვნების გამოფენასავით ატრედა და აკამკამდა. აქ იყო ფერადფერადი ხავერდი და ატლასი, აბრეშუმი და უკვე სახელდაკარგული ქსოვილი, ნაქარგულობა ჯორული, ყაისნაღური, ირითული, სითვიანი: კემსური და ლიანდაგური, ბურცვილი და ბრტყელობი, ოქრომკედი და ვერცხლმკედი. ეტყობოდა, რომ ამის შემკერავებს და მქარგველებს დახვეწილი გემოვნება, უძირო უჯიათობა, ჩინელის მოთმინება, ფერების შეხამების ნიჭი და მასალის ნატიფი გრძნობა ჰქონდათ.

— რა მშვენიერი პეპელაა! — და ქეთომ აბრეშუმით ნაქარგი პეპელა აიღო.

— ფეშქაში! — მიუგო მართამ. — დღეს შენი დღესასწაულია და ეგ საფულე ქისა სახსოვრად გქონდეს ჩემგან.

— სამაგიერო ჩემზე იყოს. — უპასუხა ქეთომ და საჩუქარი მიიღო. — მადლობელი ვარ ჩემო მართიკო.

მართა ნივთებს ალაგებდა სკივრში. უცებ მოტრიალდა და ჰკითხა:

— მართლა, წეღან სალდათებს რა უნდოდათ თქვენსას?

— იი ეს უნდოდათ. — მიუგო ქეთომ და წერილი გაუწოდა, სადაც ეწერა: ვაშლები ღებება და გადაიტანეთო.

მართამ წაიკითხა და გაოცებით ჰკითხა:

— ეს წერილი ვინ მოგცა?

— რაკი თქვენ არ მენდობით, არც მე გენდობით. — ნიშნს მოგებით მიუგო ქეთომ.

მართა ჩაფიქრდა. შემდეგ კარი გააღო და ჩუმი ხმით გასძახა:

— ნიკო, ლევან, აქ შემოდით. — და როცა ლევანი და ნიკო შემოვიდნენ, წერილი გადასცა და დაუმატა: — წაიკითხეთ.

იმათაც წაიკითხეს, მეტად გაოცდნენ და აღელვებით მიაყარეს ქეთოს:

— სთქვი, ვინ მოგცა?.. სად მოგცა?.. თვითონ სადღაა?

ქეთო გახარებული და გამარჯვებული იყო: ის უკვე მონაწილეა საიდუმლო საქმისა და ახლა უფრო ღრმად შესტოპავს იმ საამურ ფარულ მდინარეში, რომელიც ელოსაც ხიბლავდა და ანდამატივით იზიდავდა.

— გრძელი ამბავია და დაწერილებით უნდა ვიამბოთ. — უპასუხა მან ნაძალადევი ყოყმანის შემდეგ და სავარძელში ჩამოჯდა. — მაგრამ ჯერ შემომფიცეთ, რომ არავის ეტყვით, თორემ კატორღა არ ამცდება.

— ჩვენ დიდი ხანია შეფიცული ვართ და არავის არასოდეს არ გავცემთ. — მიუგო ძმამ — აბა, გვიამბე. ნულარ აგვიანებ.

ქეთომ შორიდან დაიწყო. მერმე იმ უცნობის გარკვევას დასწავს შე-  
ულდა:

— შუა ტანისაა, მკვრივი, შავგვრემანი, კოკორი უღვაშება აქვს. ლამაზია... თითქმის ლამაზია. ოცდა ექვსი წლისა იქნება. შემოვიდა და მი-  
თხრა: ჭალბატონო, მე ერთობის კაცი ვარ. დასაქერად მომდევნ. დღეს  
დილით ეანდარმებს მეტეხიდან მოვყავდი და გავეჭეციო.

ნიკომ ველარ მოითმინა და გააწყვეტინა:

— ის არის! ყოჩაღ, ჯიქო!

— ის არის, ისა!.. მაშ-სხვა ვილა იქნება? — დაუდასტურეს ლევანმა  
და მართამაც. — ხელიც იმისია. აჰა დაჰხედე... რატომ აქამდის ვერ ვი-  
ცანით.

— ნულარ აგვიანებ. მერმე რა მოხდა? — ჰკითხა ძმამ.

ქეთომ დალაგებით განაგრძო. ერთ ალაგას ნიკომ ხელახლა შეაწყვე-  
ტინა:

— იმ აფიცურს კარგად ვიცნობ. ძმა მოუკლეს, სახლი გადაუწვეს და  
ვენახი გაუკაფეს. ძალა რომ შესწევდეს, ყველას კბილებით დაგვევლიჯა-  
და. ის შენ გეარზიყება და შენ დაუნდვიხარ, თორემ იმ კაცს იქვე მო-  
აქვლეინებდა.

— რატომ აქ არ შემოვიდა? რალა თქვენსა ამოვიდა? — იკითხა  
მართამ.

— ნიკო რომ გავიდა, მეზოვემ კარი დაკეტა და აღბათ ვერ შემო-  
ვიდა. — განუმარტა ლევანმა. — სთქვი, მერმე რა მოხდა?

ქეთომ ისევ განაგრძო. ლევანმა კიბის ამბავზე ჩაიციინა:

— ეგ მართალი უთქვამს იმ ჩერჩეტსა. კიბე ორჯელ ჩამოიღო და  
ორჯელვე იმ კედელზე მე მივაყუდე. მერმე?

— მერმე ყუმბარამ გადაგვარჩინა. ის რომ არ გავარდნილიყო, შესა-  
ძლოა მთელი სახლი გაეჩხრიკათ და...

ამ დროს სადღაც ახლოს ერთხელ კიდევ გაისმა გრიალი.

— ისევ! — წამოიძახეს და ყველანი წამოცვიდნენ.

— შენს მარჯვენას ეენაცვალე! — შესძახა ნიკომ და გარედ გავარდა.  
თანაც ლევანს მიუგდო: — შენ მანდ დარჩი. მე ამბავს გავიგებ და და-  
ვბრუნდები.

მაგრამ ლევანმა არ გაუგონა და ისიც გაიქცა. ქეთო და მართა ისევ  
მარტო დარჩნენ.

— დღეს ჩემი დღეობაა და ყუმბარებით მილოცავენ — სთქვა ქეთომ.

— ბარემ დაამთავრე: ეს წერილი როდის და სად დასწერა? — ჰკითხა  
მართამ.

— სანამ დანარჩენ ოთახებს სჩხრეკავდნენ, მანამდის დაუწყო და წიგნი ჩაუღვია, რომელსაც მე ვკითხულობდი. როცა წავიდა, მე ის წიგნი გადავშალე და ვიპოვე. კიდევ კარგი, რომ თქვენვე ჩამოგვტოვებდით და ვაშლები გადავირჩინათ.

— ჩვენც გავიგეთ, რომ დღეს ის სახლი უნდა გავჩხრიკათ, სადაც დღემდის ვინახავდით, და დროზე მოვაშორეთ იქაურობას. ის კაციც ალბათ ამისთვის მოდიოდა და პატრულს წააწყდა. ახლა ერთ რამეს გეტყვი. ქეთოჯან, და კარვად დაინახსომე: თუ ეს ამბავი წამოგცდა სადმე, ყველას დალუპავ: იმ კაცსაც, მეც, შენს ძმას ნიკოსაც და შენს თავსაც, ამიტომ...

— ვიცი, ვიცი. — გააწყვეტინა ქეთომ. — ეს საიდუმლოება თუნდ ჩემთვის მოგინდვიათ, თუნდ სამარეში ჩავიდევიათ. სხვა რომ არა იყოს რა, ჩემს თავს და ნიკოს ხომ არ დავლუპავ.

— აგრე, გენაცვალოს ჩემი თავი.

— არხეინად იყავი. ვიფი ხომ არა ვარ.

— ამ ვაშლებს კი ამალამ, ან ხვალ დილით, ისეთ ქვესკნელში გადაიტანენ, რომ ეშმაკიც ვერ იპოვის.

— გენაცვა, მართა, ბარემ იმის გვარიც მითხარი. გახსოვს შარშან მაისში დემონსტრაციაზე რომ წამიყვანე. იქა ვნახე. ისე იბრძოდა როგორც ლომი, მაგრამ გვარი არ ვიცი და უნდა მითხრა.

მართა ყოყმანობდა.

— რატომ თვითონ არ ვითხრა? — ჰკითხა მან.

— მე რა ვიცი! აღამიანი კატორღას გადავარჩინო და მისი გვარიც კი არ ვიცოდე? — იწყინა ქეთომ. — მე ბინას ხომ არ გეკითხებდი.

— იმას ბინა არცა აქვს. მაშ კარგი, გეტყვი. მეტ სახელად ჯიჭი ჰქვია.

— ჯიჭი? მართლა? მაშ ის იყო?

— იცი ვინ არის?

— მთელმა ქვეყანამ იცის და რაღა მე არ უნდა ვიცოდე. „ჯიჭი“ ზურაბ გურგენიძეა. ახლა კი მესმის რად წამოიძახა წელან ნიკომ: „ყოჩად ჯიჭი!“ მაშ მართლა ის ყოფილა. ღმერთო ჩემო, რა ბედნიერი ვარ! მაშინ რომ მცოდნოდა, როცა ჩემს ოთახში იჯდა...

— რას იზამდი?

— აბა რა ვიცი. ალბათ... ალბათ ვაკოცებდი, ახა-ხა!

მართამ არც კი გაიღიმა. ოდნავ გაოცებულმა აპხედა ქეთოს და პირსახე ფანჯრისკენ მიიბრუნა. ქეთომ რაღაც იგრძნო და თითქო თავის თავს უთხრა:

— თუმცა... მგონი მაგისტანა კაცს ხვეენა-კოცნა არ ეყვარება, საამისოდ არ ეცლება. ამაზე რას იტყვი, მართა?

მართამ ახლა კი გაიცინა:

— შენ ისე შეკითხები, თითქო ხვეენა-კოცნის მასწავლებელი ვიყო.



ქართული  
ენის ისტორია

ორივემ გადიცისკისა. მერმე ქეთომ უთხრა:

— გენაცვალე, მართა, ოღონდ ზურაბი სადმე შემაჩვენო და რაც გინდა მთხოვე.

მართამ მოხერხებულად აიცილინა სათხოვარი:

— მაგას კი ვერ შეგისრულებ. აკი გითხარი, ბინა არა აქვს მეთქი. ათასში ერთხელ ხან სად შევხვდები ხოლმე და ხან სადა.

— ზოგჯერ აქაც მოდის ხოლმე, არა?

— ვინ გითხრა? ერთხელაც არ ყოფილა. ჩემი ბინა კი იმიტომ იცის, რომ ერთხელ ამ ქუჩაში შემხვდა და ვაჩვენე.

„მიმალავს. არ მენდობა. ეშინიან“ — გაიფიქრა ქეთომ და ხმამაღლა სთქვა:

— მაშ კარგი. თვითონვე შევხვდები სადმე. მართლა, იმის წერილი რა იქნა? მინდა სახსოვრად მქონდეს.

— შენ კონსპირატორი არ ყოფილხარ. — მიუგო მართამ. — მაგისთანა წერილის შენახვა არ შეიძლება. ჩვენი, შენი და იმის დასაკლავი დანაა, აგერ შენი წერილი.

პირსაბანის ქვემოდან სარწყული გამოიღო და შიგ ჩაახედა. ნაკუწებად ქცეული წერილი საპნიან წყალში ეყარა.

— მაშ კარგი. ამას იჩით მეცოდინება. — მოუწონა ქეთომ. — შენ ჩემი მისწავლებელი იქნები, მე კი ვეცდები შენი საუკეთესო შეგირდი გამოვიღე. თანახმა ხარ?

— რა თქმა უნდა. — ღიმილით მიუგო მართამ და ამ ღიმილში ეჭვირამ გამოაჩინა.

ქეთევანი წამოდგა და —

— ახლა კი წავალ. იმედია არ მაწყენებ და სადილად მეწვევი.

— გმადლობ, ქეთოჯან, მაგრამ...

— არც მაგრამ და არც არაფერი. — გააწყვეტინა ქეთომ. — ძალიან მეწყენება.


— კარგი, კარგი. ამოვალ. — დაამშვიდა მართამ და ეზომდის გააცილა, თან ჰფიქრობდა:

„მჯერა, რომ თავდაბალი ქალი ხარ და მკადრულობ. იმას კი აღარ ჰფიქრობ, რომ მე და შენი სტუმრები ერთ სუფრას ვერ მიუხვდებით. ხვალ ან ზევ მათი ბანაკი უნდა ავაფეთქოთ, შენ კი გსურს ერთად გვაქეიფო“.

ქეთოს ქიშკრის კრიალი მოესმა და კიბესთან შესდგა. ეზოში ნიკო შემოვიდა, ქეთოსთან მივიდა და გახარებულმა უთხრა:

— რაღაც უნდა გახარო, მაგრამ სამახარობლო ოცდა ხუთი მანეთი მერგება. ვაიმეტე. შენი ღვიძლი ძმა ვარ და მეც გამოვადგები.

— მოიცა. ახლავე ჩამოგიტან. — მიუგო ქეთომ და ჩქარი ნაბიჯით ავიდა კიბეზე.



დღეს დილით მამამ ასი მანეთი აჩუქა და ქეთოს უანოხდა. ვეღვაწევიტილი ჰქონდა „გაუბედურებულ“ ძმისთვის ერთი თუმბინარი ეჩუქებინა. სამიოდე წუთის შემდეგ უკანვე ჩამოვიდა, ნიკოსს დაუხმობდა და ხელში და უთხრა:

— ახლა მითხარი, რას მახარებ?

ნიკომ აგრეხილი ღიმილით ჩასტრჩხულა ყურში:

— ეს-არის ახლა შენი ავშაროვი ააფეთქეს. მომილოცნია. — და მართას ბინისკენ გაემართა.

მას უხაროდა, ვინაიდან ავშაროვი ეანდარმი იყო, ქეთოს კი თავში ცივმა ტალღამ დაჰკრა და მთელ სხეულში ჩაურბინა. გონება დაჟინებით უკაქუნებდა: გაიხარე, გაიხარე, გაიხარეო, გულის კუნძულში კი ვიღაც კენესოდა და იცრემლებოდა.

ავშაროვი დრაგუნთა კორნეტი იყო. ქეთო იმ ხნიდან იცნობდა მას, როცა ავშაროვი კვირა-უქმე დღეობით დეშების ელარუნით შემოდიოდა ინსტიტუტში თავის დის სანახავად და თან ალავგმული სილაღე, მზიური ღიმილი და გიჟმაგი ოხუნჯობა შემოჰქონდა. ხოლო იშვიათ ნადიმის დროს ავშაროვს დირაირობა არ ასცდებოდა ხოლმე. ინსტიტუტის უფროსი მოწაფენი და ზედამხედველი ქალები შურით იესებოდნენ, ვინაიდან ავშაროვის რჩეული თითქმის მუდამ ქეთო გამოდიოდა. მათზე უკეთესი მოცეკვავე წყვილი ქალაქში არ იპოვებოდა. წარმტაკი საფიფრო ვალსი, გიჟმაგი მაზურკა, ჰუნგრული ჩარდაში, კოპწია პადესპანი, ზეიმური კოტილიონი — ყველაფერი ისე ჰშვენოდა ამ წყვილს, რომ მაყურებელნი თვალს არ აშორებდნენ და ხშირად მქუხარე ტანით აჯილდოვებდნენ.

მერმე ავშაროვი დიდი ხნით ვაჰქრა და შარშან ეანდარმთა როტმისტრის ლურჯ მუნდირით გამოწყობილი ხელახლა გამოჩნდა. იმ წელიწადს ქეთო და მისი კავალერი ორიოდეგერ შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს, ხოლო შარშან ბედმა ბორჯომში შეახვედრა და მთელი ზაფხული ერთად გაატარებინა.

ქეთო დაღვრემილი ავიდა კიბეზე, თავჩაღუნული შევიდა თავის ოთახში, ჭჯერიდან ავშაროვის სურათი ამოიღო და დააცქერდა. სახელოვან ლურჯ მუნდირით გამოწყობილი ლამაზი როტმისტრი კადნიერი ღიმილით შესცქეროდა ქეთოს და თითქო ეუბნებოდა: „ხედავ რა ვაჟი ვარ!“ მარცხენა ხელის თითები ექსელბანდში ჰქონდა გაბლართული. უკანასკნელად ქეთოს ორი კვირის წინათ შეხვდა და უთხრა: „იმ ჯიჟა ზურაბ გურგენიძეს ამ ორ კვირაში დავიჭერ, ან არა და მომკლავენო“.

„მართალი გითქვამს, შე უბედურო. რაზე შეაკალი თავი?“

სურათი გადააბრუნა და წარწერა წაიკითხა: „როცა დამხედო, ის სადამოც გაიხსენე, ბორჯომში რომ 7 აგვისტოს 1904 წელს“.

ქეთომ ის საღამო გაიხსენა, ხეაშიადი რამ მოიგონა. გულს აუჩუყდა და იმ სურათს ცრემლის ორი კურცხალი დაეცა. მერმე ქალმა თავი შეიპერტყა, თითქო აზრი რამ გაიფანტა, ის სურათი ოთხ წუთად დგახვია, კალათში ჩაავლო და გაიფიქრა: „მორჩა, ვათავდა! მაშინვე ჩავერგოთ რა ვიცოდნ“.

არ იცოდა, ახლა კი გაზეთებისა და წიგნების წყალობით გაიგო და შეიგნო.

ქედევან ახატნელი ერთობის ტაძარში შედიოდა და ამიტომ კანის ფერს იცვლიდა.

### III

ორიოდე კვირის წინათ ზურაბ გურგენიძე ორივე ფეხით იყო გაბმული. ეანდარმთა როტმისტრმა აეშაროვმა ათიოდე ბრალდება ჩამოუთვალა: ზურაბი პარტიის ერთი მეთაურთაგანია; საიღუმლო სტამბაც მან მოაწყო (ჯერ არ იციან სად არის, მაგრამ ის ხომ იციან რომ არსებობს); პროკლამაციებსაც ისა სწერს და ის ავრცელებინებს; ყუმბარების სახელოსნო და იარაღის საწყობიც გურგენიძეს ნახელავია. ეს კიდევ არაფერი: მას, გურგენიძეს, ტერორისტების ჯგუფი ჰყავს და რაც მათ ჩაიღინეს, ყველაფერში იმანაც უნდა აგოს პასუხი.

— ჩამოთვალეთ. — ღიმილით უთხრა ზურაბმა.

— ინებეთ. — მიუგო როტმისტრმა და ჩამოუთვალა: — ყველა შფოთსა და გაფიცვაში თქვენი ხელი ურევია. ამას წინათ ერთ დღეში რუსულ პარტიოტულ ლიგას ორი მეთაური მოუკალით და მესამეს რევოლვერი ესროლეთ; საწყალი პოლიცემისტერის მოკვლაც სცადეთ, მაგრამ შეწევნითა ღვთისათა სიკვდილს გადარჩა; რკინის ვაზის სახელოსნოს ცეცხლი წაუქიდეთ და იმავე დღეს ერთი აგენტი მოგვიკალით; გარდა ამისა...

— ბატონო როტმისტრო, ვითომ არა კმარა? — გააწყვეტინა ბრალდებულმა, რომელიც უკვე დარწმუნდა, რომ აეშაროვმა ყველაფერი აურია: სხვისი ნახელავიც და ზურაბისაც, მართალიც და ჭორიც. — ერთი რამე მაინც დამიმტკიცეთ, ერთი საბუთი მაინც მიბოძეთ.

ზურაბმა და როტმისტრმა ერთმანეთს თვალი თვალში გაუყარეს. ჯიქი ცბიერად იღიმებოდა, თითქო ამბობდა: ვერ მოგართვი, აგიცდაო.

აეშაროვის თვალეზში კართომა ეწერა. თითქო მიხვდა, რომ ყველაფერი უთაებოლოდ მიაყარა, რომ აგენტების ზოგადი ცნობების გარდა ხელთ ბევრი არაფერი ჰქონდა, და იმასაც მიხვდა, რომ ამას პარტიმარც მიუხვდა, რომელიც თითქო დასცინოდა მას: ის რკინასავით შეიკუმშა, თითქმის დამუნჯდა, ნიადავ იღიმებოდა და რამდენიმე სიტყვასლა იმეორებდა:

— არ ვიცი... არ ვიცი... არ გამოვიდა... იქ არც კი ვყოფილვარ.

ბოლოს როტმისტრმა უჯრიდან სამი ძველი საჭმე ამოიღო ჯიქისა და ზოგი უწინდელი ჩვენება გაახსენა.

— მაგ ძველისძველ საჭმეებს ხელახლა იწყებთ? — ჰკითხა: ჩვენსაშია — რა უფლებით? რომელი კანონის ძალით?

— არა, ხელახლა არ ვიწყებ. მაგრამ აქ ბევრი რამე სწერია თქვენზე, — რომელიც...

— რომელიც არ დამიმტკიცდა, — დაასრულა მის ნაცვლად პატიმარმა, — თორემ კატორღას არ ამაკდენდით.

— შეწვევითა ღვთისათა, ახლა კატორღასაც ვაჩვენებთ. — დაემუქრა ჟანდარმი. — ახლა კი სხვა რამეც გბრალდებათ: სამჯერ იყავით გადასახლებული და სამჯერვე გამოიპარეთ.

— რაც მართალია, მართალია. — გატყდა პატიმარი. — სამჯერ ვიყავი გადასახლებული და სამჯერვე გამოვიპარე.

— რად გამოიპარეთ?

— იმიტომ, რომ... იქაურ სუსხიან ჰაერს აქაური სჯობია.

„კიდევ დამცინის“ — გაიფიქრა როტმისტრმა და ისევ ახალ მასალას დაუბრუნდა:

— ამას წინათ თქვენს ბინაზე კომიტეტის სხდომა შესდგა.

— რომელ ბინაზე? რომელ ქუჩაზე? — მშვიერით ეცა ზურაბი ამ ცნობას.

როტმისტრმა ქალღმერთში ჩაიხედა და ამოიკითხა: „გურგენიძეს საკუთარი ბინა არა აქვს“. შერცხვა და ვზას გადაუხვია:

— რატომ მუდმივი ბინა არა გაქვთ?

— იმიტომ, რომ ღარიბი კაცი ვარ და ჭირას ვერ ვიხდი.

— მაშ სადა გძინავთ?

— ქუჩაში, ბაღში, სხვის ეზოში.

— რა გაცილებსთ?

— ერთი ანეკდოტი გამახსენდა და იმაზე ვიცინი.

ანეკდოტის გახსენებაზე ავშაროვმა ყურები სცქვიტა და გაიღიმა, ვინაიდან თვითონაც სახელოვანი ანეკდოტისტი იყო და თითქმის ყოველდღე თავის პირქუშ უფროსს ახალ-ახალი ანეკდოტებით ამზიარებდა.

— აბა მიაშბეთ.

— ორი მწიფანწალა დაიჭირეს და მოსამართლეს წარუდგინეს. — დაიწყო ჯიქა. — ერთ მათგანს მოსამართლემ ჰკითხა: „შენ სადა ცხოვრობ?“ — „საცა დამიღამდება“. — მუდმივი ბინა სადა გაქვს?“ — „მუშტაიღში“. — „შენ სადა ცხოვრობ?“ — ჰკითხა მოსამართლემ მეორე პატიმარს. მან უპასუხა: „ნაპროტივ ნემუ, ვასპადინ სუღია — მაგის პირდაპირ, ბატონო მოსამართლე“.

ავშაროვმა ჯერ გადინარხარა და რამდენჯერმე გაიმეორა:

— ნაპროტივ ნემუ! ნაპროტივ ნემუ! დიდებულია! მშვენიერია! მერ-  
მე თავის ეჭულბანდები გაახსენდა, სახეზე სიმკაცრე აღსანა და სუსხია-  
ნად უთხრა:

— მაშ თქვენც მაწანწალა ყოფილხართ და კატროლა გურგენბათ.

— აგრე იყოს. მაშ პროკურორს გადაეცით ეგ საქმე და სასამართლო  
მომისჯის — შაკერული ღიმილით დაეთანხმა ზურაბი.

ქანდარში მიუხედა, რომ მაწანწალობაში ყველაზე მკაცრი მსაჯული  
თვით იონინიც კი ვერ ვაამტყუნებდა გურგენიძეს და უკან დაიწია:

— უჯაკრავად. თქვენ ვინდით ძალიან ადვილად გადაჩრეთ. ვერ მო-  
გართვით. სასამართლო რად გინდით? გამოტყდით, ყველაფერი აღიარეთ  
და დღესვე გაგიშვებთ.

ზურაბმა გულიანად ჩაიციხა და პასუხი არ გასცა. ავშაროვი მიხედა,  
რომ ბალღური სიტყვა წამოსცდა და „აღიარება“ აღარ უხსენებია.

კიდევ დიდხანს აწვალეს ერთმანეთი. ქანდარშია ჯიქისა ახალი ვერა-  
ფერი გაიგო. სამაგიეროდ ზურაბმა გაიგო ყველა საბუთი და თავდაცვის-  
ფანდიც გამოხლართა: „სჯობს დაკითხვა რამდენიმე დღით გადავადებო-  
ნო“. — იფიქრა ჯიქმა. „სჯობს გადავდო. უკეთ უნდა მოვემზადო“ —  
გაიფიქრა ავშაროვმაც და გურგენიძეს უთხრა:

— ჯერ ესეც გვეყოფა. მეტეხში გაგზავნით. იქ ბევრი თავისუფალი  
დრო გექნებათ და მოიფიქრეთ. გირჩევთ გულწრფელობა გამოიჩინოთ.

— მე მუდამ გულწრფელი ვარ. — მიუგო თითქმის გაბარებულმა ზუ-  
რაბმა, გულში კი ჩაიციხა და გაიფიქრა: „მამა გიცხონდა! ეგ ნაკმაში  
თქვენს ქათმებს დაუყარეთ! ჯერჯერობით ბედი მწყალობს: ჭკუათხელი  
და გამოტყდელი ვინმე ყოფილხარ“.

„ამას სხვანაირად უნდა მოუარო — გაიფიქრა როტმისტრმაც — ძა-  
ლიან მოხერხებული, ძალიან ჭკვიანი და მეტად გამოცდილი ვინმე ყო-  
ფილა“. — და თან ნანობდა, რომ აჩქარდა: გურგენიძის საქმე შესწავლის  
მაგიერ ზერელედ გადაათვალიერა, დაკითხვის გეგმა არც კი შეადგინა  
და ნაჩქარევად ჩაება ბრძოლაში, რომელიც თავიდანვე წაგებული ეჩვენა.  
თუმცა არა უშავს რა: ხელახლა აღიჭურვება და ამასაც ისე შეპბო-  
ქავს, როგორც მრავალი სხვაც შეუბოქია.

იმავე საღამოს მან ეს საქმე პოლკოვნიკს მოახსენა, რომელიც ორ კვი-  
რას ავიდა იყო და მხოლოდ იმ დღეს გამოჩნდა სამსახურში. მან გაოცე-  
ბით აპხედა როტმისტრს, რომელსაც დიდ საქმეს არ ანდობდა ხოლმე, და  
მკვებედ ჰკითხა:

— ვინა? ჯიქი? გურგენიძე? ეგ საქმე ვინ მოგანდოთ?

— თქვენმა თანაშემწემ, ბატონო პოლკოვნიკო.

— ჩემი თანაშემწე... — და გულში დაასრულა: „ჩემი თანაშემწე ორი  
თვის ჩამოსულია და შენსავით გამოტყდელია“. — ხოლო ხმამაღლა და-  
ურთო: — არა მგონია, რომ ჯიქზე უფრო სახიფათო მტერი გვეყავდეს!

ამიტომ, თუ ვინიცობაა კატორღას თავი დააღწიოს, დეტორი დათვების ბუნაგში მიიწი უნდა დავკარგოთ.

— აგრე, ბატონო პოლკოვნიკო. დავკარგავთ. უეჭველად დათვებს გავუგზავნივთ.

გიგლიძის სახელწოდებით

ზურაბმა ცოცხალი რაც მოელოდა და ის ორი კვირა სავსებით გამოიყენა: მეტეხიდან ყველა საჭირო ძაფები გააბა, კვალი წაშალ-წამოშალა, თავდაცვის გეგმა შეადგინა და, შესაფერისად აღჭურვილი, მეორე დაკითხვას ელოდებოდა.

ერთხელ გარედან ცნობა მოუვიდა: დასაკითხვად ხვალ დილით წამოგიყვანენ და იმ სახლის ჭიშკარი, სადაც ოქრომქედლის დოვლათიშვილის სახელოსნო იყო, ღია იქნებაო. თუ იმ ეზოში შევარდნას მოასწრებ, ჭიშკარი მაშინვე დაიკეტება შიგნიდან და ეზოში მეგობარი დაგიხვდებაო.

მეორე დღეს დილით მართლა ორი ახოვანი გრძელწვერა ეანდარში მოვიდა მეტეხში. გურგენიძე მოითხოვეს, ეტლში ჩასვეს და წამოიყვანეს. ზურაბი განგებ მარჯვენა მხარეს დაჯდა. ერთი ეანდარში გვერდით ჰყავდა, მეორე კი პირისპირ ჩაუჯდა.

ჭურჭებში ხალხი ფუტკარივით ირეოდა. ეტლი სიონს გამოსცდა და ოქრომქედელთა ჭურჩაზე ამოვიდა. ზურაბი მოშვებული იყო და თითქო სთვლემდა, ნამდვილად კი შორიდანვე მოჰკრა თვალი ფიცრულ ჭიშკარს და ყარაილულად გამოწყობილ ლევან დოვლათიშვილს, რომელიც ერთი წუთის შემდეგ იქვე ეზოში შევიდა და კარი ოდნავ ღია დასტოვა. ეტლიც თითქმის მაშინვე გაუთანასწორდა იმ ჭიშკარს.

ანახდეულად ეტლი შემსუბუქდა. ეანდარმებს პატიმარი თვალწინ გაუქრათ. მხოლოდ წინა სკამზე მჯდომარე ეანდარშია დაინახა, რომ პატიმარი ეზოში შევარდა და კარი მოიხურა.

დაფეთებული ეანდარმები ეტლიდან გადმოცვიდნენ, ვეება რეკოლვერები იწიშვლეს და იმ კარს ეცნენ, მაგრამ იგი ვეება ურდულით აღმოჩნდა დაკეტული.

ზურაბმა და ლევანმა პაწია ეზო გადასერეს და სახელდახელო კიბის საშუალებით დაბალ კედელზე აცვიდნენ, თან ის კიბეც აათრიეს და მეორე ეზოში ჩავიდნენ, უგნიდან კი კარის ბრახუნი და ყვირილი მოსდევდათ: „გააღეთ! დაიჭირეთ!“

მაგრამ არც გამღები იყო ვინმე და არც დამჭერი. არყით გაღეშილი შეეხოვე მეორე სახლის პაწია ფიცრულში ეგღო და მომაკვდავივით ხრილებდა.

ნაშველი და მშველელი მაშინვე დაშორდნენ ერთმანეთს.



ერთი საათის შემდეგ ზურაბმა ყველაფერი იცოცხლებელ ქალაქში ხდებოდა. მან ისიც გაიგო, რომ იმ დღეს ხელისუფლებას შეუძლია ძალა ყუმბარებით უნდა გაესინჯათ, ხოლო ერთი საათიც რომ გავიდა, რევოლუციით შეიარაღებული გურგენიძე მამადავითის უბანში გაჩნდა, რათა ესოდენი შრომით და ზიფათით შეძენილი იარაღი გადაერჩინა.

გზადაგზა სამი ამხანაგის ბინაში შეიხედა, მაგრამ შინ არც ერთი არ დაუხვდა. ბოლოს ისევ ლევანისკენ გაემართა და უცაბედად კლიმიაშვილის პატრულს წააწყდა.

ახლა გურგენიძე ძალუა ნინოს ოთახში ზის და დაღამებას ელოდება. ეს ოთახი ხელმარჯვეც არის და საზიფათოც. ნინოს შვილი რაქდენი მეტეხში ზის და ამ ბინას ხელახლად გაჩხრეკა აზრად არავის მოუვა. სამაგიეროდ ოთახი ეზოს ბოლოშია, მას მეორე კარი არა აქვს და სხვა ბინებიდან იგი ხელისგულივით მოსჩანს.

ზურაბმა მცირე ეზო თავჩალუნულმა გადასჭრა, რაქდენის ოთახში შევიდა და, სანამ ძალო ნინოს საღამს მისცემდა, მანამდის ფანჯრიდან უკანვე გაიხედა და ორსართულიან აივნებს შეაფლო თვალი. აივნებზე არაფერი იყო. მერმე შიტრიალდა და დიასახლისს გადაეხვია, რომელიც შუა ოთახში იდგა გოაცებული.

— გამარჯვება, ძალუავ!

— შვილო ზურაბ... საიდან გაჩნდი? ციდან ჩამოვარდი თუ ქვესკნულიდან ამოძვერი?

— მეტეხიდან გამოვვარდი და შენი რაქდენისაგან მოკითხვა მოგიტანე. ზის, წევს, სძინავს, დასეირნობს და სუჭდება, მეტი რაღა გინდა?

— შვილო, ღმერთმა შენი მეტერი გაასუჭოს ისე, როგორც ის სუჭდება. დაჯექი და ნამდვილი ამბავი მიაბე.

დაჯდა და უამბო: რაქდენს პროკლამაციების აწყობისთვის სამი წლის ციხე ან სამუადმო გაციმბირება მოეღის, მაგრამ ზურაბი დედას ასე ანუგეშებს:

— რაქდენს საზიფათო არაფერი სჭირს. თუ ისინი არ გამოუშვებენ, ერთობა გაიმარჯვებს და გამოუშვებს.

— ამ ეჭვს თვეში მე კი ჩემი დამემართა და მერე რა იქნება, ეს არავინაც არ იცის. — შესწივლა მარტოდ დარჩენილმა დედაბერმა. — აღარც გასასყიდი დამრჩა რამე და აღარც მუხლი მიჭრის, რომ ამ სიშორეზე სამ დღეში ერთხელ მაინც მიუტანო რამე.

— გამზნედი, ძალო. მოგეშველებით, გაგიტანთ. ოღონდ ახლაც მიშველე და მერე არხეინად იყავი. ლევან დოვლათიშვილის ბინა ხომ იცი?

— ვიცი.

— ჰო და ახლაც წადი და ან ლევანს ან იმის დას მართას (უთხარი: ვაშლები ღებება და ახლაც გადაიტანეთო).

— რა ვაშლები? რის ვაშლები?

— ეგ შენი საქმე არ არის. წადი, უთხარი და პასუხი მომხატანება, ჩქარა! ნულარ აგვიანებ! ჩქარა მეთქი!

შავი მანდილი თვითონვე მოახვია, ორივე ხელი მხრებში წაავლო, აივანზე გაიყვანა და კარი მიუხურა.

ამდენი თავგადასავლით დატვირთული ზურაბი უცებ მოდუნდა. ჯერ გაიარ-გამოიარა, მერმე ტახტზე მიწვა, თავი მუთაქაზე მისდო და ჩასთელიმა. შემდეგ უცებ გაახილა თვალები და მაშინვე წამოვიარდა. ტახტზე ლევანი და ნიკო ისხდნენ და ამხანაგის გაღვიძებას უცდიდნენ.

— გამარჯვება, ნიკო! — თვალების ფშენვით მიესალმა ჯიკი.

— გაგიმარჯოს, ზურაბ! რასა იქმ, როგორა ხარ?

ერთმანეთი დაპოცნეს, მოიკითხეს და ახალი ამბები გამოჰკითხეს.

ლევანმა ნიკოს წელანვე უამბო ზურაბის გამოჰქცევა. ნიკო ჯერაც ვერ დამცხრალიყო. გახარებული დადიოდა ოთახში, თხელ უღვაშებს იწიწნიდა და იძახოდა:

— ნამდვილი ვაჟკაცები ხართ, ნამდვილი! ორთავეს ლომის გული გქონიათ. აღრევაც ვიცოდი რა ბიჭებიცა ხართ, დღეს კი საბოლოოდ დავრწმუნდი და ერთი ათად შეგიყვარეთ.

— კარგი რაღა, ეგ შედრევანი გააჩერე. — მოუჭრა ლევანმა და უწყესრიგოდ ვაფანტული შავი წვერი თითებით ჩაივარცხნა, რაიც იმის ნიშანი იყო, რომ მეგობრის სიტყვები ეამა.

არც ზურაბს ეწყინა, მაგრამ არ გაამჟღავნა.

— ვაშლებისას რას მეტყვიო? — ჰკითხა მან. — რატომ აქამდის არ მეუბნებით?

— შინ არხვინად იყავი — მიუგო ლევანმა. — ერთიც არ არის ჭიანჭამი. მაღე ისეთ ალაგას შევინახავ, რომ მგონი მეც ველარ ვიპოვო.

— ყოჩაღ, კინტოვ! — შეაქო ზურაბმა.

— ისევ კინტოს მეძახის. — ეწყინა ლევანს. — რამდენჯერ ვითხარი, მამალი ჯარაშოხელი ვარ მეთქი. კინტო კი დედალია, ხელმრუდე, გაუტანელი, ფლიდი, გარყენილი და ლირწი.

— კარგი, კარგი. დამაფიწყდა. მაპატიე. — დაამშვიდა ზურაბმა და შავი ხშირი წვერი ძმურად მოუთელა. — ახლა მითხარით ამ ერთ კვირაში რა მოხდა?

ლევანმა და ნიკომ ერთმანეთს აღარ დააცალეს:

— მექრთამე პოლიცემისტერს ხელახლა უგროლეს. თვრამეტი კაცი დაიჭირეს. რუსის პატრიოტები შირინკინთან მივიდნენ საჩივლელად და გვემუქრებიან.

— ეგეც ძველი ამბავია. ფეხებსაც ვერ მოგვეპყნენ.

— ქალაქის საბჭოში სხდომა იყო. ერობა მოითხოვეს.

— სულელები არიან შეთქი. ახლა ჩვენ დემოკრატიული-კაც კი არ გვაკმაყოფილებს და ეგენი კი ერობისთვის იბრძვიან. მაგრამ ამას თავი დაეანებოთ. თქვენ ეს მითხარით: ამ ყუმბარების ბათქა-ბუთქა რა მოჰყვა?

— ბაზარში ორი კაზაკი მოჰკლეს და ერთი მეეზოვე დასტრეს.

— ავლაბარში ბოქაული და ორი პოლიციელი დაიჭრა.

— ვერაზე აგენტი და ბოქაული დაფლითეს.

— ზარბაზნით ვნადირობთ ჩიტებზე — ჩაილაპარაკა ზურაბმა — შთარევოლვერი და ბებუთიც ეყოფათ. „დიდსა ვერ მოჰკვლენ, ხელად აქვსთ ხოცა ნადირთა მცირეთა“. მაგრამ ჯერ ესეც კარგია, ესეც საჭიროა. ჩვენი ბიჭები ივარჯიშებენ, გაიწრთენებიან. „ვითა ცხენსა შარა ვრძელი და გამოსცდის დიდი რბევა, მობურთალსა მოედანი, მართლად ცემა, მარჯვედ ჰწევა“. დეე ინტელიგენციამ იწუწუნოს, ჩვენ კი ჩვენი საქმე ვაკეთოთ.

— წელან მითხრეს, როტმისტრი ავშაროვი ააფეთქესო.

— მართლა? ძალიან დაუშავებიათ. — სთქვა ზურაბმა. — თავის საქმეში ნამდვილი ფინაჩი იყო. ახლა ჩემ საქმეს რუნისს ან ცისს ვადასცემენ და, თუ დამიჭირეს, წაგებაში დავრჩები. მაგრამ ეს არაფერია. გეხუმრებით. ახლა მიამბეთ, სოფლიდან რა ისმის?

ზურაბმა ისე გამოწურა ორივენი, რომ სათქმელი აღარაფერი შეარჩინა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ რამდენიმე წერილმანისს გარდა მან ყველაფერი იცოდა, ვინაიდან მეტეხის ციხეშიც ისე ფონავდა ყოველი ამბავი, როგორც წყალი ქვიშაში.

— საოცარი კაცი ხარ. — უთხრა ლევანმა ზურაბს. — ქვესკნელშიც რომ ჩაგაგდონ, იქაც კი ფოსტა-ტელეგრაფს გამართავ და აქაური ამბები მაინც ჩვენზე მეტი გეცოდინება.

— აგრეა, მართალია. — დაუდასტურა ნიკომ. — საერთოდ კი ამ ორი-ოდე კვირაში მეტისმეტი სისხლი დაიღვარა.

ზურაბმა გაოცებით გადაჰხედა მას და ჰკითხა:

— რა? მოქვეიან მეტისმეტი?

— მე შინდოდა შეთქვა მეტად ბევრი და არა მეტისმეტი. — გაისწორა შეცდომა ნიკომ.

— ან მეტად ბევრი რალა არის?

— არც ეს სიტყვა ივარგებს. — დაუწია ხმას ნიკომ. — ძალიან ბევრი იყოს.

— გამაგებინე, ძალიან ბევრი რალას ნიშნავს? — არ ეშვებოდა ზურაბი.



— კაცო, რას ჩამაკვიდი! — წამოიძახა სტუდენტმა. — მე ჩემი დამეძღვრე და მეთქვა: ბევრი სისხლი დაიღვარა, შორჩა და გათავდა!

ზურაბმა ნიკოს ნიკაში ხელი წაავლო, თავი გადაუსარჩუნებდა და მხრებით ჩაუყარა ეჭვით და სუსხით მოდებული თვალით მისი მხრისაკენ:

— არც ბევრი უნდა გეთქვა, არც ძალიან ბევრი. არც მეტად ბევრი და არც მეტისმეტი. როცა მტრის სისხლზე ვლაპარაკობთ, ასეთი სიტყვებში სამუდამოდ უნდა დავივიწყოთ. უმთავრესი მაინც ის არის, რომ შენს ხმაში სინანული მომესმა.

— ალბათ მოგეჩვენა. — დამნაშავესავით მიუგო ნიკომ და თავი გაინთავისუფლა. — რა დროს სინანულია!

— ეითომ მომეჩვენა? — და ზურაბმა ახლა ლევანზე გადაიტანა თავის მბურღავი თვალები. — ხომ არ შედრკა თქვენი გული?

— არა, კაცო, გელანდება მეთქი!.. რა დროს სინანულია! — მიაძახეს ორივემ. — გზის სამი მეოთხედი დაველიეთ და ახლა შევედრკებით?

ზურაბმა კიდევ მოუჩხრიკა მათ თვალები და —

— ძალიან კარგი. — უთხრა დამშვიდებულმა. — მეგონა, რომ ალალი გულით ლაპარაკობთ. მაგრამ ერთხელ კიდევ გეუბნებით: თუ სული მოგიდუნდეს, თუ გული გაგიღვავს, მაშინვე მითხარით და ან მოგარჩენთ. ან ძმურად დავშორდებით ერთმანეთს, თუ არა და — ლალატი გამოვა და საკმაოდ დაველუბავთ და ჩვენც დავილუბებით.

ნიკომ და ლევანმა საბოლოოდ დაამშვიდეს ზურაბი და ეჭვი გაუფანტეს.

მან რამდენჯერმე გადასერა ოთახი, მერმე შესდგა და გრძობით წარმოსთქვა:

— „ხალხი აწვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედობს. და თეთრი ზღვიდან ერეწამდის ერთ ფიქრსა ჰფიქრობს... თავისუფლებაც, შენ ხარ კაცთა ნათესაყუდარი, შენ ხარ ჩაგრულის, წვალებულის წმინდა საფარი“. მართალია, პოეტი ამ გუნდრუკს ეროვნულ თავისუფლებას უქმედდა, მაგრამ იგი ჩვენც გამოგვადგება. მე კატორღას დავალწიე თავი და ისე მიხაროდა, რომ ლამის ჯანდარმებს მიუვარდებ და მივულოცო. მაგრამ... რაღა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია“.

— თქვი რაღა, რა გინდა! — წამოიძახა ლევანმა საერთო დუმილის შემდეგ. — რა სიბნელე, რის სიბნელე?

— ნუ თუ ვერ მიმიხვდით? თქვე ოხრებო, ვაის გამყარეთ და ვუის შემყარეთ? ბიჭო, ციხიდან გამომიყვანეთ და სამაგიეროდ შიმშილით უნდა მომკლათ? უსინდისონი ყოფილხართ.

— ვაი ჩემს თავს! — წამოიძახა ლევანმა და წამოხტა. — რა ბედოვლათები ეყოფილვართ. ახლაც წაეღ და... აქვე ახლოს ერთი ჩემი ძმა ბიჭი ცხოვრობს. იქნება სამიოდე მანეთი ჰქონდეს ზედმეტი.

— დაიკა. — გააჩერა ნიკომ, სტუდენტურ პიჯაკის ჯიბიდან ოცდახუთიანი ამოიღო და ზურაბს გადასცა.

— ყოჩაღ, ნიკუში! თუ ჩვენს სალაროში თავგებები აქვს დაგეგმი, ხვალვე დაგიბრუნებ. — უთხრა ზურაბმა და ნინოს მიუბრუნდა: — ძალო, აქედან 15 მანეთი შენთვის დახარჯე, რაკედნიც მოასულეიერე, ხუთი მანეთი ხურდა მე მიწყალობე და დანარჩენი ხუთი მანეთისა ორი ბოთლი ღვინო და რამერუმე მოგიტანე. ჩქარა, თორემ სული მიმდის. — მერმე ამხანაგებს მოუბრუნდა და სთქვა: — როცა კუჭი საესეა, ტვინიც უკეთ მუშაობს და მკლავიც უკეთა სჭრის ხოლმე: ახლა გამოტყდი, ნიკუში, ეს ფული ვის წააგლიჯე?

— ჩემს დას გამოვართვი. ვუთხარი სამახარობლო მერგება მეთქი. ჯერ ფული მომცა და მერე ვახარე: შენი ავშაროვი ყუმბარით ააფეთქეს მეთქი.

— როგორ თუ შენი ავშაროვი? — გაოცდა ზურაბი.

— ავშაროვი ქეთოს ეარშიყება. — განმარტა ნიკომ — არა გამოუღდის-რა, მაგრამ მაინც დასდევს.

ზურაბი ჩაფიქრდა. გაიარ-გამოიარა და თითქო თავისთვე სთქვა:

— ვაი ღედასა! მაგისტანა ქალი ჟანდარმმა უნდა წაიყვანოს?

— ცოლოა. — დაუდასტურა ლევანმა.

— დღეს პირადად მე ისეთი მადლი დამღო, რომა...

● — ვიცით, გვიამბო. — გააწყვეტინა ზურაბს ნიკომ: — ქეთო შეგნებით ჩვენსკენ მოიწევს, მაგრამ ორივე ფეხი ისევ თავის კლასში რჩება.

— მერე, შენ რალას მიკეთებ? — მიუბრუნდა მას ზურაბი. — ძმა ხარ და უნდა უშველო. ის ფეხებიც ამოაღებინე და ჩვენს ბანაკში ჩაადგმევიანე.

— ნიკოჯან, იცი რას გეტყვით? — ჩაერია ლევანი. — მოდი შენ და ზურაბი დანათესავდით. ისეთი სიძე გეყოლება, რომ ვარანცოვსაც კი შეპშურდება.

— ნუ ლაზლანდარობ. — შეუტია ზურაბმა. — ყველაფერს კი ნუ ამასხარავებ ხოლმე.

— ვაა, ისე გითხარით, რალა! გავგებუმრეთ. — თავი იმართლა ლევანმა და შერცხვა.

— სადაური ხუმრობაა! სად მე და სად ახატნელის ქალი; ნამდვილ რევოლუციონერს ჯერ უფლება არა აქვს დაოჯახდეს. თვითონ ყანახებს თავი შეაკლას, ან კატორღაში წავიდეს და ცოლშვილი სიმშვილით დახოცოს? სადაური ვაეკაცობაა!

— გეხუმრები მეთქი, რალა! ეს ერთი მივქარე და მეტს აღარ გაკადრებ. მეც ბევრი ლამაზი გოგო დამდევს, მაგრამ შორს მიჭირავს. მაინც... — და ლევანმა ზურაბს ცბიერი ღიმილით დაადო თითი მკერდზე — მაინც თავს მოვიჭრი, თუ ეს ვარდი იმის ნაჩუქარი არ იყოს.

— ეს ვარდი? ეს ვარდი ერთ ბიჭს ქუჩაში გამოვართვა. — მიუგო ზურაბმა და წარბიცი არ შეიკრა.

— არა მჯერა, ნუ მატყუებ. დღეს რა გვევარდება! დანაქვანდა წამდევენ და შენ ვარდზე ჭვიჭობდე? არა მეთქი!

— მაშ ჩვენისთანა კაცმა ცოლი სულ არ უნდა შეირთოს? — ჰკითხა ნიკომ.

ზურაბმა გაიარ-გამოიარა, მოიფიჭრა, ისევ შესდგა და თითებზე ჩამოუთვალა:

— ძალიან ლამაზი ქალი არ შეირთოთ, თორემ ათასი ულაცი აედევნება და ადრე თუ გვიან შეეცდნენ და საქვეყნოდ თავს მოგჭრიან. ჩვენისთანა კაცს საიმისოდ სადა სცალიან, რომ ლამაზ ცოლს დღედაღამ დარაჯივით სდიოს კუღში. არც თავადის, არც აზნაურის ქალი შეირთოთ, თორემ მათი შედიღურობა, პრანქიობა და ჭირვეულობა სიცოცხლეს მოგიწამლავს. არც თქვენზე მეტისმეტად განათლებული და ჰკვიანი, თორემ შერცხვებით და დაიჩაგრებით.

— ვაა, მაშ კილა დარჩა? — წამოიძახა ლევანმა.

— დარჩა თქვენი ტოლი და თქვენი ჰკუის ქალები. — მიუგო ჯიქმა. — ქალი თავდაპირველად ქმრის უღლის გამწევი უნდა იყოს. ისიც ერთობის ყმა უნდა გახდეს. თუ ქმარი დაიჭირეს, ცოლმა მისი საქმე უნდა განაგრძოს; თუ ლუქმა დაგვაკლდა, იმან უნდა იშოვოს; თუ ვადაგვასახლეს, თან უნდა გამოგვეყეს.

— ვაა, მაგისთანა ქალი სად ვიშოვო? — გაოცდა ლევანი. — მაშ მე უცოლოდ დავრჩენილვარ.

— მაგას თავი დავანებოთ. — მიუგო ზურაბმა. — მე მაჰანკალი ხომ არა ვარ, რომ ცოლი შევირჩიო. შენ ეს მითხარი, ლევან, საკვირაო სკოლაში ისევ დადიხარ?

— დაედივარ, მაშა!

— რა? გასწავლიან?

— იმას, ცაში რა ამბავი ხდებოა, მზე და მთვარე როგორ ტრიალებენო.

— ახლა მეც გამიგონე რა ვითხრა. მზეს და მთვარეს ვზა არ აერევათ, ისე უწინდელივით იტრიალებენ, ჩვენ კი სჯობს რევოლუციის ტრიალზე ვიფიქროთ. ერთ პატარა სტამბას და იარაღის საწყობს ვერ მომიწყობ?

— რატომ ვერ მოვაწყობ? მაშ რის ხელოსანი ვარ?

— აი ამხანაგიც ასეთი უნდა! მოდი მოიფიქრე და საქმესაც შეუდეგო.

— ჩოხ იანში. მოვიფიქრებ და გეტყვი.

შემდეგ ზურაბმა ორივე ამხანავს თითო კვირის საქმე დაავალა, ორივეს მკაფიო დარიგება მისცა და ასე დაასრულა:

... შიშ აგრე. ბიჭებო: ავშაროვი სასარგებლო და თუ მისი სიკვდილი ჯორი გამოდგა, ამიერიდან ხელი არაფერს ხელოს.

ამხანაგებმა ვაოცებით ახედეს ჯიქს და არა უნახსენებია  
გინგლიპრუსეა

#### • IV

ანდრო ახატნელის სასტუმრო ოთახი თავის პატრონივით მოძველებულიყო. დიდრონი ყვევლებით მოსურათებული შპალერი უკვე გახუნებულიყო და წითელ-ყვითლად გამოიყურებოდა. კედელზე ანდროის ნათესავების, და მეგობრების ოციოდე ფოტო-სურათი მოსჩანდა, ზოლო ცოტა ზემოთ შევიდა მოზრდილი და მცირე სურათი ეკიდა აქაური მხატვრებისა: გიგო გაბაშვილის, ზანკოვსკის, ზომერის, ბაშინჯაგიანის, მრეველიშვილის, შარლემანისა და ფოგელისა. თვალის ერთი გადავლებითაც სჩანდა, რომ სურათები ერთიანი გარკვეული გემოვნებით კი არ იყო შერჩეული, არამედ მხატვრების სახელი იყო ნაყიდი. რათა მნახველი დარწმუნებულიყო, რომ ეს ოჯახი ყველა მაშინდელ ცნობილ მხატვარს იცნობდა და აფასებდა.

სტილს დანარჩენი მორთულობა და ავეჯეულიც არღვედა. მუქ-წითელს, ვაცვეთილს, განიერსა და დაბალ საეარძლებს მოდერნის სტილის პაწია მაგადა მოექციათ შუაში, რომელიც ნაგაზებით გარემოცულ-შეშინებულ გოშისავეით გამოიყურებოდა. კედლებსაც ამგვარივე უხეში სკამები მიაყუდებიყვნენ, ზოგი მუხისა და ზოგი კაკლისა, ზოგი ჩალისა და ზოგიც ხავერდისა. ამ ოთახში ორი ნიეთი იყო ამ ავეჯეულზე უფრო ღამაზი და ფასიანი: ვეება შავი როიალი და უზარმაზარი ირანული ხალიჩა, რომელიც იატაკის ნახევარზე მეტს ჰფარავდა და სურათებთან ერთად თითქო ბუნების კანონს არღვევდა: რაც უფრო ხანში შედიოდა, მისი ფასიც და მშვენებაც უფრო და უფრო მატულობდა.

იმ ძველებურს, უხიაკსა და მოუხეშავ საეარძლებში ერთი ძველებური და ორი შუახნის მამაკაცი იჯდა.

მასპინძელი ანდრო ახატნელი შუაში მოქცეულიყო. იმდენად მოსროლი, განიერი და საფუძელიანი კაცი იყო, რომ იფიქრებდით: ეს მძიმე საეარძლები და მუქ-წითელი ხალიჩით დაფენილი მკვრივი ტახტი სწორედ მის წინა-სიგანეზე გამოუჭრიათ.

ანდროს ასეთივე დიდი ალაგები ეკირა საგუბერნიო სამმართველოში, სათავადაზნაურო საკრებულოში და საადგილმამულო ბანკში, სადაც მან მეტად დიდი ვაჟუნა და ზედამხედველი კომიტეტს თავმჯდომარის სავარძელი შეიძინა. მას მუდამ და ახლაც წითელ-ზორტიანი შავი მუნდირი ეცვა და ზედ სტანისლავის ორდენი ეკიდა, რომელსაც ზევიდან ბარით შეკრუქული თეთრი წვერი და გრძელი უღვაშები დასცქეროდნენ.

ახატნელი სამოცი წლისა შესრულდა. მაგრამ ჰალარა თმისა და წვერულვაშის გარდა ყველაფერი შუახნის ადამიანისა ჰქონდა: მკვირცხლი

შვი თვალები, რომელნიც ნიადაგ შიგნით იხედებოდნენ: ხშირი, მკვირ, თითქმის გადაბმული წარბები; ლაღლაღა წითური ლოყები, მკვრივი კენკროვანი შუბლი, რომელიც, მისი მეგობრების აზრით, ფრთხილად უნდა და გამობრძმედილ ჰქუას მალავდა.

ანდრია ენამოკლე კაცად ითვლებოდა. მას ძლიერ უყვარდა დაკვირვება, მოსმენა და კითხვაიც, მაგრამ საკუთარ აზრს სიტყვიერად მეტად იშვიათად ამჟღავნებდა. თავის სიცოცხლის ნახევარი სათავადანაწარმო საკრებულოს დეპუტატად გაატარა, მაგრამ საზოგადო კრებას მისი სიტყვა იშვიათად მოესმინა. ათასში ერთხელ მოკლედ და მკაფიოდ იტყუა და თავის აზრს და მერმე ხანგრძლივ გაჩუმდებოდა. „ივერიის“ წელიწადში ორიოდ წერილს აწოდებდა და თან რედაქტორს ფიცს ართმევდა, რომ მისი ფსევდონიმი „არაგველი“ არსად გაფონავდა.

ახლა ახატნელი გულმოდგინედ უვდებდა ყურს კომერსანტს იაკობ წვერაძეს, რომელიც ანდრიას მდგმური იყო და ზემო სართულის მეორე ნახევარში იდგა. მას შუა ბაზარში ჰქონდა კანტორა და ხუთიოდე მოსამსახურე ჰყავდა, რომელნიც ნიადაგ პროვინციაში დადიოდნენ, რაღაცას ყიდულობდნენ, რაღაცას ჰყიდდნენ, მოვალეებს დასდევენ, თამასუქების სცვლიდნენ, მოხელეებს ჭრთამავდნენ, მუშტარასა და პატრონს ატყუებდნენ და ზოგჯერ თვითონაც ტყუვდებოდნენ.

წვერაძე დიდი ფირმების რწმუნებული იყო და საკუთარ თანხასაც ატრიალებდა. მის ხელში ასნაირი საქმე და ამდენივე საქონელი ბრუნავდა: ფქვილი, თივა, შაქარი, რყინული, ცემენტი და ქერი, დაზღვევა და ტრანსპორტი, ვადაგასული თამასუქები და მამულების დაფირავება, იჯარა და ურთულესი საბანკო ოპერაცია — ყველგან ფეხი ედგა მას, ყველაფერს ასწრებდა და თითქმის ყოველი საქმე ხელისჯულზე მკირეოდენ მტვერს მიინც უტოვებდა.

იმავე დროს წვერაძე საზოგადო საქმესაც ეტანებოდა: ყველგან წვერად ეწერა, საწვერო ვადასახალი ერთი ათად შეჰქონდა, ჟურნალ-ვაზეთებიც მოსდიოდა, პოეტებსაც ეხმარებოდა, სამ ნათესავ სტუდენტს ზრდიდა, წერილ ვაჭარ-მეურნეთა კავშირებს აარსებდა, ეხმარებოდა, ამხნევებდა და გამალებული ებრძოდა სომხებს.

— „ქალაქი სულ წაიღეს, ბატონო, წაიღეს“ — შესჩივლებდა ხოლმე წვერაძე ახატნელს და ჩამოუთვლიდა: იქ ახალი სახლი ააშენეს, აქ ქართველისგან მიწის ნაკერი შეიძინეს, ვალმა ორი სახელოსნო კიდევ ააგეს, გამოლმა კიდევ სამი მალიზია ვახსნეს, ვერაზე ქართველის ბილი დაიფირავეს და სირაჯხანაში ლეინის ახალი ფირმა გააჩინეს.

— „მაგრამ არც ჩვენა ვართ გულსელდაკრეფილი“ — და ჩამოუთვლიდა ხოლმე ყველა საქმეს, სახლს, იჯარას, ბოსტანს და მიწის ნაკერს, რომელიც მან და მისმა მეგობრებმა იმ კვირაში ზოგებსა და სომხებს გამოსტაცეს.

ანდრია წვერადის საჩივარს საკუთარ საჩივლელს დაუმატებდა ხოლმე: არამიანცმა, მანთაშევმა და მათმა ბანაკმა ბორჩალოში, კაჭყუტოვდევსება-ვანაც უზარმაზარი მამულები შეიძინეს, ხოლო გადაგებულმა ქართ-ველმა თავადებმა ამის საღირალი ოქრო ორიოდ წელიწადში გაფლანგეს. სომხები მარტონი როდი არიან: რუსის მთავრობამ საგლეზო ბანკი გახსნა, ისიც ჩვენგან უამრავ მამულს ყიდულობს და რუსის გლეხებს ასახლებს.

— საცაა ჩვენივე სამშობლოში უცხო ხალხად გამოგვაცხადებენ და ყველას მოჯამაგირედ დაგვიყენებენ. — ახლაც მწარედ მიუგო ანდრიამ იაკობს.

— დიდებული ბრძანებაა. სრული სიმართლეა — დაუდასტურა წვერადემ მასპინძელს და ქერა უღვაშები შეისწორა.

— მაგრამ თქვენ, ეინც საქმის ხალხი ხართ, არ უნდა შეშინდეთ. — გაამხნევა ახატულმა ვაჟარი. — იცოდეთ, რომ ეროვნული ვაჭრობა-მრეწველობაც და სასოფლო მეურნეობაც ისეთივე პატრიოტული საქმეა, როგორც ჩვენი მწერლობა, ხელოვნება, მეცნიერება, მამულისთვის სიკვდილი, შეილების იდეალური აღზრდა და ყოველი სხვაგვარი სასარგებლო მოღვაწეობაც. ჩვენ განუყრელი მოკავშირენი ვართ: თქვენ წართმეული ქალაქები უნდა დაგვიბრუნოთ, ჩვენ კი მამული უნდა შევინარჩუნოთ.

— ანდრიამ იყუჩა და მერმე დაუმატა: — ეჰ, ჩემო იაკობ, ჩვენ გვემას ეჭმით, შიტო კი ილიმება. — და ანდრიამ მხარზე ხელი დაადო თავის ძმისწულს, ყიფიანის ნათლულს, რომელიც მეორე მხრიდან ეჯდა და უღვაშებში ილიმებოდა.

— კაცი ბკობდა, ღმერთი კი იცინოდაო — მიუგო დიმიტრიმ. — მაგ საქმეს თქვენზე უკეთ რევოლუცია შეასრულებს. ეროვნულ დავას და სიტუაციას მხოლოდ სოციალიზმი მოსპობს.

ანდრიამ უნდობლად ჩაიჭნია თავი და ჩუმი ხმით ჩაილაპარაკა:

— ნეტარ არიან მორწმუნენი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქვეყანა.

დიმიტრი წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა. ახლა ბიძისა და ძმისწულის მსგავსება წელანდელზე უკეთ გამოჩნდა.

დიმიტრის გრძელი სერთუკი და ზოლებიანი შალეარი ეცვა. ვილეტის ამონაქერი თითქმის ყელამდე სწვდებოდა, რომელსაც შავი პლასტრომი და ბამბასავით თეთრი საყელო ჰფარავდა. შვილი თავის ბიძის სიმაღლისა იჭნებოდა, ოდნავ უფრო თხელი იყო და მხრებში გასწორებული. შავი წვერულვაში ანდროსავით ჰქონდა შეკრეჭილი, ხშირი წარბებიც გადაბმული, ხშირი და გრძელი თმა — უწყსრივოდ აბურძგენილი. ოქროს სათვალეები იმდენად პატარა მოსჩანდა მის ცხვირზე, რომ ლაპარაკის დროს უფამფალებდა და ხშირად უვარდებოდა. იგი სერთუკის გადასაკეცზე წვრილი ძეწვეით იყო დაბმული და ამიტომ ჩამოვარდნის შე-

მდე არხეინად ქანაობდა ჰაერში, პატრონი კი საუბრის დროს მამა არც კი ამჩნევდა და ლაპარაკსა და კამათს განაგრძობდა. *ერქონეული*  
 მამამ და მისმა ძმისწულმა დაეა აღარ ვაალრმავეს. *გეგმა ჩოქოვებუ-*  
 ლი ჰქონდათ და ერთმანეთს ახალს ველარაფერს ეტყობნენ.

დომიტრი ეჭიმი იყო. უნივერსიტეტი ათიოდე წლის წინათ დაასრულა და ახატნელების საერთო სახლის მეორე სართულში დასახლდა. პირველ ხანებში ავადმყოფი შემთხვევით თუ შეიხედავდა მის ბინაში. ის არც კი ეძებდა პაციენტებს, ვინაიდან მარტოხელა იყო, ბიძის ოჯახში იკვებებოდა და ჯიბის ფული მუდამ თავსაყრელი ჰქონდა.

ახალგაზრდა ეჭიმი ჰგონებდა, რომ მას საკმაო სწავლა არ მოეპოვებოდა და ამიტომ ლაშობდა დანაკლისი თვითონვე შეეცხო. თავდაპირველად ის ბაქტერიოლოგიას ჩაუჯდა, რომელიც თავიდანვე შეიყვარა. ყველაზე მეტად ის უჩინარი მიკრობების თეორიამ გაიტაცა. პასტერის მიერ გაკვრით გამოთქმული აზრი ღრმად ჩაუჯდა და ამ გზას ბეჯითად გაჰყვა. მეცადინეობისთვის ულტრა-მიკროსკოპი და მრავალი სხვა ხელსაწყო სჭირდებოდა. მისმა ბიძამ ერთხელ კიდევ დაიცალიერა ჯიბე, დამატებითი სესხი აიღო ბანკიდან და დომიტრის ბინისა და ლაბორატორიის მოწყობაზე სამი ათას მანეთამდის დახარჯა.

დომიტრი ვატაცებით შეუდგა წითელასი, ყალსმედის, ცოფის, ყვავილის, მალტიურის, ციებისა და იმ სნეულებათა კვლევამდებას, რომელთა მიკრობების დანახვა ან სულ არ შეიძლებოდა, ან მხოლოდ ულტრა-მიკროსკოპით შეიძლებოდა. ის მალე დარწმუნდა, რომ თვლით სანახავი ქვეყნიერების უკან უზარმაზარი უჩინარი სამყარო იმალებოდა, რომელსაც სიცოცხლის დასაბამი იღუმალემა ეპყრა ხელთ.

დომიტრის ორივე გზით სიარული აღარ შეეძლო: ან ბიოლოგიად უნდა გადაქცეულიყო, ან ვატაცებნილ გზას გაჰყოლოდა: ისევე ეჭიმად დარჩენილიყო და პრაქტიკის გამრავლებისთვის ეზრუნა. მან ერთი წელიწადი იყოყმანა და მეორე გზა აირჩია, თანაც არც ზოგიერთ სარეკლამო ხერხს მოერიდა და მალე პაციენტების რიცხვი ერთი-ორად მოიზრავლა.

უწინ დომიტრი არც ერთ პარტიას არ ეკუთვნოდა, მაგრამ არც ანდრიას გზის მორჩილი იყო. ერთ ხანს კიდევ სეპარატისტობდა, მაგრამ თანდათან დადინჯდა. სამშობლოს სრული დამოუკიდებლობა ოცნებად მოიწვენა, ფედერალისტებს მიეკედლა, მთავარ კომიტეტშიც კი შევიდა და პოლიტიკას უამრავ დროს და ფულს სწირავდა. ანდრომ მრავალჯერ, ურჩია თავის შეილებსაც და ძმისწულსაც, რომ პოლიტიკისთვის თავი დაენებებიათ, მაგრამ მალე დადუმდა, ვინაიდან მიხვდა, რომ პოლიტი-

კამ ირგვლივ ყველანი და ყოველივე ორგანიზულად შეკრებილია და მას პარტიის ერთად ისუნთქავდნენ და სასმელთან ერთად სვამდნენ.

აქამდის დიმიტრი უფრო ძველ თაობას ებრძოდნენ, მაგრამ მარცხნივ ეწეოდა, ახლა კი მას ათვერ მეტად ანარქისტები აწუხებდნენ, რომელნიც უცხოეთიდან ჩამოვიდნენ, და მამულიშვილურ საქმეს უფსკრულსკენ მიაქანებდნენ.

მაგრამ ყველაზე მეტად სოციალ-დემოკრატებმა გაუკვირეს საქმე.

დიმიტრი ექიმი იყო. ის ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციაში მუშაობდა, უფრო მეტად კი წერათმეცნიერების საზოგადოებაში იჩენდა მხნეობას. ახლა სოციალ-დემოკრატები ლამობენ ეს ციხეც შეუწვრიონ და პარტიის სტამბის მუშებიც კი გადაიბირონ.

იმ დღეს დიმიტრის და მის მეგობრებს ცხარე სხდომა ჰქონდათ. ასწორი საზრუნავს ახალი საზრუნავი დაერთო: ბაქოში, ნახჭევანსა და ერევანში სომხებმა და თათრებმა ერთმანეთის სისხლი დაღვარეს და ახლა საქართველოშიც უესკადნენ ხანჯლებს. მათს შულს საჯაროდ ყველანი „შეთანს“ აბრალებდნენ. პარტიაში კი მიტო სხვანაირი გეზის გატანას ლამობდა. დღევანდელ სხდომაზე მან გაახსენა მეგობრებს, რომ დაშნაკების გაჩენამდის კავკასიაში შედარებითი საერთაშორისო მშვიდობა არსებობდა; დაშნაკები ჩვენც გვედავებიან მამულს და თათრებსაც — ამბობდა დიმიტრი. — ისინი ჯერ თათრებს დაეჯახნენ, მერმე კი ჩვენც შეპოვეტივენ. თუ მათი ხელით ანთებული ცეცხლი საქართველოსაც მოედო, ცეცხლს ცეცხლივე უნდა დაეფხვედროთ და მაუზერს მაუზერი. ამას ჩვენი ხალხიც, მთავრობაც და მთელი კავკასიაც დაგვიდასტურებენ და ისტორიაც სავეებით გაგვამართლებს. გარწმუნებთ, ამხანაგებო, რომ ეს შექარაც საკმარისია. სისხლის ღერა მაშინვე გათავდება და დაშნაკები ისევ თავიანთ ქერქში დაეტყვიან“.

ამ სიტყვამ კრიამული გამოიწვია.

„რომელი ისტორია?.. ნუ თუ მთავრობის დასტურისა არ შეგრცხვებათ?.. ეგ არის თქვენი სოციალიზმი?.. ეგ ხომ შენი ბიძის ანდრის პროგრამაა!“ მიაყარეს ორატორს აქეთ-იქიდან.

დიმიტრის ყველაზე მეტად უკანასკნელი რეპლიკა ემწვავა. ვინაიდან მისმა მოქმელმა სიმართლედ კოჭებამდის გააშიშვლა. დიმიტრის თვითონაც გაუკვირდა: პირად საუბარში ის დაეინებოთ ებრძოდა ბიძას. ეუბნებოდა: „ქართველ-თათრების კავშირი ერთობას საერთაშორისო ბრძოლის სისხლში დაახრჩობს და ყველას დაგვლუპავს“. ახლა კი მოუფიქრებლად გაიმეორა ანდრის გეზი და მეგობრებში გაოცება და აღშფოთება გამოიწვია. ექიმს უნდოდა თავი ემართლებინა, ნათქვამი შეერბილებინა და კიდევ წამოიძახა რამდენჯერმე:

„მეგობრებო, მომიტმინეთ... დამაცადეთ“.

მაგრამ ვილაკამ აღარ დააცადა და იქვე ახლოს, ორას ნახევარს მანძილზე, სწორედ ამ დროს დააქექა ყუმბარა, რომელმაც ფახჯოები შეაზანზარა და დამსწრენიც წამოშალა. ყუმბარის დგრილზე, *ბიბლიოთეკა* მოკყვა.

სხდომა შესწყდა. თავმოყრით ყოფნა მეტად საზიფათო იყო და კრება ნელნელა დაიშალა.

დიმიტრიმ შორი გზით მოუარა, მამა-დავითის აღმართზე ამოვიდა და ავშაროვს შეეფეთა.

ეს სამგვაროვანი ჟანდარმი — ბეშაროვი, ავშარაშვილი, ავშარიანიცი — ახატუნელის ოჯახში ქეთომ შემოიყვანა, რომელსაც ამის გამო ძმებმაც დიდაშვილებმაც სიცოცხლე ჩაუმწარეს.

ეს ამბავი ანდრიამ გაიგო და მიტოს უთხრა:

„მიტო, შენ შენი ბინა გაქვს და ჩემი ოჯახის საქმეში ნუ ერევი. ვისაც მინდა, იმას მოეუშვებ. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ავშაროვი პატიოსანი კაცია და ამიტომ“.

„ავშაროვი ჟანდარმი“ — გააწყვეტინა დიმიტრიმ.

„მე არც ცრუმორწმუნე ვარ და არც მზღალი. — მიუგო ანდრიამ. — ჟანდარმი თქვენთვის ჯოჯოხეთის მოციქულია, ჩემთვის კი სულ სხვა ვინმეა. ის სდარაჯობს ჩვენს ძილს, ჩვენს ნაშრომს, ჩვენს სიცოცხლეს, საკუთრებას, კანონს და კულტურას“.

„კანონს და კულტურასაც? — წამოიძაბა დიმიტრიმ.

„დიად, კულტურასაც. — დაუდასტურა ანდრიამ — რამდენჯერ მოთქვამს, ჩემი ნიკო შენზე და აკაკიზე უფრო ლოლიკურად მოიქცა მეთქი: მან დედამაზე და საკუთრებაზედაც ხელი აიღო და თავის ხატს გაჰყვა, მუშების უბანში გადასახლდა და მუშურად ცხოვრობს. შენ კი ვინდა ყველაფერი შეინარჩუნო და ამავე დროს შენი ქონებისა და სიცოცხლის ერთგული დარაჯი მთავრობა კი მოჰკლა. ან ერთი გზა აირჩიე, ან მეორე“.

„მესამე გზაც არსებობს“.

„ტყუილია, თქვენი ნაქორალია. — აუწია ხმას ანდრიამ. — ღმერთმა ნუ მოგვასწროს, მაგრამ შესაძლოა მოვსწრო და დარწმუნდე, რომ ეგ გზა თვითმპყრობელობის პირობებში რეალობა კი არ არის, არამედ ფანტომია, ლანდია, ავი მოჩვენება და მეტი არაფერი. ეგ ტყბილი სიზმარი თითების კენჭით და კბილთა ღრჭენით დასრულდება მეთქი“.

„დამშვიდდი, ბიძაჩემო. ავშაროვი შენი სტუმარია და მე იმასთან ხელი არა მაქვს“.

ეს საუბარი სამი თვის წინათ მოხდა. მას აქეთ დიმიტრი ავშაროვს აღარ შეჰხვედრია და აღარც ავშაროვი გამოჩენილა ანდრიას ოჯახში. წე-

დან კი როტმისტრმა მიტოს ვაზა გადაუქრა ქუჩაში, ხელი ჩაიჭრა და პკითხა:

— ჯიქი ხომ არსად შეგხვედრიათ?

— მგონი მეტეხშია — მიუგო გაოცებულმა ექიმმა. ქარქინეული

— მეტეხში მყავდა, მაგრამ დღეს გამექცა.

— ღმერთმა ხელი მოუშაროს! — გაიცინა ექიმმა. — რომ კიდევ შენახა, ვაზას ავირევდით.

— უკაცრავად, მე დამავიწყდა, რომ თქვენც ერთობისტი ხართ. — დაცინვით მიუგო ავშაროვმა და გაშორდა. — შშვიდობით ბრძანდებოდეთ.

მცირე ხნის შემდეგ მეორე და მესამე ყუმბარამ იფეთქა. იმ დროს ღმერთი მეგობართან იყო და იქ უბზრეს, ავშაროვი ააფეთქესო.

ახლა ღმერთი პფიქრობდა, ეთქვა თუ არა ანდროსთვის ეს ამბავი. არ უთბრა. ქეთოს დღეობა იყო და არ უნდოდა ანდრია შეეწუხებინა, რომელსაც ავშაროვი პატიოსან კაცად დგ ხელსაყრელ სასიძოდ მიაჩნდა. არა, არც ქეთომ უნდა იცოდეს, თორემ დღესასწაული ჩაჰშხამდებდა.

...

იმ დღეს არც ანდრიას პირშო შვილი აკაკი გამოსულა გამარჯვებულად. იმას ვერაზე ჰქონდა სხდომა. იქაც მძაფრად დაეტაკა ერთმანეთს ორი ჯგუფი. მცირე ჯგუფი დაქინებით მოითხოვდა ბრძოლის გამძაფრებას, დაუნდობლობას, იერიშების გახშირებას.

უმრავლესობა ყოფმანობდა, აკაკი ამ ჯგუფის გეზს იზიარებდა, მაგრამ წესად ჰქონდა მწვავე კამათში არ ჩარეულიყო და მომრიგებელ შუამავლის როლი შეესრულებინა.

— მუშები და გლეხობის მცირე ნაწილი უემპველად გამოგვევება, მაგრამ ეს საკმარისი არ არის — ამბობდა იმ დღეს სევასტი. — ჯარი მთავრობის მხარეზეა და რამდენიმე ბატალიონიც საკმარისია, რომ ჩვენი დიადი საქმე ნაადრევად ჩაახჩონ. ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ ჭუნერალი გრიაზნოვი, შირინკინი და ძმანი მათნი ოცნებობენ: სანამ ერთობა სუსტია, ნეტა მანამდის შემოგვიტევენენო. გრიაზნოვს ზოგჯერ ჩვენი ამხანაგიც ემზრობა, ნებისით თუ უნებლიედ იმის საქმეს აკეთებს და პროვოკატორის როლს ასრულებს.

მარცხენა ფრთა უცებ წამოიშალა. ატყდა ყვირილი და ქრიაშული:

— უსინდისობაა! საზიზღრობაა! შენ თვითონ ყოფილხარ პროვოკატორი!

სევასტი ლამობდა სიტყვა დაესრულებინა, მაგრამ არ დააცალეს:

— ვაჩუმი! აღარ გვინდა! ბოდიში მოიხადე!

— სევასტი ცხარე კაცია. საქმეს გაგვიფუტებს. — ჩასჩურჩულა ღმერთი მეზობელს აკაკიმ და გრძელი წითური წვერი მოიწიწწა.

ერიამული დიდხანს გაგრძელდა. იგი შორეულმა ქუბილმა შეწყვიტა. თედომ მაშინვე გამოიყენა ქუბილი.

— ნუ თუ ამ ქუბილმაც ვერაფერი შეგაგნებინათ? —  
 ის უმბარა ჩვენი ამხანაგის ნასროლია. იქნება ის დაფლეთილი ამ აჩე-  
 ხილი ჰგდია ქუჩაში, თქვენ კი მას პროვოკატორს უწოდებთ. გრცხვენო-  
 ნოდეთ!

— გრცხვენოდეთ! გრცხვენოდეთ! — მიაყოლეს სხვებმაც.  
 უმრავლესობას მართლა შერაცხვა. სევასტიმ ბოდიში მოიხადა, მაგრამ  
 მაინც დაურდო:

— მე ჭედს ვიხრი იმ გმირის წინაშე, მაგრამ მაინც ვიტყვი, მეასეჯერ  
 ვიტყვი, რომ ყოველი ამგვარი აქტი კომიტეტის ნებართვით უნდა ზდე-  
 ზოდეს. ეს დადგენილება მრავალჯერ გამოვიტანეთ, მაგრამ თქვენ არ  
 გვემორჩილებით და აუტანელ დღეში გვაყენებთ. თქვენ ნადრევი ომი  
 გამოუცხადეთ მთავრობას, სისხლიც უხვად იღვრება, პასუხი კი ჩვენ მო-  
 გვეთხოვება.

— ვინ თქვენ? — მიაძაბა თედომ.  
 — პარტიის და კომიტეტის უმრავლესობას — მიუგო სევასტიმ.  
 — უმრავლესობა თქვენ კი არა, ჩვენა ვართ. — მიაყარა უმცირესობამ.  
 ამან ძველი დავა განაახლა. სევასტი და სხვებიც ამტკიცებდნენ: ვი-  
 ნაიდან პარტიის უმრავლესობა საქართველოში ჩვენ გვემბრობა, ამიტომ  
 უმცირესობა ჩვენ უნდა გვემორჩილებოდესო.

თედო და მისი ჯგუფი არ უთმობდა: საქართველოს სოციალ-დემოკრა-  
 ტიული პარტია არ არსებობს. ჩვენ მცირე ნაწილი ვართ რუსეთის საერ-  
 თო პარტიისა, რომელიც ერთადერთი უზენაესი პატრნია თქვენიც და  
 ჩვენიცა. ვინაიდან იქ, რუსეთის მთავარ კომიტეტში, უმრავლესობა ჩვენ  
 გვეყუთენის, მაშ ცხადი ყოფილა, რომ იმ კომიტეტს ჩვენთან ერთად  
 თქვენც უნდა ემორჩილებოდეთო.

— ამიტომ პარტიის მთავარი ხელმძღვანელობის ნამდვილი წარმო-  
 მადგენელი ჩვენა ხართ და არა თქვენ. თქვენ აქაური უმრავლესობა და-  
 ვიხვევიათ ხელზე. მაგ საბუთის ძალა მხოლოდ მაშინ ექნება, როცა რუ-  
 სეთის პარტიას გამოეთიშებით და საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ  
 პარტიას დააარსებთ. ინებეთ, გაჰხედეთ.

— ინებონ! გაჰხედონ! — შხარი მისცა თედოს რამდენიმე ამხანაგმა.  
 ვერა, ვერ გაჰხედავენ. ეს ხომ ღალატი იქნება იმ საერთო საჭმისა,  
 რომელსაც ერთად აშენებდნენ რუსი და ქართველი, უკრაინელი და სო-  
 მხიცი, თათარიც და ბელორუსიც. არა, უმრავლესობა ამ ანკესს არ წა-  
 მოეგება.

კამათის დროს ერთი ამხანაგი შემოვიდა და სასიხარულო ამბავი მოი-  
 ტანა:

— ამხანაგებო, მომილოცნია: ჯიქი ჯანდარმებს გამოუცხადდა!

თედოს ჯგუფი გახარებული წამოცვივდა:

— ყოჩაღ ჯიქო! გაუმარჯოს! ვაჟაკია, ვაჟაკია!

— ყოჩაღ, ყოჩაღ. — ცალი ყბით დაუმატეს სხვებმაც, ხოლო აკაკიმ ისევ ჩასტორჩულა მეზობელს:

— ბედოვლათი ჯანდარმები ყოფილან. ხელახლა აგვირევეს საქმეს. ინტრიგანია, მოუსვენარი. ბელადობას იჩემებს.

— გცხვენოდეს, აკაკი! — წამოიძახა უცებ თედომ. — ზურაბის გამოქცევა ძალიან გწყენია.

აკაკის თავის წვერით წითელ-ყვითელი ფერი დაედო. გაშრა, აირია და ლულულღით იკითხა:

— რათა, თედო, რას მერჩი?

— ვისზე სთქვი, ინტრიგანიაო?

— ინტრიგანი კი არა, ინტრიგებია მეთქი. — მოექიდა აკაკი ორიოდ და ასოს და ფონს გავიდა. — მე ვთქვი, პარტიაში ინტრიგებია მეთქი.

— ვიცი. შენი ნათქვამი კარგად გავიგე. — თავის ჩაქნევით მიუღო თედომ.

— გარწმუნებ, თედო, ვერ გავიგია.

თავმჯდომარემ ეს მცირე ამბავი გაუგებრობად ჩასთვალა და კამათი წვლანდელ კალაპოტში ჩააყენა.

აკაკის არავინ დაუჯერა, და თვითონაც იცოდა, რომ არავინ დაუჯერა, და ამის გამო ძლიერ სწუხდა და ნათქვამს ნანობდა, მაგრამ გვიანდა იყო სინანული. პირმოღუშული გაუნძრევლად იჯდა ბოლომდის, მსხვილი წითელი თითებით წითურ წვერულვაშს აწვალებდა და ამით თავის სულიერ ფორიაქს ამჟღავნებდა.

თედო ველარ ითმუნდა. უნდოდა ჯიქის სანახავად წასულიყო, მაგრამ ამ დროს შორიდან მეორე ყუმბარის ხანგრძლივი გუგუნე მოისმა. სხდომა ხელახლა წამოიშალა.

„აგერ მეორე პროვოკატორი! — წამოიძახა თედომ და დაკინევით გადინარბარა: ოხო-ხო!“

— ნუ იცინი, თედო. — თავის ქნევით მიაწოდა აკაკიმ. — ორი ყუმბარის საპასუხოდ ორასი ზარბაზანი არ დაგვიშინონ.

— ნუ გეშინიან, შენ მუდამ გადაარჩები. — ირიბული ღიმილით დაუბრუნა თედომ.

სხვებმაც გაიღიშეს, ხოლო აკაკი უარესად გაწითლდა და გაჯავრდა, მაგრამ ჯაერი უკანვე ჩაიბრუნა და გაჩუმდა. ყველა მიხვდა, თუ რა შხამით იყო გაელენთილი თედოს ისარი: აკაკი შვილი იყო ანდრია ახატუნლისა, რომელმაც არა ერთხელ იხსნა ის განსაკდელისაგან. ყოველი დამსწრე ორჯელ და სამჯერ იყო დაპატიმრებული, ნაკემი, დამშეული, სა-

მახურიდან დათხოვნილი, გადასახლებული, ზოგი მათგანი დღესაც მშიერ-მწყურვალნი დაძრწოდა და სადღაც ჯურღმულში იმალობოდა, ხოლო აკაკი მხოლოდ ერთხელ მიიყვანეს მეტეხში და ანდროსის წყალობით წყალობით მესამე დღესვე გამოუშვეს და ბოდბეც კი მოინადეს.

კამათი გაგრძელდა. იგი მესამე ყუშბარამ მოსხიპა, რომელმაც იქვე ახლო დაიჭექა. ყუშბარის ქუჩილს თოფ-რევოლვერების ქანაქუხი მოჰყვა.

— აშაბაგებო, დინჯად და თითოთითოდ დავიშალნეთ. — განაცხადა თავმჯდომარემ. — სხდომის გაგრძელებას აზრი აღარა აქვს. ზედმეტი სითამამე გვავენებს. მაგრამ ნურავის ჰგონია, თითქო დღევანდელ სხდომას ჩვენი საერთო ბანაკი დაერღუოს. პირიქით, ჩვენი ენერჯია და სიმტკიცე დღე-დღისით მატულობს. დეე ჩვენი შინაური დავა შინვე დარჩეს. გარეთ ნუ ვავიტანთ და მტერს ნუ ვაეხარებთ. მამ წავიდ-წამოვიდეთ და ჩვენს წმინდა მიზანს უფრო მეტის მხნეობით და უჯიათობით ვემსახუროთ.

(გაგრძელება შემდეგ №-ში).



ალიო. მათაშვილი

## შ ლ ე ზ ი

ვქექოთ! საბჭოთა ქვეყნის განთიადს  
შევხედეთ, დროშების ცეცხლი გაშალეთ,  
ვქექოთ! ახალი წელიწადია,  
ნულარ დაზოგავთ ლექსის მაშხალებს!

მზე ამოსულა — ცათა მპყრობელი,  
მთაზე შემდგარა როგორც მესია,  
ხარობს ქვეყანა, ხარობს ყოველი,  
ბუნებას ეგრე დაუწესია!

ჩიტებიც შტკრბენ — ზემს ენახავთო,  
სტვენით ვალობენ ქებათაქებას,  
ამხანაგებო! ჩვენც შეველაღოდთ  
ყოვლად ბრწყინვალე მზეს დაბადება!

ავსწიოთ გული! ავსწიოთ მზეზე,  
შერტხვეს, ვინც იგი შესვას პირშივად,  
ავსწიოთ გული! ავსწიოთ, ესეც  
იყოს ახალ-წლის აღსანიშნავად!

თუმცა: ბავშვობამ აღრე დაგეტოვა,  
მოვბრილვართ სიბრძნეს დაწაფებული,  
წასულა ჩვენი ახალგაზრდობაც  
ერთ დროს უღვაშებ-ამწეანებული!

წასულა, აღარ დაბრუნებულა,  
ქარს გამყოლია როგორც თოლია,  
დაზამთრებულა და უნებურად  
თავზე ქალარას დაუთოვლია!

შაინც არ ეჩივით ბედზე არასდროს,  
ჩვენ მომავალი შაინც გეწყურია,  
ბედმა ახალ-წელს ბევრჯერ დაგვასწროს,  
სიცოცხლე მუდამ სიხარულია!



ავსწიოთ გული! ავსწიოთ, შერცხვეს  
ვინც ეგ სასმისი შესვას პირშავად,  
წარსულის მწუხრი წაელოს მეწყერს,  
შევსვათ ახალ-წლის აღსანიშნავად!

აი, ძარღვებიც ეღერენ, ფეთქავენ,  
საესეა გული, მთერალი ვართ ღზენით,  
რა იშვიათად ვხვდებით ერთმანეთს,  
რა უღარდელად მიდიან დღენი...

1 იანვარი, 1936 წ.



ირაკლი აბაშიძე

## ყვავილეუბი ქალაქში

ვარდებს მოგართმევ ლურჯს და ფერადებს  
თუ შგოსნის ბაღში შემობრძანდები;  
მე ვნახე გუშინ — ხალხის ბელადებს  
იას ესროდენ დემონსტრანტები.

მწვანეში დაგსვამ და გასაკვირად  
ყვავილთა ტრიუმფს აქ მოგიყვები:  
ქალაქი შესძრეს და ქუჩის პირად  
ჩამწკრივდენ როგორც აკროსტიხები.

გზებში ყვავილი და კარგი ვარდი  
აჭრელებული ასფრად კედელი.  
მტკვრის ნაპირებზე ზის დარდიმანდი.  
და რგავს ვარაყებს ოქრომჭედელი.

ამ ნარგიზებმა ჩემმა და მხალმა  
დაუწყეს შებმა ქალაქს, გოლიათს.  
ჩემს ქარხნის კედლებს ვარდი და პალმა  
ჩაერგო გვერდში და მაგნოლია.

ხომ თეთრი რამ ხარ. უფრო თეთრ ვარდებს  
ჩვენს ქარხნის ბაღში ღირსად გიპოენი,  
მაგიდა მორთეს თეთრით მეტადრე  
და მაგიდასთან ზის ადგილკომი.

ზამბახს, გვირილებს, ბაღში ვარდ-კეთილს  
მიჰყვა მთიერთი თეთრად ხალათი  
და მათს სახელებს როგორც გაკვეთილს  
უბის წიგნაკში სწერდა ხარატი.

კარგნი ყოფილან; ვნახე ეს ეშში,  
როგორც თოვაში დღის გათენება.  
მე ვაძლეე დასტურს, რომ ჩემს ლექსებში  
ხმა აღიდგინონ ზრიზანტემებმა.

შგოსნის ხალხს სურდეს — მაშინ ფრიალში  
იდიდოს ვარდნი და მიმოზანიც:

მგოსნის ხალხს სურდეს — როგორც ტყეიაში  
უნდა ვარდებშიც მოკვდეს მგოსანი.

ასე იტყვიან ჩემზე, ოდესმე.

ამ ქვეყნად ვინმე თუ მომიგონებს:

ხენაზე, ფოლაღზე ფიჭობდა ლექაებს

არ იმეტებდა ნაკლებ სტრიქონებს.

და როცა გზებში, ბაღში, ბინაზე

არ იყო ვარდი უკვე ხუმრობა,

მგოსანს უბრძანეს ცოტა სინაზე

და გატყდა ლექსის უხერხულობა.

და აღიღინდა ეს მინდვრის მახრა

ბგერაც მოძებნა, ბალიც ინება;

ასე სთქვან მაშინ: — მგოსანმა ნახა

ვარდებში ქვეყნის აღორძინება.

ასე სთქვან მაშინ: — ვერც გაახელებთ

ბრძოლის და გმირთა ლექსის ლალატი,

მგოსანმა ნახა ვარდის სახელებს

უბის წიგნაკში სწერდა ხარატი.

და მოუწონა ვაჟკაცს სიმორცხვეც

მკერდზე დაკრულიც ვარდი ფინჯნებათ;

ასე იხილა დიდი სიციცხლე

დიდის მყობადის შემობიჯება.

მაშინ აღსრულდეს ან ერთი კვეხნა,

ან რკინის შერგოს ნაცვა კბილებით:

მე უნდა დაერჩე მგოსანი — ქვეყნად

აბალ სიციცხლის და ყვაველების.

შენს კეთილ ფიჭობებს, შენს გზაში დაღლას

ვერ აღმიშვოთებს ღამე ჩქერებათ,

ვარდებს გიყიდრი, და მგოსანს აბლა

მე ვარდის მიძღვნა დამეჯერება.



საქართველოს  
მწიგნობართა კავშირი

1935 წ. ტფილისი.



კანტელეიმონ ჩხიკვაძე

## მურზაყან დადეშქელიანი

რომანი\*)

თავი მეორე

### 5. აზღაპულა ბარბოლო

მურზაყანმა მომდევნო ძმა, ალექსანდრე, პეტერბურგს გაისტუმრა. თითონ ტფილისში დარჩა და მეგობრული კავშირი გააბა ნამესტნიკის ოჯახთან.

გულთბილად შეხედენ მურზაყანს ნამესტნიკის ოჯახის წევრები. ევრონცოვის მეთულე — სტოლიპინის ქერივი, მარია ვასილევნა ტრუბეცკაია და მისი მეგობარი — გრაფინია შუაზელი თავს დასტრიალებდენ სამთავრო ტახტზე ხელდარეცილ ბატონიშვილს, აიშედებდენ, დახმარებას აღუთქვამდენ. სასახლის ასაგებად თანხებსა და სპეციალისტებს ჰპირდებოდენ.

თავბრუ დაეხვა მურზაყანს. სენათში დაბრუნება ოცნებად გადაექცა. ნამესტნიკის ოჯახის პატივისცემაც გაუტება. რაც ხანი გადის, თითქო აღარც კი მიეჩქარება სენათში. სრულწლოვანად გახდომას ჯერ კიდევ ერთი წელი უკლია. ხემწიფის დასტურიც იგვიანებს.

ზის მურზაყან ევრონცოვის სასახლეში და ევროპულ ყაიდის ცხოვრებას ეჩვევა. ხანდახან ღონდება, სევდა შემოაწვება, ქალაქიდან გაქცევა მოენატრება, მაგრამ მოაგონდება ნამესტნიკის დაპირება და თავს იმაგრებს.

„ნამესტნიკის შეამდგომლობა როგორ არ გასჭრის? — ფიქრობს მურზაყან. — გარდამთიელნი სანდონი როდი არიან, მაგრამ რისთვის ითვალთმაქცებენ? თხოვნა არ გასჭრის? არ დამეხმარებიან? თათარყანს მიემხრობიან? მე ვუჩვენებ მაგათ. შევიკედლებ გადმობეწილებს, ჩავალ სენათში და ისეთ სისხლის ღვრას დავაყენებ, ენგური კალაპოტს ვადადიოდეს. გადმობეწილებმა ზომ თითონვე მთხოვეს შემოკედლება. მივაფურთხებ

\*) გავრცელება. „წათობი“ № 11 — 12, 1935 წ.

ნამესტნიკს და მის იმპერატორსაც... ტახტს ძალით დაეიბრებოდა და სი-  
ხით, რომელი მამაცი ვაბედავს სევანეთის მიწა-წყალზე ფეხის დაღმას.  
ქეციანი ბარტოლოე რომ გამოიშინაურეს. გეოლოგიო თუქრანსა და სევანეთს  
სევანეთს ჯარით უნდა ვესტუმროო. მახარა გუშინწონ. მუღაყუნა წი-  
ნონიკი. ნამესტნიკიც რომ ელოლიავება. მთელი დღე გეკრდით უზის და  
რალაცას ეწურჩულება. არა, არ მომწონს ევ ბარტოლო. გარეგნულადაც  
რომ ეშმაკს ჰგავს. ფუჰ!

მურზაყან არ ცდებოდა. ბარტოლო დიდი გაიძვირა ვინმე იყო. შლიქ-  
ენელი, ქლესა, ენაქარტალა, ჭორების დიდი ოსტატი. ისეთ რამეს მო-  
კორაედა, შემდეგ თითონვე მოდიოდა განცვიფრებაში, როგორ მოეჩმახეო.

გარეგნობაც ხელს უწყობდა: ახმახი, ხმელა, ყვით-ლქანიანი. დაკუ-  
სული ცისფერი თვალები. მთელი დღე ტუჩებს აცმაკუნებდა, როგორც  
ქურდული. ჭამის დროს ყბას არ ამოძრავებს, ლუქმა კი მოძრაობს შემ-  
კნარი და ჩავარდნილი ლოყების ქალაქებში. სასმელებს შორის არაყს  
ეტანება, სულდაუთქმელად ყლაბავს, გემოს არ უჩინჯავს. ზის გაშეშებუ-  
ლი და თვალებს არც კი ახამხამებს. დროგამოშვებით ბურჩუთს ყნოსავს  
და ცხვირს მოურიდებლად აცემინებს. როცა იცინის, ცხენის ჯიშის ლო-  
ჯები ღრძილებამდე უჩანს. პირის ნახევი ყურის ძირამდე წვდება.

ერთი სიტყვით, მისი სურათი რომ ლეონადრო დე-ვიჩჩის ან ტიცინის  
ბადალმა მზატვარმა დახატოს, უცხო მნახველს ადამიანის ბოროტი კარი-  
კატურა ეგონება.

მურზაყანს გარეგნობით უფრო არ მოსწონს გრაფი ბარტოლო. მას  
შემდეგ კი, რაც გრაფმა ბარტოლომ სიტყვა ჩამოუგდო მურზაყანს სე-  
ვანეთში ჯარით შესვლის განზრახვაზე, რალაც იქცეებმა გაიღვიძა სევანეთის  
მემკვიდრის გულში და ახლა კიდევ უფრო შეეჯავრა ისედაც ათვალის-  
წინებული კარის მოხელე.

სამავიეროდ, თავადის ქალები, ახალგაზრდა კნენები, წარმოიდგინეთ,  
grande დამებიც თავს ევლებიან თვალტანად ბატონიშვილს: ასწავლიან  
ვეროპულ ცეკვას, აჩვევენ ზომიერ ფლირტსა და „ზრდილობიან“ არ-  
შიყობას.

მავრამ უხეშია სევანეთის ნაშიერი. მოუქნელი, გაურანდავი. როცა ლა-  
პარაკობს, გეგონებათ გრვეინავსო. როცა იცინის, ჭერს ზანზარი გააქვს-  
კნენებს ეს უფრო ართობს, საჭოროკანო საბაბს აძლევს, თუმცა არც  
მათ უჭრადღებას არის მოკლებული სევანეთის მემკვიდრე.

ნამესტნიკსაც თვალში მოსდის ახოვანი სვანი. მხრებს ქურდული ცქე-  
რით უზომავს. ხანდახან თვალს ჩაასობს კუნძის ოდენა შიჯებს და რა-  
ტომღაც სპილოს თათები აგონდება. არშიყობასა და დროსტარებაში მუ-  
დამ აქვებებს ბატონიშვილს ნამესტნიკი. თვითონ ზის მოშორებით და  
ახალგაზრდობას იგონებს. ჩუმჩუმად იღიმება შამპანურის ცეცხლით ახუნ-  
ტრუცებული ქალების დანახვაზე.

„აქუს სიბერეც!“ — ამოიხრებებს ხანდახან ნამესტნიცი და შეშუშუნა ლეისოს უხალისოდ წოვბავს. მურზაყანზე კი ასე ფიქრობს: „თანდათან შევჩვევ არისტოკრატულ ყოფაცხოვრებას, ბალებსაჲ, დრამატულ წყევტილ ეპიქეის. კლუბებსა და თეატრებს. საცაა თეატრიც გვექმნება ტყუილისი. ნამდვილი ევროპული ყაიდის თეატრი. ტიტლიკანა ბაღერინები. ნამდვილი ცისფერთვალეა გედები“.

ნამესტნიცი ინერწყვება და განაგრძობს: „ო და შევჩვევ მეთქი სალონურ ცხოვრებას. ქეიფსა და დროსტარებას. ბრწყინვალე ცხოვრებას დაჩვეული, თითონვე აიღებს ხელს ველურ ცხოვრებასა და არანაკლებ ველურ სვანეთზე. ქართველ თავადს ოლონდაც დროსტარების საშუალებას ნუ შოაკლებ და... ტახტს კი არა, სულს არ დაზოგავს. თუმცა ეს სვანი უჯრათი ვინმეა, უხეში, ჯორზე ჯიუტი. ყველაფერს ეკვის თვალით უცქერის. რუსეთის ხსენებაზე უნებლიეთ იკმუხნება. ხელგაშლილი ცხოვრება კი გაუტება, როგორც ვაჰინეე. არაფერი... გაივლის ხანი... ეზიარება რუსულ კულტურას... შეეჩვევა კლუბებსა და თეატრებში ხეტიალს. თუ ბანქოს თამაზიც შევაყვარეთ, მორჩა. ერთ წელიწადში გამოფუფქავს სადადეშქელიანოს. ბოლოს ჩავაცმევ რუსულ მუნდირს, ეპოლეტებითა და ჯვარმუნდლებით დავეშვენებ ვულმკერდსა და განიერ მხრებს... გავასამხედროებ და, ხაბარდა! შვიდობით, სვანეთის მთებო, ორენბურგში ან სარატოვში ამოვაყოფინებ თავს. ერთი ძმა ხომ მოვიშორე თავიდან. უმცროსებსაც თანდათან რუსეთში გავეზინავ. თანაც დავაყვედრი: მსრუნველობა დამიფასეთ მეთქი! სხვა გზა არ არსებობს. დაპყრობასა და ჯარის ჩაყენებას შემდეგაც მოვესწრები. თუ ხერხი არ გასჭირს ძალას ვიხმარ ასე, ბებერო მელა! — ჩიფჩიფებს თავისთვის ნამესტნიცი და სვანეთის მემკვიდრეს მამაშვილური მზრუნველობით დასტრიალებს თავს. ანებიერებს გამულმებულ ქეიფითა და დროსტარებით.“

— ვახშამი! — ბრძანებს ნამესტნიცი და სასახლე იძირება შეშუშუნა შამპანურის მორეცში. უქნარა კნეინები მოხდენილად აშრიალებენ აბრეშუმის კაბებს. ნარნარათ არხევენ სირაქლემის ფრთების მარაოებს.

ორკესტრი უკრავს კადრილსა და კონტრადანსს. გრაფინია შუაზელს გაგიჟებით უყვარს ინგლისური კონტრადანსი. ვაცურდება და monsieur მურზაყანს ებატიყება.

მურზაყანს სწყინს, როცა მას monsieur-ს უწოდებენ „მისი ბრწყინვალეების“ შავიერ.

ერთ საღამოს ველარ შოითმინა და გრაფინია შუაზელს ყურში წისწურჩულა. სთხოვეთ კნეინებს „მუსიო-რუსიოს“ ნუ მეძახიანო.

გრაფიანიამ კარგა ხანს იხარბარა მურზაყანის შენიშენაზე, მობრუნდა და კნეინები საჯაროდ გააფრთხილა. პრინც მურზაყანს აღარ აწყენითო.

„პრინც მურზაყან“ ესიამოვნა დადეშქელიანს. გამხიარულდა. ლეკური ჩამოუარა. მანანა ორბელიანი გაყვა მურზაყანს სათამაშოდ. გრიბოედო-

ვის ქვრივს, კავკავადის ასულს ნინოს, თვალში მოუვიდა სეკსტიუსის შემკვიდრე, მაგრამ ჯერ ერთი — მურზაყან ცოლიანი იყო, (მელოც) — ნინოს აღთქმა პქონდა მიცემული, მეორედ აღარ გათხოვებოდა. მაგრამ ჯერ კიდევ თალხებში იყო. მამის, ალექსანდრე კავკავადის (და დემეტრის) მამის პირველად ესწრებოდა ბანკეტს.

მურზაყანზე ოცნებას თავი გაანება. თუმცა ისევ იფეთქა მალულმა გრძობამ და ახალგაზრდა ქვრივი საღლაც გააქანა: ჩემი და კატო ზომ სამეგრელოს დედოფალია... დავით დადიანის მეუღლე. ვუგვარვარ, მაგრამ ხშირად მაგრძობობინებს ზოლმე თავის უპირატესობას. ახლა, ახალ სასახლეს იშენებს და თავი ისე მოაქვს, თითქო რუსეთის დედოფალი იყოს. დგამები და სასახლის მორთულობა ევროპიდან გამოიწერა. ქართულად ლაპარაკს აღარ კადრულობს. შზარეულიც ფრანგი ჰყავს... პირფორში, გუვერნანტები.

მურზაყან მაქოსავით ახრილებს ფეხებს უზარმაზარ წრეში. მერცხალივით ჩაუქროლებს მოგოგმანე მანანას და ხანდახან ისე დასქყვილებს, გეგონებათ ცამ რისხვით დაიქუხაო.

გაუტკბა მურზაყანს ნამესტნიკის სასახლეში ცხოვრება. მუდმივი წვიფი და დროსტარება ჩვეულებად გადაექცა.

ნამესტნიკი თავს აღარ ზოგავს.

— კარეტა! — გადისძახებს ადიუტანტს ქალარა მელა და სასახლის წინ ისმის ეცენებისა და ზანზარაკების რიტმიული ელარუნი. ბახუსით ვიბრუებულ მურზაყანს სასეირნოდ მიაქროლებენ ქალაქს ვარედ. გვარდით ნამესტნიკი უზის ქაბუჯ ბატონიშვილს. ათვალეირებენ ძველ ტფილისს, ორთაქალის ბალებს. ხანდახან ლოპიანას დუქანშიც შეუხვევენ და გათენებამდე ისმის ზურნისა და დუდუკის ჰყვიტირი. აშუღლებს ოფლი ასკდებათ, ბაიათებისა და მუხამაზების შეძახილში.

ქვეითადაც ხშირად დასეირნობს ნამესტნიკი. მურზაყან მისი განუყრელი თანამგზავრია.

ნარიყალას ნანგრევები იტაცებს ბატონიშვილის ყურადღებას. სვანეთი აგონდება. სვანური კოშკები.

გასეირნება ახალი ქალაქის დათვალეირებით მთავრდება ყოველთვის. ნამესტნიკი დიდის აღტაცებით მოუთხრობს მხლებელთ ევროპულ ქალაქების შესახებ. აღტაცებით იგონებს ბარიზსა, ლონდონსა და რომში გატარებულ დღეებს, თავი მოსწონს, რომ პარიზში უცხოვრია ნამესტნიკს. უნახავს პარიზის ღირსშესანიშნავი ადგილები. დაუთვალეირებია ლუვრის მუზეუმი. რამდენჯერმე ყოფილა „ფრანგულ თეატრში“ რიშელიეს ჰეჩაზე. თეატრი ბავშობიდანვე იტაცებდა ვარანკოვს... დღესაც თვალწინ უდგას „ფრანგული თეატრის“ კერპი ფრანსუა-გოზეფ ტალმა „ჰამლეტი“-ს როლში... აგონდება: ნაპოლეონისა და იმპერატორ ალექსანდრე I შეხედრა გერმანიაში ჰ. ერფურტში, სადაც ბონოპარტმა თავი მოიწონა

და რუსეთის მონარქს უჩვენა იმ დროს უდიდესი არტისტი ტოლმა ბრუტუსის როლში. ქალაქ მონტე-კარლოში მთელი დღეები მჯდარი რუსეთის მავლის ირგვლივ და ათასობით წაუგია, ზოგჯერ მარტინ კაფრეც.

კმაყოფილებით აღწერს ნაპოლეონთან შეხვედრას ჩგონსკის სამხედრო-დელ მოარულ ანეგდოტებს. ანეგდოტების მთავარი გმირი ყოველთვის ნაპოლეონი ან ტალეირანია. ვორონცოვი ქება-დიდებათ ახსენებს ორივეს. გენიოსებს ეძახის მათ.

„გენიოსი იყო ნაპოლეონი, სახმედრო საქმის ვიტროუზი, მაგრამ... ბუმბული გავაცალეთ რუსებშია“—ო, ალტკინებით ამზობს ნამესტნიკი და გაბზარული ხმით იცინის.

„Да, нынче времена!“ — დასძენს თვითონვე და ტკბილად იღიმება.

— ჩვენც ვაშენებთ, ბატონებო, ევროპული ყაიდის ქალაქებს. წინადაქ გარეუბანი ყოფილა. — ერეენის მოედანზე უთითებს ვორონცოვი. — აი, იქ, სადაც ამჟამად თეატრი შენდება, წინად ხევი ჩამოიდოდა. იქ კი, სოლოლაკის მიდამოებში, ბალები და ბაღები იყო გაშენებული. შესხედეთ, ბატონებო, გუდოვიჩის ქუჩაზე ასალ შენობებს, რტიშჩევის ქუჩაზე, ბებუთოვის, ერმოლოვისა და პასკევიჩის ქუჩებზე. რაც რუსეთმა შემოიღა აქ ფეხი, სულ მას შემდეგ არის აშენებული.

წინად ქალაქის ცენტრი აბანოებთან იყო. შემოედგით ფეხი თუ არა, ზევით ვეწევით ქალაქის ცენტრს. ამოგვეყავს მოსახლეობა სულ შემხუთავ ჯურღმულიდან. რამდენიმე წელიც და ტფილისს თეატრი ექნება. სათავად-აზნაურო კლუბი და... ევროპული რესტორაციები.

მურზაყან ამრეზილი უსმენს ნამესტნიკს და გულში ასე ფიქრობს: ჯანდაბას თქვენი თეატრი და რესტორაციები. ევროპა და ევროპული ქალაქები. თუ სევანთში დიდი ქალაქები არა გვაქვს, ცხოვრება აღარ გვქონია. ერთ სევანურ კოშკს ვამჯობინებდი ამ თქვენს ქალაქურ სასახლეებს, ვანიერ ქუჩებსა და ქუჩის ორომტრიალს.

ნამესტნიკს ქართველი თავადები შემოხვდენ. მოწიწებით მიესალმენ ქალარა ნამესტნიკს. გარშემო შემოეხვიენენ და სასახლისკენ მიმავალი ვორონცოვი სოლოლაკისკენ მოაბრუნეს.

## 6. შუაბაზრის ზმირამბი

მურზაყან ჩამოშორდა ნამესტნიკის ამაღას. მარტოობა მოესურვა სევდა მოძალებულ ბატონიშვილს. განკერძოებული ხეტიალი მოუნდა.

შუაბაზრისკენ დაექანა დადგმულიანი. ერთხელ ქურდულად მოიხედა უკან. ამაღა რომ მოშორებით დაინახა, დინჯად დაჰყვა შუაბაზრისკენ მიმავალ დაღმართს.

ეს ერთი ხანია მარტოდ ხეტიალს დაეჩეია მურზაყან. ბაზარმა მიიპყრო მისი ყურადღება. მურზაყანს ქირივით ეჯავრება ფული, ეაჭრობა, აღებმიცემობა, ბოქკასავით თავბოლო სწორი ეაჭრები და დაღალები, მაგრამ

გული მაინც იქეთ მიერჩის, ბაზრის ორომტრიალი თითქო არაა, მოწოლილ სევდას უქარვებს და ამიტომ უფრო მოუხშირა ბატონიშვილმა ბაზარში სიარულს.

ერქვეული

მურზაყანს თვალი დაატანეს ბაზრის აყვია ბიჭებმაც უნდა იქნებოდა შეანი მისცეს და ჯგროთ გამოუდგენ. კინტოებმაც შეათვალთვალეს მათთვის უკვე ნაცნობი ბატონიშვილი. შორიახლო აღდევენ.

— საჭულ, მოსულა?

— პა-პა-პა, რა მოსულა! სადღეოფლო რამე მოსულა. ქორფა კიტრი შემოსულა, — უბასუხა საქომ და თავგატეხილივით დაიყვირა: მწვანილი, ბოლოკიი!

თაუზე თაბახწამოსკუპებულ კინტოები ტანის გრაციოზული რბევით მისარღვევენ ბაზარში მოხეიტალე ხალხის ტალღებს და მურზაყანს თვალს არ აშორებენ. გზადგზა ოხუნჯობენ კიდევ. მოსწრებულ სიტყვა-პასუხით მოყიალე ხალხის ყურადღებას იპყრობენ.

შედგა მურზაყან. კინტოების უდარდელ საჭციელს დააკვირდა. მათი ტანმორთულობა ტუცნაურა და სიცილი წასკდა.

უცებ გონს მოვიდა. გაგონილი ჰქონდა: ჭალაქელ კინტოებს გაუქარდავი და მოულორებელი არავინ გადაურჩებოა და წარბი შეიკრა.

ვაჭირდვით, უკვე გაჭირდეს სევნეთის უფლისწული. მის ალაბნახევრიან ხანჯალს თვალი დაადგეს და ერთმანეთს დაემუჭრენ:

— ე მურდალი ენა დააყუ, თორე ხანჯალს ხომ უყურებ!

— იშიშვლებს?

— თორემ არა, ქარქაშიანა შემოგარავს.

— კნიაზჯან, მართალს იძახის ე ჩემის უშალთუნინანი?

მურზაყანმა ხმა გაიკმინდა, თითქო არაფერი არ ესმისო.

კინტოები განაგრძობდენ:

— გაბუტულია, აი!

— ქაშვეთის გუმბათივით რო დაყუდებულა?!

— საღავათძალლო, ერთი მხარბეკიც გაუხომე და?! არსენას არშინი არ გადაწვდება.

— აფსუს, არსენა! რა „კლუბნიკა“ ბიჭი დაილუბა! — ამოიოხრა საქომ და მურზაყანს ყურში ჩასძახა: მწვანილი, მწვანილიიეო.

შეკრთა მურზაყან. ბრაზიც მოერია. ერთი ირიბად ახედდახედა თავგასულ კინტოს და ხანჯლის ტარზე წაიელო ხელი.

— გოთა, ე ჩემანალა! მომეცა რალა! — წაჰკრა საქომ მუჯლუგუნე უერწასულ ავეტიქას და ნაბიჯს მოუჩქარა.

მურზაყან სახტად დარჩა. კინტოების ქარაგმებს თავბოლო ვეღარ გაართვა. ახლა მეტაქკეს დააკვირდა.

ერთმანეთს ჰგვანან კინტოები. თითქო ერთი დედმამის შვილნი არიანო. ერთნაირად ჩაცმულ-დახურულნი. ხალმოწვებულნი.

მურზაყან დგას და გულმოდგინეთ ათვალეირებს კონტრაქტის ტანმოკეთულობას: ლაიკის „გარმონია“ ჩექმები, მინაოქებულნი ლურჯი ჩოხები და ასეთივე ყადის შარვლები. ვერცხლის ქაშრები აბზინდებით. თავზე გაფშეკილი კარტუზები.

„არა, ყველაფერი კარგი, მაგრამ სად ჩოხა და სად კარტუზიანი ქუდი? სად ლაიკის ჩექმები და სად მეწვანილე? საოცარი ხალხი ყოფილა ქალაქში“.

მურზაყანმა ნაბიჯი გადადგა და ახლა სალაყბოდ გამოსულმა დედაკაცებმა დაატანეს თვალი ბატონიშვილს.

— ქა. დამიდგეს თვალები! — მოიპოტნა ლოყები ჩიქილიანმა დედაკაცმა, რომელსაც გვერდით ედგენ მასავით ხანშესული დედაკაცი და თვრამეტ-ცხრამეტი წლის გოგონა თავლო, ისიც ჩიხტიკობით შორთული.

— რა იყო, ქა, სალომეჯან! — გაიოცა სალომეს თანამგზავრმა დედაკაცმა და ბურნუთის კოლოფი გახსნა. სტაფილო ცხვირი აიბზუა და ზედიზედ დააცემინა.

— შეხე, ჯავაირ, რა ვაყვაცია! — გადააშტერა თვალები სალომემ და ჯავაირას ჩასუჭებულ გვერდში უჩქმბია.

— ნეტა შენს თავლოს, მე რასა მჩქმეტ... — განაბა თვალები ჯავაირამ — თავლოჯან, ერთი მაგ კნიაზის მკლავებზე გაგორავა და თუნდაც უჭმარშვილოდ დაგაბერა. პა, რას იტყვი? ყაბულსა ხარ თუ არა?

— უი, დამიდგეს თვალები! — გაწიწმატდა სალომე. — უჭმარშვილოდ დასაბერებელი რა სკიირს, ენაცვალოს დედა! გვერტივით ქალი მიზის. თუ ძალიან შემეხვეწება, თორემ... აქაო და კნიაზიაო, ჩვენ თუ ვაჭრები ვართ, ხალხში აღარ გამოვსულევართ. ოქრო და თვალმარგალიტი ვერ შეგვიძენია. თვალმც ვამოსკუყვითა. გაფხეკილი კნიაზები! ღმერთს მათთვის სიმაღლე მიუცია... ცხოვრებისა და მოგების შნო წაუტრთმევია. ფეხით რო დაჰკიდო, უხალთუნი არ გავარდება. ღმერთმა დაგვიფაროს!

— რაებს ქაქანებ, დედაკაცო! — შეება სალომეს გულმოსული ჯავაირა და ხელები ნიშნის მოგებით გაასაესავე. — „ღმერთმა დაგვიფაროსო“... მეხი კი დაგაყარე მაგ მეტიჩარა თავზე! ერთს შემოგზენდავდეს, თორემ... ჯავაირას აქვს ღვთის წყალობა, ათასი თუმნის ვეჟილს ჯიბეში არ ჩაუღებ... სოლოლაკში სასახლეს არ აუშენებ, აი! რა თავი მოგაქვს, თუ იცი. აქაო და პირველი გილდის ვაჭარი ვარო, დაგავიწყდა შენი ქმარი ტაყკას რო დასდევდა? კინტუას ცოლი შენცა ხარ და მეცა. რა თავი მოგაქვს, თუ იცი!

სალომემ ხმა ვაკმიდა. იცოდა, რა ავი ყბისა და ენის პატრონი იყო ძალუა ჯავაირა. ამიტომ დათმობაზე წავიდა და კრინით დაიწყო: ვენაცვა, ჯავაირ, მართალია, ვაჭარი ხალხი ვართ, ქალაქის მეშინები, მაგრამ... ქალი კარგი მყავს, ჩემი შვილების მზემ. მართალია, ტანწერწეტა არ არის.

მაგრამ... ისეთი მზითვის პატრონია... ისეთი მოცეკვავე... ფორტაპიანზე დამკვრელი...

თაფლო ხმას არ იღებს. ის უკვე გაუტაცნია მურზაყანს, თველტანადლობას, მის განიერ მხრებსა და ოქროსფერ ხაშხაშა თმებს. — ჩვენი ქადაური კნიაზია?! ნეტა უარს მეტყვის? მამაზემი თავის წონა ოქროს მისცემს. კარგი მზითვეი. ჯიბის ფული და... ვაი თუ დამიწუნოს. არა, რა სულელური ვართ დედაკაცები. კაცს არ ეცნობთ და რას არ ვოცნებობთ". — ფიქრობდა ვაოგნებული თაფლო.

სალომე კრინითვე განაგრძობდა:

— დიდი კინძე არ გეგონოს, სვანეთის ტახტდაკარგული თავადი-შვილია.

— ქა. იცნობ კიდევ? — გაიოცა ჯავაირომ და ბურნუთი იყნოსა.

— თაფლოს ნათლია ყაჯარდუზა. ხომ ნამესტნიკის კარგი დოსტია. იმან გამანცო შორიდან.

თაფლოს კანკალი დააწყებინა. პირსახეზე სისხლი წამოაწეა და ლამის თვალი დაუბნელდეს.

ეს შენიშნეს მოლაყბე დედაკაცებმა. შეწრილდნენ. თაფლოს ყურებს ეცენ და მაგრა დაუხილეს.

— წყალი! — სასოწარკვეთით დაიძახა სალომემ.

შეიძრა ბაზარი. ქორი გავარდა და უმაღ ბაზრის ყოველი კუნძული მოიჩინა.

მურზაყან აინუნშიაც არ იგდებს სალაყბოზე გამოსულ დედაკაცების ჩურჩულსა და ქორიკანობას. ბაზარს გარშემო უვლის, სავაჭრო დუქნებს ათვალღერებს. ვაჭრების საქციელი ზიზღს გერის და დროგამოშვებით საოცრად იღმოჯება.

სავაჭროებში გამოფენილი საქონელი თვალებს სკრის. ზოგჯერ ეხარბება კიდევ.

ძვლის სავარცხელი მოეწონა მურზაყანს. აიღო, ყვევის ბუდესავით განაჩხული თმები დაიეარცხნა. ფასი იკითხა. თავი გაიჭნია და სავარცხელი უკან გადასცა.

„მაგ ფასად სვანეთში ძროხას იყიდი“, — წაილულულა თავისთვის და გარედ გამოვიდა.

ბაზრის შუაგულში ხალხი მოგროვდა. დაინტერესდა მურზაყანიც. იქითკენ გაემართა. წრე გაარღვია და მუხასებრ გაიბიჯგა. თვალწინ უცნაური სურათი გადაეშალა: ხანშესულ ყარაჩოლელებს მამლები გამოეყვანათ საჩხუბრად. გაჩაღდა ბრძოლა. თავგამოდებით ებღღუნენ მამლები ერთმანეთს. თავსა და ბიბილოზე ჩაუნისკარტეს. დეზებიც მოიშველიეს.

ხალხი დგას და იცინის. ზოგიერთნი თავიანთ ფალავნებს აჭეზებენ. ერთმანეთზე მიძიძგინებულ მამლებს უსტვენენ და გულიანად ხარხარებენ.

— ბიქოს! — წამოიძახა მურზაყანმა და ქამარზე ხელი იტაცა.

— რა მოხდა კნიაზჯან! — შემოვხვივინენ მურზაყანს ავერია ბრკები.

— ხანჯალი წინ შემაძრა?! — ტრიალებს გაოცებული დადგშქელიანი.

— ჯიბეში გეკნება კნიაზჯან!

მურზაყან ყურს უგდებს ხალხის წამოძახილებს და ჯიბეებს გულმოდგინედ იშინჯავს.

უქნარა ხალხი კი მაღიანად ხარხარებს დადგშქელიანის სატკივლზე.

— ჯიბეს რომ შართლა იშინჯავს. ალაბნახვერიანი ხანჯალი ჯიბეში?! —

— ტურტუცია, ეგ ჩემანია?! — ეწურჩულებიან ერთმანეთს.

— ხანჯლის ქურდობა?! ე, რა ხალხი ყოფილა ქალაქში!

შეიძრა ბაზარი. ატყდა სტეენა და ორმოტირალი.

— დადექ! — დაიღრიალა ვილამაც ყაფანთან.

გაისმა ლაწანი და ვილაც კუნძივით გაგორდა მიწაზე.

წაქცეულს თავზე დააჯდა ჩამურივით ჩარგვალეული ვაკეაკი და მუტი დაუშინა. გული რომ იჯერა, დადგშქელიანის ხანჯალი ხელში აიღო და მურზაყანისკენ გაექანა.

— ინებეთ, ბატონიშვილო! — თავმომწონედ მიაწოდა მურზაყანს ხანჯალი.

მურზაყანმა იცნო ხანჯლის მომტანი. გაულიმა და მადლობა გადაუხადა.

ეს იყო თუქუსსა კანდელაკი.

მურზაყანს ესიამოვნა კანდელაკთან შეხვედრა. ხელი მოხვია და თან ვაიყოლა.

— თუქუსსას უყურებ?

— დიდკაცებში პკონია საქმე რალა?

— საქოს შეხე, ცხვირი კართოფილს არ მიუფავს?

— საქოს შეუჭრია ხანჯალი?

— დაუკვეხნია, უნდა ქალაქურად ვაქამოო და დახე, თითონ არ აქამეს...

— აფსუს! — გაიქნია თავი ავეტიქამ.

— აფსუს, რა ცხვირი გაფუქდა! — დაუმატა მეორემ.

— აქ აღარ ჩამიივლის! — მოიბრუნა სული საქომ და ქალაქურად შეუგინა. — ვაჩვენებ თავის თამაშას!

ვერაეინ ვერ გაიგო დადგშქელიანს ემუჭრებოდა საქო თუ თუქუსსა კანდელაკს.

## 7. სასახლის ლაბირინთებში

გაუტკბა მურზაყანს ნამესტნიკის სასახლეში ცხოვრება. თვალი მოსჭრა ბრწყინვალე ვახშმებმა და ნაღიმებმა. თეატრსაც დაეჩვია მურზაყან. იტალიურმა ოპერებმა საგრძნობლად გაიტაცა. როცა „ფიგაროს ქორწინებას“ ესწრებოდა, სკამზე ველარ ამაგრებდენ აღტყინებულ ბატონიშვილს.

თეატრის შენობა ჯერ კიდევ არ გააჩნდა ტფილისს. წამოდგენი სასახლის თავლაში იმართებოდა, მაგრამ... ხალხი! ოი, რამდენი ღმერთმანები, თვალმარგალიტებით შემოჭვეული კენიები და სხვა-სხვა მსგავსები, ყვითელპაგონებიანი კაველრები...

მურზაყან უკვე აღარ მორცხვობს. მუდამ ახალგაზრდა კენიების წრეში ტრიალებს. ნებივრობს. ბუდიდან წამოვიარდილ არწივს წააგავს. ხანდახან არტისტებს ბაძავს და ოპერეტებიდან ნაწყვეტებს იმეორებს. ფიგაროს აჯავრებს.

ნაცნობთა რიცხვი ერთი ორად გაიზარდა. თეატრში სიარულით ბევრი რუსი მოხელე და ქართველი თავადიშვილი გაიცნო მურზაყანმა. ბევრთან ახლო მეგობრობა გააბა.

ერთი რამ არ მოსწონს მურზაყანს: რუსულ მუნდირში გამოწყობილი ქართველი დასანახავად ეჯავრება. მათთან საუბარს და მეგობრულ მასლაისს ვატრბის. ჩუმჩუმად გამყიდველებს ეძახის მათ და თავი მოსწონს, რომ თვითონ ნაკონალურ კოსტუმს ატარებს. უჩინოსა და უეპოლეტოს. რუსულ ენაზე საუბარიც ეხამუშება მურზაყანს. მაგრამ თუ ქართველი ქართველს რუსულად ესაუბრება, მოთმინებას კარგავს, ბოლმა ყელში აწეება და საჩხუბრად მიიწეებს.

ერთ ეხმამზე თავადი თულაშვილი გააცნეს და დემეტრიანს. შეზარხოშებული თავადი რუსულად შეეკითხა მურზაყანს, რატომ ლეკურს არ იცეკვებთო. იწყინა მურზაყანმა. ქალთა წრე მიატოვა, თულაშვილი განზე გაიხმო და გამომწვევ კილოზე გააფრთხილა: მეორედ აღარ გაბედოთ ასეთი თავხედობაო. ქართული, ცეკვა თუ გაინტერესებთ, ქართულმა ენამ რაღა დაგიშავათო.

არც თულაშვილმა დაუთმო. ღვინოშეკბენილ ბატონიშვილს „ძუძუ-შროვარა“ უწოდა.

გამეშდა მურზაყან. შეგუბებულმა მამულიშვილურმა გრძობამ იფეთქა და საჩხუბრად გაიწია: „თუ ვაჯაკი ხარ, ხმალში გამომყევ და იქ დაინახავ. ვინ არის ჩვენს შორის ძუძუშროვარაო, — ბრღვენიყადა მურზაყან. ძლივს დააშოშმინეს ალენილი ბატონიშვილი. როცა ნამესტნიკს მოახსენეს მურზაყანის გაფიცების ნამდვილი მიზეზი, ერთბაშად შეიკმუნხა, ნადიმი მიატოვა და ადიუტანტს უბრძანა, პოლკოვნიკი ბარტოლო მიხმეთო.

ბრავმორეულ ნამესტნიკი დიდხანს ესაუბრა პოლკოვნიკ ბარტოლოს. სასაუბრო თემა სვანეთი იყო. და დემეტრიანების ალაგმვა და სვანეთის რუსეთთან შემოერთება.

— სიფრთხილე გმართებთ, პოლკოვნიკ! — აფრთხილებდა ბარტოლოს ნამესტნიკი. — ხომ ხედავთ, რა ველურებთან გვაქვს საქმე. ეჭვი არ მეპარება თქვენს მოქნილობასა და შორსმჭვრეტელობაში, მაგრამ... სვანები,

გახსოვდეთ, სულ სხვა ჯურის მხეცები არიან. ხაფანგში თუ გააქვით და დაიმორჩილებთ, თორემ ჯიქტური შეტევით ვერაფერს გავხედებთ.

— მესმის, თქვენო ბრწყინვალეებავ! — ცბიერად ეწინააღმდეგებოდა ნამესტნიკი ბარტოლო და ტუჩებს აცმატუნებს.

ნამესტნიკი კვლავ განაგრძობს:

— სიფრთხილე და ისევ სიფრთხილე! ერთი გეგმა შეზომილი შეტევა და მორჩა, სვანეთი ჩვენს ხელში იქნება. თავისუფალი სვანეთის დელეგაცია ხომ ნახეთ. თორმეტი თემი უკვე ჩვენს ხელშია. დარჩა სადადეშქელიანი სვანეთი. ნიადავი იქაც შერყეულია. ამზობენ, თათარყან დადეშქელიანი უკვე ჩაძალდა. ჯანსულ და ოთარი საცაა ერთმანეთს წაეკიდებიან. აქედან მურზაყან ილესავს კბილებს. ჩვენი ვაღია ხელი შევეწყუთ მურზაყანის გაძლიერებას. დაერევიან ერთმანეთს. შინაყმებსა და მოჯალაბეებს გაამწარებენ. ატყდება საჩივრები. ვალევიდება საგვარეულო კინკლაობა. მაშინ ჩვენც ჩავერევით მათ შინაური საქმის მოგვარებაში და... სვანეთის სამთავროს არსებობა დაეიწყებას მიეცემა. ასე, პოლკოვნიკ! შეუდგებით ზუსტი გეგმის შედგენას და ვამგზავრებამდე ერთხელ კიდევ მოვითათბროთ.

ნამესტნიკი ნადიმს დაუბრუნდა.

ოსშივარავარდნილი მურზაყან მერცხალივით დასრიალებდა საცეკვაო დარბაზის განიერ წრეში. ხანჯლებით ცეკვავდა ბატონიშვილი. სტუმრებს შიშის ჭრუანტელი უვლიდა ტანში. ეს არის მურზაყან ფეხებს შეაქრის ბასრი ხანჯლების პირსო. მაგრამ ფეხმარდი და თვალგამპრიობი სვანი იშვიათის მოქნილობით დაჭკროდა ხანჯლებით დატიხრულ წრეში. ცერებზე შემდგარი მიუთამაშებდა ხანჯლის პირს, მოსხლტებოდა და ონავარივით გატურდებოდა საცეკვაო სარბიელზე.

შეხუნტრუტებული კნენები ჰაეროვან კოცნას თავაზობდენ მურზაყანს. ღონიერ მკლავებზე ეკონწილდებოდენ.

მურზაყან ველარ ამჩნევდა, თუ რა ხდებოდა მის გარშემო. ღამით ქეიფობდა, დღისით კი ეძინა. დარწმუნებული იყო, რომ ნამესტნიკი, და სასახლის, მოხელეებიც ასევე იქცეოდნენ. ერთი რამ უყვირდა: სახელმწიფო საქმეებს ვინლა განავებსო.

მაგრამ ცდებოდა მურზაყან. ნამესტნიკი დილა აღრიან კაბინეტში იჯდა და კავკასიის სამხედრო რუქას დაჰყურებდა. ეთათბირებოდა საბჭოს წევრებს, ოლქებისა და გუბერნიების უფროსებს. ადგენდა გეგმებს აუღებელ კუთხეებში სამხედრო ექსპედიციების გასაგზავნად. მოლაპარაკებას აწარმოებდა მთავრებთან და ამა თუ იმ კუთხის გავლენიან პირებთან. ზოგს ჩინს თავაზობდა, ზოგს ჯვარ-მენდლებსა და ორდენებს და ზოგს კიდევ სახარჯო თანხებს. როცა ღმობიერი პოლიტიკა მიზანს ვერ აღწევდა, მუქარას მიმართავდა. მთავარი კი ის იყო, რომ ყველაფერი ეს ფრიად საიდუმლოდ კეთდებოდა სასახლეში და ნამესტნიკის ახლობელმა

მოხელეებმაც კი არაფერი იცოდენ ამათუიმ საიდუმლო წამოწყებათა შესახებ.

ღამით ქეიფობდა ნამესტნიკი. ცნობილ თავადებსა მანქანებსა წავლენიან პირებს პურმარილით იახლოვებდა. უქმად არც მქმევათაგანს ცროს. ნადიმის გაჩაღებამდე რომელიმე წიხასწარ შეთვალთვალეზულ თავადს დაიმარტოხვლებდა, შეპირებითა და ტკბილი სიტყვით გულს მოუფონავდა და შემდეგ ამათუიმ საქმის მოსაგვარებლად დახმარებას სთხოვდა.

მურზაყან, მართალია, დღედაღამ სასახლეში ტრიალებდა, ნამესტნიკს გვერდით დაჰყვებოდა. მაგრამ მისი, ნამესტნიკის, მოქნილი პოლიტიკის უჩინარ ძაფებს ვერ ხედავდა. მას ეჩვენებოდა, თითქო რუსი მოხელეები უდარდელ ქეიფს გარდა არაფერზე არ ფიქრობდენ, რომ ნამესტნიკიდან უკანასკნელ გადამწერამდე, ყველანი უქნარა და მცონარეები იყვნენ.

ჩქარა შეეცვალა აზრები მურზაყანს. თავად თულაშვილთან წაყინკლავების შემდეგ ნადიმებსა და წვეულებებს უკლეს სასახლეში. შენელდა ვორონცოვის ოჯახში ქართველი თავადებისა და მოხელეების უთავბოლო ფუსფუსი და ლაზღანდაზობა.

თითონ ნამესტნიკი მთელი დღის განმავლობაში კაბინეტიდან აღარ გამოდის, მურზაყანს იშვიათად ხედება. მოულოდნელ შეხვედრისას წინანდებურად აღარ ენატკბილობს. ოფიციალურად მიმართავს ხოლმე მურზაყანს და შეკითხვებზე პასუხს კუშტად აძლევს. თუ შემთხვევით საზოგადოებაში ერთად მოხვდნენ, ცდილობს, მურზაყანი არ გააცნოს, როგორც სენათის სამთავრო ტახტის მემკვიდრე, „თავად და დეშქელიანს“ ეძახის და სხვას არაფერს.

სასახლის კარზე მოფუსფუსე მოხელეებმა და უქნარა კენიებმა ციყარეს გული მურზაყანზე. საქმე იქამდისაც კი მივიდა, რომ მურზაყანის მხლებელს, ნესტორ აბდიბას ბატონიშვილთან სტუმრობა აუკრძალეს. ერთ დღეს საღამომდე ალოდინეს საკომენდანტოში. ბოლოს უხეშად მიახალეს, და დეშქელიანს არ ვიცნობთო.

ეს შეიტყო მურზაყანმა. სისხლი ყელში მოებჯინა. მთავარ კომენდანტთან გაექანა, მაგრამ მის განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მურზაყანს უხეშად განუცხადეს, კერძო პირებს დღეს არ ღებულობს მთავარი კომენდანტიო.

— კერძო პირებს? ეს სადაური პასუხია?

ნამესტნიკთან გაექანა მურზაყან. მისაღებ ოათხში შეიჭრა და ადიუტანტს სთხოვა, მოახსენეთო.

ადიუტანტმა ბოდიში მოიხადა და თავშეკავებული ზრდილობიანი სიტყვით თავიდან მოიშორა ბრაზმორეულ ბატონიშვილი. ახლა გრაფინია შუაზელს ეახლა და დეშქელიანი. დახმარება სთხოვა. აქაც ბოდიშითა და „ზრდილობიანი“ უარით გაისტუმრეს. „დატვირთულია, შინაურებსაც ახლო არ გვიკარებსო“, — დასძინა გრაფინიამ და მურზაყანს სკამიც კი

არ შესთავაზა, კარამდე მიაცილა და, მურზაყან დერეფანში იყო გასული, კარი გამოიხურა.

დალონდა მურზაყან. სევდა შემოაწვა. სევანეთში უკვე მთელი ვადს-წყვიტა და მხლებელთ უბრძანა, სამგზავრო სამზადისს შექმნიეს. ცოტა ხანს უკან ისევ გადაიფიქრა გამგზავრება. დარჩენა არცაა. ნამესტნიკთან შეხვედრა და საქმიანი საუბარის გამართვა ამაჯობინა.

ამ ყოფაში რომ იყო, ნამესტნიკის მისაღებ ოთახში სევანებს შეხვედა გაოცდა. სევანების აქ ჩამოსვლა ეუცნაურა. გამოკითხვას შეუდგა.

თავისუფალი სევანეთის დელეგაცია ვართო, ვააცნეს თავი მურზაყანს ჩამოსულმა სევანებმა. დელეგატებს შორის ხანშესული ვიბლიანი იცნო მურზაყანმა. ვიბლიანი ყასბულათ მარჯიანს ახლდა, როცა ეს უკანასკნელი მურზაყანთან ჩავიდა აბხაზეთში მოსალაპარაკებლად.

ახლა თავისუფალ სევანებს ჩამოყოლოდა ვიბლიანი.

— რუსეთის ქვეშევრდომობას ითხოვთ? — გაიკვირვა მურზაყანმა. როცა ვიბლიანმა დაწვრილებით უამბო მას დელეგაციის ჩამოსვლის მიზანი.

— ვთხოვეთ და გავათავეთ. ერთი კვირაა აქა ვართ. დიდებული ადამიანი ყოფილა ნამესტნიკი. მფარველობა შეგვპირდა, დავკასაჩუქრა და პირობა მოგვცა, თქვენებსაც დავებმარებითო, ახლა წერილობით დასტურს ველოდებით. სევანეთში უნდა წავიღოთ.

— შენ როგორ მოხვდი ამათ შორის?

— საკვირველია, ბატონიშვილო, მაგრამ სინამდვილე... თათარყანმა რომ სევანები გაჰყიდა, გაგონილი გეჭნებათ. გაყიდული მონების გაქცევასა და გახიზნვასაც ვაიგებდით. აი, იმ გახიზნულთაგან რამდენიმე კაცი თავისუფალ სევანეთში დავრჩით. ზოგი სამეგრელოს შეეფარა ყასბულათის მეთაურობით...

— ოჯახში დაბრუნება არ გინდათ?

— გაგიხარია, ბატონიშვილო, გვინდა, მაგრამ...

— მე რომ ვაგიძლევთ, გამომყვებით?

— ვიბლიანი შეყოყმანდა. პასუხი შეაყოვნა.

— თათარყანი გაშინებთ? — შეეშველა მურზაყან.

— თათარყანმა თქვენი ქირი წაიღო.

— როგორ? — გაუბრწყინდა თვალები მურზაყანს.

— გულის ფრიალი დასჩემდა და ამ ერთი თვის წინად ფეხებიც გაქიმა. ჯანსუღ და ოთარ განაგებენ ახლა სევანეთს.

მურზაყან ფიქრებმა გაიტაცა: ეხლა კი ყველაფერი ნათელია ჩემთვის. თუ რისთვის შესცვალა ნამესტნიკმა ჩემდამი დამოკიდებულება. გაიძვერა მელა. ფიქრობს, ადვილად დაუთმობ სევანეთის მიწა-წყალს. ჩერჩეტი!

— ყასბულათ სად არის? რას ფიქრობენ ვადახვეწილნი? — ხანმოკლე დემილის შემდეგ იკითხა მურზაყანმა.

— დავით დადიანს შეეკედლენ. მშვირები იხოცებიან.

— აკი აზატობა და სამოსახლო მიწებიც უწყალოდა დადიანმაო-  
ტყუილია?

— შეპირდა, მაგრამ... — ვიბლიანმა წინადადება აღარ დაასრულა  
მძიმედ ამოიოხრა.

მურზაყან კვლავ ფიქრებმა გაიტაცა: „მშვირები იხოცებიან“. კარგია,  
დიდი ხვეწნა აღარ დამპირდება. არა, მურზაყან და დეშქელიანი ავრე  
ადვილად არ დასთმობს სევანეთის ტახტს. ხვალვე მივდივარ ტფილისიდან.  
პირდაპირ სევანეთში. ახლავე ვნახავ, როგორი ვაგეა ცემა არიან ჯანსუღ  
და ოთარ. საბრალო ბებია-ჩემი!

მურზაყანმა აბღიბა იხმო და ხელმეორედ უბრძანა: გასამგზავრებლად  
შეეშხადეთო.

დღეს, ნამესტნიკმაც დაასრულა თავისუფალ სევანეთის დელეგაციას-  
თან მოლაპარაკება. სვანი დელეგატები უკან გაისტუმრა და პოლკოვნიკ  
ბარტოლოს უბრძანა: დაუყონებლივ გაგზავნეთ თავისუფალ სევანეთში  
ექსპედიცია. ექსპედიციის უფროსობა პოლკოვნიკ ბარტოლოს დააკისრა  
ნამესტნიკმა.

(განგრძელება შემდეგ 16-ში)



## ლექსები

წიგნიდან „ტფილისის განთიადები“

ლადო გუდიაშვილს

1

აქ ყველა ბიჭი საზანდრობს,  
ყველა ჰკვებს წინაპართა, —  
გულამოჭრილი საზამთრო  
შემოგანათებს პარვითა.

ელავს აიენის ნოხები,  
ტამაკზედ — ალიბუხარი  
და ბურში ორთქლავს ხოხობი  
აქ ჩახარშული მდუღარით.

ამტყდარა მღერა ბალიდან,  
აკლდამებიდან — გუგუნო;  
მთაწმინდის ცეცხლით გალიმდა  
ვარემო გადაბუგული.

კაშკაშებს სხივთა ბარაქით  
მტკვარი ნაპრალში გდებული;  
სდგას ქალდეველთა ქალაქი  
ზურგზედ კლდე მოკიდებული

2

გამოველ. მსურდა ყვაილი  
ლამაზ ქალისთვის შეყიდნა,  
დაჭრილ ხევსურის თავივით  
მთვარე მთას გადმოეყვიხთა.

ქაშუეთს ფერი დაჰკრავდა,  
ვარსკვლავის სხივზე თბებოდა,  
ცილა დაღვრილი ვარსკვლავთა  
ქაშუეთს ეწებებოდა.

ბალით სურნელი მოვარდა,  
სადაც რეჰანი ეთესა;  
მე ვაგიგონე, მოჰვარდა  
ქვა ნარიყალის კედელსა.



მესმოდა ბავშვთა თიეილი,  
თემური კალოს ლეწაედა,  
იტეხებოდა ტკივილით  
ძვალი, ქცეული ლერწადა.

შორს ცხენჭენებით დაჰქროდნენ  
ყაბახის მობურთალები;  
მათ საყურებლად დაგროვდენ  
ყველა ცისფერი თვალეზი.

მე ვაგიგონე დაირა,  
ხმა ხაბარდიან ტაშისა;  
იაღონს ვაეშაირა  
მღერალი ყიზილბაშისა.

მე ვაგიგონე მთვარეში  
როგორ ყიოდა მეტივე:  
„ტფილისისაკენ დავეშვი,  
ველარ კი შემოვეტიე!“

მწარედ მოსთქვამდა ნიკალა \*),  
რომ არ გააჩნდა მფარველი,  
გადმოდოდა გრიგალად  
მხარგრძელი ხიზამბარელი \*\*)...

ხმები მესმოდა, არავის  
რაც აღარ ეყურებოდა,  
აჩრდილთა ხროვა მწარავი  
ყორეზე დაეყრებოდა.

\*) ნიკალა — ფიროსმანი.

\*\*\*) ხიზამბარელი — ტფილისის გამოჩენილი მოქიდავე 1850 — 1870-იან წლებში. მოტრეცენელი ფალავანი, თუმცა „ღრმა სიბერეში მოკვდა, ხალხმა ჩვეულებრივი სიკვდილი არ აკმაირა, როგორც თავისს დევ-გმირს: „ოდა-სარაია ჩამოინგრა შიწის ძვრის დროს და თან დაიტანაო“.

ვ: ჰერდი უანკესოდა,  
 მთვარის ნამჭრალი ზოლითა,  
 და ძველი მიწა კენესოდა  
 სისხლით, ცრემლით და ბოლითა



ერეკლე  
 მამულა

ბინდი კი ბინდზე ირთხმოდა,  
 წველიადი ყორნის ჯიშისა,  
 მამლების ტაში ითხოვდა  
 მზეს — ქვეყნის სარაჯიშვილსა!

გავხედე, — ცის ერთ კუნჭულთან,  
 რძე მოსეონავდა ძუძუდან...  
 დანდა სინათლე ლალივით,  
 კალმახის წითელ ხალივით...

## 3

როცა ცისკარმა მეტეზზე  
 ღამის ღვარები მიღამა,  
 წყალში გამოჩნდა მეთევზე,  
 ბრწყინვა დაიწყო ღიღამა,

ჩანდა ნაკვალი ვარსკვლავთა  
 და ნაოთხალი მთვარისა  
 და თავს ქაშუეთს აკლავდა  
 ხმა მომტირალი თარისა.

მაგრამ ეძინა გრიგოლსა \*)  
 და ვარდსაც წინანდალისა \*\*)  
 და იმ გულს აღარ ესმოდა,  
 ვინც ეს ხმა წინად ალესა.

არც მტკვარს ესმოდა, არც ყაბახს,  
 აივნებს ჩუქურთმიანთა,  
 შეეფრქვა ტივებს და თაბახს  
 და ისევ კუბოს მიაღვა.

ხმა ქცეულიყო ჩონჩხადა,  
 საფლავის ნამტვერალადა,

\*) გრიგოლ ორბელიანი.

\*\*) ნინო ჭავჭავაძე.

მხოლოდ მეთარეს კრუნჩხავდა  
ძველ სიყვარულის ბალადა.



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

მხოლოდ უსმენდნენ შაშვები,  
კარები არსად გაიღო;  
დამტაშებელი ტაშები  
საფლავში გამომპალიყო.

## 4

გადმოვიხედე ტფილისზე,  
თითქოს აენთათ ხონჩები, —  
შემომხვეოდა დილის მზე  
ყვითელი ოქროს ფოჩებით.

წყვდიადი დაძაღყოფილი  
ხევში ხოხავდა რწყილად;  
შზის ცხიმით გადაპოხილი  
ტფილის ქალაქი ბრწყინავდა. —

თვალ სამოთხე და მცინარე  
სიციცხლის ყველა ფერებით,  
ახალ ნათელის მწვეიშარი  
მაგარი ბალაფერებით.

აღარ ახსოვდა ტოლები:  
წინეგია და ბალდადი,  
არც მტრის დარტყმული ტორები,  
სისხლის ცრემლების ლალადი...

არც ის, ვინც გული ატკინა,  
მოდალე სამარყანელი \*),  
დიოდა მტკვარი ხმატკბილად,  
გაღმა ჰყვოდნენ ყანები...

წარსულის მწველი დაღები  
წარსულს მან ამოაშაშა;  
წითელი ბაიჩაღებით  
ქუჩას შეჰყივლა ლაშქარმა:

\*) თემურლანგი, ტამერლანი.

აქლერდა ღრუბლის ჩერომდე  
 სიმღერა ნაერთბაშევი;  
 დიდ მოედანზე მღეროდენ,  
 პირველ მაისის ბავშვები!



ქართული  
 ენციკლოპედია

ჭუნას, შუკას და მოედანს  
 ვარდი ეყარა მრავალი  
 დაზგებს ქარცეცხლად მოედვა  
 მუშა ხელგამომავალი!

ტფილისს ეღვიძა ქორივით,  
 გული კლდით აქნდა გებული,  
 მოსჴექდა ხალხის მორევი  
 შრომისთვის ვარიგებული!

უროს, სატებს და წერაჭეებს  
 ცეცხლის წინწყალები სცივოდა,  
 მსწურავდენ ოფლში პერანგებს,  
 მზად იყვნენ საარწივოდა.

ხმა ვაეკაცური, მეგრული,  
 გუგუნით ყალბზე დგებოდა,  
 ხმა ერთი ძალით შეკრული  
 ეხოებს ეხეთქებოდა.

ჩემი ლამაზი ქვეყანა,  
 ამ დიდ ხმას გადაეყვანა,  
 სოდომის ნალექებივით  
 მთებზე წარსული ეყარა.

ძირს ლომკაცები სცვეთავდენ  
 ლოდებს, რომ აჩნდათ კრილობა,  
 ტფილისს გაჴქონდა მცხეთამდე  
 თავისი მხარგაშლილობა!

**მატივეები**



სულ ოთხნი იყვენენ... სახე დინჯები,  
ქაფიან ჩქარში ზვირთის მჩეხველი...  
სულ იყვენენ ოთხნი... იაფინჯები,  
ნიგვზის ფოთლები, სველი ფეხები...

მოჰყავდათ ტივი ტურფად შეკრული,  
ვით კიღობანი ნესტანჯარისა;  
ნაციხარები ჩანდა ბედკრული,  
ლურჯი ყანები... ტყე ფიქვენარისა...

წინ ეგდო მტკვარი და კლდე შვეული,  
ცხვრის ფარასავით რიყე ეყარა;  
მოჰყავდათ ტივი მთას აშვებული,  
თითქოს მოჰყავდათ ბრძხულად ქვეყანა.

გამოიარეს ვიწრო ალაგი  
და ფაფასავით სქელი შორევი,  
შორს დაინახეს დიდი ქალაქი,  
აშენებულნი ნაძვის შორებით

და გაუღიმეს ერთიმეორეს...  
და როცა ტალღამ დაჰკრა ყვირილით, —  
მეტევეები ჰგვანდნენ მეომრებს,  
ტალღას აპობდნენ ორთაყვირებით.

მოსალამურდა... ხვადი მგლები დასხდენ შავადა,  
ლუქმას ხლეჩავენ დამკლავებითა;  
ღვინიან ჯამში ნარგიზით მთვარე ჩაეარდა,  
ჩამოწყვეტილი ვარსკვლავებითა...

**წვიმა შავ ზღვაზე**

ზღვამ ჩაშალა ნამქერად  
თეთრი ქაფის კრაველი;  
ტალღებიდან ამღერა  
ძველი მესაკრავენი.

წვიმის ჩანგი ეღეროდა.  
გუგუნებდა ნალარა,  
ზღვამ დასძახა: „ჰეოლა!“  
გაიწეწა ქალარა.

ზღვა გავიდა მალღარზე,  
 ცას გაეფხვნა შხაპითა;  
 დააბუნდა მალლა მზე  
 და მიწაზეც დაბინდდა.



შეკრა კუბრის სარტყელით,  
 სქექდა შემოკვივლით;  
 ზვირთი ზვირთში დათხრილი  
 ინთჭრეოდა ტკივილით;

ჰგავდა შურისძიებას,  
 ზღვა არ იყო ჭკუაზე,  
 თითქოს იგი მიემათ  
 დამფრთხალ ცხენის ძღაზე!

ბრძოლა იყო სულ მუქტი,  
 გული არვის სტკენია, —  
 ცამ დაცეხვა ზურმუხტი,  
 ზღვას მოედო გენია.

ცა დაგაზა, მოწველა  
 დედის ხსენი აღინა,  
 ცამ აილო ორწილად,  
 სფერო ჩაინადირა.

ზღვამ ხურება დაახშო...  
 ზღვა დალაგდა თელილი,  
 როგორც სუფრა საეახშმო,  
 წყნარად გადადენილი.

ძირს მძივთა ნალეწები  
 მოფანტულად ეყარა,  
 მთვარის სირმა ბეწვევებით  
 ქათქათებდა ქვეყანა.

გვიყურებდენ ვარსკვლავნი,  
 როგორც ჯიხვის თვალეები...  
 სთვლემდა გაუნასკვავე  
 ტალღა, ნაბურთალევი...

ბიოგრაფიკა

## ღაბრუნება

აქ გაზაფხული მზედება ისევ,  
ვტოვებ გემს და თვალებს ვართობ:  
ვუმზერ მთებზე მცოცავ ნისლებს  
და პალმებში ჩამჯდაო ბათომს.  
ვაკვირდები ფანჯრებს შალლა,  
მევეუცხოვოს ქუჩა ლამის.  
მოვედი და თანვე მახლავს  
უკრაინის მინდვრის ნამი.  
მაფიქრებდა გემზე წუხელ  
აჭარა და შუქი მთვარის;  
ვარკვლავები ცაში წუხდენ  
და საადროდ ჰჭროდა ქარი.  
გონებით ვწერ ქვეყნის რუკას,  
სად არ ვიყავ, რა არ ვნახე!  
გრილი სიო მომსდევს უკან  
და მომძახის ნაცნობ სახელს.  
მაგონდება ზღვის ნაპირი,  
ხეივანი, სახლი თეთრი;  
მე ვტოვებდი იმ დღეს ყირიმს  
და ლამაზი წუხდა ერთი.  
უწყინარი, როგორც ვარდი,  
მთვლიდა სათნო გულის კაცად.  
ახლდა რაღაც ჩემი დარდი  
და ველების სივრცის განცდა.  
რად დავტოვე?! თუ მიმღერებს  
შინ, ნეტავი, სადღაც სოფლად!  
როგორ სურდა გულით, მერე,  
იმერეთის ცისქვეშ ყოფნა!  
რა ეთქვა! ეფიქრობ... გრძნობებს შიტკობ!  
მოგონების განცდა სრული...

პაერში დგას, როგორც სითბო,  
 ლიმონის და პალმის სუნი.  
 იხედება ქუჩა ზღვისკენ,  
 ზღვა ვეება ხიბლავს ქალაქს.  
 მუხლს ვასვენებ მაღალ ზისქვეშ  
 და ფოთლების ქოლგა მფარავს.  
 გზებს მინათებს ფიქრის კოშკი  
 ქალაქში და ქალაქგარეთ;  
 ვაღებ თვალით აქ, ბათომში,  
 ჩვენი ქვეყნის ლამაზ კარებს!  
 მემატება ხმა და ღონე,  
 დაღლილობა ჩემი ქრება...  
 შორს მერცხლებშიც ვავიგონე  
 ამ ფერადი ქვეყნის ქება!  
 ეაკვირდები ფანჯრებს მაღლა,  
 მეფუცხოვოს ქუჩა ლამის.  
 მოვედი და თანვე მახლავს  
 უკრაინის მინდვრის ნამი.



მოსე გვასალია

## პილისპირი

ნოველა

შუაგულ ტყეში ცეცხლი გაეძაღებიათ. მოგუგუნე ალი ისე მალა მი-  
იწვედა, თითქოს მთელს ქვეყანას უნდა მოედოსო. ცეცხლის ახლოს ორი-  
კაცი ტრიალებდა. მუხის საყაყრე მორებს ხეთქავდენ. ტყაცანით და ში-  
შინით იწოდენ ვეებერთელა მუგუზლები. ხოლო ცეცხლის სინათლეზე ეს  
ტანაყრილი, ლარივით ჩამოქნილი ხეები უცნაურად ცეკვავდენ. ისინი ამ  
ღამით თითქოს ღრუბლებზე იყვნენ მიბჯენილნი და მათ ჩამოქცევისაგან  
იმაგრებდენ.

— რახან აქ ტყეში ერჩებით, მოდი სულ მოვისტუმროთ სამუშაო!

— მე კი დასვენება მირჩევნია, უკვე შუალამეა!

დამზადებული მასალა ცალკე დაალაგეს. მორზე ჩამოსხდენ და დაი-  
სვენეს, შემდეგ ცეცხლისპირად მოკალათდენ, მინდორზე ნაბადი დააგეს  
და ვახშამს შემოუსხდენ, ჩქარა დანაყრდენ და წამოწვენ. ახლა ძირის-  
პირზე უკვე ძალიან ტკბილი იყო საუბარი.

ერთმა საოცარი ოსტატობით ბზისაგან გამოკვეთილი სათუთუნე ამო-  
იღო. ჯერ თვითონ შეახვია თამბაქო, შემდეგ ამხანაგს მიაწოდა.

ახალგაზრდები იყვნენ. სახეზე წვერულვამ ახლად აშლილნი. წვერ-  
ულვაში კი არა გინგლი, წაბლიფერი, ყმაწვილ კაცების პირველი ბუ-  
სუსი, შემდეგ დანა ჩამოდენიმიჯგერ რომ გაეკარება და აქოჩრავს.

ამ სოფელში ორივენი ახლად დასახლდენ. ერთმა შარშან დაიდგა სახ-  
ლი და კერა აანთო. მეორე კი ახლა ემზადებოდა ოდა ყაერით გადაე-  
ხურა და ფუტი გაეთბო.

— კარგი ყაერია, სულ მუხის შუაგულია, ოც წელიწადს მაინც არ  
მოეკიდება ხავსი. ოცი წლის მერე ჩემმა შვილებმა ოქროს ფურცლები  
მოიტანონ და ახლად იმით გადახურონ! — ფიქრობდა ეს ახალგაზრდა  
უკვე შვილებზე ზრუნვით შეპყრობილი. სახე ცეცხლს წამოეწითლებია,  
ისვენებდა და დამშვიდებით აბოლებდა, სწორედ ისე როგორც განცხრო-  
მაში მყოფი ფადიშაჰი გააბოლებს ნარგილეშს. ბრვე ვაყაკი იყო. გრუ-  
ზა ქოჩორი შუბლზე დაეყარა, ხოლო წარბები ერთმანეთს შეწვნოდენ.

მეორე კი ჩუმად იწვა. ნაკვერჩხლებისათვის გაეშტერებია ნეტლი და გაბადრულიყო. ბოლოს მხარი შეიცვალა, მარჯვენა ხელი გინთაფისუფლა და ამოიხენწა:

გინთაფისუფლა

— იცი რა ვითხრა!..

— ჰო!.. — მოემზადა სასმენად ამხანაგი.

ცოტახნით სიჩუმე დამკვიდრდა. ცეცხლს ისევ გაჰქონდა ბრიალი, ხოლო ხის ტოტებზე შეჭით თვალმოჭრილი ფრინველები ფართქალებდნენ. პაწია, მომტკრეული ტოტები და ფოთლები ფაჩუნით ეცემოდა დაბლა. უშველებელი ნაკვერჩხლები თვალისმომჭრელად ღყოდნენ, თითქოს საცაა თუჯის ნიაღვარივით უნდა გადნენ და დგაფუნით წამოვიდნენო. ხანდახან ქარი აფორიკებდა ქვევრს, ფუჩჩში ცეცხლის გარშემო, ვილაც უჩინარს ფეხაკრფით გაატარებდა და შემკრთალ ამხანაგებს მოაგონებდა რომ ისინი ტყეში იმყოფებიან.

— შენებურად ზღაპრები არ მოყვე, ტყეში არ შეიძლება. — გააფრთხილა ამხანაგმა.

— არა, ეს არ მიფიქრია. — ამოიხენწა და შეცვლილი ხმით გაავრძელა: — იცი, ბიჭო, ისე დამოჯანბნია იმ ქალმა, აქ რომ ვარ მარტო, ხანდახან მგონია, აი საცაა შეინძრევა რომელიმე ბუჩქი და გამოჩნდება ის თმააშლილი, როგორც ტყის მადფაზე იტყვიან ხოლმე.

— ჰოო! — თითქოს ეწყინა რაღაც ამხანაგს, — ქეთე?!

— შეასვეჯერ გამოგიტყდები, სწორედ ისა.

— ბარაქალა ქალო!.. კი მაგრამ ის რომ არ თანავიგრობს შე ოხერო, სულ არ თანავიგრობს!

— მართალია, სავსებით არ თანამიგრობს, აუტეხია ერთ ვინმეს პირობა უკვე მივეციო. მე იმისი ვარო და სიკვდილის კარამდე დავრჩებიო. თანამოსაუბრეს ძალიან გაეხარდა რაღაც, ხელები მოიფშვინტა.

— კაი ხანია ამას ჩივიხარ შენ, ვინაა ნეტავ მერე ის კაცი! — თვლები დაწყურა და ეშმაკურად გაიღიმა.

— ეშმაკმა უწყის, წარმოიდგინეო, მეუბნება, როგორც შენ ჩემზე ილევო და მოიწვე, სწორედ ასევე მე იმისკენ მივისწრაფიო. ამას მეუბნება და კისკისებს. ისე წყრილებს მისი ხმა, თითქოს დაღმართზე პატარა ზარი დაავორესო. თუ კიდევ ორიოდე სიტყვას ზედმეტად ვერტყვი, მაშინვე მოიჭუშება და ცოტალა აკლია რისხვად იტყეს. ერთ დღეს ფეხაკრფით წავიდა ნაწყენი და ჩაის ბუჩქს მიუჯდა. ჩაჩინდრა თავი და ერთხანს ბაიყუშით ხმაგაკმენდილი, აცახცახებული ხელებით კრფეს. ვამჩნევ ხელი ეშლება. ყლორტის მაგიერ ყრუ დუყსა წყვეტს. კალათაში რომ ჩაიხედა, ლოყები ჩამოიკაწრა, მიწა გამოსქდა ისე შემომხედა. დამტყვივლა, დაიკარგე აქედან შე სალახანავ, ჰაიტ შე ლეგვევ, შენა! მე ვუბნები ქალო ნუ მკლავ მეთქი, შორიშორ უვლი, ახლოს მისვლისა კი

მეშინია. რატომ არ გესმის სხვა მიყვარს, რატომ არ გესმის გულმოსული მიყვირის და მეჩხუბება.

— ჰა-ჰა, ბარაქალა ქალო!.. კი მაგრამ, ბიჭო, ასევე შენთვისაა მშობლებს ვეტყვი, ახალი მოსახლე ხარ, იქნებ ძალით მოეთხოვებინათ. — ყბამოქცეული ურჩია ამხანაგმა.

— ისეთი ვინმეა, ძალად გაათხოვებ? უთხარ, განა არ უთხარი მშობლებს! ბეგი, მიპასუხეს მათ, კარგი ბიჭი ხარო, ამ ორი წლის წინეთ არც სახლი გქონია, არც კარი, შენ და შენი ამხანაგი, შენზე თქვეს, ერთ წელიწადს ერთგან იყავით შეხიზნული, მეორე წელიწადს მეორეგან, მოჯამაგირეობდით, ხეტიალობდით, ახლა კი საქმე ისე წაიყვანე შენთვის ოჯახი მოაწყვე, შესახედავად არა გიშავს რა, მაგრამ მაგ ქალს მაინც ვერ მოგცემთო. შენც კი იცი შარშან სამასი შრომა დღე გააკეთა და ბევრი ვაჟაკი დაიჯაბნა. წინად ერთიც არ შემოიხედავდა ჩვენს სახლში, შარშანდელიდან კი უკვე ათიოდემ გვთხოვა, მაგრამ ჩვენ რა გვეჩქარება, იქით კი არაა სარჩენი, აქეთ გვარჩენს მოხუცებს. ესეც რომ არ იყოს, იმაზოდა მე არასოდეს ვავთხოვდებო. დედამისთან კი წამოცდენია საქმრო ამორჩეული მყავსო. აბა რა უნდა გაუგო ახლა? ვინაა საქმრო? თვითონ არ ამბობს, სხვამ რა იცის!

— ნეტავ ვინაა მართლა. ბეგი რომ გაიგო რას უხამ? მოკლავ, თუ გალახავ?

ბეგი ჩაფიქრდა და შეყუყმანდა, შემდეგ გაეცინა:

— მოვკლავ, მაშ! ადგე, ცეცხლს შეუკეთე!

ამხანაგი წამოდგა. მუხის ტოტები დააყარა ცეცხლს, შემდეგ ისევ თავის ადგილზე მოკალათდა.

— ვინაა აწი ნეტავ ის საქმრო, ა?!..

— შე კაცო, რას აიტებე, რომ ვიცოდე ხომ ვეტყვიდი კიდევ! — ბეგიმ ამოიხენენა: ახლა რომ უფიქრდები, ქალის გული ისეა, ძმაო, როგორც აი, ეს ტყე. ხან ჰყვავის, ხან თოვლითა და ყინულითაა დახუნძული, ქარიშხლის დროს კი ხმაურობს. აბა რას გაუგებ? ერთხელ სურათი გადაუღეს, გაზეთის რედაქციაში უნდა გაეგზავნათ, ერთი ცალი ვთხოვე. ასე მიპასუხა: ბეგი, მოგცემდი, მაგრამ ეს ოხერი ერთი ცალიღა დამრჩა, ეს კი სხვისთვის მინდაო. ისე შებაასებოდა, თითქოს ვეცოდებოდი. მაშინ მე შევეუბნე, ალბათ, ქალო, ეს სურათიც შენი საქმროსთვის გინდა შეთქი. ლამის რისხვად დამატყდა. ერთბაშად შეიშალა. რა შენი საქმეა, შე ლეგვევ, დამეკარგე აქედანო, თუ ამდენს გელაპარაკები, ესეც იმ ჩემი საქმროს ხათრიო!.. ამ სიტყვებისა მე ვერაფერი გავიგე. ისე ხმამალა ყვიროდა, საჩქაროდ გავშორდი.

— ჰა, ჰა! კი მარა ეს რანაირი ხათრია საქმროსი?!..

— ვერ გავიგე! იმ დღეს ჩაუფიქრდი და დავრწმუნდი, რომ მას ნამდვილად არავეთარი საქმრო არ ყავს. მეორე დღეს საღამოთი გზაზე გა-

დაუბტი, ქალო მეთქი, ყოველდღე მეტრაბახები, საქმრო მყავს, საქმრო მყავს, ვხედავ კი თანდათან სახლში ბერდები, მოგატყუებენ ფეცეცმა თუ, შენ მე მატყუებ მეთქი. კალათა მზრიდან ჩამოიღო დღე-ღამე-ღამე-ღამე ბეგლარ, შენ ჯავრი ნუ გაქვს სახლს იდგამს ჩემი საქმრო ამ შემოდგომაზე და იმას ვუცი. ვხედავ აშკარად მატყუებს. ვეუბნები კოლმეურნეობამ ათი მუხა მოჭრა ტყეში, ყავრის საჩეხად მე და ჩემი ამხანაგი მივდივართ, თუ ასეა ჩვენ შენს საქმროს ყავარს არ დავუმზადებთ მეთქი. თვითონ და-ამზადებსო, თან მე ვუშველიო! აბა კარგი, აგერ შემოდგომაც მოვა და ვნახოთ თქვა, შეუტეე მეც. კალათა აილო ათიოდე ნაბიჯი გადადგა, შემდეგ მომიბრუნდა და მკვახედ მომძახა: — ვნახოთ!.. წავიდა, ისე მი-ირწეოდა, თავბრუ დამეხვა. მის ბავშურ უკულობაზე გამეცინა. აბა რა უნდა მექნა, ვაგებრუნდი უკან. და აი ახლა ტყეში რომ ვარ, წელანაც გითხარი, გეფიცები, ისე ვარ დაჯაბნებული, ხანდახან მგონია აი, საცაა შეინძრევა რომელიმე ბუჩქი და გამოჩნდება ის მაფასავით.

— ბიჭოს, შენ არ ხუმრობ!

— ადე, ცეცხლს შეუკეთე. ვხუმრობ, აბა რა გგონია. ვისაც გინდა იმას გაპყვეს! — ნაძალადევიად წარმოსთქვა ბეგლარმა.

— აი ეს მომწონს, იცი ბეგლარ, შენ ჭკუიანი ბიჭი ხარ!

ცეცხლს შეუკეთა, მერე ისევ პირველ ადგილზე მოკალათდა. ნაბაღ-ში ვაეხვია. კარგა ხნის მერე რომ წამოიწია ბეგის ჩახძინებოდა... საბრა-ლოს აღმათ არ წარმოედგინა, რომ ქეთეს საქმროს ელაპარაკებოდა აქ. ცეცხლის ალი უთამაშებდა სახეზე. ამხანაგი ხანგრძლივად მიაჩერდა მას. გულში კი ვაიცინა:

— საწყალი, ბიჭი, შენ ახლა დაგიკარგა მან მოსვენება. უფრო უკეთ ვითხრა? გული ავითამაშა, მე კი ბავშობიდან... — შემდეგ ხმაშლილა წა-მოიძახა:

— ბარაქალა ქალო. — ხანგრძლივად დააჩერდა ბეგის და რაკი და-რწმუნდა, რომ მას ნამდვილად ეძინა გულისჯიბიდან სათუთად ამოილო რალაც სურათი, მიულერსა და საჩქაროდ შეინახა. კარგად ვაეხვია ნა-ბაღში და ამხანაგს გვერდით მიეხუტა.

ვილაც უჩინარი ისევ ფეხაკრეფით უვლიდა ცეცხლს. ტანყრილი ხე-ები სვეტბივით ედგნენ ცის თალს.



გრიგოლ ცეცხლაძე

## გ რ ნ ი ო

ამხ. ილიას ქათამიძეს.

### I. ტაბახანა

ვინ შეიძლებს ისეთი  
ქვის გული იქონიოს,  
აღტაცება არ იგრძნოს  
როს შეჰყურებს გონიოს.

მომზიბლავი ბუნებით  
ეზარობ განაღალღები;  
აღმოსავლურ ზღაპრებად  
გადაშლილან ბაღები.

ვის უნახავს ზმანება  
შსგავსი ტაბახანისა;  
ეს ოჭროებდასმული —  
ხეა ფორთოხალისა.

თითქოს შესწყდა ღიღები  
ელელს პატარძალისა —  
აჩენენ ხეხილები  
ნაყოფს წარმტაცს თვალისა.

აქ ჰაერი ნაზია,  
აქ ჰაერი თბილია,  
და როგორც ფანტაზია,  
აქ ცხოვრებაც ტკბილია...

შაინც კომკავშირელსაც  
ახსოვს იყო დროება,  
ეს ქვეყანა ტიროდა,  
სწყუროდა მყუდროება.

შაგრამ ახლა ახალი  
ზღვიდრ მოდის ნიაფი, —



ქართველნი  
წიგლმწოდებნი

წარსულს წაყვა წამება,  
წარსულს წაჰყვა სიივე.  
ტირილის დრო წაყვიდა,  
დრო დადგა სიმღერების,  
ახლა დროა მშრომელთა —  
მათი ბედნიერების.  
აქ ჰაერი ნაზია,  
აქ ჰაერი თბილია,  
და როგორც ფანტაზია  
აქ ცხოვრებაც ტკბილია.

## II. ზონიოს ციხე

პირისპირ დგას,  
ზღვას უცქერის,  
ციხის ვალაყანი;  
და ძველ ამბებს,  
ძველი ერის,  
ღალღებენ ჭვანი.  
მაგრამ ძველში  
სასიამოს  
ვინ იპოვის დღეებს,  
ძველი ციხე  
მოგვაგონებს  
სისხლის ღვარს და ტყვეებს...  
ამ ფიქრებით  
ჩვენ შევალეთ  
ალაყათის კარი,  
ველოდებით  
ენახოთ ზავსი  
და ბუნება მკვდარი;  
ვფიქრობთ:  
შთანთქავს ყურადღებას  
ძველი კოშკის თალი,  
მაგრამ...  
ჩვენს წინ გადიშალა  
თვალწარმტაცი ბალი.  
— „სადაც წინად  
სისხლი ეცხო  
მიწაზე და ქვაზე, —  
დღეს ვაშენებთ

იქ ლიმონებს!..“  
 — ამბობს სალუქვაძე \*).  
 ეგ სიმაგრე  
 აულიათ  
 ციტრუსების ჯარებს  
 თოფ-ზარბაზნის  
 ნაცელად ვხედავთ  
 მომარჯვებულ ბარებს.  
 მწვანე ფოთლებს შორის  
 ქარვა  
 მოჩანს სასურველი;  
 ძველი ციხის  
 გალაფანი  
 არის შისი მცველი.  
 არც ბეგი ჩანს,  
 არც მთავარი,  
 გაქრენ როგორც მტვერი,  
 და ზღვის ზვირთთა  
 მიმოქცევაც  
 ახალ ჰანგზე მღერის.  
 პირისპირ დგას,  
 ზღვას უცქერის,  
 ციხის გალაფანი,  
 ახალ ყოფას  
 ბალი ამკობს,  
 ძველს გვითბობენ ქვანი.



  
 ეროვნული  
 ბიბლიოთეკა

\*) არკადი სალუქვაძე, კონიოს საბჭოთა მეტურნეობის მთავარი აგრონომი.



# ელიდა

## მოთხრობა

სრული 15 წელი შესრულდა, რაც ასანი და ელიდა ერთად ცხოვრობენ, ოჯახურ კაპანს ეზიდებიან.

ელიდა ღარიბი დედ-მამის შვილი იყო. როდესაც დედა მისი მეხუთედ მოლოვინდა და კიდევ ქალი ეყოლა, მამას ეწყინა, იგი მწუხარებამ მოიკცა. დედას ძუძუს მიცემა არ უნდოდა ახალდაბადებულისათვის და მეზობელმა ქალებმა ძლივს დაითანხმეს. სოფელიც გულგრილად შეხვდა იმ ბატარა ადამიანის მოვლინებას. ეს იმიტომ, რომ ის ქალი იყო. მაგრამ ქალად რომ დაიბადა, მისი ბრალი ხომ არ იყო?

ელიდას მამას სოზარს ოთხი გოგო რომ ჰყავდა, ის აწუხებდა და ასლა მეხუთეც შეეძინა.

— ქალების ლაშქარს რა უყოს უბედურმა?! — ამბობდნენ მახლობლები და თანაუგრძნობდნენ ღარიბ სოზარს.

— იღბალია, იღბალი, თორემ ხუთ შვილში ნუთუ ერთი ვაჟი მაინც არ უნდა დაბადებულყო? — მსჯელობდნენ სოზარის მეზობლები.

ახლობელ ნათესავებს კი ჩუმად გულში კიდევაც უხაროდათ, რადგან სოზარის ქალები გათხოვდებოდნენ და, ადათის მიხედვით, სოზარის სიკვდილის შემდეგ, მისი სამკვიდრო მათ დარჩებოდათ. ქალს უძრავ ქონებას არ ატანდნენ სევანეთში.

— ჯიუტი კაცია სოზარი, — ისმოდა ქალების მსჯელობაც, — ეკვი არაა, ღმერთი სჯის: რა უჭირდა, ერთი მოზვერი წაეყვანა და შეეწირა „ლატლიაშ“ მიქელ მთავარანგელოზისათვის. შარშან ბიჭეშისთვის ანანს ასე უწინასწარმეტყველებია: „მუხერია თარგლუზერს“ (მიხილ მთავარანგელოზს) ერთი ხარი შესწირეთ და თუ ვაჟი არ გეყოლოთ, მე არაფერი არ მკოდნიაო, ოღონდ შესაწირავი არ დაგნანდეთ, მისი შეწირვის დღეს ერთმანეთს უბრალოდაც არ აწყენინოთო. იმის მაგიერად, რომ მარჩიელის სიტყვას სიხარულით შეხვედროდა, ძუნწ სოზარს საწყალ ცოლისთვის კიდევაც უცემია ასეთი რამის რჩევისათვის. ხარი კი არა, მოზვერიც არ შესწირეს და, დახეთ ახლა, რით გადაუხადა მუხერია თარგლუზერმა, ვაჟის მაგიერად ისევ ქალი შესძინა! — ამბობდნენ ქორიკანა დედაკაცები.

ამ მითქმა-მოთქმაში ხსენებაც კი არ ყოფილა ახალდაბადებულისა. მას შრომობებმა ელიდა დაარქვეს და ბედს მიანდეს მისი გაზრდა. მხოლოდ ერთმა ქერივმა, სახელად მარბალემ თქვა:

„ღმერთმა გაზარდოს! ვინ იცის, რა ბედისა იქნება <sup>ერქვენული</sup> ~~ქვეყნის~~ <sup>ქვეყნის</sup> ~~ქვეყნის~~ <sup>ქვეყნის</sup> ვოგოა? კარგი მამაკაცები თუ არიან ქვეყნად, კარგი დედაკაცებიც არიან. ასეა!“

რაც გულში ჰქონდათ მეზობლებს, სოზარს არ უმხელდნენ, ისე კი ანუგეშებდნენ:

— გამხნევდი, სოზარ, ღმერთი უყავოდ არ დაგტოვებს, ნუ გეშინია! სოზარის სახლში ლხინი და ზეიმი არ გამართულა, როცა უდანაშაულო გოგონამ თვალი გაახილა... ეწოთირა პირველად ნახული სინათლე, დაბუჭა პაწაწა თვალები, შუბლი შეიკრა და ჩხავილი მორთო. მტირალა ხახაში ჩაპბერეს, ძუძუ ჩასჩარეს. შემდეგ ჩერებში გაახვიეს, პატარა ფიცარზე დააქრეს და მიწურზე ძონძებში შწოლარე დედას გვერდით დაუფდეს.

გაიარა ხანმა. დედას ხომ უყვარდა და უყვარდა პატარა ელიდა, მერე მამამაც შეიკოდა, თანდათან კიდევ შეუყვარდა თავისი ოჯახის ახალი წევრი. ბედს შეურვიდა სოზარი. განვლო ხანმა და ელიდა დების მწკრივის ბოლოში გამოჩნდა. დაქალიშვილდა.

გათხოვდნენ სოზარის ქალიშვილები ჩვეულებრივად, ისე, როგორც სენის ქალები თხოვდებიან: ყველაზე უფროსი, ირინე, იმდენად მოსაწონა იყო, რომ მკირეწლოვანი დანიშნეს, მალე კიდევ დააქორწინეს, რადგან საქმრო ოჯახში მარტოხელი იყო. ირინეს მომდევნო და შოიტაცეს. მესამე ქალიშვილიც ჩვეულებრივ მშველების საშუალებით გაათხოვეს, ე. ი. მშობლებმა შეურჩიეს ქმარი.

მეოთხე ქალიშვილმა სოფელში სახელიც კი გაითქვა: „ძველი სისხლი“ ამოაშრო, როგორც სენები იტყვიან. აი როგორ მოხდა ეს:

სოზარის ბაბუას ოდესღაც მეზობელი სოფლის მცხოვრები შემოაკვდა მოკლულის ჭირისუფალი სისხლს სოზარის მამისაგან იძიებდა და მას მოსაკლავად დასდევდა. მაგრამ სოფლის თავი კაცები ახმაურდნენ. ახალი სისხლის ღერას წინაღუდგენ. სოფლის სახელით დაემუქრენ მოსისხლეებს, მოსთხოვეს — მედიატორული წესით მორიგებულებენ.

სოზარის მამის მოსისხლე იძულებული გახდა ხალხს დამორჩილებოდა დაჰყარა იარაღი ვაკეცმა, დათანხმდა მორიგებაზე, ეს სახიხარულო ამბავი მიუტანეს შუა კაცებმა სოზარის მამას.

სოზარის მამა ხელმოკლე იყო. მას რომ სისხლის ფასი გადაეხადა, თავისი უძრავ-მოდრავი ჭონება არ ეყოფოდა. მოხუცი კაცი მაინც შეუდგა მზადებას, მაგრამ მოულოდნელად ავად გახდა და გარდაიცვალა.

სენური „უღობოველი სისხლი“ ახლა სოზარზე გადავიდა. ბაბუის დანაშაულზე შვილისშვილს უნდა ეგო პასუხი ან სისხლით ან მორიგებით.

სოზარის მოსისხლე მტერსაც შეეცვალა გარემოება: ოჯახს ორი ტაყეცი ყვავილმა მოუტლა, ერთი ვაჟეციც ზვემა წაართვა, ქველქვეს ქებნაში ბიძაშვილიც დაეღუპა და ამდენი უბედურების შემდეგ კვლავ უჯახში თოფიანი ვაჟების რიცხვი, დარჩენ თეთრწვერა მოხუცნი, შავებში ჩაცმული ქალები და მცირეწლოვანნი. სოზარის მოპირდაპირეს აღუღებელი სისხლი მაინც არ დაეწყებია.

არც სოზარს დაეიწყა მამის დაწყებული საქმე. შუაეკაცები მიუგზავნა მტერს. ერთგულმა შუაეკაცებმა იმდენი ილაპარაკეს, რომ სოზარის მტერი შერიგებაზე დაითანხმეს. დანიშნულ დროისათვის მზარეებმა თავი მოუყარეს ექვს-ექვს მედიატორეს, ფიცის შემნახველ კაცებს, ჩვეულებისამებრ დააფიცეს ეკლესიაში და საქმე გასარჩევად მიანდეს.

მედიატორებმა თავის მხრით დააფიცეს მზარეები, მერე საქმე გამოიძიეს, იათბირეს და ორი დღის მსჯელობის შემდეგ დადგინეს: რადგან მკვლელობა უკვე აღარავის აღარ ახსოვდა, ამასთან სხვა ანგარიშგასაწყევი გარემოებაც გამონახეს, სისხლის ფასი „წორ“ გაანახევრეს და სოზარს ექვსი დღიური მიწის გადახდა მიუსაჯეს ანდა ოქროთი 600 მანეთისა. ამასთან ერთად, რათა შერიგება მტკიცე და ურყევი ყოფილიყო, სოზარის მეოთხე ქალიშვილი მოპირდაპირე მზარის ყმაწვილს ლევანს უნდა ეთხოვა. დაწერეს განაჩენი და გამოუცხადეს მზარეებს ეკლესიაში.

ჩვეულების თანახმად, იმ საღამოს სოზარი გაუმასპინძლდა შერიგებულ ოჯახს, მის გვარის კაცებს და მედიატორებს. იგი გულლია დაუხვდა სტუმრებს.

იმ ღამეს მოსისხლეთა შერიგების ჩვეულებრივი წესები, როგორც, მაგალითად, მკვლელის მუხლმოყრით მისელა მოკლულის ქირისუფალთან. ცოლის ან დედის კალთაში თავის ჩადება და სხვა, არ შესრულებულა, რადგან მკვლელობა დიდი ხნის წინათ მოხდა და მკვლელი ცოცხალი აღარ იყო.

გამართა ეახში. გაიშალა გრძელი სუფრა. ყველი და ხორცნართული კოკრები (ქუთ იკუბად) ერთმანეთზე ეწყო. თითო კაცის წინ მშრალად დამკვებარ პურებზე ხორცი ელაგა უზარმაზარ ნაჭრებად. ზედ კი სუფრის თავიდან ბოლომდე ჩეჩილად გამართული იყო მოხარშული ყველი (ლეცმარ). არავი ხელიდან ხელში გადადიოდა კათხებითა და ჯამებით. ისმოდა თავშეკავებული ლაპარაკი, მორიდებულად დინჯად საუბრობდენ, აწონ-დაწონილად, ზომიერად.

მედიატორული განაჩენი ურყევი კანონი იყო სოზარისათვის. ექვს დღიურ მიწას ან 600 მანეთს როგორმე გადაიხდიდა — სახლსაც არ დინანებდა გაყიდდა და თვითონ საცხოვრებლად დაღს (აფხაზეთში) გადავიდოდა, ლუკმა პურს მაინც იშოვნოდა. საფიცარსაც (ათისთავს) უკლებლივ მისცემდა მედიატორებს, თავს არ შეირცხვენდა. აწუხებდა საცოდავ მამას მხოლოდ რიპანის ლევანისათვის მითხოვება. მოყვრობა მოყვრობაა,

ლევანიც კარგი ახალგაზრდა იყო და რიპანს შეეფერებოდა, მაგრამ დადგენილებით მითხოვება როგორღაც უმძიმდა სოზარს, მტრის ოჯახში ჩემი რიპანი იქნებ დაიჩაგროსო.

მედიატორეებიც რაღაც გულჩახეუღად იყვნენ. მაკრთალონი, დიდი საქმე გააკეთეს, სისხლისღვრა შესწყვიტეს ორ გვარს შორის, მაგრამ, ექვი არ იყო, მათ განაჩენს სოზარის ოჯახის აყრა და განადგურება უნდა მოჰყოლოდა.

არყიანი ჯამები მაინც იცლებოდა, თუმცა მძიმე სიჩუმე იყო გამეფებული იქ მყოფთა შორის.

ეს სიჩუმე დაარღვია ლევანის ბიძამ სოვლახში, რომელიც თემში ენამეტყველ და ბრძენ კაცად ითვლებოდა. დინჯად წამოდგა სოვლახი, ზელში კათხა დაიკირა და სიტყვა წარმოსთქვა. მოხუცმა მადლობით მოიხსენია მედიატორეები, რომელთაც პირნათლად შეასრულეს მამაპაპური მტკიცე, ურყევი ადათი და წესი. გამოაცხადა, რომ მედიატორულ განაჩენს საგებობით ემორჩილებიან ლევანი და მისი ოჯახიც, მხოლოდ თუ კი საწყენად არ დარჩება სოზარს, მედიატორეების მიერ გადაწყვეტილ გადასახდელს, ისევ მას და მის ოჯახს უტოვებენ, როგორც უკვე მოყვარეს და ლევანის სიმამროს. ამ იშვიათმა მოლაპარაკე სევანმა სთხოვა სოზარს, ეს ვახშამი ნიშნობის ვახშმად გადაექცია და რიპანის ნიშანი მიეღო.

იქ მყოფთ თითქოს მძიმე ლოდი მოეხსნათ, შვება იგრძნეს და თავისუფლად ამოისუნთქეს. სიჩუმე ხმაურობამ შესცვალა, მწუხარება — სიხარულმა. მოსისხლე მტრების შერიგების დროს წესად შემოდებული გულჩათხრობილობა, თავდაპირველობა, აწონ-დაწონილი სიტყვები ხუმრობამ, სიმღერამ და ცეკვამ შესცვალა.

ასე გათხოვდა რიპანი, იშოვნა კარგი ქმარი და სოფლის ხსოვნიდან ძველი სისხლის ხსენება ამრიშალა.

ელიდა ოჯახის თვალმარგალიტი იყო. დედმამისათვის ვაჟიშვილადაც კმაროდა და ქალიშვილადაც. სოზარს ელიდას შემდეგ შვილი აღარ ჰყოლია, ღვთის წინაშე, ერთი ვაჟი მაინც უნდოდა, მაგრამ კვლავ გოგონს უოლის შეეშინდა და ოცნება მემკვიდრე ვაჟზე გულში ჩაიკლა. ბიჭშმა ადგილობრივ საშუალებებს მიმართა და შვილოსნობა მოიშალა.

სოზარმა ჭონებრივადაც უყეთეს მდგომარეობას მიაღწია: ოთხი ქალიშვილის გათხოვებამ „ნაქვლავად“ ოთხი სახნაფი ნაკეთი შემატა. სარჩენიც შეუმცირდა ოჯახში, მუშაობაში სიძეები შველოდნენ. სოზარმა სოფლის თვალშიაც აიწია, სიძეები გვერდში ამოუდგნენ.

სოზარი ელიდას საქმროს განსაკუთრებით არჩევდა. გადაწყვიტა მისი ზედსიძედ მოყვანა. ამის თანახმა იყვნენ სხვა ქალიშვილები და სიძეები. მაგრამ მამა რომ ერთს ფიქრობდა ელიდაზე, სხვები სულ სხვას ფიქრობდნენ. ელიდას ქება და სახელი ორ-სამ ადგილას გაისმა. ვაჟყავებმა თავი წამოყვეს, ელიდას შეეცილნენ ერთმანეთს. გაისმა მუქარა. ორმა კენჭიც



კი ჰყარა, თუ ეს უნდა რგებოდა. კენკი ხედა იმ ახალგაზრდას, რომელსაც ელადა არც კი იცნობდა.

ელიდას სილამაზე და სახელი შურდათ შის ტოლ ვაჟებს! მათგანი ზურგს უკან ბევრს რასმე ძვირს ამბობდა, მაგრამ პირობი ელიდას ელაქუცობდა, თავს უერთგულეს მეგობრად აჩვენებდა. სხვა ქალიშვილებში ელიდას განსაკუთრებით დაუახლოვდა გურანდა. მისი ხნის ახალგაზრდა, მაგრამ შეტად მოხერხებული და ენაწყლიანი ქალი.

გურანდამ ერთხელ სთხოვა ელიდას — დაედოთ მეგობრობისა და ერთგულების ფიცი. ელიდა მშობლებს არც კი დაჰკითხებია, ისე დათანხმდა: ერთგულობისა და ურთიერთ სიყვარულის წინააღმდეგი ხომ არ იქნებოდა დედმაძა, ხომ არ დაუშლიდა. ამაში საეჭვო, სათაჯილო არა იყო რა.

ამგვარად გურანდა და ელიდა შეიპარენ ეკლესიაში, წარსდგენ ღვთისმშობლის ხატის წინ და სიკაცხლეში განუყრელი დობა შეჰფიცეს ერთმანეთს. გურანდამ მოიხსნა სეანური ხელობის ვერცხლის საყელური და ელიდას ჩამოკიდა. თავისი მხრით ელიდამაც მოიძრო დედის ნაჩუქარი ვერცხლის ბეჭედი და შეფიცულს თითზე ჩამოაცვა.

გურანდა შინ გახარებული მიდიოდა. მისი სიხარული დიდ საიდუმლოებას წარმოადგენდა. მან რომ დობა შეჰფიცა ელიდას, მეგობრობის გრძობით როდი მოსვლია. მას სულ სხვა მიზანი ამოქმედებდა. ის შეჩენილი იყო ელიდასთან როზან მადვანიანის მიერ. როზანმა სამჯერ მიუგზავნა სოფლის რჩეული კაცები ელიდას მშობლებს, მაგრამ უარი მიიღო. და აი, ახლა გურანდამ რომ საყელური შეაბა ელიდას დობის ფიცის ნიშნად, ეს როზანის ნიშანი იყო.

— ელიდას კი ეჭვიც არ დაბადებია, რომ ეკლზე როზანის ნიშანი ეკიდა.

გავიდა ამის შემდეგ ათი დღე. გურანდას თითზე ელიდას ნაჩუქარი ბეჭედი სადღაც გაქრა. ელიდას ეს ძალიან ეწყინა, თან ძალზე გაუყვირდა. ჰკითხა — რა უყავიო.

— ან დამეკარგა, ან ვიღამაც მომპარა. — უპასუხა ცბიერმა დობილმა. ელიდას ესეც მართალი ეგონა. შეპირდა, სამაგიეროდ მეორეს მოგაგებო.

გავიდა კიდევ ერთი თვე. ელიდას მამას როზანისაგან კვლავ მიუვიდა ენაწყლიანი მამულები, არც ახლა მოტყდა სოზარი. იგი მამულებმა ვერ დაითანხმეს. ელიდას დედა ბიჭეში იჭვე იჯდა, მაგრამ ლაპარაკში მონაწილეობას არ ღებულობდა. მას ქალიშვილის ბედზე ლაპარაკი ქმრის საქმედ მიაჩნდა, თვითონ თავის აზრს ქმარს ცალკე თუ გაუზიარებდა... როდესაც მამულებმა კვრპ სოზართან ვერაფერი გააწყეს, მოკლეთ გამოუცხადეს. შენი ქალიშვილი როზანის ნიშანს უკვე ეკლზე ატარებს და უარი გვიანიო.

ამ სიტყვებმა ცოლ-ქმარს სასიკვდილო ღახვარი ჩასცა. სოზარ სახტად დარჩა. დაბნეულობიდან მალე გამოერკვა ისევ ბიჭში. მან უთხრა მაშელებს — ელიდას ვერცხლის მძივები ერთმა მეგობარმა, მჭკვე-მჭკვე, სამაგიეროდ მას ელიდამ ბეჭედი მისცა, ეს როზანის ნიშნულაა.

ახლა სოზარიც გამოერკვა, მწარედ ჩაიციხა, დასცინა მაშელებს, რომ ყოგობის რაღაც საჩუქრები ცოლ-ქმარობის ნიშნად მიიმჩნიეს. მაშელებმა უბასუხეს, რაც უნდა თქვა, მაინც ელიდას ბეჭედს როზანი ატარებსო.

— ამას გიცხადებთ, კარგად დაფიქრდი და ისე მოიქეც, — უთხრებს ბოლოს თითქმის მუქარით და წავიდენ.

მამამ ძალზე დატუქსა ელიდა, როზანისათვის ბეჭედი მიგიციოო, სცემა კიდევაც. დედამ მძივები ზიზლით შეახვია და სოფლის კანცელარიიში მიიტანა, რათა მამასახლისისათვის ჩაებარებია. მამასახლისმა მძივები აოპიილო, რაკი ნიშნები გაუცვლიათ, რა დროს დაშლაზე ლაპარაკიოო. გააშწარებულმა ბიჭმამა მძივები იქვე იატაკზე დაავლო და წამოვიდა. სოფლის მწერალმა აიღო და შკაფში შეინახა.

— ვინ იცის, იქნებ სისხლით შეფერადდეს ეს მძივები, — დაასკვნათავის მხრით სოფლის მწერალმა, რომელმაც კარგად იცოდა სენაური ადათის ამბავი.

ელიდას „დანიშენის“ ამბავი მთელ სოფელს მოედო. უმეტესობა როზანს იცავდა, ხოლო სოზარს ამტყუნებდა: მდიდარ კაცს სიძედ არ კადრულობს, ვითომ რაო, დაჩქელანს ხომ არ მოელის სასიძოდ; ან იმ გომბიოს რა აბტუნებს, ნიშანი გაუცვლია და ახლა რატომ ხმაურობსო.

თავზემოხვეული ნიშნის დაბრუნება ძვირად დაუჯდებოდა სოზარს. შეიძლებოდა საქმეს სისხლისღერა მოჰყოლოდა; უკეთეს შემთხვევაში, თუ კი მორიგებით გათავდებოდა საქმე, სოზარს „ნაცურერიდი“ (დანიტოვარი) უნდა გადაეხადა — 600 ოჭრის მანეთი. ხუმრობა საქმე ხომ არ იყო!.. ადათით მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, ელიდამ რა გზით და ხერხით მიიღო „ნიშანი“, ხომ მიიღო, ეს ფაქტი იყო.

სოზარის სახლში ცეცხლი ტრიალებდა. ამ ცეცხლში ყველაზე უფრო ელიდა იწვოდა. დედამამის უკითხავად გურანდასთან ფიცის დადება, საჩუქრების გაცემა — აი რა იყო ელიდას საშინელი დანაშაული.

ელიდა მოტეხა ამ მოულოდნელმა უბედურებამ. მარტოობა შეუყვარდა, ძილი გაუქრა. მეგობრისაგან მოტყუებული ჭალიშვილი მდუღარე ცრემლს ღერიდა, ხსნას ტირილში ეძებდა.

მამა ყოველდღე უწყებობდა, დედა ყოველდღე წყევლიდა, დები უსაყვედურებდენ, ჭკუა სად გჭონდა, ასე როგორ მოგატყუესო. ელიდას ყველა დამნაშავედ თვლიდა. თავს არც თვითონ იმართლებდა.

ელიდას ცოლად თხოვა სხვა ვაჟსაც უნდოდა. ეს იყო არჩილ ეპარჩიანი, ტანსრული ახალგაზრდა, ორბის თვალებიანი. არჩილმა არ იცოდა, რომ როზანს უკვე გაეგზავნა მაშელები სოზარისათვის (მირველი შა-

შელობა მეტწილად საიდუმლოდ (ჩეხმა). მან თავისი მასწავლებელი მიუგზავნა ელიდას მამას. მაგრამ როგორც კი გაიგო, რომ ქალი წითხოვი იყო, ადგილობრივი ჩვეულების თანახმად, თითონ ჩამოეჭრა და დაწვეს, სანამ სოხართან დაწყებული საქმე საბოლოოდ არ მოეწყობებოდა.

— არ ვიცი, შევეცი, — მოიბოდიშა როზანთან ზრდილობიანად არჩილმა.

მაგრამ როზანმა თავხედური პასუხი შემოუთვალა და ფიციც მოსთხოვა, რომ მართლა არ იცოდა და შემდეგშიც არ დააპირებდა ელიდას თხოვას.

არჩილი აენტო, მის თავმოყვარეობას შეეხებ, ვაჟაკს ტალახი ესროლეს, წინადადებაც მისცეს, ხმა გაიკმინდევო, სიტყვას არ გიჯერო, ფიცო დადევო.

— ფიცი რას მიქვიან! მიუქარავს და აბა ახლა ნახოს ჩემი ვაჟაკობა! მეც მინდა ელიდა. თუ კი გამომყვა, მე ვითხოვო.

არჩილი ვაჟაკი იყო. მას ხალხი სოფლის „თეთრ ქულს“ ეძახდა და ამ ვაჟაკმა ვადანწყვიტა ელიდა როზანისათვის არ დაეთმო.

როზანს ორი გზა დარჩენოდა, ან ქალი უნდა მოეტყუებინა დაუყოვნებლივ, ან და საშისი არჩილი ჩამოეცილებინა. სხვა გამოსავალი არ იყო. როზანს მავარი ზურგის იმედი ჰქონდა: ოჯახი თოფიანებით სავსე ჰყავდა, ქონებაც ხელს უწყობდა.

მძივები ისევ სოფლის კანცელარიაში ინახებოდა. მამასახლისმა გურანდა გამოიძახა, წინადადება მისცა — წაიღეო, მაგრამ გურანდამ მამასახლისის უსირცხვილოდ ერთხელ კიდევ დაუდასტურა, რომ ელიდასთან შეთანხმებული ვიყავ და ნიშანიც იმიტომ გადავეციო.

გურანდა და ელიდა პირში წაუყენეს ერთმანეთს. გურანდამ აქაც გაიმარჯვა და ელიდას უმტკიცებდა იმას, რაც მას არასდროს არ უფიქრია. ელიდას უნდოდა თავი შეეკლა მატყუარასთვის, მაგრამ ხელი სტაცეს და არ მიუშვეს. ელიდა ერთხელ კიდევ გამტყუნდა.

— გურანდას მოგვკლავ, მერე რიენში (რიენს ენგურს ეძახიან სვანეთში) თავს დავიხრჩობო, — გადაწყვიტა ელიდამ.

სვანეთში გვალვა იყო. ხალხი მოსავლის დაღუპვის მოელოდა. ვერავითარმა ლოცვა-ვედრებამ ვერ გასჭრა. „ელიას“ მსხვერპლი შესწირეს, წვიმის მოყვანა სთხოვეს. მსხვერპლმა არ იმოქმედა. მაშინ მთელი სოფელი შემოსილი მღვდლით და ხატებით „რიენს“ მიადგა. მამაკაცებს კისერზე ღვლეკი ეკრათ, ხატები წყალში დაბანეს, ილოცეს, იწუხეს, მაგრამ წვიმა მაინც არ მოვიდა.

გაბრაზდნენ გლეხები, რატომ არ გვშველის ღმერთიო. ერთი გლეხის ვირს თავი მოსჭრეს და წმინდა გიორგის ეკლესიაში შეაგდეს. გაჯავრდება და წვიმა მოვაო, მაგრამ ცა თითქოს გაშრაო, ერთი ღრუბელიც კი არსაიდან არ გამოჩნდა.

ამ საშინელ გვალვას სენათის დამშევა მოჰყვა. ვისაც მარჯვი ემო-  
ვლია, ტყის მცენარით იკვებებოდა.

ელიდას მამა სოზარი და რამდენიმე მისი მეზობელი სწავლებლები წა-  
ვიდნენ. სიმინდი უნდა ეყიდათ და ხალთებით მოეტანათ. სწავლებლები მი-  
ლოცებზე უნდა ევლოთ, კაცებჩამოკიდებულ კედლებზე უნდა ეცოცათ,  
ქოცებგადადებულ მდინარეებზე უნდა გადასულიყვნენ.

სოზარის წასვლით ელიდას მსურველ როზანს მარჯვე შემთხვევა მი-  
ეცა ქალის მოსატაცებლად. გვიან საღამოს მან ოთხი ვაჟკაცი აიყოლა  
და წავიდა. სოფელ ლეშგამას ეძინა, როცა ეს ვაჟკაცები შეეცვიდნენ ქა-  
ლების ამირა დარჩენილ სოზარის ოჯახში. ორმა ბიჭეში შებოჭა, დანა-  
რჩენებში გონებადაკარგულ ელიდას ხელი სტაცეს, გარეთ გაიყვანეს, ლე-  
ჩაქით პირშეკრული ცხენზე შეაგდეს და გაიტაცეს. ბიჭშმა გაწყარებული  
კვილი მორთო. მოვარდენ მეზობლები, იკითხეს — ვინ იყვნენო, მაგრამ  
ბიჭეშმა არ იცოდა. რადგან თავდამსხმელთ პიროსახე ყაბალახებით  
ჭონდათ შეკრული.

სოფელში ელიდას მოტაცება ჩვეულებრივ მოვლენად ჩათვალა. ატი-  
რებული ბიჭეში ქალებმა ანუგეშეს, მამაკაცებიც ამშვიდებდნენ.

„საცოლეს მაძებარი კარგს ეძებს. ელიდასათვის ეს სახელია. ასეთი ბე-  
დი აქვს ლამაზ ქალსო“. სოფლის აზრით, ელიდა როზანის მოტაცებული  
იყო, რადგან მის ნათხოვს სხვა ვერ გაუბედავდა წაყვანას. მეორე დღეს  
ბიჭეშთან სიძეებიც გამოცხადდნენ ცოლებიანად. ელიდას დები ანჩლობ-  
დნენ, იგინებოდნენ, როგორ გაგვიბედესო. სიძეები ცოლოფრის შეურაც-  
ყოფას სხვა დროს სხვანაირად შეაფასებდნენ, აქ კი საქმე ცოლჭმრობას  
ეხებოდა და უფრო თავშეკაცებულად იყვნენ.

ყველამ იცოდა ნამდვილად, რომ ელიდა როზანს ჰყავდა მოტაცე-  
ბული.

ელიდას მამა, სოზარი დიდის გაჭირვებით დაბრუნდა სამეგრელოდან.  
მოხუცი ელიდას მოტაცების ამბავს სიჩუმით შეხვდა. ახლა იგონო, თუ  
რა უბედურება იყო მისთვის, რომ ვაჟი არ ჰყავდა. ვაჟკაციან ოჯახს ვინ  
გაუბედავდა დაცემას და ქალის მოტაცებას? მაგრამ მარტოხელა და  
ჩივი მოხუცი სოზარი აიგდეს, არაფრად ჩასთვალეს.

მართალია, სოზარს კარგი სიძეები ჰყავდა, მაგრამ ამ საქმეში მათი ჩა-  
რევა არ ივარგებდა, სოფელი ამას არ მოიწონებდა. თვითონ რომ თოფი  
აეღო და ოჯახის სახელი აღედგინა? მერე ამას რა მოჰყვებოდა, მო-  
ჰკლავდა ერთს ან თუნდა ორს, ბოლოს თვითონაც დაიღუპებოდა. ცო-  
ლიც და ელიდაც გაუბედურდებოდნენ.

ელიდას მოტაცების ამბავი არჩილსაც ლახვრად მოხვდა გულში.

— ელიდა შინც ბოლოს ჩემი იქნება, სოზარიც რომ შეურიგდეს, მე  
ჩემსას გაეიტანო, — განაცხადა მან ტოლებში.

გავიდა ერთი თვე. ამ ხნის განმავლობაში ელიდას არც კი უფიქრობდა, რომ ის როზანის ცოლი ვახდებოდა. ის ვერ ითმენდა როზანის სიახლოვეს, ხმასაც არ სცემდა. ქმრის ოჯახის წევრებს უმჯობესად მზერად ჰქონდა აგრძნობინა, რომ როზანი სძულდა და მისი ცხოვრებას სძულდა. ამან როზანი გააკერპა. ქალი ჭირისუფალს არ დაიანახვა. შინ გამწვანებულ ხომ ზედმეტი იყო ლაპარაკი, თუმცა კარგად იცოდა, რომ ქალს მოტაცების შემდეგ ვერაფერს შეეცილებოდა.

როზანი თავის მომავალს გეგმავდა. მან სოზარს სამჯერ გაუგზავნა კატები — შევრიგდეთ, საქმე გათავებულაო. სთხოვა დაესახელებია მათეცრები, შემოეთვალა „გარკამი“ (ფიცის ტექსტი), მაგრამ სოზარმა პასუხი არ გასცა. ამის შემდეგ როზანმა გადასწყვიტა ჯვარი დაეწერა ელიდასზე და ქორწილი გადაესადა.

რომ ელიდა არ გაბარულიყო, როზანმა ორი ქალიშვილი მიუჩინა. მძიმედ ეყვარებოდა. იმდენად ეყვარებოდა, რომ მისი წინააღმდეგობა დაეკარგა. ამ ქალიშვილებს მოსწონდათ ეს ამბავი, ელიდას მეთვალყურეობა პატარა გოგონას დაავალეს. გოგონას კი ამ საქმის არაფერი ესმოდა, ისე ძალიან უხაროდა ელიდასთან ყოფნა, უყვარდა მასთან ტიტკოკი.

ამასობაში მოახლოვდა შემოდგომა, სულების სახსენებელი დრო სევანეთში. ზოგი „ღუბორისთვის“ ემზადებოდა, ზოგი „კონჩხარისთვის“, „ლიჯგრედ“—ისა და „ტაბგიშ ლიკდალისათვის“. ამ წვეულებებს დიდძალი ხალხი ესწრებოდა.

გიორგობის მეორე დღე იყო. როზანის სოფლის მახლობლად კონჩხარს იხდიდნენ. მთელი სოფელი იქ იყო. როზანის ოჯახიც არ ჩამორჩა. ქალ-კაციანად წაედიდნენ დასასწრებლად. თვითონ როზანი შინ არ იყო იმ დროს. ოჯახში მარტო ელიდა დარჩა. მისი გაქცევისა აღარ ეშინოდათ, რადგან ბოლო დროს სოზარმა შემოუთვალა როზანს, რომ თანახმაა შერაგებოდა, თუ კი როზანის ოჯახი ფიცს მიიღებდა ექვს მათეცართან ერთად, რომ ელიდას მოტაცებით მას ოჯახი არ გაუღანძღავს და მისთვის სიორცხელი არ მიუყენებიათ.

როზანი ამაზე დაყბულდა და მათეცრების თავმოყრას შეუდგა. ფიცის დღედ დათქმული იყო ახალი მთვარის ორშაბათი. ასეთი ფიცის შემდეგ საქმე მოთავებულად ჩაითვლებოდა.

ელიდა სახლის კართან დიდ ქვაზე იჯდა. თავი დაეხარა. თავის საშინელ მომავალზე ფიქრობდა.

„როზანი საქორწინოდ ემზადება, მე კი რიენში თავის დასახრჩობად ემზადებო“. — ამბობდა თავისთვის ელიდა.

ელიდამ გადასწყვიტა ეს განზრახვა იმ დღესვე მოეყვანა სისრულეში.

„როცა შინ არ დაეუბნებები, პირველად იტყვიან, რომ სხვას ვაჭყევო. შემავინებენ, გამომღანძღავენ, რას არ დამწამებენ, ბოლოს კი დარწმუნდებიან, რომ ელიდას სიცოცხლე მოუსპია. ზოგი მკვდარსაც გამომიტანს

განაჩენს. იტყვიან, ახია მავაზეო. ბედი დაიწუნა, არ შეურყენო, მისი ბრალია ყველაფერიო, და ბოლოს ყველას დაეავიწყდება, ახე გათქლება ჩემი ამბავი".

არჩილის ნათქვამი — ელიდა მაინც ჩემი იწუნებო, გეგმობს ჩემი და ელიდას. ეს სიტყვები სიამით სამ-ოთხჯერ გაამეორებინა ვინც ეს ამბავი მოუტანა, დააფიცა, მართლა თქვა თუ არაო. მოსწონდა ელიდას არჩილი, მაგრამ ვრძნობა ფულში ჩაკეტილი ჰქონდა. სვანის ქალიშვილი იყო ელიდა, ვაჟი მიყვარსო, ხომ არ იტყოდა. ისე კი თავისთვის უფლება ჰქონდა ეფიქრა არჩილზე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც როზანის ასე სძულდა.

„ჰე, არჩილსაც, ალბათ, დაეავიწყდი უბედური ქალი“, — ამოიკვნესა ელიდამ. შემდეგ აღვა, სახლში შევიდა. ის კაბა ჩაიცვა, მოტაცების დროს რომ ეცვა, მეთვალყურე პატარა გოგონას ყველი და პური გამოუტანა, აკოცა და დაარიგა, მის მოსვლამდე არსად არ წასულიყო.

ელიდა გარეთ გამოვიდა. გაიხედ-გამოიხედა, დარწმუნდა, რომ ხელის შემშლელი არავინ იყო. მხოლოდ ერთი მეზობელი ქალი ეზოში იჯდა, აქეთ-იქით ორი აკვანი ედგა და არწევდა.

ელიდას იმ ქალისა არ შეეშინდა, მაგრამ მაინც შებრუნდა სახლში, იმ ქალის თვალის ასახვევად, წყლის ჭურჭელი გამოიტანა და შვადე წყლისკენ გაუდგა გზას.

სწორედ იმ დროს, როცა ელიდა რიენს უახლოვდებოდა, სამი ცხენოსანი გამოჩნდა. ელიდას შეეშინდა, მაგრამ ცხენოსანთ შორის არჩილი იცნო და გაშეშდა. არჩილმაც იცნო ელიდა, გაუბარდა, მივიდა, სალამი მისცა და ჰკითხა:

— ელიდა, ნუთუ მართლა როზანის ხარ?

— არა, მე მისი არა ვარ. ძალიან უბედური ვარ და რიენში შივი-ვარ. სიცოცხლე აღარ მინდა, — წაილულულულა ელიდამ და ტირილი წაასკდა.

არჩილს ძმა და ბიძაშვილი გვერდში ამოუდგნენ. მიზანი გარკვეული იყო. ელიდა ხელში აიყვანეს, არჩილის ცხენზე შესვეს და თვალის დახამამებაზე მოშორდნენ იქაურობას. არჩილს ცხენი ბიძაშვილმა დაუთმო, თვითონ კი ქვეითად გაჰყვა ცხენოსნებს.

ცხენოსნებმა თავისუფლად მიალწიეს სოფელ ჯვინელს.

ელიდას მოტაცების ამბავი როზანის სოფელს მოედო. მალე ისიც გამოძვლავნდა, რომ ქალი არჩილმა წაიყვანა. ხალხის ხმა არჩილს ამტყუნებდა, მის მოქმედებას კიცხავდა. სისხლი გამოსაშვები ჰქონიაო, ამბობდნენ; აქა-იქ ახალგაზრდობამ არჩილის ვაჟკაცობა შეაქო, მაგრამ ამ ქების საჯაროდ აღმარება საფრთხილო იყო, როცა ორი გვერი ერთმანეთს სასისხლოდ გადაემტერა. ასეთ საქმეში ჩარევა სვანეთში შეტად საშიში იყო.

როზანს ელიდას მოტაცებამ უკან არ დაახევინა. ვაჟაკი თუ იყ  
ახლა გამოჩნდებოდა. შეურაცმყოფელი არჩილი სისხლით ენდა დასჯი-  
ლიყო, ამას უკარნახებდა იდგილობრივი ადამი დაქვეყნდებოდა.

როზანს მამა პრ ჰყავდა და ოჯახს ხანში შესულმა მისწერა უფროსობ-  
დენ. უფროსი ბიძა, სახელად ლომჯაკი, ვაჟაკობაში განთქმული იყო.  
მას ორი კაცი ჰყავდა მოკლული, ერთი ქალისათვის, მეორე კი მიწის  
ნაკვეთის შიგნაზე ჩხუბის დროს.

ლომჯაკის გული ვაჟაკურად აღელდა ელიდას მოტაცებით. მოხუც-  
მა გამოიკითხა სოფელში, თუ ვინ იყო ელიდას მოტაცებაში გარეული  
და მტერმა როგორ მოახერხა ეს. აღმოჩნდა, რომ არჩილს კავშირი ჰქონ-  
და როზანის სოფელთან, მაგრამ ეს კავშირი საიდუმლოდ იყო დატულ-  
მესაიდუმლე ქალი ჰყოლია არჩილს, როზანის მეზობელი, ვინმე ჯამ-  
ლეოთი.

არჩილის მესაიდუმლე ქალი იმდენად ფრთხილად მოქმედებდა, რომ  
საიდუმლოება ელიდასაც კი არ გაანდო. იმ დღეს, როგორც კი როზანის  
ოჯახის წევრები კონჩხარში წავიდნენ, ჯამლეომა საჩქაროდ აცნობა არ-  
ჩილს. ისიც გამოეჩქარა ელიდასაკენ და ის იყო შეხვედნ ერთმანეთს რი-  
ენის პირას.

სვანის გული დიდი მესაიდუმლეა. თუ რთული საქმეა საიდუმლოების  
საგანი, მით უფრო ფრთხილია სვანი. ამ შემთხვევაში მას პირზე ბოქ-  
ლომი ადევს, გასაღები კი გულში აქვს ჩამალული.

ელიდას მოტაცებას კარგი ბოლო არ უჩანდა. ორი გვარი ერთმანეთს  
დაუპირისპირდა სირცხვილისა და სახელის სადარაჯოზე. ორივე მხარე  
მზად იყო უკან დაუხველად ებრძოლა, სანამ საბრძოლო საქმეს ასაწონ-  
ვანსახილველად არ ჩაიბარებდა ნაფიცი მედიატორეთა სასწორი.

არჩილმა კარვად იცოდა, რომ ელიდას წაყვანა მას ძვირად დაუჯდე-  
ბოდა, მაგრამ ვაჟაკური სიტყვა რომ თქვა და საზარელ კაცის ხელში  
უქირისუფლო ქალის ტანჯვას რომ ხედავდა, უკან აღარ დაიხია, მით  
უფრო, ელიდა უყვარდა.

მამა არც არჩილს ჰყავდა, მისი ოჯახი ოცი წევრისაგან შესდგებოდა.  
მეთაურობა და საერთოდ ოჯახის ხელმძღვანელობა, ჩვეულების თანა-  
ხმად, ერთ-ერთ უფროს ბიძაშვილს ჰქონდა დაკისრებული.

ელიდას მოყვანა არჩილის ოჯახში არ იქცხოვა. სხვა ოჯახი რომ ყო-  
ფილიყო, მისი მსკოვანი მეთაური განრისხდებოდა, მომტაცებელ-მოტა-  
ცებულს, პირველად მაინც, შინ არ შეუშვებდა, რადგან ასეთი ამბავი  
სვანეთში მეტწილად სისხლით თავდება.

ივლისი იდგა. სოფელ ჯვინელსში გახურებული თიბეა იყო. მარჯვედ  
მოქნეული ცელების შრიალი დილიდანვე ისმოდა.

არჩილი, მისი ძმა ზორბეკი და ბიძაშვილი ასანი კვალდაკვალ მისდევ-  
დენ ერთმანეთს. წინ ასანი მიუძლოდა, მას არჩილი მისდევდა, ბოლოში

კი ზორბექი იყო. ასანი ცელს ვამალებით იქნევდა. დაყოფნიდა რა დაე-  
დაც არ შეიძლებოდა, რადგან მის უკან არჩილის ცელი მოწირობდა.  
არჩილს თოფი მხარზე გადაეკიდა. თოფი უშლიდა, მაგრამ მოწირობის საშ-  
ოთხ ნაბიჯზე შორს მაინც არ უშვებდა. მასაც ხომ მოსყვივდა, რა უნებურად  
ცელი სამი-ოთხი ნაბიჯის მანძილზე. ზორბექს თავისი თოფი მახლობელ  
მხლის ხეზე ჩამოეკიდა, ასანი კი უთოფო იყო.

ძმებმა ის იყო რიგი ბოლომდე მიიტანეს. ასანმა სალესი ამოიღო ქვი-  
შიან წყლიდან, არჩილმა ცელის პირს გადახედა, ზორბექმაც შეაჩერა  
ცელი, წელში გაიმართა და ოფლიან შუბლზე პერანგის სახელო მოისვა.  
სწორედ ამ დროს მახლობელ ტყიდან თოფი გაეფარდა ზედიზედ. არჩილმა  
ხელი თოფზე იტაცა, მაგრამ გვიან იყო, ვეღარ მოასწრო და სადაც იდგა,  
იქვე ჩაიკეცა. ზორბექი გახევედა, მაგრამ ასანი არ დაიბნა, არჩილის თოფს  
თასმა გაუჭრა, ხელთ იგდო. შემდეგ ნადირივით ჩააცქერდა ტყეს და  
შეამჩნია, რომ ერთ ბუჩქს თოფის წამლის კვალი კიდევ ეხვეოდა. ასანმა  
იმ ბუჩქს ესროლა. პასუხად თოფი კიდევ გაეფარდა და ასანი მხარში და-  
იჭრა. ამასობაში ზორბექიც გამოერკვა, მიეარდა თავის თოფს, ხეზე რომ  
ქონდა ჩამოკიდებული და იქვე ჩაუსაფრდა მტერს. ასანმა ტრილობის  
ადგილზე ახლად მოთიბული ბალახი დაიდო და მიწაზე გაწვა.

ტყეში მყოფმა ისევ ისროლა და ახლა ზორბექს თოფი ხელიდან გა-  
ეგდებინა. ზორბექი თეძოში დაიჭრა. რაკი სამი კაცი დაიჭრა და მტერი  
მეტი აღარ იყო, ტყიდან როზანი გამოვიდა, შეხედა, დარწმუნდა, რომ  
სამივე ძმა მოჰკლა. თოფებს აგართმევო, გაიფიქრა და წამოვიდა. პირ-  
ველად ასანისაკენ გადადგა ნაბიჯი, მაგრამ ამ დროს გაეფარდა თოფი და  
როზანი მოჭრილ ხესავით წაიქცა. იგი ასანმა მოჰკლა.

თოფების ზმაზე მოცივიდენ მთიბავეები მახლობელ სათიბებიდან. სა-  
შინელი სურათი წარმოუდგათ თვალწინ: არჩილი და როზანი, ეს ორი  
მოსისხლე მტერი ერთსა და იმავე სათიბში მკვდრები ეყარნენ, ასანი  
მხარში იყო დაჭრილი, სისხლი ღვარივით სდოდა, მაგრამ მაინც ფეხზე  
იდგა. ის მიეარდა მკვდარ არჩილს და სავაზნიდან ვაზნები ააძრო, მერე  
ტყისაკენ ბარბაკით გასწია. იგი უფრო შიშმედ დაჭრილი ზორბექის სა-  
მაგიეროს ეძებდა.

ვილაკას მოჰკრა თვალი და რამდენჯერმე ისროლა. შემდეგ კველა-  
ფერი მიჩუმდა. ასანიც მისუსტდა და სოფლელებს დანებდა.

ტყეში რომ შევიდენ მთიბავეები, როზანის ბიძაშვილს წააწყედნ. ასა-  
ნის ტყვიას ისიც დაეჭრა და სისხლის გუბეში ცურავდა.

გაისმა კივილი არჩილის სახლში. ელიდას საყვარელი არჩილი ნაბად-  
ში გახევეული მიუტანეს. მას ვერ აკავებდენ სხვა ქალები. ელიდას თავის  
მოკვლა უნდოდა, ლოყებს იკაწრავდა, თმებს იგლეჯდა.

არჩილის სახლში ცალკე და როზანისაში ცალკე მეორე დღესვე და-  
იწყო ტირილისათვის მზადება. ეს ორი ოჯახი სატირალი პურის ცხობა-

ში თითქოს შეეჯიბრა ერთმანეთს. თორმეტ-თორმეტი კვირის დააცხეს. არაფერ დიდძალი იყიდეს.

არჩილი ორშაბათს დაიტორეს, როზანი კი ხუთშაბათს. მათების საფლავებში ჩაშვების დროს თოფი არც ერთის ქირისფერადაც არ იყო. სოფლის აზრით, ეს კარგი ნიშანი იყო. კელაე სისხლის დასაღვრელად მოსისხლე მხარეები არ ეშვადებოდენ.

ბოლოს, როცა დაქრილები მორჩენ, სოფელმა ერთხმად ასეთი გადაწყვეტილება მიიღო: ამოფრჩიათ ნადეცი მკდიატორები, მიენდოთ შათთვის, მხარეებს სამტრო საქმე და, სევანეთის უხსოვარ დროიდან, მომდინარე ჩვეულების თანახმად, იმათ განაჩენს დასჯერებოდენ.

მხარეები სოფლის მოთხოვნას დაეთანხმენ. ამოირჩიეს ეჭვს-ეჭვსი შედიატორე, ერთი თავმჯდომარე და ფიცის ქვეშ მიანდვეს საქმე. შედიატორეებმა როზანი და არჩილი ერთმანეთს უტოლეს. დაქრილი ასანი და როზანის დაქრილი ბიძაშვილიც თანასწორად ჩათვალეს. ზორბეჭის დაკრა კი ელიდას მოტაცებას გაუტოლეს. შემდეგ მტკიცე ფიცო დაადებინეს ორივე მხარეს სისხლისღერა არ გაემეორებოდათ და, ნიშნად მომავალი მოყვრობისა, დარჩენილ ახალგაზრდებს ერთმანეთში ძმობა განუმტკიცეს: მოხუც ქალებს ეშვილენ დამოყვრებული ახალგაზრდები.

ელიდა ეახრიანის გვარმა ასანს შერთო.

ასე გათავდა ეს სისხლიანი ამბავი. ისევე დამეარდა ორ გვარს შორის მშვიდობა.

ხოლო ეს მშვიდობა ბოროტ გურანდას, ელიდას მოლაღატე დობილს, არ ერგო: იგი გაუთხოვარი დარჩა.



პირველი

## ლექსები

### სლოიას

სლოია, შენ, როგორც ირემი, გამირბი.  
მიუვალ მთებში რომ დაეძებს შვიშარა  
დედას და მაინც ყოველწუთს აფრთხობს  
ქარი, რომელიც ხმაურობს ტყეში.

ეკლის ხის ტოტები თუ შეინძრევიან.  
ან ხტლიკი მომწვანო თუ გზაზედ ვაირბენს  
და ბურქს შეარბევს, უეცრად გული  
და მუხლებიც კი უწყებენ კანკალს.

დე. გდევდე მარადის — არ გავნებ არაფერს,  
ვით ვეფხვი მრისხანე ან ლომი გეტულის.  
შენ ჭმარისათვის უკვე მომწიფდი  
და ნულარ ეკერი კვლავ დედის კალთებს.

### ტალიარქვს

შეხედე: სორაკტი მაღალი თოვლისგან  
მთლად თეთრი გამზდარა და თოვლის სიმძიმეს  
ტყე ველარ იტანს და მდინარენიც  
გარინდებულან მწარე ყინვაში.

განდევნე ეგ სუსხი, შეკარე ბუხარში  
საკმარი შეშა და საბინურ სასამისით  
ოთხი წლის ღვინო ხშირ-ხშირად შესვი,  
ო, ტალიარქე, დოქა ნუ დაზოგავ.

სხვა სულველაფერი შენ ღმერთებს დაწმინდებულ...  
 როგორც კი ღმერთები ჭაყლების მწველად მწველად  
 ჭარს დაამწყვდევენ მძიმე ყინულში, მწველად  
 არც იფნის ხე თრთის, არც კვიპაროსი.

რა მოგველოდება ხვალ, ნულარ მკითხაობი!  
 მოგებად ჩასთვალე მომავლის დღეები,  
 და არც ფერხული, არც სიყვარული  
 შენ არ უარპყო, ვიდრე ჰყვავიხარ.

სანამდის არ მოსჩანს ერთფერი სიბერე,  
 გიყვარდეს მარადის მიჩნეულ წუთებში  
 მარსის მინდორი და სეირნობაც,  
 ბინდში ძვირფასის ბაგის ჩურჩულიც.

გიყვარდეს მიმალულ ლამაზის სიცილი,  
 გამცემი სიცილი და რამე ნიშანი  
 მისი ხელიდან ან და თითიდან  
 ძალით თუ ნებით მოტაცებული.

### ლევკონოძას

ნუ ცდილობ გაიგო, —  
 ვერც გავიგებთ  
 მე და შენ, თუ როგორს

მოგვემენ ღმერთები,  
 ლევკონოძა,  
 სიცოცხლის დასასრულს,

და ბაბილონის რიცხვს  
 ნუ გამოსცდი  
 სჯობია გაუძლო

ყველაფერს, რაც გხვდება.  
 არ იზრუნო  
 ზევესი ბევრ ზამთარს

დაგვითმობს ჩვენ კიდევ  
 მომავალში  
 თუ უკანასკნელი

იქნება ზამთარი,  
ტირრენის ზღვის  
ტალღებს რომ გვახეთქებს.



იყავი ჭკვიანი!  
ნურას სცდილობ!  
სიცოცხლე მოკლეა!

დასწურე შარბათი...  
შორს სიტყვები!  
დრო მიეშურება!

დღევანდელი —  
მუობადი გვატყუებს!  
სჯობს დღე არ გაუშვა

თარგ. ბ. ბაჩიაილაძის მიერ.



## პ. ნინოშვილის წერილები თ. სასოკიასადმი

ეგნატე ნინოშვილის მიერ ჩემთან მოწერილი წერილების თავდათავადი მო-  
თხრობილი მაქვს „ლიბერატორულ მეგვიდრობის“ I ტომში. იქ დაბეჭდილ ათ წე-  
რილს ვარდა, დანარჩენი ცხრა წერილი დაკარგულად მიმანდა. ჩემმა სანუგეშოდ,  
ანეტა ცენტერაძის ქალმა, რომლის სახლშიაც დაცულა ეგ ნინოშვი-  
ლის წერილები, და რომელმაც „ლიბერატორულ მეგვიდრობას“ ათი წერილი წარ-  
მოუდგინა, გადმომცა დანარჩენი 9 წერილიც ჩემს კოლექციისა. ეს წერილები და-  
ნომრილი მქონდა ქრონოლოგიურად დაწერის მიხედვით. ამ ეამად იბეჭდება შემდეგის  
№№ წერილები: 1 (30/VIII—1888 წ.), 2 (18/II—1892), 5 (9/V—1892),  
7 (19/V—1892), 9 (17/VI—1892), 10 (2/VII—1892), 11 (7/VII—1892)  
12 (15/VII—1892), 15 (21/X—1892).—სულ ცხრა წერილი.

ასე რომ მკითხველ საზოგადოებას საშუალება აქვს გაიცნოს ყველა წერილი,  
რაც გამწვანებულს ეგნატე ნინოშვილს ჩემთვის მოუწერია—1888—1893 წლების  
პერიოდში. ხსენებული წერილები თუ გადაურჩა დაღუპვას, გადაურჩა მხოლოდ და  
მხოლოდ ანეტა ცენტერაძის ქალის წყალობით, რომელსაც, შემთხვე-  
ვით ვსარგებლობთ, და საჯაროთ ვუბნით ჩვენს გულწრფელ მადლობას.

თ. სასოკია.

1888 წ. 30/VIII. ს. ჩოჩხათი.

✓ ძვირფასო ძმავო თედო!

გულითად მადლობას გიძღვნი გახსენებისთვის და წიგნი „La terre“-ის <sup>1)</sup>  
გამოგზავნისათვის; დღეის შემდეგ დიდ დავალებულათ ესთველი თავის-  
თავს თქვენ მიერ, მეტადრე მისთვის, რომ მე არაფელით დამიმსახურე-  
ბია თქვენი ეგეთი მეგობრობა და სიმპატია. ასე ვასიხჯე, ერთი უბრა-  
ლო წერილიც ვერ მომიწერია თქვენთვის, ღმერთმან იცის (ჩვეულებ-  
რივი ფიცია) ისეთი უგულო და სისხლ-ცივი არა ვარ, რომ მეგობრისა  
და ნაცნობის გახსენება არ ვიკოდე; მაგრამ დღევანდელი ჩემი მდგომა-  
რეობა ისეთია, რომ ამ წმინდა მოვალეობის აღსრულებაშიდ ყოველ  
გვარათ ხელს მიშლის, მართალია, იმასაც ვერ დაეფიცე, რომ მინდო-  
და და ერთი წერილის მოწერა ვერაფერამდე ვერ მოვახერხე-მეთქი, —  
ერთ-ორ წერილს ტყვეობაშიც გაახერხებს კაცი, მაგრამ მარტო სიტყვე-  
ბით ამოვლებული წერილის მიწერა ამი სიშორე ადგილიდამ, ცოტა არ  
ყო, მოცუენოდა, ვეფიქობდი — ერთ ხუთიოდე დღის ხარჯს (ფულს)



მარცხე ვაგულგზანი მეთქი. ეფიქრობდი, მაგრამ ხომ იცი, ჩვენისთანა პედ-  
 აგულგზართი კაცების ფიქრი და წადილი როგორც ხშირათ აღუარულე-  
 ბული რჩებათ. მეც ვგრე მომივიდა: არ იქნა, ვერ მოვიგდე. მეტადრე ისეთი, რომელსაც წინ-წინათ ათიოდ საკრებლად  
 არ პუბოლდეს გაწაღდული. დღეს კი, როდესაც პ. ი. აქეთ თქვენგან და-  
 ვაღებულნი შევიქენი, ძალა-უნებურათ უნდა გამოვიგზავნო ეს ცალიერი,  
 მარტო სიტყვებით აქრელებული წერილი. — სულ ხმის გაუტყმლობა ხომ  
 ნამეტარი უხრდელობა იქნებოდა ჩემის მხრით, მეტადრე მას შემდეგ,  
 რაც თქვენ მეგობრობითაც და ნიეთიერთაც ვგრე დამავალეთ. მაგრამ  
 ეს კია, რომ, თუ სხვა არა, თქვენგან გამოგზავნილი წიგნის ფასს ფულს  
 მაისც ადრე ვაახლებთ. მართალია, ჯერჯერობით წიგნი არ მიმიღია,  
 მაგრამ, რაკი გამომიგზავნეთ, იმედია, ადრე მივიღებ. იმედია, იმისიც,  
 რომ თქვენ მიერ გამოგზავნილ „La terre“-ს არ ეწევა ის ბედი (ესე იგი  
 არ დაიკარგვის გზაზედ), რომელიც ეწევა კვირკველადის) გამოგზავნილს  
 ცკირკველადე მწერდა „La terre“-ი გამომიგზავნეთ და მე კი არაფელი  
 მომსელია).

რაც შეეხება თქვენ რჩევას — „La terre“-ის, თარგმნა არ ღირს.  
 რა თქმა უნდა, თქვენისთანა კეთილი მეგობრის, თქვენისთანა გო-  
 ნიერი კაცის რჩევას ვენდობი და დაეიჯერებ. მაგრამ, ჩემის ფიქრით,  
 ვ რომანი ცულ-გავლენიანი არ უნდა დარჩეს ჩვენი ხალხისთვის. მართა-  
 ლია, ერთი შეხედვით, ეგ რომანი გარყენილების მოქადაგი გვეგონება  
 ვაკს, მაგრამ როცა ჯარვა დაუყვირდები სულ სხვა გამოდის: იქ არის  
 ზოლოთ მავნე ტრადიციული ზნეობების უარ-ყოფა და არა გარყენილე-  
 ბათა ქადაგება. ამასთან ბევრი ახალი წერილმანი იღებთა შით გაყვანი-  
 ლი, ისეთი იღებები, რომლებს მზგავს ჩვენი მწერლებისაგან თავისდღეში  
 ვერ გაიგონებს მკითხველი. ასეთთა მეტადრე ის ნაწყვეტები რომანისა,  
 რომლებიც მე წაფიკითხე და ისე, შესაძლებელია, მთელი რომანი კი თარ-  
 გმნის ღირსი არ იყვეს. ვნახოთ და ამის შესახებ კიდევ მოვილაპარაკოთ.

სულ გურიამში უნდა დარჩეო. — მეკითხები. მაშ რა ექნა, ძმაო, ხომ  
 გნახამს ფრეებდაჭრილი ფრინველი, რომელიც აღმა-აღმა გასაფრენათ  
 რევედა, მაგრამ ძალი კი არ შესწევდა? სწორეთ იმ ფრთებმოჭრილ ფრინ-  
 ველს გავს ჩემი წადილიც: ვულს სწყურია, ენატრება სწავლა-განათლე-  
 ბის შეძენა, ენევე-პარიჟის თავისუფალი ცხოვრების შეხედვა, მაგრამ  
 ღონე და გარემოება არ შემწვევს ეგ წადილი განვახორციელო. ვინ იცის,  
 იქნება როდესმე თუ არა, ისეთი ბედნიერი შემთხვევა, ისეთი ბედნიერი  
 ღოო, რომ მე პარიჟი, ენევე და სხვა მისთანა თავისუფლების სამშობლო  
 ქალაქები ჩნაო. თავისუფლების პანგებით სავსე „Marseillaise“ გავი-  
 გონო! ეჰ, ეგ შემთხვევის საქმეა და არც ღირს ამაზე ლაპარაკი.

კვირკველადე, ჩემის ფიქრით. ურიგო ბიჭი არ არის (თუმცაღა ჩვენ  
 ზოგის ცოტა გულციობა არსებობს დროებითად) და არც ურიგო იქნება  
 „წათობა“ № 1.

მასთან თვისების და მეგობრობის დაკერა. დიდა \*) ენევეში რას წერება? ფული მმართვეს მისი და ბოდიში მომხადეთ.

ერეკნული  
გინატრიუსა

თედო! წერილების მოწერა ნუ დაგეზარება. თქვენი წერილი 14 კაპეიკზედ უფრო ძვირფასია და სიამოვნებითაც გადავიხდი თქვენ წერილში ამ ფულს, თუნდა თვეში ოცხელ იყოს.

გინატრი კარგ ხვედრს. თქვენი ერთგული მეგობარი

ენგატე ინგოროყვა.

18/II 92 წ. დ. ზესტაფონი.

ძმაო თედო!

თქვენი წერილი, 13 ა/თ. დაწერილი, მივიღე.

ძლიერ სასიამოვნო იქნებოდა, რომ „სიმონა“ გამოსაცემად ისეთი კაცისთვის (მუშა კაცისთვის) მიმეცა, როგორც თქვენი წერილის სიტყვით კილაძე \*). მაგრამ რაღაი, რომ „სიმონაც“ და სხვა ჩემი მოთხოვნებიც უკვე მივეცი სხვას გამოსაცემად. — ამ ახლო ხანში დაიბეჭდება ოზურგეთს, კოწია თავართქილაძის სტამბაში. მე აღარ შემიძლია ამის შემდეგ კიდევ სხვა პირს მივსცე გამოცემის ნება (პირობა მაქვს მიცემული იმ კაცზედ, რომელმაც იკისრა გამოცემა, რომ სხვაზე აღარ გადავსცე ამ ხანად მეთქი). აი ეს არის მიზეზი, რომ კილაძეს უარი უნდა ვუთხრა „სიმონას“ გამოცემაზედ. იმედი მაქვს ამის გამო არ დამემღერებით არც თქვენ და არც კილაძე.

რაც შეეხება, რომ მწერთ კიდევ დასწერე რამე, თუნდა „დათიკელო“. უნდა ვითხრათ, რომ ეხლა მშვიერი კუჭის შესახებ ზრუნვა უფრო მაწუხებს, მინამ წერაზედ ფიქრი. მშვიერი ძალღივით დაეწანწალე იქით-აქით ლუკმა პურის საშოვნელად, დღეს ხვალიობით მოველი სიმშვილი ამომართმევს სულს მეთქი და აბა, იფიქრეთ, ამ მდგომარეობაში კაცს რაღა გემწერდება! მიღეჭი და მშვიერი მუცლის ამარა ჯღაბნე კაცმა „სიმონები!“ ნუ გეშინია, ლუკმა პურსაც არ წამოგიტეხს არავეინ ამისთან(ა) მწერლობისათვის!

ძალიან უკაცურად დამხვდა „ივერიის“ რედაქცია; აგერ ცხრა თუ ათი თვის განმავლობაში ბარე ოცდაერთი ფელეტონი მიაწოდა საზოგადოებას, ჩემი დაწერილი და მე კი ერთი გროშითაც არ გავსხენებივარ. არა, თუ ღმერთი გწამს, თუ არ ვარგოდა ის 21 ფელეტონი, როგორ წააკითხა იმდენა ხალხს! და თუ რამეთ ღირდა, რატომ არაფერი მო-

\*) აქ სამი სტრიქონი ჩემ მიერ წაშლილია და სამწუხაროდ ვერ აღმიდგენია. თ. ს.

მცეს?! აგერ 1886 წლიდან მოწყებული, ხან ფელეტონში და ხან კორესპონდენცია, არ მოაკლია ჩემგანთ „ივერიის“ რედაქციას. რას მერჩოდენ, რომ ერთი გროში არ გაიმეტეს ჩემთვის?! თუ კი ვიღაცა გეჩვენებს პაწია კორესპონდენციებისთვის სოფლებში უგზავნიან ფულს, მე რაღა ვიყავი! აი ეს იყო მიზეზი, რომ გუშინ წინ წერილი მიეწერე — თქვენს „ივერიაში“ ველარ დაებეჭდავ ჩემს მოთხრობებს შეთქი. არც დაებეჭდავ. ვაპირებ დ. ლამბაშიძეს<sup>5)</sup> გავურიგდე და „მწყემსში“ დავიწყო წერა, თუ კი ცოტა გროში მომცა. თუ არა და არა, სულ თავს ვანებებ ამ ჯღაბნას.

რა ქენით, რას შერება თქვენი ვოლტერი? 6). ტელემაქ გურიელმა<sup>7)</sup> გამოგიგზავნა თუ არა პორტრეტები?

ჩიტაძის<sup>8)</sup> სიკვდილმა დიდად დაგვაშლოვიარა. კარგი დიდი ძალა მოაკლდა ჩენს ღარიბს ინტელიგენციას.

ასე თედო, კილაძეს „სიმონას“ გამოცემის ნებას ველარ ვაძლევ შემოხსენებული მიზეზების გამო. რაც შეეხება ჩემს მწერლობას, მგონია, ადრე შთაინთქმება სიმშილის შორეულში.

გინატრით ყოველივე კეთილს

თქვენი მეგობარი ეგნატე ინგოროყვა.

9/V 1892. გომი.

ძმაო თედო

ვიქტორ<sup>9)</sup> ხმას არ მცემს. ალბად ან დიდი მუშაობა აქვს და ან რაღაც არის სხვა მიზეზი.

კაცო, ეს რა ლიტერატურა, პოეზია და კრიტიკა დაარსებულა ზესტაფონს?! სად არის ამ ორგანოს რედაქცია? ვინ არის ან ეს პოეტი მოსია კიწავა ან ეს კრიტიკი შტოისპირელი? უნდა ვითხრა საინტერესოა ამის გაგება. ეტყობა, ჩემი ერთგული და მოყვარული კაცი უნდა იყვეს ვინმე, რომ ასეთი მოღვაწეობის სახელი დამიმკვიდრა. სხვებზე რაღა აქვს, კაცო, დაწერილი? მომწერე ბარემ, ძლიერ საინტერესოა. რა ნაირად გამოდის ეს ჟურნალი, დღით თუ ღამით? რამდენია თანამშრომელთა რიცხვი? მე შენი თანახმა ვარ, პოეტი პატარა გერასიმე<sup>10)</sup> უნდა იყოს. ეს კრიტიკი კი აღარ ვიცი ვინ არის? იოსები ხომ არ არის? თუ ძმა ხარ ყოველივე, ყოველივე მომწერე ამაზედ. თან გაამხნევეთ, შეაგულიანეთ ეს საიდუმლო ლიტერატორები. პასუხი გაეცი, კრიტიკა უყავით. რა გენალელებათ, გაგართობსთ თან კიდევ.

იცო, თედო, გუშინ, ცოტა დააკლდა, კინალამ გავემგზავრე საიქიოსაკენ. აი როგორ იყო საქმე: დილას კაი გუნებაზე ავდექი. სადილად თევზი მომიტანეს დუქნიდან. — ახალი თევზი, მტკვარში დაჭერილი. მადიანად მივაძეხი ზედ. ერთი-ორი საათის შემდეგ ნასადილევს გულის რვეა და თავის ტკივილი დამიწყო. ვიგრძენ ძარღვები მეკრუნჩხება ერთიანად.

უეჭველად აგრე იქნებოდა: ორი მეზობელი სახლი მაღალი კედლით იყო გადაღობილი და იმ კედელს აქეთა მხრიდან ხელის კიბე ჰქონდა მიდგმული. უნტერ-აფიცერს სალდათებმაც დაუდასტურეს:

— მართალია... აგრეა... წავივიდა... გაგვისლტა...  
კლიმიაშვილსაც ეს უნდოდა. მას ჰსურდა მათთვის აქედან გამეცა და ამ სახლს გაშორებოდა, მაგრამ თქმა ველარ მოასწრო: სალდაც შორი-ახლოს ისეთი დგრიალი გაისმა, თითქო მეხი ჩამოვარდნილიყო.

ყველამ ყურები სცქვიტეს და მაშინვე მიხედნენ, რომ ის მეხი ხელით იყო ნასროლი. ამგვარი მეხი იმ დღეს მეორეჯერ ჩამოვარდა.

— ისეე ყუმბარა გავარდა. — სთქვა ქეთომ.  
— ისეე. — დაეთანხმა სანდრო და გატრიალდა, თან სალდათებს მიუღდა: — ზა მნოი! — მომყევით!

სალდათები სწრაფი ნაბიჯით გავიდნენ და ოთახებში ფეხის ქუჭკუ და ჩექმის მძიმე სუნი დასტოვეს.

მეზოვე გაოცებული გაბრუნდა: დღეს მან ის კიბე ორჯერ მოაშორა იმ კედელს და ვილაცამ ორჯელვე ხელახლა მიადგა. მას სამი სახლი აბარია. ის მესამე სახლში ცხოვრობს და იმდენი დრო და ძალა სადა აქვს, რომ სამივე სახლი დღეში ათჯერ მოიაროს.

ქეთო სანამდის იხედებოდა სასტუმრო ოთახის ფანჯრიდან, მანამ პატრული ქუჩის კუთხეს არ მიეფარებოდა. შემდეგ თავის ოთახში შევიდა და უცნობს უთხრა, რომელიც არხეინად მისჯდომოდა მაგიდას და წიგნს ჰფურცლავდა.

— ყველანი წავიდნენ. გადარჩით. ყუმბარის ხმა გაიგეთ?  
სტუმარი ზეზე ადგა. რევოლვერი დაემალნა. მის მაგიერ ხელში წიგნი ეჭირა. ქეთოს გაუღიმა და მიუგო:

— გავიგე. შეგეშინდათ?  
— რად უნდა შემეშინდეს? მეც შევეჩვიე.  
— ის აფიცერი თქვენი ნათესავი ხომ არ არის? — ჰკითხა ვაჟმა.  
— სანდრო კლიმიაშვილი გახლავთ. ჩემი კარგი ნაცნობია.

ვაჟმა ყურები სცქვიტა:  
ქალმა ყურთა ცქვიტა შეატყო და უპასუხა:  
— ახლა კი მესმის რატომ დაგვიწოდო. — აღბათ მე დამინდო. თქვენ რომ დაეპირეთ, საქმეში მეც ჩამოთრევდნენ, მან კი ეს უსიამოვნება აბარა და ორივენი გადაგვარჩინა.

— ვგ ის კლიმიაშვილი ხომ არ არის, ამას წინათ ძმა რომ მოუკლეს? ბოქაული იყო და ერთობამ სიკვდილი მიუსაჯა.

— ის არის — დაუდასტურა ქეთომ. — ხომ არ იცნობდით იმ უბედურს.

უცნობი შეყოყმანდა და მიუგო:  
— აბა საიდან მეცნობება!

თვალეები დამინისლიანდა. ერი ჰა, მიედივარ ეს არის რაღა! ეცო, ერთი „პრაშჩი“ მაინც მეთქვა ამხანაგებისათვის, — ვფიქრობ, ექნება ექნება სად არის და ან წამალი! მომცა სიცხე და გავაბიჯე მგონია, სულაც ამ წყალმა მიშველა, ამიტყდა ბოლოს პირიდან ლებინება. სულ უკანასკნელ გამაფლარათა კიდევ ძლიერ. როცა კარგა გამომერეცხა შიგანი, გამოვახილე თვალეები. მაგრამ ისე დასუსტებული კი ვარ, რომ ძლიერ ვდგები ზეზე. ფერი ზომ მაინც მკრთალი მაქვს და ეხლა სულ ლურჯი სამოსელივით მომექცა. ვფიქრობ იმ თევზის პორციაში საწამლავი რამ უნდა ყოფილიყოს, ერთი პატარა ოდენი „დოზა“ მაინც. აბა რა ჯანაბა იქნებოდა სხვა ასეთი?!...შენ კი არ გვნახავ ერთს? თუ დრო დაგიჩხეს, წამო, ძვირად არ ღირს, სულ რაღაც 3 მანეთია.

გერასიმეს შესახებ რა მოილაპარაკეთ? სახელოსნო თუ სააგრონომიო სკოლაში წაყვანა? ეს სააგრონომიო, მგონია, გვიან იქნება. ისევ სახელოსნო სჯობია. ტფილისში ყოფნა კარგი იქნება გერასიმესათვის.

ჩემი მოთხოვნების ბეჭდვა გაუთავებია კიდევ თავართქილაძეს. „სიმონას“ კიდევ ცალკე დაგებუდავ — ნება მომეციო, მწერდა. მივეცი კიდევ ნება. დაბეჭდოს, თუ კი გაიყიდება.

თედო, ჩემ სახელზე მანდ, ზესტაფონს, თუ რამე „პასილკა“, ბანდეროლი ან „ზაკაზნოი“ წერილი მოვიდეს, მიიღეთ და ვინმეს ხელით გამოგიგზავნეთ. აქ, ვომში, უბრალო წერილის გარდა, არა რა მიიღება, ფოსტა არ არსებობს. უბრალო წერილი კი ისევ ფოსტით გამოგიგზავნეთ. იმედია თქვენ, იმდენი ამხანაგი კაცები, ჩემსას არას წაახდენთ, ესე იგი, რაც მისაღებ-გამოსაგზავნია, მიტლებთ და გამოგიგზავნით.

ეხლა რა? მოკითხვა: ვიქტორს, იოსებს, გერასიმეს და სხვებს.

იოსებს უთხარი ერთი თითონ მოვიდეს, როცა მოიცალო(ს), ვომში და დაიწყოს საქმე.

ეცო, იცი, რაღაც ჰიანჭველები გაჩნდა აქ, ჩვენს ოთახში და ვერაფრით ვერ დავიფარებთ ვერც საქმელი და ვერც შაქარი. ლოგინზედაც აღარ გვაყენებს. ნეტავ არ იქნება, თუ კი საფილოქსერო დასი არსებობს, ერთი საჰიანჭველო დასი დააარსონ და მოსპონ ეს მაწუხებელი მწერი?

თედო, დიდი მორიდებით მომიკითხე ილარიონ დარჩია<sup>11</sup>). ერთი სალაში კიდევ თეოფილე ხუსკივაძეს ჩემ მაგიერ და მეტი აღარ არის. ეხლა კი მშვიდობით მეორე წერილამდე.

შენი ეგნატე ინგოროყვა.

P. S. ახალი თუ რამ გაიგო, არ დაგაგვიანდეს მოწერა. თუ აედრები დაიწყო ხელახლავ (ეხლაც ღრუბელია). წამოვალ.

1892 წ. 19<sup>1/2</sup> ს. გომი.

ძმავ თედო! მეგობრულ მადლობას გიძღვნი წერილებს, მუწუხსავეთვის. შენი წერილი ყველა კარგი და საინტერესოა. ის არაფერს ვერაფერს ვერაფერად ერთი მოსაუბრე ჩემი ამ მიყრუებულ კუთხეში. კიდევ მადლობა. აკროსტიხისთვისაც მადლობელი ვარ. კაცო, ეგ გერასიმე „ივერიის“ არჩილური შეიღდავის ავტორს არ ჩამოურჩება. ძალიანი ქება შეუღსხამს ჩვენ ორი კაციისათვის. სხვებზე რაღა დასწერა? დიმიტრიზე, ვიქტორზე და სხვებზე ჯერ არ დაუწერია? თუ არის, ისიც გამომიგზავნე, თუ ძმა ხარ, ჩემთვის ძლიერ საინტერესოა ეს, საინტერესოა როგორც გერასიმეს ნაწარმოები. უნდა გითხრა ეს ბავშვი მე ძმასავით მიყვარს, ოღონდ რა შემიძლია მისთვის შემწეობა თორემ.

ძალიან დაგიმადლებ, თუ შიოს<sup>12)</sup> ეტყვი, რომ ჩემთან გამოიაროს. ჩემ მაგიერ კი არა (აბა რა უფლება მაქვს უცხო, უცნობ კაცს ვუთხრა ჩემთან გამოიარეთ მეტი!), ისე შენ და ვიქტორმა უთხარი. ნეტებ და, თუ დრო დაგიჩნა, შენც წამოჰყვებოდე! მართალია, აქ ისეთი ციებ-ცხელება მუშაობს დაღვა ჩემთვის, რომ ჯანს მაგდებინებს. მაგრამ თქვენთან სალაპარაკოდ მაინც ვიპოვნი დროს, რაც უნდა იყოს. ეს ოხერი ამ შემთხვევაში ქალური გული მაქვს. — როგორც კი ტოლ-ამხანაგებს დავმორდები, რაღაც საშინელი სევდა და ჯავრი მომიცვამს.

რაც შეეხება მას, რომ ერთი ვინმე ერთ ვინმეს ქართულს უწუნებს<sup>13)</sup>, ეხლა ვერაფერს ვიტყვი, რადგანაც მეშინია, ეს წერილი ცენზორს არ მოხვდეს ხელში. ისე იმ კაცს მეწუნიობა საზოგადოდ სჭირს. თედო, როცა ვნახავთ ერთმანეთს, მაშინ გავაძლებთ გულს ლაპარაკით, თორემ ასე მიწერ-მოწერით აბა რა ბევრს გავხდებით! შეათედსაც ვერ მოასწოვებ კაცი თქმას.

ვიქტორ რაღაც ძალიან გაჩუმდა ჩემთან. ალბად ეს რაღაცას მოასწავებს. მაგრამ რას, ეს კი აღარ ვიცი.

შენთანაც და ვიქტორთანაც დიდი დანაშაული ვარ, რომ მაწონი<sup>14)</sup> ვერ გამოგვგზავნე. სიძუნწის კი არა, მოუხერხებლობის ბრალია. მაინც ეს ოხერი, ამბობენ ამჟავდება იქ მისვლამდეო.

მოკითხვა იოსებს, ვიქტორს და გერასიმეს.

შენი ეგნატე ინგოროყვა.

92 წ. 17 ივანობისთვე. ს. გომი.

ძმავ თედო! გიგზავნი ამ თითო ნაგლეჯ წერილებს და ყველა ერთ წერილად არა ღირს. მაგრამ რას იზამ ამ ჭაჭირებულ მუშაობაში.

ჩემი წიგნები ძლიერ ცუდად არის გამოცემული — ჯერ კორექტურული შეცდომები და მერე ამას აღარც სათაური აქვს და აღარც სარჩევი.

ერთი მოთხრობის („გოგია უიშვილი“-ს) თარგმნა და დაუწერა სუსულად ს. გრიანოვს<sup>19)</sup>. ეს მოთხრობა ჩემის ფიქრით ყველაზე უკეთესია ჩემს მოთხრობებში.

შიოს მოთხრობა<sup>20)</sup> კარგი იყო. მაგრამ, ჩემის ფიქრით, მოთხრობების შწერალმა შემთხვევითი ფაქტი არას დროს არ უნდა აიღოს თავისი მოთხრობის დედა-აზრად. ყოველთვის საზოგადოებრივი პრინციპები (Оmnishie принципы) უნდა იხატებოდეს მოთხრობაში. თუ შემთხვევით რამეს შეეხება ავტორი, ეს შემთხვევითი ქე მაინც მეორე ხარისხის ადგილას უნდა პქონდეს (на задний план). წინამძღვრიანთკარის შკოლა, სამრევლო და სამინისტრო შკოლები შემთხვევითი ფაქტებია, ესე იგი დღეს არა, ზეალ აღარ იქნება. მართალია, ასეთ მოთხრობებს პუბლიცისტიკური ხასიათი აქვს და სარგებლობის მოტანაც შეუძლია, მაგრამ მოთხრობების შწერალი ბევრს აგებს ამით, — ამ შემთხვევითი ფაქტების დედა-აზრად აღების შიხეზია, რომ ესლანდელი ბელეტრისტული თხზულებანი ძლიერ აღრე ბერდებიან და პკარგავენ ფერს. საზოგადოდ შიოს მოთხრობები ძლიერ მოშწონს, ვლ. უსპენსკის მომაგონებს.

კაცო. შენ რაღას სწერ? აბა მოგვაწოდე რამე, ჰა!

სტუმრები რა უყავით? რას შვრებოდნენ იქ ამდენხანს. მამ დასტკბით მზერიო? მაგრამ აღელვებულ სისხლს რითი და ივრილებდით? სიზმრით? ნეტავ თქვენს ძარღვებს! მაგისტანა სტუმარი მავნებელია. ტყვილა სისხლს ავიღელვებს და ქე წავა.

ამ დასაქცევში ხომ ხსენება არ არის „იმის“. შენ რაღას შვრები, მარხულობ? რამდენ ხანს?

თედო, ნუ უყურებ ჩემს წერილებს, როცა დრო იშონო, გამოძელა-პარაკე.

შენი ეგნატე.

2 ივლისს 92 წ. ს. გომი.

მშაო თედო!

ბიკია მოდის, როგორც ხედავ. შენ მაგიერ მივეცი 6 მანეთი და ჩავწერე აქაურ დავთარში. თუ გინდა შენც ჩააწერიო იქ მიღებულად.

სხვა ახალი ამბავი რა გინდა? აქ ხოლერის მისაღებ სახლს აშენებენ. ვარდა ამისა, დღეს აქ ერთ თბილისიდან მოსულ რაპველს პირიდან აღებინა (შორს კი არა, იქვე ჩვენი ოთახის გვერდით). შემდეგ ამხანაგებმა ურემზე დადევს და წაიღეს რაჭისაკენ. მოშორდა, თუ არა გომს, ურემზედვე განუტევა თურმე სული. ამ გარემოებამ ძლიერ დაამინა უიმისოდაც სიშით გულ გაბეთქილი აქაური ხალხი. საბუთიც აქეთ სიშის: კარგა ბლომად დარჩა. უეჭველად, ბაცილები იმისი პირის ნალებში აქ. მე გეტყვი შენ წამალი იშოვნება აქ, რომ ამით გააქროს კაცმა.

რას ამბობს ის? არ ეშინია მუშაობის შეჩერების? თბილისში ერთი დღე მატულობს ხოლმე. რუსეთს შოედო. პარიკმაიაც რომ გადააქოლა სადღაიდანაც!

თედო, ამას თავი დაეანებოთ. ერთი ეს მითხარ: მუჩქელქუყუნება რამე სამსონა კანდელაკისთვის? <sup>ქარქუნული</sup> 11) ეცადე რამე. ყველა კაცი კაცია, მაგრამ კახაბერი სხვა კაციაო, იმისი არ იყოს, სამსონა სულ სხვა კაცია. ვინ იცის, იქნება ერთ დროს საქართველოს ედისონი გახდეს. კაცო, ხედავ რა ენერჯია გამოიჩინა! აბა შენ იცი.

შენი ეგნატე.

7/VII 1892 წ. ს. გომი.

ყმაწვილებო!

ეს არის, სამსონ კანდელაკი მოდის თქვენკენ; ჯერ რამდენიმე დღე ქუთაისში უნდა დარჩეს, საქმე აქვს. მერე ზესტაფონს ამოვა. ჩვენ ყოველ შემთხვევაში ვეცადოთ, რაც შეიძლება ადრე, ხოლერის მოსვლამდე, ვადმართოთ ხელისმოწერა და წარმოდგენა მისთვის. პიესებს „პარიკმახურისას“ და „ბუტიაობას“ ადრე გამოვეზავნით. თქვენ მანამდე მოაწყვეთ საქმე, უმთავრესი პიესა (ვანო ამბობდა „ბაიყუში“ უნდა დავდგაო) განაწილეთ მოთამაშებში. დიმიტრი 12). შენ ითამაშებ იქვე არ არის, ისეთი კეთილი საქმისათვის. ვინცობაა და კანდელაკს საქმე შეხვდეს ქუთაისში (იქაც რამე უნდა შეაგროვოს), თქვენ ნუ მოუცდით იმის მოსვლას. მე, რაც შემიძლია (ამ დროებით თუთხმეტი (15) მანეთის მეტს ვერა შევიძლებ ჩემის მხრით. ეს თუთხმეტიც კასის უნდა დავზარჯო). აქვე გადავსკემ კანდელაკს. ეს თუთხმეტი მანეთი, გნებათ დასწერეთ ხელის მოსაწერ ქალაღდზე და შენიშვნა მიეცით ასე: „ითიონ კანდელაკისთვის გადაუცია თქვა“, და გნებავს სულ ნუ მოიხსენიებთ იქაურს სიაში ჩემს სახელს. რომ დიდი ვალები არ მჭონდეს, მე სხვას რას ვუყურებ. ერთი თვის ჯამაგირი უნდა მიმეცა კანდელაკისთვის. მაგრამ სადღა მაქვს! ეს თუთხმეტიც მძიმეა ჩემთვის, მაგრამ ამაზე ნაკლებს ვერღა მივსცემ.

ეცადეთ, თქვენებურა ეცადეთ ამ კეთილ საქმისათვის.

თქვენი ეგნატე ინგოროყვა.

ძმებო თედო და იოსებ!

მომილოცეთ, რომ ჩემი საყვარელი მეუღლე ამ დროებით ისევ ჩემთან სცხოვრობს, ესე იგი ისევ ავად ვარ. აბა რომ შეუყვარდება კაცი ეს არის. პატივით ვეპყრობი. ხან ხინის პორციას ვაძლეე ხან ზეთის. მაგრამ ის კი ჩემ სხეულს უფრო გემრიელად სცნობს და ძალიან მადიანდაც მიიერთმევს — სულ გამოსუტნა ჩემი უიმისოდაც მსუტპანი სხეული, სისხლი შეხვრიბა და ეხლი დაედღივარ ძვალ-ტყავი, ნაცრის ფერი და ჯანმრთელობას ღრმა ხველებით ვამტკიცებ.

სხვა რაღა მოგწეროთ? ვარლამა ქიჭინაძე<sup>19)</sup> ამ დღეებში ემთხან იყო. კაცო, თქვენ ხომ კარგად ხართ? მას ამდენმა კაცმა ქვეყნისაში არც ერთი მითხარით რამე.

გინგლიჩიძე

ეგნატე.

21 ოქტომბერი. 1892 წ. თბილისი.

მშანო! იცვარებოდეთ ურთიერთას.

მე დღეს მოვედი ქალაქსა სატაბტიასას და დავემკვიდრე სახლსა ზაქარიასასა<sup>20)</sup>.

დღეს დილას ნაღდი ფული მქონდა: 5 მანეთი რუსული ასიგნაცია, ანუ კრედიტი ბილეთი, 70 კაპეიკი რუსული ვერცხლი, ესე იგი ლიგატურა და 2 კაპეიკი წმინდა სპილენძი. რაც შეეხება ჩემს ჯანს, გზაში ცოტა უფრო ცუდად შევიქენი. მაგრამ იმედი მაქვს ამ ზამთარს რომ მთაზე<sup>21)</sup> გავატარებ და მომავალ ზაფხულში — სადმე დაბლობში, იმედი მაქვს სრულად გამოვმართოდე. ვიპოვნე ისეთი ადგილიც, სადაც 7 კაპეიკად ძალიან მაგრად ვძლები. ვიცი თქვენი ამბავი, პოეზია გიყვართ (ჯამბაკურიშვიმა ხომ ააყვავა ჩვენი პოეზია) და ასეთი სადილის შესახებ შეთხზავთ:

„რაღაა იგი ნაცია,

რომლის ბელეტრისტმა უნდა ქამოს

შეიღკაპეიკიანი პორცია!..“

თქვენ რაც გინდათ იგი თქვით და მე კი ძალიან ვძლები.

მართლა, მინდოდა პლანი გამომეგზავნა ზაქროს სახლისა, მაგრამ ხატვა არ ვიცი. მას აგწერ: მთა წმინდის ბუნებრივი სიმაღლე, რომ აოყონია ზაქროს, ხელოვნურად მიუცია სიმაღლე, გადაუშენებია ზედ წვერზე ერთი მაღალი ოთახი და დაჰყურებს თბილისს.

მეცადინეობა ისე კარგად შეიძლება, რომ ზაქროს ქადაგებაში ამ წერილის დაწერის დრო ძლივს ვიშოვნე. ძილიც ძნელია, რადგანაც ღამითაც საჭიროდ დაინახა ქადაგება. წერა-კითხვას ვერ შევიძლებ — დრო, მაგრამ სამაგიეროდ ქადაგება გამამბრძნებებს.

მეტი წერა აღარ შემიძლია, ესე იგი დრო აღარ მაქვს, ქადაგება უნდა ვისმინო.

თქვენი ეგნატე.

P. S. წერილები ასე მომწერეთ: В Тиф. В книжный магазин Груз. Издат. Товарищества.

პასუხს ნუ მომთხოვთ წერილებზე. ჯერ მეზარება და მერე დრო არ მეჩნება.

ეს წერილი ეკუთვნის შენ, იოსებს, ვიქტორს და კარლოს.

**შენიშვნები**



1. **La Terre** — რომანი საფრანგეთის სასულიერო მწერლის ჟან-პოლ სანდოს ა. რომანმა თავის დროზე მთელი ევროპა ააღაპრა. გამოვეცხადებ ჩემს მსოფლიო ნინოშვილს ენევიდნად, საცა იმ დროს მე ესწავლობდი. მაგრამ ეს წიგნი რუსეთის თვითმყოფლობის ცენზურის მიერ იმ ხანებში აკრძალულ იქნა და ე. ნ. არ მიუღია.
2. **კ ე ი რ კ ვ ე ლ ა ძ ე** — ალექსანდრე კვიციანი — იმ ხანებში ენევიანი სწავლობდა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მსახურებდა ფოსტა-ტელეგრაფში და გაზეთ „ივერიანში“ ხშირად ათავსებდა წერილებს პოლიტიკურ-ეკონომიურის ხასიათისას. ქიზიყიდან იყო. ეგნატე ნინოშვილს გაუცვინა ქ. მონპელიეში, საცა ალ. კვიციანი ენევიანი ჩამოსვლამდე ერთხანს იმყოფებოდა.
3. **დი დ ი ა** — ალექსანდრე დიდა — სოფ. ქალადიდელია. მონპელიეში (საფრანგეთში) საეკიპო ფაკულტეტი გაათავა და სწავლის გათავებისათხავე გადიცვალა.
4. **კ ი ლ ა ძ ე** — დომიდე კილაძე — ასოთამწყობი, ჯერ ეკვთიმი ხელადის და მერე „ქართულ წიგნების გამომცემ ამხანაგობის“ სტამბებში.
5. **დ ა ვ რ თ ლ ა მ ბ ა შ ი ძ ე** — დეკანოზი იყო ზესტაფონში. ქუთაისში მისი რედაქციით გამოდიოდა სასულიერო ორკვირეული ორგანოები: რუსულად „Пастыр“ და ქართულად — „მწყემსი“.
6. **ე უ ლ ტ რ ი** — ე. ნინოშვილი მეკითხება ჩემ მიერ თარგმნილ და 1892 წ. გამოცემულ ვოლტერის „უმანოს“ (L'Ingéner) შესახებ.
7. **ტ ე ლ ე შ ი ა გ ვ რ ი ე ლ ი** — ძმა მგოსან მამია გურიელისა (ფაზელისა).
8. **ჩ ი ტ ა ძ ე** — გოლა ჩიტაძე — ხალხოსანი. ქართულად სთარგმნა ვიქტორ კუგოს „კლოდ გე“. გარდაიცვალა 25—26 წლისა.
9. **ვიქტორ** — ვიქტორ დარჩია — მეგობარი და თანამოსამსახურე ეგნატეს ნ. ლოლობერიძის შავი ქვის კანტორაში დ. ზესტაფონს.
10. **გ ე რ ა ს ი მ ე** — გერასიმე ბეჩიძე — მაშინ 16—17 წლის ყმაწვილი. იოსებ კაკაბაძის და ძმთა შავი ქვის კანტორაში ნოქრად მსახურებდა. მერედ ნიჭიერი, მხებედრილი და მევირცხლი ყმაწვილი იყო. ძალიან ეტანებოდა ქართულ ლიტერატურას და თვითგანვითარებას, რაც ეგნატეს ძალიან მოსწონდა და ხელს უწყობდა. გერასიმე იყო მზოლოდ და მზოლოდ ავტორი და რედაქტორი იმ ზელნაწერ ეფრანლისა, რომლის შესახებ ეგნატე ამ თავის წერილში ლაპარაკობს. ამ გ. ბერიძესაც დარჩენია. როგორც მითხრა მისმა ნათესავმა ვუც. ბერიძემ, ეგნატეს მიწერილი წერილები.
11. **ი ლ ა რ ი ო ნ დ ა რ ჩ ი ა** — ძმა ვიქტორ დარჩიასი, ნიჭ. ლოლობერიძისთან მოსამსახურესი. მაშინ ზესტაფონის რკინისგზის სადგურებზე მსახურობდა, სადგურის უფროსის თანაშემწედ. მეგობარი იყო ეგნატეს.
12. **შ ი ო** — შოი დედაბრიშვილი (არაგვისპირელი). მაშინ ვარშავეში სტუდენტად იყო. უნდა გამოველო ჩემთან ზესტაფონში, სადაც მე ნ. ლოლობერიძის კანტორაში ემსახურებდი. ეგნატე მთხოვდა, შოისთვის შეთქვა, ჩემგან წამოსულს გოში შეველო ეგნატეს სანახავად.
13. აქ ლაპარაკია ნ. ლოლობერიძეზე. ერთხელ როგორღაც ჩემი ქართული დაიწუნა. ეს მივსწერე ეგნატეს. სიტყვა **ც ე ნ ზ ო რ ი** გულისხმობს ნ. ლოლობერიძეს. რომელსაც შეიძლება და ჩავარდნოდა ხელში ეგნატეს გამოგზავნილი წერილი ჩემთან ნ. ლოლობერიძის კანტორაში.
14. ზესტაფონში მაწენის კეთება არ იყო ადრე და ეგნატეს ვთხოვდით მის გამოგზავნას გომიდან.
15. **გ რ ი ა ზ ნ ო ე ი** — სვიმონ გრიაზნოვი — პედაგოგი და მეგობარი ეგნატესი.

16. იქ ლაპარაკია შიო არაგვისპირელის მოთხრობა „არ გვიმდა“ — ხე. რომელიც დაიბეჭდა „ივერიის“ 123 და 124 ნომრებში, თიბათვის პირველი რიცხვებში.

17. სა მ ს ო ნ კ ა ნ დ უ ლ ა კ ი — მეგობარი ეგნატესი. ყოფილი სოფლის მსწავლეებელი ეგნატესთან ერთად მონაწილეობს (სადრანგეთში) საქართველოს შესაძენად. უსახსრობისა გამო სულ მალე ორნივე უკან ბრუნდებიან. ისინი შეცდებიან, რომ მოემზადება და გიმნაზიაში სიმწიფის ატესტატზე გამოცდას ჩააბარებს, რაც მაშინდელ დროში, ერთგვარ დიდ საქმედ ითვლებოდა. შუდის პეტერბურგის საგზაო ინსტიტუტში. სტუდენტობის დროს გამოიგონებს რაღაც გაუმჯობესებულ დაზვას სასოთხამწყოზო საქმეში. დაამთავრებს ინსტიტუტს. ინვენტარად მსახურებს ციმბირში და იქვე გადაიკვალა.

18. დ ი შ ი ტ რ ი — დიმიტრი კალანდარიშვილი. მოსამსახურე ნ. ლოლობერიძის კანტორაში. მეგობარი ეგნატესი. პედაგოგი და მთარგმნელი ბ ე ლ ლ ა შ ი ს რომანი-სა „მის წლის შემდეგ“.

19. ვ ა რ ლ ა მ კ ი კ ი ნ ა ძ ე — ჩვენი საერთო მეგობარი. იმ ხანებში პეტერბურგში სწავლობდა კბილის ექიმობას.

20. ზ ა ქ ა რ ი ა — ზაქარია კიკინაძე — ცნობილი წიგნების გამომცემელი. მისი სახლი. ორ ოთახისაგან შემდგარი ჰავაიების ქუჩის თავში, მთაწმინდაში — თავშესა-დარი ყველა უბინაო ქართველ ინტელიგენტისა, ხოლო მისი დედა — კერძის მკეთებელი ზაქარია კიკინაძის უსასყიდლო პენსიონერებისა. ზაქარია კიკინაძის დედა ეგნატეს როგორც თავის ქმრის სეხნისა, განსაკუთრებულის სიმპატიითა და გულშტკიფენე-ულობით ეპყრობოდა. „ჩემის საცოდავის კაცის სახელი მჭკიან მასაცო“, დაატანდა ხოლმე, როცა ეგნატეს უხსენებდნენ.

21. ეგნატე ხუმრობით ეძახის მ თ ა ს — იმ ადგილს, სადაც ზ. კიკინაძის სახლი აუო მთაწმინდაში. ეს სახლე მთელს ტფილისს თავს დასცქეროდა.



ალი აკანინივილი

## პორაციუსი

(დაბადებიდან 2000 წლის შესრულებამდე გამო)

თითქმის არც ერთი ანტიური მწერალი არ სარგებლობდა ისეთი პოპულარობით საშუალო საუკუნეებისა და ახალი ისტორიის განმავლობაში, როგორც პორაციუსი. ამის მიზეზი, პირველ ყოვლისა, იმალება იმაში, რომ მან თავისი თანამედროვე ცხოვრების სოციალური შინაარსი ჩამოქნა სადა, გასაგებ და იმავე დროს წარმტაც და სრულყოფილ ფორმაში. ლიტერატურული ღირსების გარდა, მისი ნაწერები ყოველთვის იკაფაედენ ვხას სხვადასხვა ეპოქისა და სოციალური წრის მკითხველისაგან, რადგან მათში, მათდა უკვდავსაყოფად, უხვად მოიპოვებოდა ის თვისებები, რომლებიც ჰეშმარიტად დიდ მხატვრულ მოვლენებს ახასიათებენ და რომელნიც ბოლოსდაბოლოს მდგომარეობენ იმაში, რასაც კ. მარქსი იღვათა სიმადლეს და გულწრფელი პოეზიის საუნჯეთა სამყაროს უწოდებდა.

და ანტე პორაციუსს უშუალოდ პომპიროსის შემდეგ აყენებდა. ლაფონტენი თავისი სტილის შექმნის დროს ნიმუშად ისახავდა მას. ვოლტერი უწოდებდა მას მსოფლიო მწერლობის პირველ მოქადაგეს. საშუალო საუკუნეებში და ნაწილობრივ ახალ დროშიაც, პორაციუსს ეცნობოდენ უშუალოდ ორიგინალში. მაგრამ ლათინურის თანდათან კვდომის და მერე თითქმის გაქრობის შემდეგ, როდესაც იგი ვიწრო სპეციალისტთა საკუთრებად გადაიქცა, აუცილებელი შეიქნა პორაციუსის მდიდარი მემკვიდრეობის თარგმნა ახალ ევროპულ ენებზე. და აქ მთარგმნელები უდიდეს სიძნელეს წააწყდენ. ესაა პორაციუსის ენის „უდიდესი სრულყოფა, მის სახეთა სიმდიდრე, მოკვეთილ გამოთქმათა სილამაზე და ძალა“ (მარტინი). რუსეთში მისი თარგმნა დაიწყო მე-18 საუკუნის დასაწყისში. მას შემდეგ პორაციუსს თარგმნიდენ მეცნიერ-ფილოლოგები და პოეტები. დღემდე საუკეთესო თარგმანი რუსულად ეკუთვნის პოეტ ფეტს, რომელიც დიდ იდეურ-პოლიტიკურ სიმპატიებს

გრძნობდა რომელი პოეტის მსოფლმხედველობის კონსტრუქციული მხარეებისადმი.

პორაციუსი (ან სრულად რომ ვთქვათ, ქეინტ პორაციუსუს მსოფლმხედველობა) დაიბადა I საუკუნის 65 წ. ჩვენ წელთაღრიცხვამდე რომში, ისტორიკო-კრიტიკული რესპუბლიკის ეპოქაში. მამა მისი იყო საშუალო შეძლების ლიბერტინი (მონობისაგან თავდახსნილი). მისი ბავშვობის ხანას თან სდევდა ერთი პოეტური ლეგენდა, რომელსაც თითონ პორაციუსი გადმოგვცემს ერთერთ ოდაში. პატარაობისას იგი გაქცევიდა გაშლელს, ტყეში გზა დაბნევიდა და ბუჩქებში ჩასძინებია. დიდი ძებნის შემდეგ მშობლებს უნახავთ იგი შიხნარე, მაგრამ სრულიად უცნობელი. რადგან გარეულ მტრედებს ვითომ დაეკრიფათ ფოთლები და მით დაეფარათ ბავშვი. ამ შემთხვევას და მასთან შეორეს, როდესაც მის კარმიდამოში წამოქცეული ხე ასცდა იქვე მდგომ პოეტს, იგი არა ერთხელ განსაკუთრებული გრძნობით იგონებს ლექსებში.

პოეტის მამამ არ დაზოგა თავი და წარჩინებულთა სასწავლებელში მიაბარა პორაციუსი. მას, როგორც რომის დიდიკაცის შვილს, სკრლაში რომდენივე მონა მიაკლებდა. მაშინდელი აღზრდის სისტემის მიხედვით, სკრლაში პოეტმა შეისწავლა რიტორიკა და მუსიკა. შემდეგ, როდესაც პოეტს 18 წელი შეუსრულდა, მამამ, რომის არისტოკრატის ჩვეულების თანახმად, გაგზავნა შვილი საბერძნეთში, ათინას, რომელიც ცნობილი იყო მაშინდელი მსოფლიო მწერლობისა და ფილოსოფიის ცენტრად. აქ, ათინაში, თავს იყრიდა რომის წარჩინებულ გვარისშვალთა ოჯახებიდან გამოსული ახალგაზრდობა, რომელსაც სრული საშუალება ჰქონდა მისცემოდა საბერძნეთის მდიდარი მწერლობისა და ფილოსოფიის შესწავლას და უდარდელი ცხოვრებით დატკობას. სწორედ ამ წრეში ტრიალებდა ახალგაზრდა პორაციუსი. მე ბედნიერბა მქონდა აღვზრდილიყავი რომშიო, — ამბობს პორაციუსი, — და იქ პირველად გავიგონე აქილესის რისხვის ამბავი, რაც ესოდენ დამღუპველი შეიქნა ბერძნებისათვის. შემდეგ კეთილგანწყობილმა ათინამ გააფართოვა ჩემი გონება და განათლება: იქ შევიგენ მართლისა და მრუდის გარჩევა, აკადემიის ბაღებში კი ჩავწვდი ქემარიტების ძიების გზებსო.

პორაციუსის ათინაში ყოფნის დროს რომში დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური ამბები დატრიალდა. სენატორებმა ბრუტუსმა და კასიუსმა მოაწყეს შეთქმულება არსებული ცეზარისტული დიქტატორის წინააღმდეგ, და 44 წელს (I საუკ. ჩვენ წელთაღრიცხვამდე) მოკლეს დიქტატორი იულიუს კეისარი, რომელმაც გადალახა რომის გაბატონებულ კლასებში დარჩენილი „დემოკრატიული“ გრძნობები და ტრადიციები, ხელში ჩაიგდო მთელი ძალაუფლება და თავისი მხედრობით აიკლო და გაძარცვა მთელი იტალია. შეთქმულების მიზნების განმარტებისა და განმტკიცებისათვის ბრუტუსმა შეკყარა უდიდესი სახალხო მიტინგი, რომლის წინაშეც

აღზნებულ სიტყვაში გადაშალა ცეზარისტული მხედრობის სასარგებლოდ მომხდარი ექსპროპრიაციებისა და უსაზღვრო თვითნებობის სურათი. მაგრამ რადგან მიტინგი სავსე იყო სწორედ ექსპროპრიაციებით, რომელთა სასარგებლოდაც მოხდა ექსპროპრიაციები, ყველაფერი გადასწყვიტეს ისევ ჯარის სარღლებმა. მით უმეტეს, რომ ერთ მათგანს — ანტონიტს — უკვე მოესწრო და ხელთ ეგდო მოკლულ იულიუს კეისრის მთავარი ხაზინა და ქონება. ბრუტუსი დაძარცვდა და გაიქცა ჯერ გალიაში და შემდეგ ბალკანეთში (ორივე რომის პროვინცია იყო). რომში კი დამყარდა „სამთა მმართველობა“ (ტრიუმვირატი). ჯერ ანტონიტსის. შემდეგ კი ოქტავიანე ავგუსტუსის მეთაურობით, რომელთაც საესეებით მოსპეს კონსტიტუციურ-რესპუბლიკური წყობილების ყოველგვარი ნაშთი და დამყარეს იმპერატორის შეუზღუდველი ძალაუფლება.

ათინაში მყოფი რომაელი ახალგაზრდობა დიდის აღფრთოვანებით შეხვდა რომში მომხდარ ამბებს. მაგრამ მისი სხვადასხვა ფენა სხვადასხვაგვარად იფასებდა მდგომარეობას. ერთნი ფიქრობდნენ, რომ კეისრის სიკვდილი მოასწავებდა რესპუბლიკის აღდგენას, მეორეთ კი არისტოკრატიული პარტიის გამარჯვების იმედი ჰქონდათ. როგორც ვიცით, სინამდვილემ ამ უკანასკნელთა მოლოდინი გაამართლა, მაგრამ ბრუტუსი მაინც არ სტებობდა. იგი ათინას ჩაეიდა, ახალგაზრდა რომაელთა შორის თავისი მიმდევრები შემოიკრიბა, მათ შორის პორაციუსიც, რომელსაც ლევიონის ტრიბუნის თანამდებობა მისცა. ბრუტუსმა მიიმხრო ბალკანეთის პროვინციის ჯარი (280.000 კაცი), ეკვეთა ტრიუმვირატის ჯარს, მაგრამ დაძარცვდა და თავი მოიკლა კასიუსთან ერთად.

მალე პორაციუსიც დაბრუნდა რომს, სადაც მამის გარდაცვალების ამბავთან ერთად ისიც გაიგო, რომ მას, როგორც ბრუტუსის მომხრეს, მამული ჩამოართვეს. მაგრამ გაკვირვებამ უფრო გაამხნევა იგი და ხელში კალამი ააღებინა. მალე პორაციუსმა სახელი მოიხვეჭა თავისი სატირებით, რომლებშიაც ამათრახებდა რომის მაღალი საზოგადოების გარყვნილ და ფუქსაეატ ცხოვრებას. თანდათან მან მიიფიქვა თავისი ახალგაზრდობის ლიბერალური მისწრაფებები და შესტოპა მდორე და შეუშლოთებელი ცხოვრების იმ მორევში, რომლისაკენაც გამეფებული რეაქციის პირობებში მიისწრაფოდა პოლიტიკურ ქარცეცხლში გამოვლილი რომის საზოგადოება. მეგობრების დახმარებით და საავტორო მონორარისაგან შევროვილი თანხებით იგი ყიდულობს ხაზინის მდივნის თანამდებობას და ფიქრობს მოხელის ჩვეულებრივი კარიერით დაბოლოოს თავისი ცხოვრება. მაგრამ ერთი შემთხვევა სცვლის მის გეგმას. მისი თანამედროვე და მეგობარი, რომის უდიდესი პოეტა ვირგილიუსი ახსენებს მას მეცენატთან, ოქტავიანე ავგუსტუსის სამეფო კარის გამოჩენილ სახელმწიფო მრჩეველთან. და თუმცა პირველად მეცენატი არ იყო შინცდამინც კეთილად განწყობილი პორაციუსისადმი, როგორც რესპუბლიკის

პარტიის მიმდევრისადმი, რომელიც თავის სატირებში არ ინდობდა ოქტავიანეს მახლობლებს, მაგრამ მას მალე გული შეეცვალა. პურტუკიუსის სასარგებლოდ და კიდევ დაასაჩუქრა იგი მშვენიერად შეწყობილ ქოფლის მამულით რომის მახლობლად, სადაც პოეტმა გაატარა მთელი თავისი დანარჩენი სიცოცხლე. ამ მამულში ჰორაციუსს ჰყავდა ზუთი კომლი ხიზანი, რომელნიც ეწოდენ მთელს შრომას, და რვა შინამოსამსახურე მონა.

ჰორაციუსმა ქედი მოიხარა ოქტავიანეს მიერ დაწყებული რეჟიმის წინაშე და აღიდა იგი, როგორც „რომის დამსხნელი სამოქალაქო ომისა და რესპუბლიკის დროის შფოთისაგან“. ასეთი პოლიტიკური პოზიციის შესატყვისად მან უკლო თავისი სატირის სიმძაფრეს და გახრწნისაკენ დაქანებულ არისტოკრატიას მხოლოდ ზომიერების დაცვას უქადაგებდა. თუ შენ ჯანსაღი კუქის, ფილტვებისა და ღონიერი ფეხების პატრონი ხარ, მეტ სიმდიდრეს ნუ ეძებ, — ამბობს ჰორაციუსი ერთ თავის ლექსში და ასეთი ვიწრო ჩარჩოებით ზღუდავს თავისი თაობის დამარცხებულ საუკეთესო მისწრაფებებს.

ჰორაციუსი საერთოდ მეტიმეტად უარყოფითად უყურებს ფუფუნებისა და სიღარიბის კონტრასტებით აღსავსე რომის ცხოვრებას და არასოდეს არ უშვებს შემთხვევას, რათა ქალაქის სულისშემზუთველ ატმოსფეროს დაუპირისპიროს სოფლის მცხოვრებთა სიფაქიზე და მათი მკაცრი თავდაქერილობა. მიუხედავად თავისი „დაბალი“ წარმოშობისა, ჰორაციუსი-პოეტი და ჰორაციუსი-მოაზროვნე, ისე, როგორც ანტიური ქვეყნის ყველა უდიდესი წარმომადგენელი, სრულიად ნორმალურად სთვლის მონობის ინსტიტუტს და სავსებით იზიარებს მის დროინდელი სოციალურ-ეკონომიური წყობის ამ საყრდენის აუცილებლობის პრინციპს.

ჰორაციუსის სატირები და ლირიკა გამართულია სასაუბრო ტონით. რაც საშუალებას აძლევს პოეტს თავისუფლად გადავიდეს საგნიდან საგანზე და რეალური ცხოვრების სურათების მოცემის გვერდით გამოსთქვას თავისი პირადი გრძნობები და განწყობილებები. პიზონთა ოჯახის წევრებისათვის გაგზავნილ თავის შესანიშნავ პოეტურ მიმართვაში ჰორაციუსი იძლევა რეალისტური პოეზიის შექმნისათვის ისეთ აუცილებელ რჩევა-მითითებებს, რომელთა ღირებულება სცილდება მის ეპოქას და ერთგვარად „მოდმივი“ ნიმუშის ელემენტების მატარებლადაც შეიძლება ჩაითვალოს.

თავისი ცნობილი ლექსი „მე თვით აღუმართე ჩემს თავს ბრინჯაოზე უმტკიცესი ძეგლი“, რომელიც გადაიქცა ახალი დროის მრავალი პოეტის (მათ შორის პუშკინის) მიბაძვის საგნად, ჰორაციუსმა სწორად შეაფასა თავი, როგორც კულტურული კაცობრიობის მუდმივმა თანამავალმა, რომლის მემკვიდრეობას სათანადო კრიტიკული ათვისებით იღებს პროლეტარიატი.



შალვა რადიანი

## გიორგი ერისთავი

გიორგი ერისთავის სახელთან ქართული კულტურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში უდიდესი მნიშვნელობის მოვლენებია დაკავშირებული. იგი სამართლიანად არის მიჩნეული „ახალი მოძრაობის დამწყებად ჩვენს მწერლობაში“ (ნ. ნიკოლაძე).

გ. ერისთავის დამსახურება მართლაც რომ შრავალმხრივია. მე-19 საუკუნის 50-იან წლებში იგი სათავეში ჩაუდგა და ხელმძღვანელობა გაუწია თავისი დროის კულტურულ-საზოგადოებრივ ცხოვრებას და გახდა ჩვენში თეატრისა და ჟურნალისტიკის ფუძემდებელი და პირველი კომედიოგრაფი.

გ. ერისთავმა შექმნა ჩვენში მხატვრული შემოქმედების ახალი ენა — დრამატული მწერლობა, რომელიც შემდეგში თვალსაჩინოდ განვითარდა და გაიზარდა. კომედიების წერა ჩვენში სრულიად ახალი საქმე იყო. ამ მხრით გ. ერისთავს ჩვენს ლიტერატურაში არ ჰყავდა წინამორბედი, მას დამოუკიდებლად მოუხდა გზის გაკაფვა. ამ კომედიების მნიშვნელობა ქართული დრამატურგიული ხელოვნების განვითარებაში განუზომელია. ეს კომედიები შეიქნა ახალი ლიტერატურული მიმართულების — რეალიზმის დამწყები. რა თქმა უნდა, გ. ერისთავს ერთბაშად არ მიუგნია ამ გზისათვის. მას საკმაოდ ხანგრძლივი და სერიოზული ძიება დასჭირდა. პირველ ხანებში იგი ჯერ კიდევ ძალუმ ხარკს უხდიდა რომანტიზმს, რამაც თავისი გამონახულება ჰპოვა უმთავრესად ადრინდელ პოეტურ შემოქმედებაში.

გ. ერისთავმა თავისი კომედიებით განსაზღვრა ქართული დრამატურგიის განვითარება კარგა ხნის განმავლობაში. გ. ერისთავისეულ კომედიურ ტრადიციას ჩვენში ხანგრძლივად ჰქონდა ტესტები გადგმული. მისი ნიშნის ქვეშ ვითარდებოდა ფაქტიურად მთელი ქართული კომედია. დაწყებული მე-19 საუკუნის 50-იანი წლებიდან და გათავებული მე-20 საუკუნის ორი პირველი ათეული წლით. არ გვყავს არც ერთი მნიშვნელოვანი კომედიის მწერალი, რომელზედაც არ შეიძლება არ ითქვას. რომ იგი არის ცოტად თუ ბევრად გ. ერისთავის მიმდევარი ან, გზის გამგრძობლებელი.

გ. ერისთავის ასეთ დიდ გავლენას ქართულ დრამატურიაზე უნდა მიუძღვინოთ ზვრეთვე მისი თვალსაჩინო ადგილი ქართულ სცენაზედაც. ეს პირველი ქართველი კომედიოგრაფი შესული იყო ჩვენს ქვეყნულ თეატრის მართლად სარეპერტუარო ფონდში. მისი კომედიები ~~ჩვენს ქართულ~~ ქართული თეატრის სცენიდან მთელი სამი მეოთხედი საუკუნის მანძილზე, ხელოვნობის ზოგადი ცნობები გ. ერისთავის სამწერლო-საზოგადოებრივი და ლიტერატურულ-დრამატურგიული მოღვაწეობის შესახებ საკმაო წარმოდგენას გვაძლევს იმაზე, თუ რა ადგილი უჭირავს ამ თვალსაჩინო შემოქმედს იმ კულტურულ მემკვიდრეობაში, რომელიც მიიღო პროლეტარიატმა. ყოველმხრივი, ღრმა და კრიტიკული ათვისება ამ მემკვიდრეობისა წარმოადგენს ჩვენს არსებით ამოცანას.

## 1

გ. ერისთავი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა გარდამავალ ხანაში. სხვაგვარად არ შეიძლება ეწოდოს თვითმპყრობელური რუსეთის დამკვიდრებისა და კაპიტალისტური განვითარების პირველ ათეულ წლებს — მე-19 საუკუნის პირველ ნახევარს. ამ სინამდვილის ნიადაგზე აღმოცენდა და განვითარდა გ. ერისთავის მრავალფეროვანი მოღვაწეობა და შემოქმედება.

მე-19 საუკუნის დასაწყისში საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება შეიცვალა. შინაურ და გარეშე მტრებისაგან დასუსტებული საქართველო ჩაეარდა რუსეთის ცარიზმის კლანკებში.

შუფის რუსეთს საქართველო ესაჭიროებოდა. როგორც დამაკავშირებელი ხიდი აღმოსავლეთთან და დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიულ სახელმწიფოებთან საკონკურენტო გზა. საქართველოს ხელში ჩაგდებით თვითმპყრობელურ რუსეთს საშუალება ეძლეოდა დაეპყრო მთელი კავკასია შავი ზღვის სანაპიროებითურთ და ამასთანავე ნიადაგი შეემზადებინა უფრო შორეული სტრატეგიული ადგილების დასაუფლებლად. კავკასიის ომების ოფიციალურ ისტორიკოსის რ. ფადეევის სიტყვებით რომ ვთქვათ, „რუსეთისთვის კავკასიის უღელტეხილი წარმოადგენდა ხიდს, გაბმულს რუსეთის ნაპირებიდან აზიის მატერიკის გულში, და კედელს, რომლითაც ვადატიხრული იყო შუა აზია მტრულ ზეგავლენისაგან. და აგრეთვე მოწინავე სიმაგრეს, რომელიც იცავს ორ ზღვას — შავს და კასპიის. ამ ქვეყნის დაპყრობა წარმოადგენდა უპირველესი მნიშვნელობის სახელმწიფოებრივ მოთხოვნილებას“ \*).

საქართველოს დაპყრობა დიდ გასაქანს აძლევდა რუსეთის ბურჟუაზიას ახალი ბაზრების მოპოების საქმეში. საქართველო და შემდეგ მთელი კავკასია რუსეთის ახლად ფეხადგმული ბურჟუაზიისათვის ასრულებდა

\*) Р. Фадеев — „Шестидесят лет кавказской войны“. ტფილი, 1900 წ. გვ. 16.

კოლონიის როლის გაბატონების პირველი დღიდანვე რუსეთის თვით-  
მპყრობელური მთავრობა კავკასიაში აწარმოებდა ურცხვსა და ბარბარო-  
სულ კოლონიალურ პოლიტიკას.

რუსეთის სავაჭრო კაპიტალის გაბატონება საქართველოში, როგორც რუსეთის  
ტრანქ, უნეშ ფორმებში ხდებოდა. საქართველოში, როგორც რუსეთის  
პროვინციაში, სასტატი ბიუროკრატიული რეჟიმი იქნა დამყარებული.  
კავკასიას მაშინ რუსეთში უყურებდნენ, როგორც „დამლუპველ ადგილს“.  
ამიტომ აქეთ გზავნიდნენ რუსი მოხელეების ყველაზე გაბრწყინებულ ელემენ-  
ტებს, ვაჭრებს, მოიჯარადრეებს, ერთი სიტყვით, ყველას, ვისაც სურდა  
ცარცვა-გლეჯით და ყველფით ჭონება შეეძინა.

გაბატონებული რუსის ბიუროკრატია ადგილობრივ პირობებს, ადგი-  
ლობრივ მცხოვრებთა ინტერესებს არავითარ ანგარიშს არ უწევდა და  
უცვლელად გადმოჰქონდა შიდა რუსეთის არა მარტო კანონები, არამედ  
მმართველობის მეთოდებიც. მნიშვნელოვანი მმართველი ორგანოების სა-  
თავეში ყველგან რუსის მოხელეები იყვნენ დანიშნულნი, რომლებმაც  
არ იცოდნენ არც ადგილობრივი ენა და არც ადგილობრივი ყოფაცხოვრე-  
ბის თავისებურებანი. სახელმწიფოებრივ დაწესებულებებში, სადაც საქ-  
მის წარმოება მიმდინარეობდა ადგილობრივ მცხოვრებთათვის გაუგებარ  
ენაზე, გაბატონებული იყო მოხელეთა თვითნებობა, თავგასულობა. მათ  
შორის გავრცელებული იყო მეჭრთამეობა, საქმის გაჭიანურება და მოხო-  
ნელადმი სრული უყურადღებობა.

განსაკუთრებით მძიმე შეიქნა ყმაგლეხობის ცხოვრება, როგორც ცნო-  
ბილია, ბაგრატიონთა დინასტიის დაცემას გლეხობა გულგრილად შეხედა.  
ეინაიდან ახალი ხელისუფლებისაგან იგი მოელოდა მდგომარეობის გაუ-  
ჭკობესებას და ბატონყმური უფლის შემსუბუქებას. მაგრამ სინამდვილე-  
ში გლეხობის მდგომარეობა თვითმპყრობელური რუსეთის გაბატონების  
შემდეგ არა თუ გაუმჯობესდა, არამედ ვაცილებით გაუარესდა. ქართველ  
ფეოდალ მებატონეებთან ერთად კოლონიალური ექსპლოატაციის სახით  
თვითმპყრობელურმა რუსეთმა და მისმა აგენტებმა (მოხელეები, ვაჭრები  
და სხვ.) გარკვეული წილი დაიდევს გლეხობის ყველფაში. საქართველოს  
საზღვრებში მრავალრიცხოვანი ჯარის ყოლა, განუწყვეტელი ომები,  
უზარმახარი სახელმწიფო აპარატის შენახვა, — ყველაფერი ეს უამრავ  
ხარჯს მოითხოვდა. ამ ხარჯების საგრძნობ რაოდენობას რუსეთის მმართვე-  
ლობა სწოვდა ადგილობრივ მცხოვრებთ, უმთავრესად — გლეხობას.  
მთავრობის აგენტები არავითარ ანგარიშს არ უწევდნენ გლეხობის შესა-  
ძლებლობას და მდგომარეობას. გლეხობა ვალდებული იყო ეხადა მრავა-  
ლი ფულადი და ნატურალური გადასახადი. მთავრობის მოხელეებისა და  
ადგილებზე მდგარი რუსის ჯარის ნაწილების უკანონო და შეშავიწროკ  
ბელ მოქმედებას გლეხობის მიმართ არ ჰქონდა საზღვარი. „კანონიერე-  
ბისა და სიპართლის“ ეს წარმომადგენლები ანადგურებდნენ და არბევდნენ

მცხოვრებთ, ართმევედენ ქონებას, სრულიად უმიზეზოდ შევიწყობდას აყენებდენ და სხვ. გახშირებულმა ეგზეკუციებმა, ხომ სულ, რაწითკა გლეხობა. განსაკუთრებით აუტანელი იყო გლეხობისათვის „საქონლებისა“ და „პოდრიადჩიკების“ მოქმედება. მაშინ, როდესაც „საქონლებისა“ ხალხი სიშშილობას განიცდიდა, „ინტენდანტები“ საშინელ შევიწროებას აყენებდენ გლეხებს. გლეხობას ორგვარი მყველფელი ჰყავდა: ერთი — მემამულე თავადი და მეორე — თვითმპყრობელობის მოხელეები. ორივე ერთად ბატონი და მოხელე გლეხობისათვის ჰქმნიდა არსებობის აუტანელ პირობებს.

გლეხობა თავის მხრით იბრძვის, როგორც ბატონყმური მდგომარეობის, ისე ახალი რეჟიმის ბოროტმოქმედთა წინააღმდეგ. ეს ბრძოლა გამოიხატა იმ მრავალ აჯანყებაში, რასაც ადგილი ჰქონდა მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში (მთიულეთის — 1804 წ., კახეთის — 1812 წ., გურის — 1841 წ. და სხვ.). დაუნდობელმა ფეოდალურმა ექსპლოატაციამ, რუსის მოხელეთა თავგასულმა თვითნებობამ, დაუფარავმა ცარცვა-გლეჯამ, აუტანელმა გადასახადებმა და ბეგარამ გლეხობა გამოიყვანა მოთმინებიდან და იარაღი ააღებინა ხელში დამპყრობელთა და მებატონეთა წინააღმდეგ. მაგრამ ეს ბრძოლა გლეხობას ძალზე ძვირად უჯდებოდა. ქართველი მემამულეების დახმარებით თვითმპყრობელური რუსეთის მთავრობა ყოველთვის ახერხებდა გლეხთა ამ აჯანყებების ჩაქრობას.

რუსეთის ბიუროკრატიულმა მთავრობამ გაბატონებისთანავე საქართველოში შემოიღო ცენტრალისტური მმართველობა. მისი განმტკიცებისთვის აუცილებელი პირობა იყო ფეოდალური პარტიკულიარიზმის სრული ლიკვიდაცია, ვინაიდან იგი არ ეგუებოდა თვითმპყრობელობის პოლიტიკურ და ეკონომიურ პროგრამას.

საქართველოს დამოუკიდებლობის დროს თავდაზნაურები მეფესთან ახლო იყვნენ და მათ სახელმწიფოებრივ პოლიტიკაზედაც ჰქონდათ გავლენა. ისინი ქვეყნის სრული ბატონ-პატრონი იყვნენ. ბიუროკრატიული რუსეთის შემოსვლის შემდეგ კი მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა. ეხლა მათ ჩამოაშორეს ქვეყნის პოლიტიკური მმართველობა და არც აიკინ ეკითხებოდა რაიმეს სახელმწიფოებრივი საკითხების გადაჭრის დროს. წინააღმდეგობა ქართველი მემამულეები მიჩვეულნი იყვნენ მეფეებთან კინკლაობას, ჩხუბს და თვითნებობას, ხოლო ახალ პირობებში ამის საშუალება მოეპოვათ. ამ გარემოებამ კი საპროტესტო, საწინააღმდეგო განწყობილება შექმნა ფეოდალურ-არისტოკრატიულ წრეებში. თავდაზნაურობას არ სურდა ასე ადვილად ხელი აეღო თავის „ისტორიულ“ ფეოდალურ უფლებებზე.

მე-19 საუკუნის 30-იან წლებში ყალიბდება ფარული საზოგადოება, რომელიც უმთავრესად ფეოდალურ-არისტოკრატიული შემადგენლობისა იყო და მიზნად ისახავდა ბრძოლას თვითმპყრობელობის რუსეთის რეჟიმის

მის წინააღმდეგ. შეთქმულებს კავშირი და მიწერ-მოწერა პქონდათ რუსეთში მყრფ უსაქმოდ დარჩენილ ბატონიშვილებთან, რომლებიც უკმაყოფილონი ბყენენ რუსეთის მთავრობისა და ოცნებობდნენ მის წინააღმდეგ. ში ბავრატონთა მეფობის აღდგენაზე.

შეთქმულების ცენტრს შეადგენდენ: სოლომონ დოდაშვილი, ელიზბარ ერისთავი და ალექსანდრე ორბელიანი. შეთქმულების თვალსაჩინო წევრები იყვნენ: ორბელიანიები—გრიგოლ, მამუკა, ვახტანგ, დიმიტრი, ლუარსაბ, ალექსანდრე გიორგისძე; ერისთავები—გიორგი დავითისძე, გიორგი რევაზისძე, დიმიტრი, ბიძინა; სტეფანე დოდაშვილი, სოლომონ რაზმაძე, ფილადელფოს ქიქნაძე, იასე ფალავანდიშვილი, ანტონ აფხაზი, დიმიტრი ყიფიანი; ბატონიშვილები—ფარნაოზ, ოქროპირ, დიმიტრი, თამარ; ო მამაცაშვილი, ზაალ ავთანდილაშვილი და სხვ. შეთქმულებაში ზოგიერთი რუსი და უცხოელიც მუბულონდა მონაწილეობას. შეთქმულებს მოქმედების დეტალური გეგმაც პქონდათ შემუშავებული. 1832 წ. დეკემბერში უნდა დაწყებულიყო გამოსვლები რუსეთის მმართველების წინააღმდეგ... მაგრამ მოულოდნელად იასე ფალავანდიშვილმა 1832 წლის დეკემბრის 9-ს შეთქმულების არსებობა აცნობა მთავრობას, რის შედეგადაც ყველა შეთქმული დააპატიმრეს. ხანგრძლივი კვლევა-ძიების შემდეგ მთავრობამ შეთქმულების ყველა მონაწილეს სხვადასხვა სასჯელი გადაუწყვიტა. ბევრი მათგანი გადასახლებულ იქნა რუსეთის სხვადასხვა ადგილას.

შემდეგში შეთქმულების თითქმის ყველა მონაწილემ აღიარა თავისი დანაშაული და თვითმპყრობელურ რუსეთთან წინააღმდეგობის ტაქტიკა შესცვალა შეგუების ტაქტიკით.

1832 წ. შეთქმულება წმინდა თავად-აზნაურულ-კლასობრივი ხასიათისა იყო. ამ შეთქმულების გამომქვადენებამ ნათელყო ფეოდალური არისტოკრატის მისწრაფებების სრული უნიადგობა. შეთქმულების ჩაშლამ და მისმა შედეგებმა ფეოდალური არისტოკრატია აიძულა ერთხელ და საბუდამოდ ხელი აეღო თავის პრეტენზიებზე. 1832 წ. შეთქმულების ლიკვიდაციით არსებითი გარდატეხა მოხდა თავად-აზნაურობაში. ამ შეთქმულების დამარცხების შემდეგ ქართველი თავად-აზნაურობა გარკვეულად დგება თვითმპყრობელობის პლატფორმაზე და ერთგულ სამსახურს იწყებს რუსეთის ტახტის საკეთილდღეოდ. თავად-აზნაურობა შეეზარდა რუსეთის სახელმწიფოებრივ სისტემას. ამ ფაქტს საუკეთესო ილუსტრაციას იძლევიან თავად-აზნაურული ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები (გრ. ორბელიანი, დიმ. ყიფიანი და სხვ.), რომლებიც წარმატებით აყენენ თვითმპყრობელურ-ბიუროკრატიულ რუსეთის სამსახურ-

რის კიბეს. ზოგი მათგანი შეტად სპასუხისმგებლოდ უდგოდა ქუროს კავ-  
კასიისა და საქართველოს მმართველობაში. ქართველი თავად-აზნაურობა  
ჩარცხული იქნა რუსეთის წოდებრივ ბიუროკრატიასთან შეწყობაში. და თავისი  
საქმიანობით თვითმპყრობელობას უმაგრებდა ტანსაცმელს. ~~საქმიანობით~~

ქართველი მემამულეების ახალი კურსის ნათელ გამოხატულებას წარ-  
მოადგენდა დიმიტრი ყიფიანის სიტყვა, რომელიც მან წარ-  
მოსთქვა 1848 წ. თავად-აზნაურთა კრებაზე: „ჩვენ, ქართველები, ძველ  
ქრისტიანულ ხალხთა მცირე ნაწილი, გარს შემორტყმული ჩვენს წინააღ-  
მდეგ მებრძოლ ერებით. — დიდსაჲს, მრავალს საუკუნეთა განმავლობაში,  
კიბრძოდით მათთან ყველა ჩვენს საზღვრებზე და მხოლოდ ამ საუკუნის  
დასაწყისში მოვისვენეთ რუსეთის მმართველობის ქვეშ. თუ ჩვენ მძიან  
და ხანგრძლივი განსაცდელი ავიტანეთ და შევინარჩუნეთ სიმტკიცე სა-  
რწმუნოებისა, რომელიც გვიანდურაჲს წინაპრებმა საქართველოს სამეფოს  
უკეთეს ხანის დროიდანვე, თუ არ ვუღალატეთ ჩვენს მართლმადიდებლო-  
ბას, რომ შევინარჩუნეთ ჩვენი კეთილშობილება და კარგი სახელი, ყვე-  
ლამ ვიცით, რომ ეს მოხდა რუსეთის თვითმპყრობელობის და ერთმთაე-  
რობის წყალობით. რასაკვირველია, თვითმპყრობელობა და ერთმთაერობა  
ერთად-ერთი დასაწყისია, საიდანაც ყოველთვის წარმოდგებოდა ჩვენი სა-  
ერთოც და კერძოც კეთილდღეობა. ესლა ჩვენ სრულიად მშვიდობიანად  
ვიყოფებით ჩვენს ქვეყანაში. დამშვიდებით ვასრულებთ ჩვენს შინაურ  
საქმეს. მტერს ჩვენ სახლში კი არ ვეომებთ, არამედ მისი სახლეს საზ-  
ღვრებში. შეილებს ვზრდით და შევხარით მათ მომავალს. ჩვენი მართლ-  
მადიდებლობა, ჩვენი საზოგადო ცხოვრება არაერთარ საფრთხეს არ გა-  
ნიცდის. ვინ მიგვიყვანა ჩვენ ამ მდგომარეობამდე? თვითმპყრობელობამ  
და ერთმთაერობამ, საქრისტიანო მსოფლიოს ერთად-ერთმა მართლმადი-  
დებელმა და დიდმა მონარქიამ... ჩვენც გვინდა, რომ მოხსენდეს ხელმწი-  
ფე იმპერატორს, თუ რა გრძნობებს განვიცდით იმ შინამყუდროების გა-  
მო, რომლითაც ვსტკებით მის. ზეცით ნაკურთხ თვითმპყრობელოვან  
მონარქის ფრთის ქვეშ... გვინდა, რომ მოხსენდეს მის იმპერატორობით  
უდიდებულესობას, ჩვენი საერთო ერთსულოვანი სურვილი, რომ აღნიშ-  
ნულ გრძნობათა მიხედვით მოგვეთხოვოს სამსახური“ \*).

ეს სიტყვები არ იყო მარტო დ. ყიფიანის პირადი მოსაზრება. იგი  
სრულებით გამოხატავდა ქართველი თავად-აზნაურობის უმრავლესობის  
სულსკვეთებას. სწორედ ამიტომ იყო, რომ ეს სიტყვა დაედვა საფუძ-  
ვლად ნიკოლოზ პარველისადმი გაგზავნილ ქართველ თავად-აზნაურთა  
მიმართვის: „დღე არ გადის, რომ ყოველი ჩვენთაგანი არ ხედავდეს ჩვე-  
ნი რუსეთის მონარქის ჩვენზე დიდი მზრუნველობის დამტკიცებას. დღე  
არ გადის, რომ ჩვენი კეთილდღეობისათვის არ დაიღვაროს სისხლი რუსი

\*) „Акты“ т. X.

თა — გრძნობითა და სარწმუნოებით, ჩვენი ძველი მოძქეუბისა სრული ჩვენთავანი გრძნობს ფაქიზს, წმინდა სიყვარულსა და ერთგულებას ჩვენი რუსეთის თვითმპყრობელი მონარქისადმი. ჩვენი სიტყვა მწყობრად ვუღმია. მან აღმოგვიჩინა მოწყალება ჩვენი სამშობლოს შექმნისა და სარწმუნე რუსეთთან, ჩვენ ყველა ვგრძნობთ ამას და გესურს ჩვენი სამსახური იქნეს მოფხოვნილი ჩვენი ქვეყნის ვარეშეც. სადაც უნდა იყოს, თუნდაც სახელმწიფოს საზღვრებს იქით, თუ ის უწყსოება, რომელიც დასაძლეთ ევროპას აღელვებს, საშიში იქნება კეთილდღეობისათვის ამ სახელმწიფოსა, რომელსაც საქართველოს აქვს პატივი ეკუთვნოდეს \*). ... აქ უკვე აღარ არის ლაპარაკი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაზე და ბაგრატიონთა დინასტიის დაბრუნებაზე, პირიქით. ეს მიმართება ნათელი სურათია იმის, თუ როგორ შორს წავიდა ქართველი თავად-აზნაურობა თავს ერთგულებაში რუსეთის თვითმპყრობელობის მიმართ.

საქართველო, შესული რუსეთის ფარგლებში, ვერ ასცდებოდა კაპიტალისტურ განვითარებას, რომელიც ამ დროს თვით რუსეთში უკვე მძლავრად ანგრევედა ფეოდალურ ცხოვრებას. ახალ ორიენტაციას მოპყვა ახალი ურთიერთობის განვითარება.

1801 წლის აქტით თვითმპყრობელურმა რუსეთმა არა მარტო პოლიტიკურად დაიპყრო საქართველო, არამედ ეკონომიურადაც იგი თავის კოლონიად გადააქცია. რუსეთის „სამხედრო-ფეოდალური იმპერიალისტური“ პოლიტიკის მამოძრავებელი ფაქტორი ამ პერიოდში სავაჭრო კაპიტალი იყო და საქართველოს დაპყრობილ ეკონომიურად გზა გაეხსნა. ფართო-სარბიელი გადაეშალა რუსეთის სავაჭრო კაპიტალს მთელს ამიერ-კავკასიაში.

რუსეთის პოლიტიკური ბატონობის განმტკიცების შედეგად მთელი ამიერ-კავკასია რუსეთის ბურჟუაზიის სავაჭრო-კაპიტალიზაციის ობიექტად გადაიქცა. ამიერ-კავკასიას, როგორც მნიშვნელოვან სამეურნეო მხარეს, უნდა დაეკმაყოფილებია აღორძინებისა და წინსვლის გზაზე შემდგარი ჯერ სავაჭრო და შემდეგ სამრეწველო კაპიტალის ინტერესები \*\*).

\*) „Акты“ т. X.

\*\*) კავკასიის სავაჭრო-კაპიტალისტური კოლონიზაციის პრობლემა თვითმპყრობელურ რუსეთის წინაშე მთელი თავისი სიფართოვით იდგა უკვე მე-19 საუკუნის პირვინდელ რუსულ პრესაში. მთვითობებთ, მაგალითი დ. ჟ. იურევიჩის „Востокъ принадлежавшаго Россіи и опредѣленных ему земель в историческомъ, статическомъ, финансовомъ и торговомъ отношеніи“, сочиненіе Платона Зубова, т. 1., Спб., в типографіи Конрада Вангелена, 1834 г. კვრიდა თავი: Востокъ предлежавшій, 1. О важности и способахъ колонизаціи восточнаго Кавказскаго края с изображеніемъ выгод отъ сего произойти должествующихъ в финансовомъ и торговомъ отношеніи“.

რუსეთის გზით საქართველო შევიდა მსოფლიო ეკონომიური/კავშირ-  
ში და ბიძგი მიეცა ჩვენშიაც განვითარებულებიყო კაპიტალისტური ურთი-  
ერთობა. იზრდება ალემ-მიცემობა, მდიდრულ წრეებს დადიანენ კახალი  
მოთხოვნილებანი, მოავლდებათ ალემ-მიცემობის მწარმოებლები — ვაჭ-  
რები და სხვ. 30-იან წლებში ტფილისში არსებობდა უკვე რამდენიმე სა-  
ვაჭრო ამხანაგობა, რომელნიც აწვდიდენ ამიერ-კავკასიას მანუფაქტუ-  
რას, ვალანტერიას, მანქანებს, ლითონის იარაღს, ღებულობდენ საქონელს  
საკომისიოდ რუსეთში გასასაღებლად და სხვ. დიდძალი საქონელი შე-  
მოდიოდა ამიერ-კავკასიაში უცხოეთიდან და რუსეთიდან. მთავარი ცენ-  
ტრი, სადაც თავს იყრიდა შემოტანილი საქონელი, იყო ტფილისი. ამიერ-  
კავკასიის სავაჭრო ურთიერთობა უცხოეთის ქვეყნებთან შემდეგ სურათს  
წარმოადგენდა: 1822 წ. — 1.281.108 მან., ხოლო 1840 წ. იგი ავიდა უკვე  
5.941.998 მან. \*). ეს მარტო უცხოეთთან სავაჭრო ურთიერთობის ხაზით.  
არა ნაკლებ საგრძნობი იყო სავაჭრო ურთიერთობა საკუთრივ რუსეთთან.

მე-19 საუკუნის დასაწყისიდანვე ტფილისი, როგორც თვითმპყრობე-  
ლური რუსეთის კოლონიალური პოლიტიკის დასაყრდენი პუნქტი ამიერ-  
კავკასიაში, თანდათან იზრდება. ახალ სახელმწიფოებრივ დაწესებულებ-  
ბათა (სამხედრო და სამოქალაქო) დაარსებამ, მოსახლეობის ზრდამ (1804  
წელს ტფილისში იყო 5.426 სული მცხოვრები, ხოლო 1847 წ. — 29.753  
სული მცხოვრები) გამოიწვია საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა გაფარ-  
თოვება, გამრავლდა ბაზრები, სადაც ტრიალდება როგორც რუსეთის, ისე  
უცხოეთის საქონელი. იხსნება სხვადასხვა წვრილი თუ მსხვილი სამრეწ-  
ველო სარეწაო. ტფილისში სავაჭრო ურთიერთობა სცილდება ვიწრო  
საქალაქო-საბაზრო ხასიათს. 1828 წ. ტფილისში იხსნება „პოკროვსკის  
იარმუკა“, რომლის მოქმედება, დაწყებული 10 ოქტომბრიდან, ერთი  
თვის განმავლობაში გრძელდებოდა. თანახმად ორგანიზატორთა განზრახ-  
ვისა, ის ყოველწლით უნდა განმეორებულებოდა. ამ „იარმუკის“ მიზანი  
იყო ევროპისა და აზიის ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობის განვი-  
თარება. განსაკუთრებით კი რუსეთის სამრეწველო საქონლისათვის ბაზ-  
რის განმტკიცება.

ამიერ-კავკასიის სავაჭრო ურთიერთობა უცხოეთის ქვეყნებთან და  
რუსეთთან საკმაოდ ნათელყოფს ჩვენი ცხოვრების ეკონომიური განვითარ-  
ების ტემპს მე-19 საუკუნის ნახევარში, იმ გავლენის მოცულობას, რო-  
მელიც მოიპოვა ჩვენში რუსეთისა და უცხოეთის კაპიტალმა. გავლენის  
ასპარეზის ზრდა, ცხადია, ამავე დროს გულისხმობდა კაპიტალის ექს-  
პლოატატორული ტენდენციების გაძლიერებასაც.

განსაკუთრებით ფართოვდება ჩვენში სავაჭრო ურთიერთობა ვო-  
რონოცოვის კავკასიაში მეფის მოადგილედ დანიშნვის შემდეგ. ვო-

\*) Н. Шавров. „Обзор производительных сил Кавказского наместничества“. 1880 წ. გვ. 343.

რონცოვი დიდათ იყო დაინტერესებული რუსეთის კაპიტალისტების, ფართო ესპარეზი მოეპოვებია ამიერ-კავკასიაში, მტკიცე ეკონომიკური დაფუძნებით დაეკავშირებია იგი რუსეთთან და ამ სახით დახმარებული მშობლიურ ბურჟუაზიას. აღნიშნული პოლიტიკურ-ეკონომიურ პრაქტიკის შედეგად იყო ის ღონისძიებები, რომლებიც ჩაატარა ვორონცოვმა ამიერ-კავკასიაში, რაც მდგომარეობდა იმაში, რომ შემოიღო ნაოსნობა საქართველოს მთავარ მდინარეებზე, დააწესა გემების სისტემატიური მიმოსვლა შავსა და კასპიის ზღვებზე, შეაკეთა სამხედრო გზა, გახსნა ტფილისში რუსეთის ფაბრიკანტებისათვის დეპო, დააარსა „პრიკაზი“ და სხვ.

თავისი სამეურნეო პოლიტიკით ვორონცოვი ხელს უწყობდა აგრეთვე სოფლის კაპიტალიზაციის პროცესსაც. სასოფლო მეურნეობის მთელმა რიგმა დარგებმა სავაჭრო კაპიტალისტური ხასიათი მიიღო. 1850 წ. დაარსებულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წესდებაში საზოგადოების მიზნად დასახული იყო „შემამელობა სასოფლო ნაწარმოებთა გასასაღებლად“ და „დამხარისხებულების გამოწერა ადგილობრივი მხარის იმ ნაწარმოებთათვის, რომლებსაც ხმარობენ ჩვენი ფაბრიკანტები, როგორც არის თუთუნის, მარენის, აბრეშუმი, მატყლი და სხვ.“.

ყველა ეს ფაქტები გარკვევით დაბარაკობდა იმის შესახებ, რომ ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ბატონყმურ ნატურალურ ფორმებში უკვე ძალუძად შეიქრა კაპიტალისტური ურთიერთობის დამახასიათებელი ფაქტორები, რამაც საგრძნობი ვახადა ძველი ეკონომიური სისტემის რღვევისა და დაცემის პროცესები.

მე-19 საუკუნის 40-იან წლებიდან კავკასიაში რუსეთის ბატონობის ისტორიაში იწყება ახალი პერიოდი. ამ დროსათვის ძირითადად უკვე მოთავებული იყო კავკასიის დაპყრობა. აქა-იქ ჯერ კიდევ დარჩენილი სახანოები თავისი დამოუკიდებლობის უკანასკნელ დღეებს ითვლიდნენ. ამ პერიოდიდან რუსეთის მთავრობა საგარეო დაპყრობითს ფრონტთან ერთად კავკასიაში „სათანადო“ ყურადღებას აქცევს საშინაო ფრონტსაც. იბადება აზრი იმის შესახებ, რომ მრავალფეროვანი საშუალებებით და არა მარტო სამხედრო ძალით მომხდარიყო თვითმპყრობელური რუსეთის კოლონიალური პოლიტიკის გატარება კავკასიაში.

1845 წელს კავკასიაში მეფის მოადგილედ დანიშნულმა ვორონცოვმა თავისი მოქნილი და მოხერხებულო პოლიტიკით კავკასია მტკიცედ დაუმკვიდრა თვითმპყრობელურ რუსეთს. ვორონცოვი, მსავსააღ თავის წინამორბედ მმართველობისა, როდი ჩქარობდა კავკასიაში თვითმპყრობელობის კოლონიალური პოლიტიკის ერთბაშად გატარებას. „ყოველი ცვლილება და ყოველი ახალი რეფორმა, რომელიც საუკუნოებით შექმნილ ჩვეულებებსა სცვლის, ყველგან არაჩვეულებრივ სიძნელეს წარმოადგენს ცხოვრებაში გატარების დროს; განსაკუთრებით კი ამ მხარეში. ამისათვის ამგვარ შემთხვევაში საჭიროა დიდი სიფრთხილით მოქმედება.“

ედლებითი ზომები არა თუ არ მოიტანენ სარგებლობას, — ამჯერად შესაძლოა გამოვიღონ ფრიად საზარალო შედეგებიც, — სწორედ ვორონცოვის იმპერატორ ნიკოლოზ პირველს \*). ვორონცოვს მკაფიოდ უნდა ესმოდა ვორონცოვში, თავისი პოლიტიკური მოსაზრებები, რაც გულისხმობდა მისი პოლიტიკის მიზანმიმართულ მმართველთა უხეირო პოლიტიკის შეცვლას (ამ უხეირო პოლიტიკამ საქართველო გადააქცია ჩაუჭრობელ აჯანყებათა კერად). ვორონცოვმა, როგორც „განათლებულმა“ ბიუროკრატმა და თვითმპყრობელობის აგენტმა განიზრახა ემოქმედნა უფრო მოხერხებული და მოქნილი საშუალებებით, იგი ნათლად ხედავდა, რომ თავისი საკმაოდ რთული საპასუხისმგებლო პოლიტიკის გასატარებლად ესაჭიროებოდა ადგილობრივი ძალა, რომელზედაც დაეყრდნობოდა. ამისთანა ძალად ვორონცოვმა საქართველოში დაინახა თავად-აზნაურობა, რომლის მოთვინიერებაზედაც მან განსაკუთრებული მზრუნველობა დაიწყო.

ქართველი თავად-აზნაურობის რუსეთის თვითმპყრობელობასთან დასახლოებლად ვორონცოვმა დიდი „დოზით“ ისარგებლა კულტურული საშუალებებითაც. ქართული თეატრი, ჟურნალი და სხვა კულტურული დარგები მან გამოიყენა, ნაცვლად ხმლისა და ტყევისა, ქვეყნის დასაწყნარებლად და, დასაუფლებლად, როგორც საუკეთესო იარაღი. ის ცოტა რამ საყენკი, რომელიც მან გადაუფდო ქართველ თავად-აზნაურობას, ვახდა ამ უკანასკნელის სრული დამორჩილების საუკეთესო საშუალებად \*\*).

\*) В. Иваненко, „Гражданское управление в Закавказье“. ტფილისი, 1901 წ. გვ. 349.

\*\*) არ იქნება მართალი, თუ არ აღვნიშნეთ ის გარემოება, რომ ქართველ თავად-აზნაურობაში იყო თითო-ორი პირი, რომელთაც კარგად ესმოდათ ვორონცოვის პოლიტიკის ნამდვილი შინაარსი. ის როგორ ამასათებს ამ პოლიტიკის აღქმასა და რეაქციას კერძო პირების მიერ: „სხვა წარსული მთავარმართველები ხომ გეტყვებდნენ, მაგრამ ისინი უფრო დესპოტურ მშენებლები. მაგრამ ის დრო ვორონცოვის საქართველოში, ჩვენ გამოუცდელებისათვის, სულ სხვაგვარი მოსატყუებელი დრო იყო ვორონცოვისაგან. ისე ამგვარად, რომ ბევრის კაც-კაცობისა აღერსათა. მითომ კაც-კაცობის გვიყენებდა, ნამეტნავად კიდევ უფრო იმით, ვინც რუსეთის ინტერესზე იტყუოდა. ამისთან ხელ-გაშლილი, ჩინება და სხვა ჯილდოს იძლეოდა, თან ბევრი შექცევა და განცხრობა ჰქონდა ხოლმე, სადაც აღტყვევების სიხარულით. გ. ერისთავის კომედიებს წარმოადგენდნენ თვით ვიოტრე ერისთავის ზედამხედველობით და ქართულ ჟურნალსაც ცისკარსაც ვიოტრევე გამოსცემდა და კიდევ რამდენი რამ მოიგონა ვორონცოვმა ჩვენი მოსატყუებელი... ერთობ ქართველებს ისე ეგონათ, საქართველოში სულ ეს ამბავი ასე დარჩებოდა, იმისთანა ჯილდოები, იმისთანა განცხრობა-შექცევანი, იმისთანა თეატრ-ლიტერატორობა, იმისთანა თავისუფლებანი და ამიტომ ვორონცოვის სახელს ადიდებდნენ; ეს რა ლეითორი კაცი მოგვივიდაო. მაგრამ შე გზედმაწვენივთ ვიცილი, ესენები სულ მოწვენივა იყო ვორონცოვისაგან, რომ საქართველოს ხალხი გართულები იყვნენ დროებითად ამებში და მთავრობაზედ კუდი ფიჭი იღარავის არა ჰქონდეს, ამისათვის, რომ ვორონცოვის დროს შიშილი და დაღესტანი გაძლიერებულნი იყვნენ; ქართველების ეშინოდა, მაგრამ ვორონცოვმა იმ თავისი ცბი-

ეკონომიკის მოხერხებულმა პოლიტიკამ თავბრუ დაასხა თვალსაზრისწირს. ამ პოლიტიკამ, როგორც ამას ქვემოთ დაეინახავთ, თავისივე ამ წოდების დაცემა, მისი ეკონომიური განადგურება.

საქართველო კაპიტალისტურ განვითარებასთან ერთად იწვევდა ევროპის „ევროპეიზაციას“. საგრძნობლად შეიცვალა ქართველებისა და, უპირველეს ყოვლისა, თავად-აზნაურობის ცხოვრების წესები. კავკასიის მმართველი როზენი 1831 წ. რუსეთის ფინანსთა მინისტრს სწერდა: „...ევროპამ გააძლიერა ადგილობრივ მცხოვრებთა მოქმედება, გაზარდა საქართველოში მიმოსვლა ევროპასთან და გააცნო ქართველები ფუფუნების სხვადასხვა საგანს. ამ გარემოებამ კი გავლენა იქონია მათი ცხოვრების სხვის შეცვლაზე“ (\*). 1846 წ. გაზ. „Кавказ“-ი უკვე ლაპარაკობს ტფილისზე, როგორც ისეთ ქალაქზე, სადაც ცხოვრება მიმდინარეობს ევროპულ წესებზე, სადაც აშენებულია ქვის სართულიანი სახლები, მოწიფილია ბაღები, დაარსებულია სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივი დაწესებულებები. „ევროპასთან თავისუფალმა ევროპამ ადგილობრივი მცხოვრებნი გააცნო განათლებას და ისინიც, სტრავენ რა აღმოსავლურ ცრუმორწმუნეობას, უახლოვდებიან რუსს საზოგადოებას“ (\*\*)... იგივე გაზეთი იუწყება, რომ ტფილისში შეიძლება შეძენა მთელი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებში ნაწარმოებ საქონლისა. თქვენ აქ (ბლოტის მაღაზიაში) ნახავთ შორთულობა-სამკაულს და ჭკვილებს, რომლებიც მოტანილია პარიზიდან და მარსელიდან, — სტრასბურგის ზაქაპტრებს, ჰავანის სიგარებს და ა. შ.\*\*\*).

კაპიტალიზმის განვითარება თანდათან სპობდა პატრიარქალური ცხოვრების სიმარტივეს. თავად-აზნაურობა ცდილობდა შეეთვისებია ევროპული დროს გატარება, ევროპული ჩვეულებანი. ეკონომიკა ქართველ თავად-აზნაურობას ფართოდ გაუღო თავისი სასახლის კარები: მართავდა წვეულებებს, იწვევდა თავად-აზნაურობას, ნშირად თვითონაც ეწვეოდა ხოლმე მათ და სხვ.\*\*\*\*).

ერლის გონებითა ესეები სულ ჩაშალა და ბოლო დროს ისევ იმ მანებაში დარჩნენ ქართველები, როგორც ადრე იყვნენ რუსებისა... (იხ. საქ. მუხ. წ. კ. გ. ს. ფონდის ხელნაწერი № 1662).

\*) „АКТЫ“ ტ. VIII.

\*\*) გაზ. „Кавказ“ 1846 წ. № 2.

\*\*\*) გაზ. „Кавказ“ 1846 წ. № 46.

\*\*\*\*) ა. დონდუკოვი-კოსაკოვი ა. რომელიც პირველ ხანებში იყო ეკონომიკის ადიუტანტი, ასე ახასიათებს 50-იანი წლების ტფილისის ცხოვრებას: „...ქიაზთან ერთად (ლაპარაკია ეკონომიკაზე შ. რ.) მზავლად ჩამოსულმა და შემდეგშიც სატახტო ქალაქიდან (ე. ი. პეტერბურგიდან შ. რ.) მოწვეულმა ელემენტებმა ტფილისის საზოგადოებაში შეიტანეს ახალი აზრები, ახალი წარმოდგენანი და მისწრაფებანი. ევროპულ კულტურას აუცილებლად უნდა შეაინთქა თანდათანობით აღმოსავლური პატრიარქალური განწყობანი... ამ გარემოების აუცილებელი შედეგი იყო ქალთა დიდებული ტფილეთი და ბრწყინვალეობა საერთოდ მთელი ტფილისის ცხოვრებაში. თდესიდან და

ქართველი თავად-აზნაურობა გაეცნო „ევროპულ“ ცხოვრებას. რუსეთის გზით შემოტანილი ევროპული „ზოდა“ გადაიქცა მის ატვირლებულ მოთხოვნილებად. დროსტარება, უდარდელი ცხოვრება, უფრთხილანაურობამ გადმოიტანა უმთავრესად ქალაქებში, განსაკუთრებით ქალაქებისში.

ძალზე საყურადღებო ცნობები შეგვიძლია ამოვკრიფოთ ნ. ბარათაშვილის, გრ. ორბელიანის, ალ. ორბელიანის და სხვათა კერძო წერილებიდან იმის გასაგებად, თუ რას წარმოადგენდა თავად-აზნაურობა ამ პერიოდში და რა ინტერესები ამოძრავებდა მას.

ერთ-ერთ წერილში გრ. ორბელიანისადმი ნ. ბარათაშვილი ასე ახასიათებს 40-იან წლების ტფილისის თავად-აზნაურულ საზოგადოებას. „თუ ქალაქის ამბავი გინდა, მსწორე ვითხრა, ბევრი ჭირიანობა და ჭორიანობაა. ორივე ერთია. მაგრამ ჭირი ტყუილია ამ ხელად და ჭორი კი მართალი, დიდი დაძვრებაებია ქალებისა, დიდი აყალ-მყალი, დიდი ღამის თევები, დიდი წვეულებები ერთმანეთის ჯავრით... ასეთი იყო მაშინდელი თავად-აზნაურთა წრის ქალებისა და მამაკაცების ცხოვრება. ფუქსავატობა და ქეიფი იყო ეპოქის „სტილი“.

უფრო რელიეფური და დამახასიათებელი გამოთქმებით ამავე მოვლენას გვიხასიათებს გრ. ორბელიანი თავის წერილში ბაბაღე-საგინაშვილისადმი: „აბა ვისა აქვს დრო ტფილისში წერილისათვის და ანუ ვინ მოიკლის ამა უბრალო, უსაამო საქმისათვის? — გონება გართულია სხვადასხვა ფეროვანს ფიქრებში; ზოგჯერ

პარიზიდან ჩამოსტლმა ვაჭრებმა გააგრძელეს ევროპულ ტვალეტთა გემოვნება, რომელიც თანდათანობით სცვლიდა ქართულ ჩაღრს, თავსაყრავს, ლეჩაქს და ქალთა აბრეშუმის ტანსაცმელს, ჩვეულებრივი გულსპირით... საბრალო კვაფერ Blottl-მა, რომელიც ჩამოვიდა ტფილისში მაკრატლებითა და საეარცხლებით, თავისი ცოლის — M-me Virginie-ს დახმარებით მოაწყო ატლეოე და დიდი საეაქრო, რომლითაც ჩამდენიშე წლის განმავლობაში ძალზე გამოიდრდა... აგრეთვე ჩამოვიდნენ პეტერბურდიდან გაკოტრებული რესტორატორები და სხვადასხვა ქვეყნის მრავალნაირი გაიძვრანნი. შვედი და ფლავი, რომლითაც წინათ ჩვენ ვმყოფდებოდით სომხის ბაზრის ღია სარდაფებში და ქალაქის დუქნებში, გუდებიდან კახური ღვინის თანდაყოლებით, შეიცვალა უფრო მიმზიდველი ფრანგული სამზარეულოთი — პირველ ხანებში შეუშინველად მოწყობილ შენობებში, ზოლო შემდეგში კი გადაიქცნენ დიდებულ სასადილოებათ. გამოჩნდა საგრძნობი რაოდენობით ოდესიდან და ვენიდან გამოწერილი თვალწარმტაკი მოკაზმული პორბლებიანი ეტლები. ცხენებზე მჯდომარენი უყვე აღარ მალოდენ სტუმრათ. ბინებში მდარე საბაზრო მორთულობა ჩვეულებრივი ნოხებით, ტახტებით, ხავერდის მუთაქებით, იცვლებოდა ოდესიდან ჩამოტანილი და შემდეგში თვით ტფილისში შექმნილი ძვირფასი მორთულობით და ნივთებით. ძველებური ფარდები ადგალს უთმობდა აბრეშუმის პორტიერებს; სახლებს აშენებდნენ ახალ ყაიდაზე. ტფილისის სოლოლაკის ბაღები უმოწყალოდ იჩენებოდა, სახლების სწორი სახურავი — აიენები, რომელზედაც მზის ჩასვლის შემდეგ ასე უდარდელად გაისმოდა ზურნის ხმა და ქართველ ქალთა ციკვა, ახალი საოთულებიანი სახლების აშენების შემდეგ იფარებოდა კრამიტისა და რკინის სახურავებით... (იხ. А. М. Дондуков-Корсаков. უფრ. „Старина и новизна“. 1902 г. кн. V).

წუხანდელის ბალისათვის, სადაცა გაცვრით თქმულნი ზოგჯერ მატყვე-  
 ბი ანუ ჰკლავს გულსა, ანუ აცოცხლებს და აცხებს სიხაროლით; ანუ  
 ზოგჯერ ფიქრი და პლანი ტუალეტისათვის ამაღამ თქვენს მსოფლი-  
 ელად; და ანუ ზოგიერთის ვიზატი, რომელთანა უხილავად მიიბნის დრო-  
 გულის გასახარებელს ჭორების მოთხრობაში. ვინ მოსთელის ღრიცხვთა  
 მათ მიზეზთა, რომელთა გამო შელანი გამწრაღია დიდბანია საწერელში  
 და კალამი დაკარგული“. ფიქრი ბალებზე, „პლანი ტუალეტისათვის“,  
 „გულის გასახარებელი ჭორები“ — ამაში ხედავდა თავის იდეალს თავ-  
 დავიწყებული თავად-აზნაურობა.

ა. ვ ა ხ. ჯ ა მ მ ა კ უ რ - ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს თავის საპოლემიკო წე-  
 რილში მოჰყავს პლ. იოსელიანის შეხედულება თავიდაზნაურთა-  
 თვის „ევროპული“ ცხოვრების შემოღების აუცილებლობის შესახებ. აი,  
 როგორ მიმართავნა თურმე პლატონ იოსელიანი თავად-აზნაურობას: —  
 „დიდი კაცები ხართ, დიდი გუარის შეილები. მთავრობისა ეწერებში და  
 ბალებში უნდა დახვიდოდეთ. მთავრობასთან ახლოს იყვნეთ, რომ მთა-  
 რობა თქვენზედ კარგის თვალთ იყოს. აი ბედნიერი საქმე ჩვენთვის, ამას-  
 თანავე დიდი გახსნილი სახლები საუცხოვოდ განწყობილი ძვირფასის მე-  
 ბელებით, პარადნის კიბეზე კამერდინერი უნდა იდგეს, კარგი ღირებუ-  
 ლი ეკიპაჟები გქონდესთ, ასორმოცის თუმნის წყვილის ცხენებიცა გქუან-  
 დესთ ეკიპაჟებისათვის თქვენს ლამაზსა მორთულს სახლში შედიოდენ-  
 ვადიოდენ: ღენერლები, პოლკოვნიკები და ყოველი ღირსეულნი კაცნი  
 თქვენს ჭატივის საცემათა. თქვენც, რასაკვირველია, ხომ მორთულები  
 დავუხვდებით ღირებულის ტანისამოსებით, ჩინებულის სერვისითა გემ-  
 რაელსა ყავას შიირთმეცდეთ მოტკბოს კამბეჩისა ნაღბით, თქვენც, ხომ  
 რასაკვირველია იგემბდით კარგის კრენდილებით... ეს ცოტაა. კიდევ  
 ბრძენო ქალნო თქუენი ქმრები არ ვარჯანან, თქუენ მიანც წინ იყავით,  
 სადილები გჰაკეთეთ პარიჟული, ლონდონური, ასეთი რომ ხელმწიფებებს  
 ეკადროდეს...“ აი მთელი პროგრამა „ახალ წესებზე“ ცხოვრებისა. ჭართ-  
 ველი თავად-აზნაურობა ცდილობდა პირნათლად გაჰყოლოდა ამ გზას.  
 მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერად ეს მოითხოვდა მატერიალურად მა-  
 გარ წელს და შემოსავლის უღვეველ წყაროს.

„ევროპული“ ცხოვრების გარეგნულმა მიბაძვამ თავად-აზნაურობა მი-  
 იყვანა თავდავიწყებამდე. როგორც ამბობს გ. წერეთელი, „ქალები  
 გნტაცებული იყვნენ ფრანკულ შლიაპებით, გულდია მკერდის გამო-  
 ჩნით და უცხო ენაზე ლაპარაკით, ოჯახებს სტოვებდენ ბალებში ტან-  
 ცაობის გულისათვის, მოსწონდათ უღვამ ვაჭკიპინებული გვარდიის  
 ოფიცრები და მათთან კეკლუკობა. კაცები კი გულისტგერით მოელოდენ  
 პატიყობის წერილს დიდებულს ბალებში. დამასკარადებში, ეძებდენ შე-  
 მთხვევას ლანცკეხტრ ეთამაშნათ, დიდ ჩინიანებთან თავი გამოეჩინათ და  
 უცხო ენაზე მათთან ლაპარაკით თავისი ევროპულობა დაემტკიცებინათ,

თუმცა მათს გონებას და ჰკლას ევროპის სწავლა-მეცნიერებანი მაკრწკალი ჯერ არც კი მოხვედროდა. განათლების ნიშნით იმათ ეკუთვნოდა ფრაკი და მუნდირი, თუმცა გული და გონება სწავლა-მეცნიერებანი კჭობდათ გააოხიერებულნი. მათი ქალები თუმცა განგებ არყმად იმყოფებდნენ გვირად, მარკიზა დე-პომპადურების დროს რომ იცოდნენ და გულგალიადებულნი დაჰქროდნენ ევრონსოვის ბრწყინვალე ბალებზე და ოაუტებზე, მაგრამ სამწუხაროდ, ჯერ მეცნიერებით ხელშეუზღებელი გრძობა და ჰკლვა მხოლოდ ხეალებში ჩასხდომოდათ და ამის გამო ისინი გააკრესან ბრწყინვალეებას ძვირფასის ცხოვრებისას გაეტაცნა. ამისთანა ფუფუნებაში და ძვირად დამჯდარს განცხრომაში ატარებდა დროს ქალი და კაცი...“<sup>\*)</sup>.

არავითარი მალალი იდეალი, არავითარი საზოგადოებრივი ინტერესი არ ამოძრავებდა თავად-აზნაურულ წრეებს მხოლოდ თავის კუქძო პატივმოყვარობის დამაყოფილებას აქცევდნენ ისინი მთელ ყურადღებას. იმ დროს გახურებული ომი იყო ლეკებთან. თვითმპყრობელური რუსეთი იბრძოდა დაღესტნის დასამორჩილებლად. და სწორედ დაღესტანთან ბრძოლა შეიქნა ის ასპარეზი, სადაც ქართველ თავად-აზნაურობას მიეცა საშუალება „გამოეჩინა“ თავისი თავი, მიეღო ჩინ-ორდენები, რომლისათვის არაფერს არ ზოგავდნენ და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ.

საზოგადოებრივ ცხოვრებას მოკლებული, იდეურად გამოფიტული თავად-აზნაურობა მშვეტურის ნდობით აედევნა „ევროპულ“ ცხოვრებას. ასეთი ახალი წესებით ცხოვრებამ კი ისედაც ეკონომიურად დარღვეული წოდების მდგომარეობა კიდევ უფრო შეარყია! უსაქმო და უდარდელმა ცხოვრებამ თავად-აზნაურობა სრულებით გადაიხვია შრომას, სერიოზულ საქმიანობას. იგი ვაფუქსავატდა, დაკარგა ყოველგვარი შემოქმედებითი შრომის ინტერესი და უნარი. ამავე დროს კი მისთვის საჭირო იყო ფული. ზომაზე მეტ მოთხოვნილებებს ველარ უძლებდა უკვე დაქვეითების გზაზე მდგომი, თითქმის პირველყოფილ მდგომარეობამდე დასული მუწრნეობა.

ევრონსოვმა თავად-აზნაურობისათვის დახმარების მიზნით დააარსა ე. წ. „პრიკაზნი“, რომელშიც თავად-აზნაურობას შეეძლო დაევირავებია ადგილ-მამული ყმა-გლეხობითურთ და სამაგიეროდ მიეღო სესხი. „პრიკაზნიდან“ სესხად აღებული ფული, ნაცვლად სამეურნეო საქმიანობაში მოხმარებისა, იფანტებოდა დროს გატარებაში, „ევროპულ“ კეთილ ცხოვრებაში. „პრიკაზნი“ საყსებით გააძვალტყავა ქართველი თავად-აზნაურობა, დასცა მისი ეკონომიური უნარიანობა. თავად-აზნაურობა ხელგაშლილად აგირავებდა მამულს „პრიკაზნი“, მაგრამ მის გამოყიდვაზე, სესხის თავის დროზე დაფარვაზე სრულებით არ ზრუნავდა. დავირავებული

\*) გ. წერეთელი „ორმოცდასამი წელი ქართლის თეატრის“ ტურნ. „ავალი“ 1893 წ. № 2.



ადგილ-მამული „პრიკაზს“ რჩებოდა ვალში. გარდა „პრიკაზის“ თავად-აზნაურობა დიდად იყო დაავალიანებული ჩაონ-ვაჭრებთან. ეს უკანასკნელნი თავიანთი აგრესიული კომერციული პოლიტიკის გამოებით აირს უთხრიდენ და სრულებით ასუსტებდენ თავად-აზნაურობის ეკონომიურ მძლევობას.

მანამდე საზოგადოებრივი ცხოვრების ხელმძღვანელი თავად-აზნაურობა თანდათან ეცემა. იწყება სოციალური გადაჯგუფება. ახალმა მეურნეობამ წარმოშვა ახალი კლასი — ბურჟუაზია, რომელიც მტკიცე ნაბიჯით ბატონდება ცხოვრების ყოველ დარგში. ამ ახალმა კლასმა დაიპყრო ეკონომიური ფრონტი, დაავალიანა თავად-აზნაურობა და მისი მიწა-წყალი სრულიად უმნიშვნელო ფასად ჩაიგდო ხელში. ბურჟუაზია გახდა აღებ-მიცემობის მეთაური. სულ მალე მის ხელში იყრის თავს მთელი ვაჭრობა.

თვითმპყრობელური რუსეთის ამიერ-კავკასიაში დამკვიდრების პერიოდში ეკონომიურად უფრო ჩამოყალიბებული და შეძლებული აღმოჩნდა ჩვენში სომხის ბურჟუაზია. მთელი ვაჭრობა თითქმის მის ხელში იყო. როგორც ტფილისში. ისე საქართველოს სხვა ქალაქებში ვაჭრები უმთავრესად სომხებისაგან შესდგებოდენ, სომხები არა მარტო ვაჭრობდენ, მათ ხელში იყო აგრეთვე თითქმის ყველა სახელმწიფო-საიჯარო საქმე. სომხის ბურჟუაზიის ძლიერი ეკონომიური გავლენის ქვეშ მოექცა ქართველი თავად-აზნაურობა. სომხის ბურჟუაზიამ კარგად გაითვალისწინა თავად-აზნაურობის „ვერობული“ ცხოვრებისათვის საჭირო მატერიალური საფუძვლის აუცილებლობა და სრულიად მომზადებული შეხვდა ამის თავისებური იარაღით.

ახალი ცხოვრების დაწაფებამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავად-აზნაურთაგან მოითხოვა დიდძალი ფული. ხოლო ფულის საჭიროება თავად-აზნაურობას აიძულებს გლეხობას მეტი ექსპლოატაცია გაუწიოს. თავად-აზნაურობა თავის გაზრდილ მოთხოვნილებებს იკმაყოფილებს უმთავრესად გლეხობის ყვლეფით. ყმა-გლეხობა იძულებული იყო ბატონების სასარგებლოდ ეხადა ორმოცი სახის სხვადასხვა გადასახადი, როგორც ნატურით, ისე ფულით. ახალ ცხოვრებას აყოლილი თავად-აზნაურობა მთელი სიმძიმით დააწვა კისერზე ყმებს, რომლებიც იძულებულნი იყვნენ დაეკმაყოფილებიათ ბატონების უოველგვარი მოთხოვნილება. გლეხობის მდგომარეობა ფრიად უნუგეშო იყო.

თავად-აზნაურობის გაზრდილი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საკმარისი აღარ არის ყმა-გლეხობის უზომო ექსპლოატაცია. ამის შემდეგ იგი მიმართავს მიმუღების დაგირავებას, მათ გაყიდვას. იმან კიდევ უფრო დასცა ეკონომიურად თავად-აზნაურობა. დარჩა უკანასკნელი დასაგირავებელი და გასაყიდი „საქონელი“ — ყმა-გლეხები და მათი ოჯახები. მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ჩვენში ფართო ხასიათს ღებუ-

ლობს ყმებით ვაჭრობა. მაშინდელ გაზეთებში მრავლად წყვეტილით განცხადებას, რომ ყვიდება ესა და ეს გლეხი, ესა და ეს სოფელი ყმებითურთ. მთავრობამ ნება დართო ამ აღებ-მიცემოში, აქვე წაიხარო მოვლენა დიდი ხნის განმავლობაში სულს უხუთაქნა და აჭიკაჭიკებდა გლეხობას.

ასეთია მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების დამახასიათებელი პროცესები. როგორც დავინახეთ, ამ პერიოდში საქართველომ უდიდესი გარდაქმნა განიცადა. თვითმპყრობელური რუსეთის გაბატონებამ ჩვენს ქვეყანაში გამოიწვია სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური შინაარსის ღრმა ცვლილებები. რუსეთის კაპიტალიზმის ზეგავლენით განვითარებულმა ახალმა ეკონომიურმა ფაქტორებმა ხელი შეუწყო ჩვენში, ერთის მხრივ, ნატურალური მეურნეობის რღვევას, მეორეს მხრივ — გაამძაფრა, სოციალური დამოკიდებულება თავად-აზნაურობასა და ყმა-გლეხობას შორის, ხოლო მესამეს მხრივ — გამოიწვია ახალი სოციალური ფენების წარმოშობა და განვითარება.

## 2

დღემდე ქართული ლიტერატურის მკვლევარები, როდესაც არკვევდნ გიორგი ერისთავის შემოქმედებას, ეხებოდნენ მხოლოდ მის დრამატიულ ნაწერებს. ამის შედეგად სრულებით არ არის შესწავლილი გ. ერისთავის პოეზია, რომელსაც თვალსაჩინო მნიშვნელობა აქვს მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის განსაზღვრული საზოგადოებრივ-სოციალური ფენის მოსწრაფებათა და განწყობილებათა გაგების საქმეში. ჩვენი საზოგადოება დღემდე იცნობს გ. ერისთავს მხოლოდ როგორც ნიჭიერ დრამატურგს, ხოლო როგორც ლირიკოსი პოეტი იგი არ არის ცნობილი. კიდევ უარესიც: ბურჟუაზიულ-იდეალისტური კრიტიკის წარმომადგენელს კ. აბაშიძეს გ. ერისთავის პოეზია საერთოდ დიდ უბედურებად მიიჩნია. იგი სწერს: „მართალია (გ. ერისთავი. შ. რ.) ლექსებსაც სწერდა, მაგრამ ეგ ლექსები თითქმის სახსენებელიც არ არიან“<sup>\*)</sup>. კ. აბაშიძის ეს მოსაზრება არაერთარ საბუთზე არ არის დამყარებული. აქ მოსჩანს მხოლოდ კ. აბაშიძისათვის დამახასიათებელი იდეალისტური თეზისაზრისი — იმპრესიონისტული მიდგომა მწერლისა და მხატვრულ ნაწარმოებისადმი.

რასაკვირველია, არ შეიძლება იმის, უარყოფა, რომ გ. ერისთავის პოეზიაში არის ხუსტი ადგილები, ხშირად მის ლექსებს აკლია ფორმალური შემუშავება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი მაინც გვაძლევს საშუალებას გავიგოთ მწერლის და აქედან მთელი საზოგადოებრივი კლასის ფსიქო-იდეოლოგია. გარდა ამისა, არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ პოეზიის გარეშე (რომელიც შეიცავს გ. ერისთავის შემოქმედების პირველ პე-

\*) „აბაშიძის“, ტ. I, გვ. 127.

რიოდს, რამდენიმე ათეულ წელს) შეუძლებელია შექმნა გ. ერისთავის შემოქმედების მთლიანი სახე, მისი სამწერლო კულტურა, მისი შემოქმედებითი ზრდის ისტორია.

გ. ერისთავი თავისი პოეზიის პირველი პერიოდით დაკავშირებულია რომანტიზმის იმ სახეობასთან, რომელიც ფეოდალური არისტოკრატის დეკადანსს გამოჰატავდა ქართულ ლიტერატურაში. თავისი ლირიკული ლექსებით იგი ეხმაურებოდა ა. ჭავჭავაძის, გ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის და სხვა რომანტიკოს პოეტთა შემოქმედებას.

გ. ერისთავი უკვე თორმეტი წლიდან იწყებს ლექსების წერას. ამ ლექსებს იგი უკითხავდა თავის ამხანაგებს კეთილშობილთა სასწავლებელში\*). შემდეგ გ. ერისთავი ლექსების წერას განაგრძობდა მოსკოვში ყოფნის დროსაც (1825 — 1828 წ.). მაგრამ ამ პერიოდის მისი ლექსებიდან არც ერთი არ არის ცნობილი. თანამედროვეების გადმოცემით, აღნიშნულ ლექსებში გ. ერისთავი ეხებოდა უმთავრესად სიყვარულს და საქართველოს წარსულის ქება-დიდებას.

გ. ერისთავის პოეტური მუშაობის პირველი ნიმუში, რომელიც ცნობილია ჩვენთვის, არის „ოსური მოთხრობა“. იგი გამოქვეყნდა ავტორის ხელმოუწერლად „ტფილისის უწყებანის სალიტერატურო ნაწილში“\*\*). ეს პოემა აქ მთლიანად დამთავრებული სახით არ დაბეჭდილა. უნდა ვიფიქროთ, საცენზურო პირობების გამო\*\*\*).

„ოსური მოთხრობა“ გ. ერისთავმა გამოაქვეყნა 1832 წლის თავდაზნაურული შეთქმულების მზადების პერიოდში. პოემაში აღწერილია საქართველოში ლუარსაბის მეფობის დროს შაჰაბაზის შემოსევა და მშობლოსათვის თავდადება ბიძინა ჩოლოყაშვილისა და შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავებისა. ავტორი წარსულს იყენებს აწმყოსთან დასაპირისპირებლად. იგი მისტიკის საქართველოს წარსულს და იქ ხედავს ყველაფერს იდეალურს, გმირულს. პოემაში ალევგორიული ხერხებით მკვეთრ ხაზებშია გაკვლებული ანტირუსული მისწრაფებები\*\*\*\*).

\*) იხ. ამას შესახებ ი. მეუნარგაიას ცნობა — გ. ერისთავი, თხზულებანი. გამ. 1884 წ., გვ. 19.

\*\*\*) იხ. „ტფილისის უწყებანი სალიტერატურო დამატება“, 1832 წ., № 2, 3, 4.

\*\*\*\*) დ. ყიფიანის ცნობით გამოიკვია, რომ „ოსური მოთხრობის“ ავტორი გ. ერისთავია. იხ. დ. ყიფიანი — „მემუარები“. გვ. 141.

\*\*\*\*\*) გაერკვლებულია აზრი, თითქოს გ. ერისთავს დაუსრულებელი დარჩენილდეს „ოსური მოთხრობა“ (იხ. ს. ი. მ. ხუნდაძე „დიმიტრი ყიფიანი — მემუარები“. გვ. 172; პ. ვუგუშვილი „ქართული ეურნალისტიკის სათავეებთან“. „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, გვ. 321). მაგრამ ნამდვილია ეს არ არის 1833 წ. გ. ერისთავმა „კოსტარში“ (№ 4) გამოაქვეყნა „ზარე და ყანიშაი“. ეს ნაწარმოები წარმოადგენს „ოსური მოთხრობის“ გადამუშავებულ და დასრულებულ ვარიანტს. „ზარე და ყანიშაი“-ის პირველი ნაწილი იწყება მოხუც ოსის მოთხრობით ბიძინა ჩოლოყაშვი-



ოკოპოც ცნობილია, 1832 წ. თავად-აზნაურული შეთქმულება, რომლის აქტიური წევრიც იყო გ. ერისთავი, სათავე შეწყობა მასში იყო. აქედან — გ. ერისთავის პოეზიაში ძალუმაღ გვაქვს მისი სულიერი განწყობილება. რომელმაც დაისადგურა მასში შეთქმულების გამოვლენების შემდეგ. გ. ერისთავიც შეთქმულების სხვა მონაწილეებთან ერთად დატუსაღებულ და გასამართლებულ იქნა. ამ დროს ეკუთვნის ლექსი „თ. სვიმონ მაჩაბელს“, რომელშიაც სევდა-მწუხარებასთან ერთად გამოვლენებულია პატრიოტული განცდები.

პოლონეთში გადასახლებული გ. ერისთავი კვლავ განაგრძობს ლექსების წერას. ამ ლექსების თემას წარმოადგენდა რომანტიულ-პატრიოტული მისწრაფებები და უიშულო მოთქმა თავის აწმყო მდგომარეობაზე. ჭაღაქ ვოლკოვსკში ყოფნისას იგი ხშირად იგონებდა საქართველოს, ტფილისს თავის დამახასიათებელი ადგილებით (ყაბახი და სხვ.). მტკვრის გახსენება გ. ერისთავში აცოცხლებდა წარსულის მიმზიდველ სურათებს:

მტკვარო, მდინარეც ჩემს მამულისა  
სად ხარ, რომელსა ხშირად შეგვსამი.  
შენსა მორევში ოდეს ეკურავდი,  
გამვრალეებელი ჭაბუკის გულს!  
სადაც მე — შენსა — მტკვარო, ნელ დინას.  
გჭრებდი და გულის ეპოვებო ლხენას...  
ოდეს ლეილა წარმოსდგებოდა  
მოაჯიროთა, და ანუ, ფანჯრით.  
შენში მყის სახე გამოჩნდებოდა.  
ხშირად ჩრდილსა მის ეუმზერდი ცრემლით!  
მოყვარდა შენის კიბიდან შურა.  
აღმოვიდოდის შენზედა შუე რა,  
შენი ზვირთების მჩქედრი ქუხილი.  
ხან მრისხანება და ხან ჩრჩხული.  
ერთი არს, მტკვარო, ჩემი სურვილი,  
რომ შენით ეშრიტო კიდევ წყურვილი.  
კვლავ დამხატო ლერლას ჩრდილი  
და ადვილსა მის ვიქმნე რჩობილი!  
(„მტკვრისადმი“)

პატრიოტულ მისწრაფებათა საფუძველზე აღმოცენებული სევდა ძალუმაღ იყო შექრილი გ. ერისთავის შემეცნებასა და განწყობილებებში ხშირად იგი მიდიოდა ღრმა მწუხარებამდე:

ლის, შალვა და ელიზბარ ჭინს ერისთავების გამოცემის შესახებ საქართველოს წამახანათ  
აოხრებისაგან გადარჩენის მიზნით, მეორე ნაწილში კი გადმოცემულია სოციალისტური  
ისტორია ხარე და ყანიძათისა, რომლებიც ეკუთვნის ერთმანეთის მოსახარ ოჯახებს.  
პოემა სრულდება ორივე შეყვარებულის დაღუპვით.

ერთ მოქმედება გრძნეულების,  
 ერთა ოცნება, ერთა სიზმარი,  
 დრონი განცხრომის, ნეტარებისა  
 განმიჭრენ, ერთა ღამის ღამპარი.  
 თუმც წეში ჩანვი აწ არს მოწლილი,  
 კარნა ოდესმე მიყვარს მე ეღერა,  
 თანვს მოკიდებულს სიძვედ ტირილი,  
 არ სიხარულის ვაის დამღერა...

(„როზალია ბიშპინგის ქალს“)



ქართული  
 ენციკლოპედია

ქმუნვა და უმეღობა დიდხანს შერჩა გ. ერისთავს. რომანტიუ-  
 ლი ელეგია წარმოადგენდა ამ ხანებში მისი ლექსების დამახასია-  
 თებელ ქანოს. სწორედ ამ ხასიათის პოეტური ნაწარმოებები ქმნიდა იმ  
 ემოციურ ტონს, რომლისთვისაც ნიშნული იყო პესიმიზტური განცდანი.

გ. ერისთავის ადრინდელი ლექსები დაწერილია უმთავრესად მი-  
 მართვის ფორმით. თავის განცდებს და ფიქრებს პოეტი ვადმოგვცემ-  
 და მიმართვის სახით რომელიმე პირობადმი: „თ. სვიმონ მაჩაბელს“,  
 „მტკვრისადმი“, „ყაბახისადმი“, „როზალია ბიშპინგის ქალს“, „ნახვა-  
 მდის“, „ქ. ბ. თ.“, „ფეოდოსია მირუცკას“ და სხვ.

უცხოეთის პოეზიაშიაც ამ ხანებში გ. ერისთავი ეტანებოდა უმთავ-  
 რესად ისეთ პოეტებს, რომელთა ნაწარმოებებიც უფრო სრულად უპა-  
 სუხებდა მის ფსიქო-იდეოლოგიას. ა. მიცკევიჩის, ა. პუშკო-  
 ვის, ვ. პიუგოს, შილერის და სხვა პოეტთა ლექსები, რომ-  
 ლებიც თარგმნა გ. ერისთავმა, ორგანიულად იყო მისული მისი პოეზიის  
 საერთო-რომანტიულ ხასიათთან. ყველაზე მეტი თარგმანი გ. ერისთავს  
 აქვს ადამ მიცკევიჩიდან. მაგრამ აქ საქმე მარტო თარგმა-  
 ნებში არ არის. სრულიად ბუნებრივად ისმის უკვე გავლენის საკითხი.  
 თვით გ. ერისთავის ორგინალურ ლექსებშიაც მოისმის მიცკევიჩისეული  
 პანგები. როგორც ცნობილია, მიცკევიჩი იყო პოლონური რომანტიზმის  
 მამათმთავარი. სოციალური წარმოშობით იგი დაკავშრებული იყო გა-  
 ლარბებულ ფეოდალურ არისტოკრატიასთან. ეს მდგომარეობა ბოლომდე  
 გამოსჭვივოდა მიცკევიჩის მსოფლმხედველობაში. მის სოციალურ და ლი-  
 ტერატურულ შეხედულებებში, რომლებშიაც „დემოკრატიული“ იდეების  
 გვერდით თავისუფლად თავსდებოდა პოლონეთის „შლიახტის“ წარსულის  
 კულტი და განუსაზღვრელი სიყვარული კათოლიკურ ეკლესიისადმი. პო-  
 ლონეთის მიერ დამოუკიდებლობის დაკარგვის გამო და ამ დამოუკიდებ-  
 ლობის დაბრუნების უშედეგო ცდის შემდეგ (1831 წ. აჯანყება) მიცკე-  
 ვიჩი იძულებული შეიქნა გადახვეწილიყო სამშობლოდან. მის პოეზიაში  
 დასადგურებელი იყო პატრიოტული განცდები. იგი მისტიროდა თავის  
 სამშობლოს პატრიარქალურ წარსულის სიღაფეს. შარავანდელით მოსაე-  
 და მას („პან ტადეუშ“, „ძიადი“ და სხვ.). ერთნაირმა საზოგადოებრივმა  
 მღვაწარეობამ და კლასობრივმა ფსიქო-იდეოლოგიამ განსაზღვრა ა. მიც-  
 კის „ნათობი“ № 1.

კეფის გავლენა გ. ერისთავის პოეზიაზე. „პილიგრიმი“ მხატვრის საფლავზე და სხვა ლექსები, რომელიც თარგმნა გ. ერისთავმა, ამავე დროს ლოგაიულად გადატყდა მის პოზიციაში ა. ქრეცქეშელაშვილმა პოეტურ ხაზარმოებებთან ერთად, რომლებშიაც ცენტრსწრის მხატვრულ რომანტიული განცდები წარმოადგენდა.

გ. ერისთავის გადასახლება საქართველოდან, მისი უშუალო დაახლოება ევროპისა და რუსეთის ლიტერატურულ-კულტურულ ცხოვრებასთან მოხდა მე-19 საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში. ეს წლები კი დასავეთ ევროპის და რუსეთის მწერლობაში რეალიზმის განვითარების ხანად ითვლება. გადასახლებაში მყოფ გ. ერისთავს საშუალება ჰქონდა ახლო გასცნობოდა იმ ლიტერატურულ მოძრაობას, რომელიც რეალიზმის დროში შედიოდა ევროპისა და რუსეთის მხატვრულ მწერლობაში. რეალიზმის ძირითად პრინციპს წარმოადგენდა მხატვრული შემოქმედების დაქვემდებარება სინამდვილისათვის მისი შესწავლისა და ათვისების მიზნით. რეალისტების გაგებაში პირველ პლანზე წამოწეული იყო ლიტერატურისა და ხელოვნების შემეცნებითი ფუნქცია. თანადროულ სოციალური თემატიკისაგან იყო რეალისტური ხელოვნების მთელი გულისყური მიტკეული. სინამდვილის შესწავლის მეთოდით, რომელიც რეალისტების აზრით, საერთო იყო მეცნიერებისა და ლიტერატურისათვის გამოცხადებული იყო დაკვირვება, მსგავსად ბუნებისმეტყველებისა და ფილოსოფიურად გაგებული პოზიტივიზმისა.

რეალისტური შემოქმედებითი მეთოდის დაუფლება დგება გ. ერისთავის წინაშე, როგორც აუცილებელი ამოცანა. ასეთ შემოქმედებითი გადაიარალება მას მტკიცედ უკარნახებდა ის სოციალურ-კლასობრივი გარემო, რომელშიაც მას მოუხდა ცხოვრება საქართველოში დაბრუნების შემდეგ.

რეალისტურ ხაზს გ. ერისთავის შემოქმედებაში საფუძველი ეძლევა ფეოდალური სისტემის კრიზისში, რომელსაც მეტად მწვავედ გრძნობდნ თავად-აზნაურობის ცალკეული წარმომადგენლები უკვე გასულსაუკუნის 40—50-იან წლებში. ფეოდალურ-მემამულეთა წყობილების გახრწნის პროცესმა განსაზღვრა სინამდვილის შესწავლის აუცილებლობა ფეოდალიზმის კრიზისი ახალი სახით სვამდა ყველა სოციალურ საკითხს. ფეოდალიზმის ნიადაგმორღვეულობა ფაქტი გახდა. წინა პლანზე დგებოდა ამოცანა იმისა, რომ საჭიროა იმ მდგომარეობის შეგროვება, რომელსაც განიცდიდა ფეოდალურ-ბატონყმური ცხოვრება. გ. ერისთავის რეალისტური ნაწარმოებები სწორედ ამ ამოცანას ემსახურებოდა.

რეალისტური ხაზი გ. ერისთავის შემოქმედებაში არაა შემთხვევითი დაკავშირებული თავად-აზნაურული ყოფის სინამდვილის გამოხატვასთან. გ. ერისთავისათვის, როგორც თავად-აზნაურული წარმომადგენლისათვის, აუცილებელი გახდა იმ სინამდვილესთან ახლო მისვლა, რომელიც მას



დახვდა თავის სამშობლოში. თანადროულობისაგან არა გაქცევა, აი-მედ მისთვის პირდაპირ თვალების გასწორება, მასზე დაყრდნობით, მისი შესწავლით, მისი ანალიზით გამოჩნება ისეთი ვხვების, რომლებიც უწინ-ველყოფენ თავად-აზნაურობის მდგომარეობის განმტკიცებას, მდგომარეობის, რომელიც ძალზე შერყეული იყო კაპიტალისტური ურთიერთობის მოწოდების შედეგად. კონკრეტულმა ისტორიულმა პირობებმა გ. ერისთავს გამოუმუშავა რეალური ცხოვრების მოვლენებზე დაკვირვების უნარი. ახალმა სინამდვილემ მას ბევრი რამ შეასწავლა, ბევრი რამ შეაგნებინა.

პირველი ნიმუშები სინამდვილისადმი რეალისტური შემოქმედებითი მეთოდით მიდგომისა გ. ერისთავმა მოგვცა ლექსებში: „დედა და ქალი“, „ფიჭრი ყმაწვილი ქალისა“ და სხვ. ამ ხასიათის ლექსებით უკავშირდება გ. ერისთავი თავის შემდეგდროინდელ კომედიებს.

რეალისტურ ლექსებში გ. ერისთავი გვიხასიათებს ახალ ვითარებაში წარმოშობილ საოჯახო-ყოფითი შეხედულებებს, რომლებიც შემუშავდა თავად-აზნაურულ წრეებში. ყველა მისისწრადის, რომ თავისი ქალი ცოლად მისცეს დიდი თანამდებობის კაცს, არავითარი ყურადღება არ ექცეოდა წლოვანებასა და გრძნობას. დედები თავიანთ ქალებს ამზადებენ „დიდ იანარლისათვის“ საცოლოდ. დედა ასე ეაღერება თავის ქალს:

სულს ჩემს ნუგეშო, სიცოცხლევ ჩემო თვალო,  
როგორც რომ განდოდა გიშოვე კარგი ქმარი:  
ხაიღარი, დიდი კაცი, მშვიდი, კეთილი, წყნარი.  
ჯერ არის პოლკოვნიკი, მაგრამ იანარალობას  
თოვლის ერთ თვეს უკან, და სხვა მრავალ წყალობას...  
მალეც დაგიძახებენ ტფილისის კამენდანტსას...  
ჩუკ არ დაგანწვედევს, როგორც რომ ჩვენსა მაშას.  
თითონ შენ გააკეთებ ვეჩერებსა და ბალებს,  
ერთი სიტყვით, სიშურით მტრებს დაუყენებ თვალებს.  
ნეტა როდის იწნება კალასკით ვიზიტობდეთ,  
ფეშანგის მალაზინში ბილეთებს ვყიდულობდეთ.  
გოსტინაში სანთელი მოსკოვისა აგვენთოს,  
ჩენი ბიჭი საქუა ლიბერთით მოგვერთოს!..

(„დედა და ქალი“)

აქ პირდაპირ სინამდვილიდან ამოღებული სურათია, სრულ რეალურ ხანებშია გადმოცემული თავად-აზნაურული დედების ეიწრო-მეჩმანური სულსკვეთება.

აგერ კიდევ მეორე დედა უსაყვედურებს თავის ქალს:

უიმე! თქვენ გენაცვალეთ, ხედავთ სულელსა,  
ქმად იწუნებს ტატუცი დიდ იანარალსა,  
ვარსკვლავი აქვს ვულზედა, ველზედა ჯვარები...

(„დედა და ქალი“)

აი, ასეთი იყო მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ფოდალურ-არისტოკრატიული წოდების დედების სურვილები. გ. ერისთავმა კარგად შე-

ნიშნა თავად-აზნაურული ოჯახების ეს დამახასიათებელი მითითებით მოსწრაფებანი.

კომედია-პოემა „შეშლილი“ ამ გარდამავალი პერიოდის ნაწარმოებია როგორც ლიტერატურული მიმართულების, ისე ეპოქის მხრივ, მასზე ჯერ კიდევ საგრძნობია რომანტიზმის ელემენტები, თუმცა ამავე დროს დასახულია სინამდვილის რეალისტური ათვისების გზები.

„შეშლილში“ დასურათებულია მე-19 საუკუნის 50-იანი წლების ტფილისის წვრილბურჟუაზიულ-მეშინაური საზოგადოება თავისი ყოველდღიური უაზრო და უმიზნო ყოფით. ამ წრეების ცხოვრებისათვის დამახასიათებელი იყო ცრუმორწმუნეობა, კორიები, დესპოტიზმი ოჯახურ ურთიერთობაში, საღი პრინციპებისა და იდეალების უჭონლობა და სხვ.

რეალისტურ შემოქმედებითს მეთოდს გ. ერისთავი სწორედ ამ ცხოვრების ასახავად იყენებს. ეს სინამდვილე მის კალმის ქვეშ ძალზე უარყოფითი სახით მოჩანს.

გ. ერისთავის ამ პერიოდის ლექსებში უკვე ვამჩნევთ ერთგვარ ცვლილებას სტილისა და ენის მხრივ. ამ უკანასკნელი ნაწარმოების („დედა და ქალი“, „ფიქრი ყმაწვილი ქალისა“, „შეშლილი“ და სხვ.) ენა სადაა და საგრძნობლად განირჩევა არა მარტო სხვა მის თანამედროვეთა მწიგნობრულ-საეკლესიო ენისაგან, არამედ თვით მისი ადრინდელი ლექსების დამახასიათებელი არქაული, ძალზე მძიმე და მოუქნელი ენისაგან. აქ უკვე ნათელია ენის გასადავების ტენდენცია.

## 3

გ. ერისთავის შემოქმედებითი განვითარება განსაზღვრული იყო მემამულეთა ყოფით. ფეოდალური ურთიერთობის ნგრევასთან არის დაკავშირებული ძირითადი პრობლემები, რომლებიც აღელვებდნენ მწერალს. მისი პიესები გვიხატავდა ნატურალური შეფურცობის რღვევას, თავად-აზნაურობის დაცემის და სავაჭრო კაპიტალის განვითარების პროცესებს.

ამბობენ, რომ გ. ერისთავმა მეტად ფართოდ დაგვიხატა რეფორმის წინააღობის მდელი ცხოვრებაო. ჩვენის აზრით, ეს არ არის მართალი. მან უმთავრესად თავად-აზნაურობის ყოფის არეში შეგვიყვანა. გ. ერისთავის შემოქმედება არ იცნობს ყმა-გლეხობას, ან, თუ სადმე გამოჩნდება, ეს მხოლოდ სხვათა შორის. ყმურ მდგომარეობაში მყოფ ფენიდან იგი გაკერით შევსო მხოლოდ ხელზემოსამსახურეთ, რომლებიც მუდამ ბატონის ირგვლივ ტრიალებდნენ და რომელთაც თითქმის კიდევაც დავიწყებული ჰქონდათ თავიანთი კლასობრივი მდგომარეობა და ინტერესები. ამათ გარდა გ. ერისთავმა გვიჩვენა ჩარჩ-ვაჭართა და მოხელეთა წარმომადგენლებიც.

გ. ერისთავმა დაგვიხატა მემამულეები, რომლებსაც არ ჰქონდათ ვაჭარული კავშირი თავიანთ სამფლობელოსთან და რომლებიც უფერუ-

ლად ასრულებენ თავიანთ ცხოვრებას. გ. ერისთავმა რეალურად განიხილა მათი ყოფის პატრიარქალური საფუძვლების დანგრევა..

ყველაზე მეტ მასალას ფეოდალ-მემამულეთა ცხოვრების შესახებ თებლად იძლევა კომედია „დავა“ ანუ „ტოსკა და ზაპეტაჰა: „МѢСЯЦА““. სწორედ ამ კომედიებშია თავადა-ზნაურობის ყოფის დეფორმაცია რეალურ სახეებში მოცემული. ამასთანავე სწორედ ეს კომედიებია გ. ერისთავის ნაწარმოებებს შორის ყველაზე უფრო სრულყოფილი დრამატურული ნაწარმოებები.

მაგრამ გ. ერისთავის ამ კომედიების ასეთ შეფასებას ადრევე მოწინააღმდეგენიც გამოუჩნდნენ. გ. წერეთელმა თავის ერთერთ წერილში გ. ერისთავის კომედიები ძლიერ დაბლა დააყენა. მისი აზრით, „დავა“-ში მოქმედების მაგიერ სრული უმოძრაობაა და პიესა საესეა ბაზრული სცენებით: „.....დავა“ როგორც კომედია, არც კი ღირს ლიტერატურაში მოსახსენებლად, ამიტომ, რომ ის სრულებითაც არ არის კომედია. ეს არის მხოლოდ ქუჩიდან მოგროვილი სცენები ვადამბული ერთად, ღმერთმა იცოს, როგორ. იმაში არ იპოება იოტის ოდენა მოქმედება. აქ სრულებით არ არის დრამული გარემოება... ამ სახით „დავა“-მ კიდევ უფრო ცხადად დამიმტკიცა, რომ ჩვენ ჯერ ქართულს ენაზე კომედია არა გვაქვს და ჩვენი დრამული რეპერტუარი მხოლოდ ვანკერძოებულის სცენებისაგან არის შემდგარი. ამათში ზოგია კარგი მოხერხებული და მომეტებული ნაწილი კი ქონაობას და ყველიერის თამაშობას წარმოადგენს... „დავამ“ ნამდვილად დაამტკიცა, რომ გ. ერისთავს სრულებით არ შეუესწავლია ჩვენი ცხოვრება, ის თითქმის მთელ თავის სიცოცხლეში თავის ოთხ კედელში ყოფილა გამომწყვდეული და ხანდახან, როცა ქუჩაზე კაცების ლაპარაკის ხმა მოსმენია, ფანჯრიდან გადმოუხედავს, რომ სარქისა, ანუ კარაბეჯა სომხები დაგრებილათ ლაპარაკობენ, იმერელი ლომინ სჯის ტფილისის ქალაქზე სულ მიჭყეული კილოთი, ქართლელი ფხვმოკეცილი მასლაათს ეწევა. აი ცხოვრებაც ეს არისო, უფიქრნია და კომედიებში მთლად ეს გარეგანი სახე დაუხატავს. ამიტომაც იმის კომედიებში ჩვენი ცხოვრება მხოლოდ ტანსაცმელით და ლაპარაკის კილოთი იცნობება, მეტი არაფრით“ \*). ბოლოს, გ. წერეთელი თავის მსჯელობას ანზოვადოებს და იგი გ. ერისთავის მთელ შემოქმედებას ძალზე უარყოფითად წარმოგვიდგენს.

ასეთია გ. წერეთლის მოსაზრებანი. ჩვენი მწერალი და პუბლიცისტი ვერავითარ დადებითს ვერ ნახულობს პირველი ქართველი კომედიოგრაფის შემოქმედებაში.

ჩვენის აზრით, გ. წერეთელი ძალზე გადაჭარბებულად და მიკერძოებით მსჯელობს. იგი სრულიად დაუმსახურებლად ცდილობს დაამციროს

\*) გ. წერეთელი: - „ენაზე და მეწყინა“, „დროება“ 1873 წ. № 9.

გ. ერისთავის კომედიების მნიშვნელობა. ცხადია, „დავა“-ს მიხედვით, როგორც გ. ერისთავის მთელ შემოქმედებას, აქვს სუსტი მხარეები, მაგრამ უფრო მეტია მისი დადებითი მხატვრულ-დრამატურული უნარები. რომ ისე არ იყოს, მაშინ იგი დიდი ხანია დაეწეებოდა მსხვერპელი და ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენდა შემდეგი დროის ქართული დრამატურგიის განვითარებაზე.

თავად-აზნაურულ სინამდვილეს გ. ერისთავი კარგად იცნობდა. მას სრულებით არ სჭირდებოდა ამ სინამდვილის წიგნებით შესწავლა. ამ ყოფის ელემენტები თვითონაც ორგანიზულად ჰქონდა შეთვისებული. ეს იყო მისთვის მახლობელი წრე, რომელშიაც ის დაიბადა და აღიზარდა. თავად-აზნაურულ პერსონაჟებს შორის იგი თავის თავს „შინაურ კაცად“ გრძნობდა. ეს წრე მასზე უშუალო ზეგავლენას ახდენდა, ემსახურებოდა მას ცოცხალ შთაბეჭდილებათა წყაროდ.

გ. ერისთავის კომედიების დოკუმენტალობაზე, კონკრეტულ რეალურ სახეთა გადმოცემაზე თავის დროზედაც იყო მითითებული: „ძველ კაცებს კარგად ახსოვთ ჯერ კიდევ, რომ ერისთავის ტიპები აღებულია ადგილობრივ ცხოვრებიდან. „გაყრა“-ში ავტორმა გამოიყვანა თავისი თავი და თავისი ნათესავები და ნაცნობები. მათი გვარი ზოგიერთს კიდევ ახსოვს“ \*).

საზოგადოება, რომელიც გ. ერისთავის კომედიებშია ნაჩვენები, ცხოვრობდა ბატონყმობის დროს, მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში.

„დავა“-ს პერსონაჟები — ამირინდო და ონოფრე ძველი მებატონეებია. ეს ხალხი დაშორებულია სინამდვილეს (ამ სიტყვის ფართო გაგებით). ისინი ჩაკეტილი არიან ვიწრო პატრიარქალურ წრეში. ცხოვრების, ქვეყნიერების დიდი საკითხები მათთვის ორგანიზულად უცხოა. ისინი დიდ ჩამორჩენილობას იჩენენ ყოველდღიურობაშიაც, გულგრილად უცქერიან ყველა იმას, რაც მათ პირად ყოფაში არ შედის, რაც უშუალოდ არ ეხება მათ ზოოლოგიურ არსებას. ამირინდოსა და ონოფრეს დაკარგული აქვთ სინამდვილის შეგრძნობის უნარი. ისინი ვერ ამჩნევენ, რომ ცხოვრებამ ახალი შინაარსი მიიღო. მთელი მათი ცხოვრების მიზნად გამხდარა ბრძოლა ერთ ნაქერ მიწისათვის. ამირინდოს წარმოდგენით განათლებული კაცი ის არის, ვინც კარგ არხას შეადგენს. მისი იდეალია მისმა შვილმაც არხის წერა იცოდეს. თითოეული მათგანი ყოველნაირად ცდილობს შეავიწროვოს მეორე. მოიგოს საქმე და არაფერს იშურებს, ქრთამებს სარის ყველას. ვისაც რაიმე დამოკიდებულება აქვს სადავო საქმესთან. მოხელეებიც მოხერხებულად სარგებლობენ ამ ორი მებატონის უფიქრობით. თითოეული მათგანი ქონებრივად იღუბება იმის გულითათვის, რომ მეორემ არ აჯობოს, რომ თავისი მოწინააღმდეგე არ გააბა-

\* იხ. მკითხველი, (გ. თუმანიშვილი) „პირველ ქართულ პიესაზე“. „თემი“, 1912 წ., № 58.

როს. ამირინდო პირდაპირ ამბობს, რომ ას მანეთს კი არა, ათასს მოსკეს, ოღონდ ონოფრე ცარიელ-ტარიელი გაუშვავო. იგი მზადაა თავისი თავი დაღუპოს, ოღონდ ონოფრე არ დარჩეს გამარჯვებული. *არქანჯელი*

„დაეა“-ში, ზემოაღნიშნული ორი მებატონის გარდა, *სტეფანე* და *სამარია* - ენციკლოპური თავადაზნაურობის სხვა წარმომადგენლებსაც: იაია კიორელს — ამირინდოს მეგობარს და ლომინ გოდაბრელიძეს — იმერულ აზნაურს.

შეაცვალა ძველი ცხოვრება.. ბურჟუაზიული წესები გაბატონდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იაია კიორელი ტფილისში ყოფილა მაშინ, როდესაც იგი საქართველოს სხვა კუთხეთაგან ისე თვალსაჩინოდ არ განსხვავდებოდა. ახლა კი, მეორედ ნახვის ეპოს, უკვე აკვირვებს მას, როგორც ტფილისის გარეგანი სახე, ისე ის ცვლილებანი, რომელნიც განუცდიდათ მის მცხოვრებთ. კიორელს აკვირვებს ის გარემოება, რომ აქ აღარაა „სალაყბო“, არა თუ აღარ არის, არც ეინმემ იცის, თუ ოდესმე არსებობდა; ქალაქი გაზრდილა, დიდი სახლებით შემკობილა, მათში მრავალი ოთახებია და სხვ. იაიას აკვირვებს ახალგაზრდანიც, რომელნიც „ნემეცების მღვდლებსა დამსგავსებია“.

ამ ამბების გაგონებით დიდად გაოცებულია ძველი ცხოვრების მოტრფიალე ამირინდოც: „მაშა არ წამიწყდება, სხვა ხალხი თუ მოსულა: იქნება უკუღმა გადატრიალდა ქვეყანა, მე არ მესმის მამაჩემი არ წამიწყდება!..“

პატრიარქალურ-პრიმიტიული ცხოვრების მოტრფიალეთათვის მართლაც რომ გაუგებარი იყო ის სიახლე, რომელიც თან მოჰქონდა კაპიტალისტურ ურთიერთობას. თითონ ამირინდო მთელი ოცი წლის განმავლობაში არც კი ყოფილა ქალაქში.

ლომინ გოდაბრელიძეც, ვაკვირვებით შეკუთრებს ტფილის-ქალაქს. კაცი მეოთხე ცოლის შერთვას ფიქრობს და ამავე დროს ისე ყოფილა თავის ნაჭუჭში ჩამალული, რომ ამ ხნის განმავლობაში ქალაქი პირველად ინახულა. მისი საუბარი ამირინდოსთან ტფილისის ნახვის შესახებ ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს, თითქოს ეს ადამანი ეს-ეს არაა ვაზნილა ამ ქვეყნად და თვალის გაბელის შემდეგ გარემოს დანახვა დიდ გაკვირვებას იწვევს მასში. იგი სრულებით ვერ ერკვევა მის გარშემო არსებულ სინამდვილეში. მისი თხრობა ტფილისის შესახებ რალაც ზღაპრულ სახეს ატარებს: „ქვე არ მოგახსენე, რომ ამ ჩემს ქუდზედ სულ მთელი ტფილისი დატევეოდა (მოიხდის ქუდს), რაეც ბაბუასაგან გამეკონა. ახლა, ბატონო, გეზილა, გაფსილა, გამშვენიერებულა, ფრთები ყველგა, ეორი დღის სარიონებელი შექნილა, გაღმა, ეი, და გამოღმა... მარამ საკვირველი მითხრეს, შუა დღისას რაეც ზუღშეა გვილებს დრიგინს, მაშინვე ეტიზრდება თურმე ქალაქი. დედა! დედა! რაეა მიუწითომელია ეს საქმე!“

ლომინ ვოდაბრელიძე სრულ უეცობასა და ჩამოხრებითი სიძულეს იჩენს ელემენტარულ ამბებშიაქი. მისი მსგავსი მაშინდელ სტეფანოვს უფროსად საკმაოდ ბევრი ჰყავდა.

ამირიხლო-ინოფრეების და ქიორელ-გოდაბრელის მსგავსი მსგავსი ათეუ-ბელ თვისებას წარმოადგენს ის, რომ მთელი მათი ცხოვრება როგორც ვარეგან სახეს ატარებს. ისინი მხოლოდ ლაპარაკობენ. მათ არც კი აქვთ შინაგანი ცხოვრება, იმდენად უბადრუტები არიან. ემოციები, რომელთაც ისინი ამჟღავნებენ, მხოლოდ პრმიტიულ ფორმისაა (შიში და მრისხანება). ამ ემოციათა გამოხატვაც მათში ძალზე შაბლონურ ხასიათს ატარებს.

თავად-აზნაურობა კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებას ერ-თობ მოუშხადებელი შეხვდა. მისი კლასობრივი რღვევე აჩქარებული ტემ-პით მიმდინარეობდა. თავად-აზნაურობის ეკონომიურ შევიწროებასთან ერთად დაიწყო ძველი ტრადიციული ოჯახების დაშლაც. ნატურალური მეურნეობის დარღვევამ ოჯახიც დაარღვია. დაიწყო მასში გაყრა.

რას წარმოადგენს დიდებულებიანთ ოჯახი, რომელიც ნაჩვენებია „გა-ყრა“-ში? ან დ უ ყ ა ფ ა რ და პ ა ვ ლ ე პატრიარქალური ცხოვრების მოტრფიალე თავადებია. მათთვის დამახასიათებელია გულგრილი დამო-კიდებულება თავიანთ მეურნეობისადმი და საოჯახო-საწარმოო ცხოვრე-ბისადმი. მათ გარშემო ყველაფერი თვითდინებაზეა დამყარებული. ანდუ-ყაფარსაც და პავლესაც ახასიათებს სისასტიკე და შეუბრალებლობა ყმე-ბის მიმართ, მათი დაუზოგველი ექსპლოატაცია. ისინი თავიანთ ყმებს ხშირად არბევენ და აწიოკებენ და ეს ჩვეულებრივ მოვლენად მიაჩნიათ.

ანდუყაფარი ძველის შეურყვეველი მოტრფიალეა. თავისი ძმის ივანეს განცხადება, რომ უმჯობესია ძმები გაიყარონ და ცალკე ოჯახებად იცხოვ-რონ. ანდუყაფარს დიდ უბედურებად მიაჩნია: „აი, ოჯახის დაღუპვა, გვა-რის დამცირება! გაზარდეთ ყმაწვილები რუსეთში, კარგს რასმე ჰსწავ-ლობენ... აღარც ძმის სიყვარული, აღარც ნათესავისა, არც დედ-მამისა! ნეტავი დამეშავებინოს რაიმე მაინცა... ოჯახი წაეახდინე, ვალი ავიღე? აჰ ჩემი ოფლის სამაგიერო: სახლები არ ვარგაო, გამეყარე, ცალკე უნდა ვიცხოვროვო! ოჰ! რა ცუდი დრო არის ოჯახებისათვის! ტყუილი-ლა არის, უნდა გავეყარო!.. გავეყარო? რაღა ვიქნები! აი თუ შტერი ნიშანს მო-მიგებს!..“

ანდუყაფარ გაურბის ყოველგვარ სიახლეს და გააზრებულ, გონიერ ცხოვრებას. მის შემეცნებაში არ არის დარჩენილი ადგილი რაიმე სერიო-ზული შემოქმედებითი საქმიანობისათვის და მნიშვნელოვან ვალდებულე-ბისათვის. იგი ხელში ჰყავს ჩაქერილი მოურავს ბ ა რ ა მ ს, რომელიც თა-ვის ბატონის სახელით ატყავებს მთელს იმის საყმოს და პირველსავე შე-მთხვევაში მზად არის, თუ თავისი სასარგებლო დაინახა, გაჰყიდოს თავისი ბატონიც და მისი საყმოც. ბარამს ყმა-გლეხობა მეწველ ფურად გაჩე-ნილი ჰგონია, რომლის ხარჯზედაც უნდა იცხოვრონ „დიდებულებმა“:

„შევაწეროთ კაცებში ფული, ერთ ოთხასიოდ თუმანს აკეთონ ხ/ლად. ოთხასი თუმნით აბა რას ბრძანებთ. შენი ქირიზე, თვექონვესული გავგყრიან!“ — მიმართავს იგი ანდუყაფარს.



გ ი ნ ზ ლ ი რ ი უ ს ე ნ ა

უსაქმურობას და ნებეირობას მიჩვეული პარაზიტული კლასის წარმომადგენლები ნადირობაში, ატარებენ დროს და თავიანთი ქორ-მეძებრების მეტი არაფერი არ აწუხებთ. პავლე დიდებულებე პირდაპირ ავადმყოფობაზე არის მისული ნადირობის მანიიფ. მაშინაც კი, როდესაც ძმები იყრებოან და გველა ცდილობს ზედმეტი ქონება იოგოს, პავლეს ფიქრი მხოლოდ მაჭუტაძის გამოგზავნილ ქორისაკენ არის მიპყრობილი.

როგორც ანდუყაფარის, ისე მისი ძმის პავლეს გონებრივი ავლადიდება სრულ არარაობას წარმოადგენს. ანდუყაფარს მთელ თავის სიცოცხლეში საჭებურად ის აქვს, რომ ოდესღაც მოზღოყამდის მიუღწევია. ამას იქით მისი გეოგრაფიის ცოდნა არ მიდის.

ანდუყაფარ-პავლეებისათვის დამაბასიათებელია ცხოველური არსებობა, სულიერი და ზნეობრივი დეგრადაცია. მაგრამ ეს არ არის მარტო მათი ინდივიდუალური სიმანხინჯის შედეგი, იგი უმთავრესად გამომდინარეობს სოციალური არსებიდან. არ უნდა დაგვევიწყდეს ის გარემოება, რომ ისინი ეკუთვნოდნენ დაკუმის გზაზე დამღვარ კლასს. ყოველგვარ შემოქმედებით მნიშვნელობას მოკლებული კლასი მასიურად გაზარმაცდა და გამოთაყვანდა. მისი ცხოვრება, მოკლებული სერიოზულ ინტერესებს, გადაიქცა უაზრო და უშინაარსო ყოფად. ძმები ვერ შეთანხმებულან უბრალო შუშის გაყოფაში და საქმე იმით თავდება, რომ მას იქვე მიღწევენ; ერთი ძველი მუთაქის გაყოფის გამო მთელი შეხლა-შემოხლა იმართება, არც ერთ ძმას არ უნდა დაუთმოს მეორეს მუთაქა და ბოლოს იძულებული არიან შუაზე გასჭრან.

ანდუყაფარ, ონოფრე, ამირინდო, პავლე და სხვანი თავად-აზნაურობის ძველი თაობის, „მამების“ წარმომადგენლები არიან. ისინი უფერულად ასრულებენ თავიანთ ფიზიკური არსებობის წლებს. მაგრამ თავად-აზნაურობა მარტო მათგან არ შესდგებოდა. იყვენ აგრეთვე „შვილები“ — ახალი თაობა, რომელიც რამდენადმე განსხვავდებოდა „მამებისაგან“ — ძველი თაობისაგან. ესენი არიან ბ ე გ ლ ა რ, მ ი ხ ე ი ლ („დავა“) და ი ვ ა ნ ე („გაყრა“). მათ განათლება რუსეთში აქვთ მიღებული. დიდ სურვილებს ამჟღავნებენ, მაგრამ საზოგადოების სასარგებლო საქმეში კი ვერ იყენებენ თავიანთ სწავლა-განათლებას. მათში სჭარბობს უპრინციპობა, ნების სისუსტე, პრაქტიკული ცხოვრებისათვის უვარგისობა. დიდი საჭმეებისათვის თავის არიდება და სხე.

გავეცნოთ, თუ რა ფიქრები უმოძრავებს გონებას ბეგლარს, როდესაც იგი პირველად ჩამოდის საქართველოში განათლება-მიღებული:

დღეს ედგევიარ მე აწ ახლად შობილსა,  
 ეხედავ რა სახლსა ჩემი მშობლინა.  
 დღეს ვიწყებ ახლად სოფლის ცხოვრებას  
 და მისთა ვნებათ ზღვის უღელვარებას,  
 უნდა ვიბრძოლო მე სუსტის მკლავით...



ერყენული  
 ბიბლიოთეკა

ბეგლარს შეგნებუ... აქვს ის გარემოება, რომ ცხოვრებაში „სიახლის“ შესატანად საჭიროა ბრძოლა, რომ მას შეხვედება წინააღმდეგობა და სხე-უნდა გვეფიქრა, რომ ზემოთ ნათქვამ სიტყვებს იგი მიაყოლებდა უფრო პრაქტიკულ, რეალურად ცხოვრებაში გამოსაყენებელ აზრებს, მაგრამ რას ეხედავთ? ნაცვლად ამისა მის გულში იბუდებს გაუბედაობა, სასოწარკვე-თილება. მას ეკარგება რწმენა თავის თავში:

იჭნება ბედმან, თვალით ვერ მხედმან,  
 ჭდროოდ მოსთელსა ჩემი ცხოვრება.  
 იჭნება ერთა, გონების მტერთა,  
 მოსწამლონ ჩემი ნიჭიერება...

ჯერე ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს ცხოვრებაში და უკვე შიში, თრთოლეა. ცხადია, ასეთი განწყობილებით მისელა ცხოვრებასთან უკვე ნათელს ხდიდა, თუ რა შედეგი უნდა მოჰყოლოდა მას. ასეთი ადამიანი, რასაკვირველია, ვერ გამოდგებოდა პრაქტიკული მოღვაწეობისთვის. მართალია, მას არ მოსწონს ცხოვრებაში ზოგი რამ, მაგრამ იმდენად სუსტია, რომ ვერ უწევს მას წინააღმდეგობას, ვერ სახავს რეალურ გზას ამ პირობებისაგან თავის დასაღწევად. ამ მდგომარეობაში მყოფი ბეგლარი მთლიანად ექცევა სანტიმენტალური გრძნობების ტყვეობაში, ცდილობს განზე გაუდგეს არსებულ სინამდვილეს და იოცნებოს.

სინამდვილესთან შეგჯახებისას ბეგლარი ყველგან მარცხდება. საზოგადოება, რომელსაც თითქოს იგი უპირისპირდება, თავის მხრით დასცინის მის უნიადაგო ოცნებას და უპირისპირობას. კიდევ მეტი: ამირინდოების და ონოფრეების საზოგადოება „შავ“ საქმეებსაც აკეთებინებს მას: ბეგლარს, მამის დავალებით, თვით მიაქვს ქრთამი სასამართლოს მოხელესთან, რომ უკანასკნელმა საჩივარი მათდა სასარგებლოდ ვადასწყვიტოს. ამაზე ზორს ვერ წაფილოდა ბეგლარის დამარცხება. აქ ცხადად მოსმანს მისი სიტყვისა და საქმის შეუთანხმებლობა. ბეგლარი ტიპური წარმომადგენელი იყო თავადაზნაურული ინტელიგენციისათვის 40—50-იან წლებში.

მეორე წარმომადგენელი ახალი თაობისა მიხეილია — ონოფრე ხარაძის შვილი. ისიც კულტურის ტანისამოსშია მხოლოდ გახვეული, მის გულს, მის გონებას იგი არ მოჰკარებია. მისი სულიერი ბუნება განათლებას არ ვარდაუქმნია. ისევ ნახევრად ელურია. მისი ოცნებაა სამხედრო სამსახური. „გინდა ქვეყანა უკან ვადატრიალდეს, — ამბობს მიხეილი, — ჩვენთვის, სამხედრო პირთათვის ბურტყელი ბუმბული არის... ჩვენი ქარია-

ნი ხასიათი სჯობს პოეტებისას“. მიზეზილი ზნეობრივი აქტიურობითაღმეტად ღარიბია. მას ბევლართან ერთად ვხედავთ სტრიატის ოთახში მიტანილი ქრთამით.

ქართული

ანგვარად, თაობათა პირველი შეხვედრა ახალი თაობის წინაშე დადარდებით დამთავრდა. მათმა ზერელე ევროპულმა განათლებამ, უნიადგო ოცნებამ ვერ იპოვნა დასაყრდენი სინამდვილეში.

ივანე დიდებულ იძვესაც რუსეთში აქვს მიღებული განათლება. იგი ცდილობს ახალ წესებზე მოაწყოს თავისი ადგილ-მამული და საერთოდ იცხოვროს ახლებურად, ამ მიზნით იგი ძმებისაგან მოითხოვს გაყრას.

ივანეს არ მოსწონს აღარაფერი ქართული. ანდუჟაფარს სახელსაც კი უწუხებს. ქართული ღვინო მხოლოდ „კვასად“ მიიჩნია. იგი ბევრს ლაპარაკობს მეურნეობის, ავრონომიისა და ირიგაციის შესახებ, მაგრამ არასდროს არ ანხორციელებს პრაქტიკულად. სინამდვილეში ივანე მხოლოდ ცარიელი სიტყვების კაცად გვევლინება. ამ ნასწავლ ადამიანსაც სრული უუნარობა და ცხოვრებისათვის მოუშზადებლობა ახასიათებს. არსებითად ცხოვრების წინააღმდეგობათა შებრძოლების მხრით იგი თავისი ძმებისაგან — ანდუჟაფარ-პავლესაგან დიდად არ არის დაშორებული. ყველა ისინი ერთი კომისაგან არიან გამოყვანილი.

სოციალური ურთიერთობის საკითხშიაც ივანე ასევე უნიადგობას და უცოდინარობას იჩენს. იგი არ უფიქრდება ბატონყმობის შინაარსს და ვერც გრძნობს უკვე საკმაოდ გამოაშქარავებულ მის ეკონომიურ არახელსაყრელობას. იგი კიდევ ფიქრობს, რომ ბატონ-ყმური ურთიერთობა დიდხანს ვასტანს, ხოლო თვითონ იქნება „კეთილი“ მებატონე, რომელიც აგურით მოფენილ გზებზე ისეირნებს ვენახში, ყმები კი იმუშავებენ და ნაშრომი მის ბელლებში შევა. იგი ოცნებობს: „კაკაია პოეზია ბიტ ღობრიმ, ხოტ ი ბედნიმ პომეშრიკომ, დაგლოცვენ შენი ყმანი... მეც ვეცდები“. ეს ოცნება, რასაცვირველია, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. ბატონყმური სინამდვილე ხასიათდებოდა არა ასეთი პარმონიული ურთიერთობით, არამედ კლასობრივი ბრძოლით.

ივანე ბევრს ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ ქართველმა ქალებმა სიყვარული არ იციან, ჰყვიდიან თავიანთ თავს და ასევე — მამაკაცი თანხმდება შეირთოს ქალი, რომელიც მისთვის სრულიად უცნობია. მაგრამ ეს განცხადება მხოლოდ ფრაზად რჩება, სულ მალე თითონ იძლევა სრულ უპრინციპობის ნიმუშს. ვალის გულისათვის იგი იძულებულია შეირთოს ვაჭრის ქალი, რომელსაც არც კი იცნობს.

როგორც ვხედავთ, თაობათა შორის კონფლიქტი, თუ ასეთი არსებობდა, არაფერს არსებითს არ შეეხებოდა და არ სცილდებოდა შინაურ არეს, საკუთარი საქმეების უკეთ მოწყობას. ეს იყო კლასის შიგნით წარმოკლებული დახშული თვითკრიტიკა.

ახალ ეკონომიურ ურთიერთობაში ფული შეიქნა ელვითი შემდეგ-  
ფულის წინაშე ქედს იხრიან ძლიერნი ამა ქვეყნისა. ბურჟუაზიამ თანდა-  
თან დაიპყრო მოწინავე ეკონომიური და პოლიტიკური უფლებები. მან  
მოხერხებულად გამოაცალა ხელიდან უსაქმობას და მკონარობას მიჩვეულ  
თავად-აზნაურობას მთელი მატერიალური საფუძველი.

გ. ერისთავმა გარკვეულად აღნიშნა ფულის მეურნეობის ძალა და ამ  
ნიადაგზე ახალი ტიპების წარმოშობა. მან ერთმა პირველთაგანმა შეიყვანა  
ქართულ-ლიტერატურაში ჩარჩული ბურჟუაზია. ეს ტიპები ორგანიზუ-  
ლი მთლიანობით ხასიათდებოდნენ. ისინი ცხოვრებაში სამოქმედოდ გარ-  
კვეული პროგრამითა და დროის შესაფერი პრაქტიკული „ფილოსოფიით“  
მოქმედებდნენ. ესენი არიან მიკირტუმ ტრ და ტოვი, კარაპეტ  
და ბალოვი; მარტირუზ რიბნიკოვი, ივანე  
მინასოვი და სხვ. რომლებიც ჯერჯერობით წვირილ საქმეებს სჯერო-  
დებიან, ეწვეიან მევანშეობას, ცდილობენ კეთილგანწყობილება დაიკა-  
ვონ ჯერხანად კიდევ გაელენიან მემამულე თავად-აზნაურობასთან. მი-  
კირტუმ ტრ და ტოვისათვის („გაყრა“) მოსწრაფებაა თავისი ქა-  
ლი შუშანა თავად დიდებულადეს მიათხოვოს, რომ ბაზარში „შუშანიკ-  
ქენია“ დაუძახონ. მიუხედავად ამისა, მიკირტუმმა დარწმუნებულია, რომ  
მარტო შთამომავლობა და გვარიშვილობა არაფერს აკეთებს, რომ ეხლან-  
დელ დროში, მისი სიტყვით, „ეს სოფელმა სულ ფული, ფული, სხვა  
ყველამ ტყუილია“...

ფულით იმარჯვებს თვითონ მიკირტუმმა. ფულის საშუალებით მან  
ხელში დაიჭირა დიდებულებიანთ ოჯახი. თუ წინად მიკირტუმსა და მისი  
წრის ხალხს შიში და მორიდება ჰქონდათ თავად-აზნაურობისა, ფულის  
შემწეობით უკვე საგრძნობლად იცვლება მისი მდგომარეობა, ბევრი თავ-  
ვადის ოჯახში ახერხებს იგი „შინაურ კაცად“ გახდომას. მიკირტუმამ  
ფულით მოახერხა დიდებულებიანთ დამოყვრება. თავისი ქალი მან ცო-  
ლად შეართვევინა ივანე დიდებულადეს.

კარაპეტა და ბალოვი კარგად იცის, რომ ფულის ძალა  
განუსაზღვრელია: „...ფული... ყოველი სიხარული! ფულმა... შეაქცევს  
გულმა! ფული გიცხონებს სული!.. როგორ მოტყუილდება კაცი! ბაზარში  
თავი არ მიკვრენ. ასე მიყურებენ, ანზობენ, თუ საწყალი კარაპეტ. ის კი  
არა თუ კარაპეტა მეფეა. მეფე არა ვარ?... აბა ვის უღვას ამისთანა ოჭ-  
როს ტახტი? მეფე ვარ რაღა! გაგიგონიათ ოჭყალი ჯადო რომ იყო, ისე  
ექი: სოფელი თავდაყირა უზამ“... კარაპეტასათვის ნათელია, რომ ფუ-  
ლის საშუალებით შეიძლება რკინის გზის გაყვანა, თეატრის აშენება,  
კეთილშობილ მოქალაქედ გახდომა და სხვ.

ფულის ძალით განისაზღვრება ამ ხალხის ქცევა და შეხედულება. პირ-  
ველ პლანზე მათ ცხოვრებაში წამოწეულია ფულის შეძენის სურვილი.  
იგი გამზდარა მათი ცხოვრების მიზანი. ფული არის ძლიერება, გავლენა

მომნიჭებელი. ფულის საშუალებით ყველაფრის მიღწევა შეუძლებელია ამ ქვეყნად. ასეთ შეზღუდულებას ტრდატოვ-დაბალოვებს უკარნახებს თვით კაპიტალიზმის ბუნება. ახასიათებდა რა ამ პერიოდს, კარაპეტამ წაწერა: „ყველაფერი ის, რაც ჩვეულებრივად ადამიანებს წარმოადგენილი ჰქონდათ, როგორც არა სავაჭრო რამ, ხდება გაცვლა-გამოცვლისა და ვაჭრობის საგნად, იქცა საქონლად. ქველმოქმედება, სიყვარული, რწმენა, ცოდნა, სინდისი, — ყველაფერი ეს გახდა ვაჭრობის საგნად“...

ფულმა შეუწყო ხელი ბურჟუაზიაში განსაზღვრული მორალის გამო-მუშავებას, მის საფუძველზე შეიქნა ვაჭრის სპეციფიური დამოკიდებუ-ლება ოჯახისადმი, სხვადასხვა კლასის წარმომადგენელთადმი და ა. შ. ზარზ-ვაჭრების ხასიათის ძირითად დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს ანგარიშიანობა, მტაცებლობა, თავისი მდგომარეობის აზრიანად და სარ-გებლიანად გამოყენება. ყველა ეს ადამიანები უდიდესი პრაქტიკოსები არიან, რომელთათვისაც მატერიალური ინტერესები ყველაზე წინ დგას. მათთვის უცხოა სანტიმენტალიზმი და განყენებული ოცნება. ისინი ფხი-ზელი რეალისტები არიან, დგანან ფაქტების საფუძველზე, არ ეწევიან ხელგაშლილ, უდარდელ ცხოვრებას, ამჯღავენებენ სიძუნწეს და სხვ.

მიკირტუმ-კარაპეტები უწარსულონი, არაფრის მქონენი გამოდიან ცხოვრების ასპარეზზე. სამაგიეროდ მათ ახასიათებს ცხოვრების რთულ ხვეულებში გარკვევის უნარი, მტკიცე ნებისყოფა და მაგარი ხერხემალი. ამ თვისებებით იბრძვიან ისინი ცხოვრებაში. მათ ბევრი ვაკირვება და დამცირება გამოუვლდათ, მაგრამ ლტოლვა სიმდიდრისაკენ ავიწყებდა მათ ყველაფერს და ამ გზით ბევრმა მათგანმა თავის მიზანს მიაღწია. ი ვ ა ნ ე შ ი ნ ა ს ო ვ ი ს მამა კეცსა ჰყიდდა, ხოლო შვილი უკვე „ბლაღაროდნი“ (ე. ი. მდიდარი, — შ. რ.) გამხდარა, რომლის სახელიც, როგორც თვითონ ამბობს, „იევროპიამ იცის“ („თევზის კანტორა“). ასეთივეა კარაპეტა და ბ ა ლ ო ვ ი („ძუნწი“), რომელიც ასევე ცარიელი გამოვიდა ცხოვ-რების ასპარეზზე. კარაპეტამ გაიძვერობითა და ჩარჩობით შეიძინა ოქრო-ები. ფულისადმი სიყვარული იმდენად გამაღდარია მის ძვალ-რბილში, რომ მომპირნეობის მიზნით საქმელს იკლებდა, წაშალში ფულს არ ხარჯავდა. აიცივით თავს იტანჯავდა და სხვ. კარაპეტაში ფული საზღვრავს მის საო-ჯახო და საზოგადოებრივ შეზღუდულებებს, ფული ქმნის მასში მტაცებ-ლურ-ექსპლოატატორულ მორალს.

კარაპეტა ერთსადაიმავე დროს ვაკვირვებული და აღშფოთებულიცაა. როდესაც გაიგებს, რომ თავადი დამბაჩას აგირავებს, რათა ფული ძალღში მისცეს: „...ვა, ჩემი ფული ძალღში მისცეს! ვა, ნამუსი არ არის! ის ღეთისაგან გაჩენილი კეთილი, ჩვენი სოფლის ნუგბარი, ჩვენი ცხოვრება, ჩვენი ღაზთი, ჩვენი სიცოცხლე, ფული ძალღში მისცეს!“

კარაპეტა ყოველ დროსა და პირობებში უდარეს პრაქტიკულ უნარს ამჯღავენებს, ყველაფერს იგი აფასებს ფულის მოგების მიხედვით, როდუ-

საც თავადის მსახური დამბაჩას მოუტანს კარაპეტას დასავიროვნებლად, მათ შორის ასეთი საუბარი იმართება:

ერქონეული  
გინგლირთუქა

კარაპეტა — ჯერ მითხარი დამბაჩა რად მინდა?

მსახური — ერთ ტყვედ ღირს, ნახე, ინგლისია.

კარაპეტა — მე განა ლეკი ვარ, ტყვე ვიქნებო?.. ინგლისი მთლად გამიგონია... არ მინდა, ხელს არ მომცემს...

მსახური — პე, დროე! იარაღი ჩაღოს ფასად აღარ გადის!.. ალავ, ძალიან საჭირო არის... რაც გინდა, ის მოე.

კარაპეტა — ეს ვერცხლი აქვარე, ავ იქნება ასი მისხალი; ხუთი მანეთი მოგცე ერთი კეირა ვადით, ეს რკინა უკან წაიღე.

მსახური — ეა, შენ ჩემო თავო, ფასი ამ რკინასა აქვს.

კარაპეტა — რკინის ფასი ფუთი რვა აბაზია, ეს ერთი გირენჯაც არ არის...

ეს დიალოგი რელიეფურად არკვევს ორი სისტემის და მსოფლმხედველობის განსხვავების მიჯნას. ფეოდალურ-რაინდული ქვეყნის წარმომადგენლებს ჯერ კიდევ სჯერათ თავიანთ იარაღ-მოკაზმულობის დიდი ღირსება და ფასი, ხოლო ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური ურთიერთობის წარმომადგენლებისათვის მას აღარა აქვს ასეთი მნიშვნელობა.

კარაპეტასათვის ნათელია, რომ ქართულ მამაპაპურ ხმაღს უყვე დაუკარგა მნიშვნელობა, აღარა აქვს ძალა. სწორედ ამიტომ არის, რომ იგი მთელი თავისი ვესლიანობით დაცინის თავად არჩილს, რომელსაც ჯერ კიდევ სჯერა დაქანგული მამაპაპური ხმლის სიძლიერე.

კარაპეტა დაბაღოვი წარმოადგენს განხორციელებას იმ უარყოფითი მხარისა, რომელიც ახასიათებს ბურჟუაზიას, როგორც კლასს ფულადი ადამიანებისა — დაგროვებით გატაცება. კარაპეტა სიმდიდრის რეალობას გრძნობდა იმდენად არა იმ შედეგებში, რომლებსაც იძლეოდა ოქრო, გადაქცეული საქონლად, რამდენადაც თვით ფეტიშად წარმოდგენილი ლითონი. სიძუნწე არის კარაპეტას ხასიათის დამახასიათებელი თვისება, რამაც იგი გადააქცია პირდაპირ მანიაკად, ჩაკლა მასში ყველა ადამიანური გრძნობა.

ფულისადმი სიყვარულმა ისე დააავადა კარაპეტა, რომ ფულის უბრალოდ დაგროვების სურვილი ხდება მთელი მისი ცხოვრების შინაარსი. კარაპეტაში ფულის სიყვარული ერთგვარ პათოლოგიურ ვნებად არის გადაქცეული. საკუთარ თავზე უფრო მეტად მას სკივრში უმოძრაოდ ჩაკეტილი ოქრო უყვარს. იგი მზად არის სიკვდილის დროსაც კი პირში ჩაისხას გადნობილი ოქრო.

კარაპეტა არის არა მარტო ყოფითი ტიპი, არამედ განხორციელებული სიძუნწეც. მასში სიძუნწე დაუფარავი სახით უკიდურესად მოსჩანს. ეს იმიტომ, რომ იგი ჯერ კიდევ პრიმიტიულ ელემენტს წარმოადგენს, რომელშიაც ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები განსაკუთრებით რელიეფურად, ასე ეთქვათ, შეუფერავი და გაშიშვლებული სახით გვევლინება.

მართალია, კარაბეტას სიძუნწე რაღაც საკვირველი ფენის აუღმყოფური სურვილის ხასიათს ატარებს, მაგრამ, მეორე მხრით, ეს ბუნებრივიცაა იმ კლასისათვის, რომლის წარმომადგენელიც *ქაჩაქაჩა* და ყვლეფის გზას უოველთვის თან დაყვება ასეთი თვისებები.

ეკონომიური საფუძვლის განმტკიცებამ ახალი ბურჟუაზიის წარმომადგენლებს შორის ევროპულ წესებზე ცხოვრების მოთხოვნისებებიც დაბადა. როგორც მარტირუზ რიბნიკოვი („უჩინმაინის ქუდი“) ამბობს, „ლალს შამას ერთი ოთახი ჰქონდა, სპალნაც იყო, გოსტინაც, სტოლოვოც, შაბათობით შწვადი ძლივ ჰსწვამდა... ახლა შეილო ხაზე, ერთი დვარეცი დაუდგამს, ცოლი ბობრით დაჰყავს“... ეს მდგომარეობა არც კარაბეტა დაბალოვისათვის („ძუნწი“) არის შეუძნეველი: „ჩვენი ვაჭრების შეილები ქართელებზედ ბედოვლათები გახდნენ. მიხვალ სახლში, სულ იუროპიულად ნაქნარი: ეკიპაგი, პოვარ, ლაქეი“...

ვაჭართა კლასის საოჯახო-ყოფითს ურთიერთობაში უკვე ფეხი მოუდგამს ბურჟუაზიული მორალისათვის დამახასიათებელ მოვლენებს — თაღლითობას და მოტყუილებას ცოლქმრულ დამოკიდებულებაში („უჩინმაინის ქუდი“, „თევზის კანტორაში“) და სხვ.

გ. ერისთავმა თავის კომედიებში უუპრადლებოდ არ დასტოვა სახელმწიფოებრივ დაწესებულებათა წარმომადგენლებიც — მოხელეები, რომელთა თვითნებობას საზღვარი არ ჰქონდა. მოხელეების თავბედობა ძალიან შორს მიდიოდა. თავიანთი თავი მათ განსაკუთრებულ სიმაღლეზე ეჭირათ. თუ რამდენად გაზვიადებული წარმოდგენა ჰქონდათ მათ თავიანთ თავზე, ამას საუტხოვოთ გვიხასიათებს დიამბეგის სიტყვები („დავა“): „...ო! თქვენ არ გესმის ვითარი დიდი მნიშვნელობა აქვს დიამბეგს! თქვენ არ იცით, რომ კეთილდღეობა ერისა არის დაფუძნებული ჩვენთა მხრებსა ზედან: თქვენ არ იცით, რომ ერთ გზის დაწერილი ჩემ მიერ ესეთ არის მტკიცე და მყარ, ვითარცა ჭეშმარიტება; თქვენ არ იცით, რომე დარღვევა ჩემგან დამტკიცებული ქალაღებისა არავის ძალუძს. თქვენ აქამდისინ არ გესმით, რომელ მე ვარ საფუძველი, მე ვარ ფესვი, მე ვარ სვეტი ზალხის ბედნიერებისა; თქვენ არ იცით... ეე! რა გელაპარაკოთ“. თავისი თავის ასეთ გაზვიადებულ „ყოვლად ძლიერებაშია“ დარწმუნებული სრულიად დაბალი მოხელე. აქედან გასაგებია, თუ რა იქნებოდა ზევით, უფრო მაღლა...

მაშინდელი მოხელეების უსინდისობა, გაიძვერობა და მეჭრთამეობა განსაკუთრებით ხაზგასმით არის აღნიშნული გ. ერისთავის კომედიებში. „დავა“-ში მეტად ცოცხალი სცენაა გადმოცემული, თუ მოხელეთა მეჭრთამეობა როგორ თავაშვებულ, დაუფარავ სახეს ატარებდა. ამირინდოსა და ონოფრეს დავა გამხდარა მოხელეთათვის შემოსავლის წყაროდ. „პერევილჩიკი სუდისა“ სარქისა კუმუხელოვი უწუნებს ამირინდოს სხვის დაწერილ არზას, რადგან „ტოჩკა“ და „ზაპეტაია“ აქ-

ლია. მათი უქონლობა კი თითქოს არზას უკარგავს ყოველსავე მნიშვნელობას. ახალი არზის დაწერაში სარქისა კუმუხელოვი არ იქნება ამირინდოს იმდენ თუმანს, რამდენი „ზაპეტაია“ და „ტოჩკა“ უქონდა.

მოხელეთა მექრთამეობა იმდენად გავრცელებულია, რომ ყველა იცოდა — უქრთამოდ არავითარი საქმის გაკეთება არ შეიძლებოდა. სამაგიეროდ ქრთამი ყოველ უსამართლო საქმესაც კი გაამართლებდა:

აი თუმნითა, აბა რას ბრძანებ,  
სულსა, პალატას ხელით ვაქანებ.  
ჩვენს სულისა — ა იმ კუქნასა,  
სულ ვთამაშებ ლეკურბუქნასა  
და სეკრეტარსა მე რც თუმნითა  
ენებათ ვაგებდით შიმონთა!  
(„გაყრა“).

ასეთი სიტყვებით მიმართავს ბარამ მოურავი ანდუყაფარს და მის სიტყვებში, მართლაც რომ სწორედ არის დახასიათებული ბიუროკრატიული დაწესებულებები თავიანთი მოხელეებით.

მექრთამეობა ისეთ თეცილებლობას წარმოადგენდა თვითმპყრობელური წყობილების მართვა-გამგეობის სისტემაში, რომ თავად-აზნაურობის ახალი თაობის წარმომადგენლებსაც კი მიჰქონდათ ქრთამი მოხელეებთან. ბეგლარსა და მიხეილს („დავა“) — ორივეს შიქვს ქრთამი „სტრაფჩისთან“. ბეგლარი ცოტათი შეტოკმანებულა: „როგორ იქნება, როდი აიღებს, მაგასი მეშინიან. Пожалуй обидится, ისტორია არ გამოვიდეს რა. Дело шекотливое“. მაგრამ იქვე შუოფი მიხეილი დაამშვიდებს: „Пустяки! შეგანაც აიღებს და ჩემგანაც, მაგრამ ცალკე უნდა მივცეთ“... ზაბოლი სრულიად მართალი იყო.

დამახასიათებელია ის გარემოება, რომ მოხელეები ერთგვარ ნორმასაც კი იმუშაებენ, თუ რამდენი უნდა აეღოთ ქრთამი და აქედან რა შემოსავალს მიიღებდნენ. აი როგორ უსირცხვილოდ მსჯელობს „სტრაფჩი“: „... Главное, не нужно многого, я человек не прихотливый, я ничего не требую: коли дадут сами, за каждое дело, по десяти червонцев так хорошо, а в суде у нас таки довольно дел: гражданских — 1500 угловых 150, вот там и капиталы. А другие наши братья кричат уезд неурожайный! Что-же делать? Не везде Нуха, Карабах и Ганджа. Там батюшка Калифорния!..“

ბიუროკრატიული წყობილების ნიშანდობლივი ტიპის ბუნებრივი აზრებია გადმოცემული „სტრაფჩის“ სიტყვებში.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გ. ერისთავმა გვიჩვენა მხოლოდ წერილი მოხელეები და აღმინისტრაციის წერილი წარმომადგენლები. მოხელეობა, ბიუროკრატია მას აინტერესებდა არა როგორც სოციალური მოვლენა, იგი ამხელდა მოხელეობას იმიტომ კი არა, რომ დაიპირისპირე-

ბია მისთვის მმართველობის სხვა რაიმე ფორმა, არამედ მათი გამოსწორების მიზნით.

ასეთია ის სოციალური ყოფა, რომელიც დაგვიხსნის ჩვენს ქვეყანაში თავის კომედიებში. მთელი ეს სინამდვილე მან საკმაოდ მსუსტეს კატრამატურგიულ-მხატვრული ოსტატობით ვადმოგვცა.

გ. ერისთავის კომედიებით ქართულ ლიტერატურაში იჭრება ხალხური ენის პირველი ტალღა, რომელიც სდევნის ძველ საეკლესიო-სქოლასტურ ენას. ხალხურ ენის ხმარებით ღრმა გარდატეხა მოახდინა არა მარტო დრამატულ მწერლობაში, არამედ შემდეგ დროინდელ პროზასა და პოეზიაში (ამ მხრით იგი წინ უსწრებდა ი. ჭავჭავაძეს, ა. წერეთელს და სხვ.).

გ. ერისთავმა გაამდიდრა ლიტერატურული ენა, შეიტანა მასში სიტყვანი, ფრაზოლოგია და სინტაქსი სხვადასხვა საზოგადოებრივი ფენების თუ აჯგუფების ჩვეულებრივი სასაუბრო-თხრობითი ენისა.

ქართული ლიტერატურული ენის განვითარებისათვის ამ გარემოებას უაღრესი მნიშვნელობა ჰქონდა. ლიტერატურამ მიიღო ახალი წყარო რეალისტური გამოთქმებისა. ხალხური ენა აშინებდა პურისტებსა და „ძველი მაღალი სტილის“ მოტრფიალებსა, ისინი მტრულად იყვნენ განწყობილნი ლიტერატურისა და ენის რეალისტური ტენდენციებისადმი. შემთხვევითი არ იყო ის პოლემიკა, რომელიც გაიმართა პლ. იოსელიანსა და ალ. ორბელიანს შორის.

პლ. იოსელიანი „გაყრის“ პირველის გამოცემის წინასიტყვაობაში სწერდა: „...მწერლობა ძველთა, გარდა რუსთაველისა და მცირეთა სხვათა, არა იყო ჩვეულებრივი საუბრისა ენითა, რომელიც არის და უნდა იყოს ჭეშმარიტი ენა ხალხისა. დამწერმან ამა პირველისა, ქართულსა ენაზედ კომედიისა, თავადმან გიორგი დავითისძემან ერისთავმან, დაბადებულ ქართული ახალისა გვარისა მწერლობისათვის. სახელმან მისმან ქართველთათვის ესრეთივე მიიღო ღირსება, რომლისთვისაც ეკვირვებიან ბერძენთა და რომაელთა კომიკთა არისტოფანეს, კრატინს, პლატუსა, ტერინციოს, მენანდრსა და სხვათა. მაქვს იმედი, რომ ესრეთსა ჩემგან ახლისა გვარისა მწერლობისა მოწონებზსა არაეინ მიიღებს პირმოთენობით თქმულად და თვითიული კეთილი განზრახვა ქართული სიხარულით და სიამოვნებით წაიკითხავს ამ კომედიასა და სხვანიცა ახალნი მწერალნი გაბედვით შეუდგებიან მაგალითსა მისსა“...

პლ. იოსელიანის ამ სწორ შენიშვნას მაშინვე გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგენი კონსერვატორ-არქაისტთა ბანაკიდან. ალ. ორბელიანი არ ეთანხმებოდა პლ. იოსელიანს და „ცისკარში“ მოთავსებულ საპასუხო წერილში სწერდა: „პლატონ იოსელიანი სხვებს რომ ურჩევს იმ კომედიის წინასიტყვაობაში „შეუდევით მაგალითსა მისსა“, — რატომ თავის წინასიტყვაობაში ერისთავის წერას არ ამსჯავსებს და სხუებს კი ურჩევს? გავს

ვერ მოუხერხებია, ამისთვის, რომ იოსელიანის წერა სწორედ <sup>წერა</sup> არის და ერისთავის კომედია დაკუწვილი ლაპარაკი, კითხვა-შეგებას სხეულისი. არ ვიცი, რომელი განსხვავებითი წიგნი რამ დაიწერა იმ კომედიის სიტყვებით... \*). საეკლესიო „სტილით“ დამძიმებული ალ. <sup>რწმუნებანი</sup> ვერ ხედავდა იმ უაღრესად მნიშვნელოვან ლიტერატურულ-ენობრივ რეფორმას, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა გ. ერისთავმა და რომელიც სრულიად ბუნებრივი და აუცილებელი იყო ქართული ენისა და ლიტერატურის განვითარებისათვის.

გ. ერისთავმა თავი დააღწია „ავტორის ძალდატანებას“ თავისი კომედიების პერსონაჟების ენობრივ გამოთქმებზე. დრამატურგი თავის პერსონაჟებს არ მიათრევს ბაწარზე მიმბული, არ აიძულებს მათ პირდაპირ სახით გამოსთქვან ავტორის აზრები ან შოაზდინონ „იდეის ილუსტრაცია“. პერსონაჟები თავიანთ სიტყვიერ-ენობრივ გამოთქმებში თავისუფალნი არიან ავტორის მითითებათაგან და ლაპარაკობენ ისე, როგორც ცხოვრებაში, ყოველდღიურობაში. მაგრამ გ. ერისთავს კარგად ესმოდა ის გარემოება, რომ ასეთ „თავისუფლებას“ პერსონაჟებისათვის არ უნდა მიეღო უაზრო-უსაგნო თქმების ხასიათი. მისთვის ნათელი იყო ის, რომ კომედიის ენამ მთელნ თავისი გარეგანი და შინაგანი ფორმით, მთელი თავისი შინაარსით უნდა გამოხატოს სიუჟეტური სიტუაციები, ხელი შეუწყოს ინტრიგის განვითარებას და ხასიათების გამომჟღავნებას, საბოლოოდ კი მისი საშუალებით უნდა მოხდეს პიესის მთელი იდეური არსის გამოთქმა.

გ. ერისთავის კომედიებში პერსონაჟები წარმოდგენილი არიან „დროსა და ადგილის“ ენობრივი მარაგით, რაც დიფერენცირებულია არა მარტო თითოეული პერსონაჟისათვის, არამედ ერთსა და იმავე პერსონაჟისათვის მდგომარეობისა და მოქმედების მიხედვით.

ძირითად ენობრივ მასალად გ. ერისთავმა გამოიყენა პროვინციალური თავად-აზნაურობისა და ქალაქელი ჩარჩ-ვაკრების და მოხელეების ენა.

როგორ უნდა ლაპარაკობდეს ამირანდო, იაია ჭიორელი, ლომინ გოდამბრელიძე, ანდრეაფაზ, პავლე და სხვ. ისე, რომ მათ მაქსიმალურად გამოხატონ თავიანთი ბუნებრივი სახე. ამ ხალხის ენობრივმა გამოთქმებმა უნდა დაარწმუნოს მკითხველი თუ მაყურებელი მათ სიციარიელეში, გონებრივ და ზნეობრივ სიღარიბეში. მათთვის მიუღწეველია თანამიდევარი ლოგიკური ენობრივი გამოთქმის სისტემა. მათი საუბარი უფრო ენაბლუს ჩიფჩიფს მოგაგონებთ, ვიდრე ნორმალური ადამიანის მსჯელობას. მათ არ ყოფნით სიტყვები და წინადადებები რაიმე „აზრის“ გამოსათქმელად. ამ ხალხის ენობრივი ბრუნვები ნათელ წარმოდგენას გვაძლევს მათ გონებრივ სიღატაკზე და ალოლიკურობაზე.

\*) იხ. ალ. ორბელიანი; „რამდენიმე სიტყვა გაყრის კომედიაზე“. „სიციარი“, 1857 წ., № 9.

„მამებისაგან“ განსხვავებით, „შვილების“ ენა უფრო მწკრივია, მათ ენობრივ გამოთქმებში ჯამბათაა შეკრიბილი „რუსიციზმი“.

თავად-აზნაურობის ძველი და ახალი თაობის ენისაგან განსხვავებულად განსხვავდება ჩარჩ-ვაქართა ენობრივი თქმები. მათთვის დაქვეყნებულია ნარევი ქალაქური ეარგონი. ისინი სიტყვებს ყოველთვის უქცევენ. მაგრამ ეს მდგომარეობა არა თუ არღვევს კომედიის საერთო კომპოზიციას და მის ენობრივ სტრუქტურას, არამედ სრულ ბუნებრივობას და დამაჯერებელ სახეს ჰქმნის.

მირითად სავალდებულო ნიშანს ყოველი დრამატურგიული მასალისათვის წარმოადგენს მასში არსებობა კონფლიქტისა, რომელიც თანდათან განვითარდება და გამოვლინდება წინააღმდეგობათა პროცესში, როგორც იდეების ბრძოლა, რომელთა გარშემო მაქსიმალურად დაჭიმულია ადამიანების ნება. ადამიანთა ხასიათები მოსჩანს და ვითარდება უფრო სრულიად სწორედ ასეთ დაჭიმულ ბრძოლაში. მათი განვითარება დრამატულ ნაწარმოებში უფრო სწორად მიმდინარეობს crescendo, ეინიდან მოქმედებისა და ხასიათს შორის უნდა იყოს სრული პარმონია, რადგანაც პირველი არის მეორის ფსიქოლოგიური შედეგი. დრამატულ მოქმედებას ერთი შიშანი აქვს: განტვირთოს ეს დაჭიმული მდგომარეობა, რასაც აღწევნ მთელ რიგ გადაწყვეტილებათა შედეგად. დრამის არსიც მდგომარეობს სწორედ ამ გადაწყვეტილებათა მიღებაში, როგორც სტიმულისა, რომელიც იწვევს მოქმედებას (საბოლოო ანგარიშში კი დრამის ორგანიზებას).

როგორც ცნობილია დრამატულ ბრძოლას ორი გზა აქვს: ტ რ ა გ ი ქ უ ლ ი და კ ო მ ე დ ი უ რ ი. გ. ერისთავმა თავის შემოქმედებაში შეგნებულად აირჩია კომედიური გზა. სოციალურმა სინამდვილემ და პერსონაჟების სიმარტივემ განსაზღვრა მისი შემოქმედების ენარი. ფსიქოლოგიის ელემენტარულობა არ იძლეოდა შესაძლებლობას რთულ სულიერ განცდათა გადმოცემისათვის.

გ. ერისთავის დრამატურგიაში კომიზმი აგებულია არა სიტყვათა თამაშზე (ანეკდოტი და ხუმრობა), არამედ იგი დამყარებულია ტიპიურ პერსონაჟთა ტიპიურ ურთიერთობიდან გამომდინარე მდგომარეობაზე.

გ. ერისთავს კომედიის სამი სახე აქვს მოცემული: 1) ზ ნ ე-ჩ ე ე უ ლ გ-ბ ი თ ი ა ნ უ ს ა ყ ო ფ ა ც ხ ო ვ რ ე ბ ო, რომელშიაც პერსონაჟთა მოქმედებანი ნაჩვენებია მთელ მათ ყოფასთან ერთად („დავა“, „გაყრა“) 2) ხ ა ს ი ა თ ე ბ ი ს, რომლებშიაც ბრძოლა გამოწვეულია გმირის სოციალური თვისებების შედეგად („ძუნწი“) და 3) ი ნ ტ რ ი გ ე ბ ი ს ა ნ უ მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა თ ა („უჩინმაჩინის ქუდი“, „თევზის კანტორა“).

გ. ერისთავის შემოქმედების თემატიკა, როგორც უკვე დავინახეთ, არც ისე მრავალფეროვანია. მის ასეთ განსაზღვრულ თემატიკას შეეფერება პოეტურ-დრამატურგიული ხედვა. ყველაზე უფრო ნათლად ეს

მოსჩანს ხასიათების ჩვენებაში. გ. ერისთავის პერსონაჟებს ჩვეულებრივად ხასიათებს ერთი რომელიმე ნიშანი, ერთი რომელიმე თვისება, რომლის საფუძველზედაც ვლინდება მთელი გრძნობები და მოქმედებები. მაგ., „ძუნწი“ ხასიათების დაპირობიერებაა მათი უსასურველ ეფექტიანობას. აქ კარგად არის გამოყენებული კონტრასტების მეთოდი (კარაპეტა და არჩილი და სხვ.).

გ. ერისთავი ენროსებური დრამატურგია. იგი უმთავრესად ეტანება „სურათების“ ენარს, რომელშიც სიუჟეტური ჩონჩხი შემცირებულია უკანასკნელ საზღვრამდე. იგი ოსტატურად იძლევა ყოფის სურათებს და გვიასურათებს ხასიათებს, მაგრამ იგი შედარებით სისუსტეს იჩენს დრამატურგიული სიუჟეტის სფეროში. ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს იმას, რომ გ. ერისთავი არ ფლობს მოქმედების თავისუფლად და ოსტატურად განვითარების ხელოვნებას, პირიქით, მოკლედ და უბრალოდ პრიმიტივში აქვს მას საერთოდ ნაჩვენები, რაც მნიშვნელოვანია, რაც ძირითადი ხაზებია კომედიაში. ფაბულარული ჩონჩხი, თვით ფაქტების დაკავშირება მის მიერაში ყოველთვის ადვილად საპოვნია. მათ არ აქვთ რთული გზები, არა აქვთ უკან სვლები — ეს თავისებური დრამატურგიული კონტრაქტები.

გ. ერისთავის კომედიებში ყოველთვის დიალოგი სკარბობს მოქმედებას. იგი ვერ ახერხებს კომედიაში „აწეული ადგილების“ (corps deth éâtre) შექმნას, რითაც ასე მდიდარია, მაგ., მოლიერის და სხვა კომედიოგრაფთა დრამატურგიულში შემოქმედება. მისი კომედიებისათვის დამახასიათებელია ცოცხალი და მთლიანი დიალოგები.

გ. ერისთავის პოეტის დამახასიათებელი მანერაა პერსონაჟებისათვის „მოლაპარაკე“ სახელისა და გვარის მიცემა „ვზიატიკინი, კემუხელოვი, არზიმანოვი და სხვ.). ასე რომ პერსონაჟები თავიანთი სახელებითა და გვარებით საზღვრავენ თავიანთ ბუნებრივ არსებას და ნამდვილ სახეს. პერსონაჟების გვარი ნასესხებია მათივე თვისებებისაგან. თითოეული პიროვნებათაგანი ატარებს „ცოცხალ გვარს“, გგონიათ, თითქოს დრამატურგმა მონახა თავისი გმირი იმ გვარით და სახელით, რომელიც მის სახეს მკითხველს თუ მაყურებელს უჩვენებს უფრო რელიეფურად. ეს „ნილაბი-სახელები“, „ნილაბი-გვარები“ ხდება გ. ერისთავის დრამატურგიული შემოქმედების დამახასიათებელ მომენტად.

დასასრულ, სრულიად კანონიერი იქნება ვიკითხოთ: ვინ ჰყავდა გ. ერისთავს, როგორც კომედიოგრაფს მასწავლებლად? ჩვენის აზრით, ასეთ მასწავლებელს და გზის გამკაფავს მისთვის უპირველეს ყოვლისა მოლიერი წარმოადგენდა.

უკვე აღნიშნული იყო, რომ გ. ერისთავის „ძუნწის“ შექმნაზე გავლენა იქონია მოლიერმა თავისი „ძუნწით“. ეს მოსაზრება მართებულად მიგვაჩნია. მაგრამ აქ ჩვენ არაფერს განსაკუთრებულს არ ვხედავთ.

ასეთი შემთხვევა ხშირია მსოფლიო ლიტერატურისა და დრამატურგიის ისტორიაში. გარდა ამისა, ცნობილია, რომ თემა ს ი ძ უ ნ წ ი ს ა, ძ უ ნ წ ი ა დ ა შ ი ა ნ ი ს ა მსოფლიო ლიტერატურის თემატურული გამოხატულება დრამატურგიაში მოგვცა მრავალმა მწერალმა (პლავტი, ვოლდონი, მოლიერი, შექსპირი, პუშკინი და სხვ.). თვით შო-  
ლიერმა „ძუნწი“-სათვის სიუჟეტი და სიტუაციები ისესხა პლავტის „განძი“-დან. უფრო მეტიც: უკვე კარგა ხანია დამტკიცებულია, რომ მოლიერს თითქმის არც ერთ თავისი კომედიის სიუჟეტი საკუთრივ არ გამოუგონია. ბევრ შემთხვევაში მან გამოიყენა სხვების არა მარტო სიუჟეტები, არამედ მთელი სცენებიც კი. ვაღმოცემის მიხედვით, მოლიერს უყვარდა თურმე თქმა: *Je prends mon bien, ori je le trouve* („მე ვიღებ სიკეთეს ყველგან, სადაც კი მას ვნახულობ“). შექსპირის მთელ რიგ დრამატიულ ნაწარმოებთა „წინაპრებზედაც“ მრავალჯერ იყო მითითებული. მაგ., მისი „*Без вины виноватые*“ გამოსულია მთლიანად ა. დუშას „*Le fils natvree*“-დან. ოსტროვსკის შემოქმედების მკვლევარი კაშინი თავის „*Этюды об Островском*“-ში მიუთითებს თითქმის ყველა მის პიესათა პროტოტიპზე.

მინც როგორია გ. ერისთავის „ძუნწი“ გამოხატული გავლენები?

მოლიერის „ძუნწი“ გარპაგონს შეყვარებულნი მოპარავენ ფულის ყუთს იმ მიზნით, რომ დაითანხმონ იგი ჯვარის წერის ნება დართვაზე. გ. ერისთავის კომედიაშიც იგივე მეორდება: კარაპეტას შეყვარებულები მოპარავენ ოქროთი გავსებულ პარკებს იმავე მიზნით. კარაპეტა მომპირნეობას ეწევა სანთელზე. ესეც იმავე მოლიერის გარპაგონს მოგვაგონებს, რომელიც ცდილობს რაც შეიძლება ნაკლები სანთელი დაიწვას და სხვ.

არის ზოგიერთი მსგავსება პუშკინის „ძუნწი რაინდთანაც“. მაგ., მთელი მონოლოგი კარაპეტასი, როდესაც იგი მალულად მიდის თავის ოქროებით საესე ზანდუკთან, პირწმინდა განმეორებაა „ძუნწი რაინდის“ მონოლოგისა. მთელი სცენა ამ შეხვედრისა ოქროებთან გ. ერისთავის კომედიაში მოგვაგონებს პუშკინის „ძუნწი რაინდის“ ასეთსავე სცენას.

ამნაირად, ცხადი ხდება, რომ გ. ერისთავი „ძუნწი“ გავლენას განიცდის. მაგრამ, მიუხედავად ამისა, გ. ერისთავის „ძუნწი“ ვხედებით ნიჭიერად შესრულებულ მრავალ დამოუკიდებელ სცენასა და პერსონაჟს. ჩვენი სინამდვილის განსაზღვრული პერიოდის დამახასიათებელი მოვლენები და პერსონაჟები მასში დამაჯერებელ მხატვრულ სახეებშია მოცემული.

## 4.

როგორია გ. ერისთავის სოციალური პოზიციები? რომელი კლასის მსოფლმხედველობის საფუძველებზე აშუქებს იგი სინამდვილის მოვლენებს?

აღნიშნულ კითხვებზე პასუხის გაცემა ჩვენ მიგვაჩნია ბიოგრაფიულ მომენტად გ. ერისთავის შემოქმედების შესწავლის დროს. ქვემოთ ვაღივსებთ ეს კითხვები არ დასმულა მთელი თავისი მოცულობით, მხოლოდ მათგან და შევლევარების უმეტესობისათვის (ა. ხახანაშვილი, ვ. აბაშიძე, ვ. კოტეტი-შვილი და სხვ.) ასეთი კითხვები არც კი არსებობს. ისინი შეგნებულად გვერდს უვლიან მას.

სრული არეგ-დარევა შეიტანა აღნიშნული საკითხების გარკვევაში ვ. ხუროძემ. მისი აზრით გ. ერისთავი მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ბურჟუაზიული იდეოლოგიის გამომხატველია. ვ. ხუროძე სწერს, რომ გ. ერისთავი — „ეს არის პირველი ქართველი მწერალი, რომელმაც თამამად გაუსწორა სინამდვილეს თვალი და საფუძველი დაუდო მეორე სტილს — ბურჟუაზიულს... მე პირდაპირ ვამბობ, რომ იგი „სათავადი შეიღო არე-მარეში“ ჩამდგარი ბურჟუაზიულ ცხოვრებას შესტრფოდა და ამნაირად ამ ახალი კლასის იდეოლოგის როლში გამოდიოდა“... \*).

ეს მოსაზრება არ შეიძლება ჩაითვალოს მართებულად. აქ ძალზე დამახინჯებულად არის გაგებული გ. ერისთავის შემოქმედების სოციალური ხასიათი. გ. ერისთავს ჩვენ ვერაფერითარ შემთხვევაში ვერ ჩავთვლით ბურჟუაზიის იდეოლოგად. ვ. ხუროძეს ამ შემთხვევაში მხედველობაში ჰქონდა ალბათ ის გარემოება, რომ გ. ერისთავი თავის კომედიებში დამახასიათებელ შტრახებში სახავს ჩარჩული ბურჟუაზიის წარმომადგენლებს. მაგრამ ეს კიდევ არ არის საკმარისი, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს სახეები დახატულია ბურჟუაზიული თვალსაზრისით. არ შეიძლება ერთმანეთში აეურჩიოთ მხატვრის მიერ სინამდვილის სწორად ასახვა და მისი კლასობრივი ინტერესები. მსოფლიო ლიტერატურაში ჩვენ მრავალი მაგალითი გვაქვს იმისა, რომ ესა თუ ის მწერალი სიმართლით სახავდა მოწინააღმდეგე კლასს, მის წარმომადგენლებს, მაგრამ ამავე დროს ერთგული რჩებოდა თავისი კლასის პოლიტიკური იდეალებისა (ბალზაკი და სხვ.). ასევე უნდა გავიგოთ გ. ერისთავის შემოქმედება, რომლის მხატვრული სიმართლაც განსაზღვრული იყო კრიზისის წინაშე დამდგარი თავად-აზნაურობის კლასობრივი ინტერესებით.

ზემოთ დასმულ კითხვაზე სწორი პასუხის გასაცემად აუცილებელია დაუშვათ იმ ისტორიულ ნიადაგზე, რომელზედაც აღმოცენდა და განვითარდა გ. ერისთავის შემოქმედება.

ჩვენ უკვე აღნიშნეთ, რომ გ. ერისთავის თანამედროვე სინამდვილეში ფეოდალური ურთიერთობის ნგრევა კაპიტალისტური საწარმოო ძალების მოწოდების შედეგად თანდათან გაძლიერებული ტემპებით მიმდინარეობდა. ეს ნგრევა სრულიად ბუნებრივად შეეხო მემამულეთა ცხოვრების ყველა სფეროს — დაწყებული ეკონომიკიდან და გათავებული მო-

\*) „ნათობი“, 1929 წ., № 4, წგნ. „ორი სტილი“.

რადიო-ინტელექტუალური საფუძვლებით. მაგრამ შეცდომა იქნება, თუ ვიტყვი, რომ 40—50-იან წლებში ფეოდალურ-ბატონყმური წყობილება და მისი გაბატონებული კლასი უკვე მთლიანად იმდენად განუცვლელი აღარ მქონდა ძალა წინააღმდეგობა გაეწია განვითარების ტენდენციას, რომ კაპიტალისტურ ურთიერთობისათვის, თავის უფრო მოქმედი და აქტიური წარმომადგენლების სახით მემამულე თავად-აზნაურთა კლასი სხვადასხვა ხასიათის ექსპერიმენტებით ცდილობდა შეეჩერებია კაპიტალიზმის მოწოლა. გ. ერისთავი, როგორც ამ კლასის იდეოლოგი, იბრძოდა კაპიტალიზმის წინააღმდეგ მხატვრული სიტყვის საშუალებით.

გ. ერისთავის შემოქმედების ზოგადი განცობაც კი ნათელყოფს იმ ფაქტს, რომ ეს მწერალი თავის პოლიტიკურ იდეალს ხედავდა წარსულში — პატრიარქალურ-ფეოდალურ ურთიერთობაში. გ. ერისთავის თანამედროვე სინამდვილეში ეს იდეალი საგრძნობლად შერყეული და სახელგატეხილი იყო კაპიტალიზმის განვითარების მეოხებით. ამიტომ იგი განსაკუთრებით მწვავედ გრძნობდა ფეოდალური ცხოვრების ნგრევის შედეგებს.

გ. ერისთავის ნაწარმოებები სრულიად არ იყო თავად-აზნაურული ყოფის პასიური ამსახველი. ავტორის განზრახვით იმ ნაწარმოებებს აქტიური საშუალო უნდა გაეწია თავისი კლასისათვის. იგი, როგორც საშუალო შეძლების მემამულე თავად-აზნაურობის იდეოლოგი, ამ უკანასკნელის თვალსაზრისით იხილავდა მაშინდელ საზოგადოებრივ ურთიერთობას. თავად-აზნაურული იდეოლოგიის სისტემაში (და ლიტერატურაში) გ. ერისთავს უჭირავს განსაკუთრებული, თავისებური ადგილი. იგი უნდა განვიხილოთ, როგორც მონოლიტური მწერალი, რომელიც მთელი თავისი შემოქმედებით მოღვაწეობის მანძილზე ანვითარებდა ერთსა და იმავე იდეას. კლასის პრინციპი მარად კანონს წარმოადგენდა გ. ერისთავისათვის და სწორედ ამიტომ თვით მის კრიტიკაში ბევრია სიყვარული და თანაგრძნობა თავად-აზნაურობისადმი.

გ. ერისთავს მთელ შემოქმედებაში წითელი ზოლივით არის გავლებული თემა თავად-აზნაურობისა, მისი ბედისა და მდგომარეობის შესახებ. მწერალს უაღრესად აღელვებდა ფეოდალურ-მემამულური წყობილების არსებობის საკითხი. თავგამოდებით მიისწრაფოდა იგი გამოენახა ის დიდებითი საფუძვლები, რომლებიც საშუალებას მისცემდა ფეოდალურ საზოგადოებას თავი დაეღწია ღრმა კრიზისისათვის.

გ. ერისთავისთვის ნათელი იყო, რომ არსებული სახით თავად-აზნაურობას არ შეეძლო მდგომარეობის შენარჩუნება, რომ იგი ვერ გაუძლებდა ახალი შტრის — კაპიტალიზმის იერიშებს. აუცილებელი იყო თანადროული სისტემის ყველა ნაკლისა და სიმახინჯის გამოშვეურება და გამოსწორება. გ. ერისთავს წარმოედგინა, რომ შეიძლება ერთგვარი იდეალური, განახლებული ფეოდალური წყობილების შექმნა. იგი გამოდიო-

და მის მომხრედ. ეს იყო მისი გამოსავალი პუნქტი **არხებულნი** ფეოდალურ-თავად-აზნაურული წყობილების კრიტიკის დროს „გაყრაში“, „დავაში“, „ძუნწში“ და სხვა პიესებში. **ქრქეხელი** მის-წრადის გვიჩვენოს ფეოდალურ-თავად-აზნაურულ საზოგადოების და-ღმის ფართო სურათები. მაგრამ იგი არ კმაყოფილდება მარტო თავად-აზნაურთა წრის დაბატებით. თავად-აზნაურული კლასის წარმომადგენ-ლებთან ერთად მწერალი გვიჩვენებს ახალი ფორმაციის ადამიანებს, რომ-ლებიც წარმოიშევენ კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების წია-ღაგზე. გ. ერისთავი ხედავდა, რომ ეს უკანასკნელნი უფრო და უფრო აქტიურდებოდნენ. მაგრამ თუ საიდან და როგორ მოდიოდა ეს ხალხი ეს უკვე აღარ იყო ნათელი მისთვის.

ჩვენ უკვე დავინახეთ, თუ როგორ შერყეული სახით მოსჩანს გ. ერის-თავის წინაშე მემამულეთა ცხოვრება. იგი იძულებულია გვიჩვენოს მათი შეუგუებლობა ახალ სამეურნეო ცხოვრების პირობებთან. მაგრამ აქე-დან არ შეიძლება იმ დასკვნის გამოყვანა, თითქოს გ. ერისთავი მოუწო-დებს თავად-აზნაურობას გამოვიდეს თავისი მამულის, კარ-შიღამოს ფარ-გლებიდან და ჩაებას სასაქონლო-ფულად მეურნეობაში. იგი დიდათ არის დაშორებული ამ აზრს. იგი უარყოფს მემამულეთა მეურნეობის კაპიტა-ლისტურ სისტემაზე გადაყვანას.

გ. ერისთავის დამოკიდებულება ახალი საზოგადოებრივი ფორმაციის წარმომადგენლებისადმი — **მიკირტუმ ტრ და ტო ვ ე ბ ი ს ა დ-მი**, **კარაპეტა და ბალო ვ ი ს ა დ მი** და სხვ. — ორგვარია. იგი უარყოფითად უყურებს მათ მოქმედების პრინციპებს, პრინციპებს, რომ-ლებიც უპირისპირდებიან ფეოდალურ პრაქტიკას. ტრდატოვ-დაბალოვე-ბის უარყოფის ხაზს ჩვენ ვარკვევით ვხედავთ მათი სახისა და მოქმედების დასურათბატებაში. მაგრამ ამავე დროს გ. ერისთავი დიდ ძალას, ენერ-გიას ვაჩნობს ტრდატოვ-დაბალოვებში. მათ შეუძლიათ იმოქმედონ ყოველ პირობაში, გამონახონ გამოსავალი ყოველი სახის გაჭირვებიდან. როდე-საც ტრდატოვ-დაბალოვები ეჯახებიან თავად-აზნაურებს, ისინი ყო-ველთვის თავიანთ სასარგებლო შედეგებს აღწევენ. ტრდატოვ-დაბალო-ვები მოხერხებულად ნახულობენ თავად-აზნაურთა სუსტ ადგილებს და ყოველ პირობაში მზად აქვთ საჭირო ტაქტიკა. ტრდატოვ-დაბალოვებისა-დმი ზიზლი გ. ერისთავი ორგანიზულად შეერთებულია მათი ძალისა ზა-ძლიერების შეგრძნობასთან.

უაღრესი განსაზღვრულობა და სიბეცე ახასიათებს გ. ერისთავის თავად-აზნაურობას, იმ დროს, როდესაც ტრდატოვ-დაბალოვებს მოაქვთ უდიდესი ენერგია, მოხერხება, უნარიანობა, ანდუყაფარ-ამირინდოები უსაქმო და უნიათო ცხოვრებას აწარმოებენ, მათ ფეხქვეშ ნიადაგი ეცლე-ბათ და ვერც კი ვაჩნობენ ამას.

გ. ერისთავმა გვიჩვენა თავად-აზნაურობის არა მარტო ეკონომიკური, არამედ გონებრივი, ზნეობრივი დაცემაც. უშეტესობა მათგანის უბადრუეობა მოსჩანს თვალსაჩინოდ, თვალლიათ (ანდუყაფარ, შავქუჩა და სხვ.) და სხვ.), იგი შეიძლება ზოგჯერ შემოსილი იყოს სენტრალისტურ-საფარველით (ივანე, ბეგლარ და სხვ.), მაგრამ ამით უბადრუეობა და დაცემულობა მაინც არ ნელდება.

თავად-აზნაურული საქართველო გ. ერისთავის კალმის ქვეშ, მიუხედავად შწერლის სურვილისა, გამოიყურება, როგორც ნიადაგ-მორღვეულობის, დაცემის მძაფრი სურათი. გ. ერისთავმა თავად-აზნაურობის წარმომადგენლები გვიჩვენა, როგორც შინაგან ძალას, სასიკოცხლო ენერჯიას მოკლებული. ყველა ეს ანდუყაფარ ამირინდოები იყვენ არა კურიოზული შემთხვევითობანი, არამედ ტიპური განზოგადოებანი, თავად-აზნაურულ საქართველოს სრული განსახიერება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გ. ერისთავის მსოფლმხედველობის გამოსავალი პუნქტი იყო განახლებული ფეოდალური წყობილების შექმნა, მაგრამ თავად-აზნაურობის არსებული სინამდვილე ამის შესაძლებლობას არ იძლეოდა. როგორ შეიძლებოდა ანდუყაფარის, პავლეს, ამირინდოს გასწორება? როგორ შეეძლოთ მათ გადაქცეულიყვნენ სხვა, ახალ სრულყოფილ ადამიანებად? ამ პირთა ბუნებრივი გამოხატულება ნათელს ხდიდა მათი არსებობის შეუძლებლობას სხვა რომელიმე თვისებით, სხვა რომელიმე სახით. ანდუყაფარ-ამირინდოებს ვაიძულოთ იყვნენ სხვა, ვიდრე ისინი არიან, ნიშნავდა მთელი მათი ბუნების შეცვლას, ძველის მთლიანად უარყოფას. გ. ერისთავი ვერ ხედავდა, რომ ამ შეკდარი ხალხისაგან არ შეიძლებოდა დადებითი გმირების შექმნა.

მართალია, გ. ერისთავი არ უარყოფდა ფეოდალიზმს საერთოდ. მაგრამ იგი მაინც ახალ ფორმულას ეძებდა სინამდვილის გამოსახატავად. ამიტომ იგი ერთგვარ „კომპრომისზე“ მიდიოდა ახალ სოციალურ მოვლენებთან. ის სოციალური ფილოსოფია, რომელსაც ანეითარებდა გ. ერისთავი, არსებითად მდგომარეობდა ფეოდალიზმის და ახალ, კაპიტალისტურ ურთიერთობის თავისებურ შერევაში, მაგრამ ფეოდალური საფუძვლები წყობილების საფუძვლებზე შემთხვევითი არ არის სრულებით მიკირტუმ ტრ და ტოვის ოცნება, რომ თავისი ასული შუშანიკი შერთოს თავადს. იგი შესტრფის იმ წუთს, როცა მისი შუშანიკა კნეინა გახდება: „მაგრამ ჩემი შუშანიკნეინი დაუძახონ — კნეინო, კნეინო! ბაზარშიაც დიდი რამე იქნება, დიდებულიძიანთ ხნამე“... მიკირტუმას ამ მისწრაფებას განსაზღვრული სოციალური შინაარსი აქვს\*).

\*) გ. ერისთავს ფეოდალიზმისა და კაპიტალიზმის დაკავშირების ძირითად დამპირველს საფუძვლად მაინცა საოჯახო-ყოფითი კავშირის დამყარება ორივე სისტე-

თუ კაპიტალიზმის საკითხში გ. ერისთავი დგას მეურნეობის ერთ ფორმის ერთიანობის პოზიციაზე (ფეოდალურ სისტემის ჰეგემონიით), სამაგიეროდ ბატონყმური უფლების საკითხში იგი გამოდის უკვე ნაკლები კონსერვატიული შეხედულებებით. მწვავეა გ. ერისთავის შიერ მოცემული თავადაზნაურობის კრიტიკა, მაგრამ იგი მაინც მიიმართება ბატონყმური სისტემის კრიტიკის გარეშე. ბატონყმური ურთიერთობის საკითხებს მთელი თავისი მოცულობით გ. ერისთავი არსად არ შეხება.

მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, კრიტიკულ ლიტერატურაში უკანასკნელ ხანებში გამოითქვა მოსაზრება, რომ გ. ერისთავი თავის შემოქმედებაში საკმაო გარკვეულობით სვამს ბატონყმობის საკითხს და იგი კატეგორიულად წინააღმდეგია ამ ინსტიტუტისა (ვ. კოტეტიშვილი, ვ. ხუროძე და სხვ.). რასაკვირველია, ეს არ არის მართალი. გ. ერისთავს ეს არც შეეძლო თავისი თეორიის მეხსებით ფეოდალიზმის შესახებ, რაც, როგორც დავინახეთ, მდგომარეობს იმაში, რომ იგი მომხრე იყო საზოგადოებრივი პირობების გაუმჯობესებისა, მაგრამ თავადაზნაურულ-ემამულეთა წყობილები და შრდევლად. დამახასიათებელია ამ მხრით ცნობა, რომელიც გ. წერეთელს ეკუთვნის. იგი ერთ თავის მოგონებაში სწერს: „გრ. ორბელიანი, ვახ. ორბელიანი და დრამატურგი გ. ერისთავი საესებით არ იყვნენ ეროვნული პრინციპებით გატაცებულნი. გ. ერისთავმა 1864 წ. თავადაზნაურობაზე სიტყვა: „რაღა გვეშველება. ხომ დავიღუბეთ, ვლახები რომ ყმებათ მოგვეშალონ“. მას ბანს აძლევდნენ გრ. და ვახ. ორბელიანები. მათი ეროვნული პრინციპები მარტო თავადაზნაურობის კეთილდღეობაში გამოიხატებოდა.“\*) ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ცნობა გ. ერისთავის შემოქმედებასთან ერთად მეტად დამაჯერებელი დოკუმენტია. მართალია, „დავა“-სა და „გაყრა“-ში არის ცალკეული შტრიხები, რომლებიც გლახობას შეეხება, მაგრამ მათში ლაპარაკია მხოლოდ ყმა ვლახობისადმი ჰუმანური დამოკიდებულების შესახებ. შემთხვევითი არ არის იქნეს. განცხადება: „სასიამოვნო არის ჰყავდეს მებატონეს ერთგული მსახური და ყმები. გოსპოდი! მომიეცე შეძლება, რომ ჩემმა ყმებმა ისე შემიყვარონ, როგორც გაბრიელმა. კაკაია პოეზია ბიტ დობრიმ, ხოტი ბედნიშ პომეშჩიკომ. დაგლოცენ შენი ყმანი... მეც ვეცდები“... აქ მხოლოდ კეთილი ბატონის იდეალია მოცემული. იგი სრულიად შეესაბამებოდა გ. ერისთავის განახლებულ ფეოდალიზმის თეორიას. გ. ერისთავი მომხრეა ზოგიერთი კორექტივის შეტანისა ბატონებისა და ყმების დამო-

მის წარმოადგენელთა შორის. ასე, ივანე დიდგებულძე („გაყრა“) ირიას მიკიტოშვიტრდატოვის ქალს, ხოლო არჩილ დაზნელა („ძენ-წი“) — კარაქეტა დაბაღოვის ქალს.

\*) იხ. „გვალი“, 1895 წ. № 6.

კიდებულებაში, მათ შორის არსებული გამწვავებულ მღვდლობრობის შერბილებებისა, მაგრამ ისე, რომ იგი არ უნდა შეხებოდეს ბატონყმობას, როგორც საზოგადოებრივ სისტემას.

ეს როგორ ესმის გ. ერისთავს ბატონებსა და ყმებს შორის დამოკიდებულება, ამის გასაგებად დამახასიათებელია გლეხების სიტყვები, რომლებსაც იგი ათქმევინებს მათ. შინა მოსამსახურე-ქალი ყარდაშვერდი („გაყრა“) ოცნებობს, რომ მისი საქმრო გაბრიელა გახდეს მოურავი, ვინაიდან, „ვისაც ბატონი აიკლებს, ნახევარი იმისია“ (ე. ი. მოურავის, — შ. რ.). ხოლო თვითონ გაბრიელისათვის ივანე დიდგბულიძე „ბატონი კი არ არის — მამაა, დედა, ერთი სიტყვით შევიღვით გამზარდა და უყვარვარ, კაცი გამომიყვანა მეხრეობისაგან“. გ. ერისთავი აქ იძლევა ბატონსა და ყმას შორის მამაშვილური იდეის კონცეპტის, რასაც დიდი გასავალი ჰქონდა თავად-აზნაურულ მწერლობაში. გ. ერისთავი გლეხობას გვიხასიათებს, როგორც კლასობრივ თვითშეგნებას მოკლებულთ და მებატონეებთან თავიანთი ნება-სურვილით მიჯაჭვულ შინამოსამსახურეთა, ამ ორმაგ მონათა სახით.

გ. ერისთავი არ იყურებოდა საზოგადოებრივ წინააღმდეგობათა სიღრმეში, ვერ ზედავდა და თითქოს განზრახ არც სურდა დაენახა შეურიგებელი კლასობრივი წინააღმდეგობანი, რომლებიც არსებობდა მემამულეებსა და გლეხებს შორის. გ. ერისთავს სურდა მათი შერიგება. ცხადია, ამ ცდიდან არაფერი გამოვიდოდა.

რეალისტურ ხაზს გ. ერისთავის შემოქმედებაში საფუძველი ჰქონდა ფეოდალური სისტემის კრიზისში, რომელსაც მეტად მწვავედ გრძობდენ თავად-აზნაურობის განსაზღვრული ფენები უკვე გასული საუკუნის 40 — 50-იან წლებში. ფეოდალურ-მემამულეთა წყობილების განარწნის პროცესმა განსაზღვრა სინამდვილის შესწავლის აუცილებლობა. ფეოდალიზმის კრიზისი ახალი სახით სევამდა ყველა სოციალურ საკითხს. წინა პლანზე დგებოდა ამოცანა იმისა, რომ საჭიროა იმ მღვდლობრობის შეგრძნობა, რომელსაც განიცდიდა ფეოდალურ-ბატონყმური ფორმაცია. გ. ერისთავის რეალისტური ნაწარმოებები სწორედ ამ ამოცანებს ემსახურებოდა. რეალისტური ხაზი გ. ერისთავის შემოქმედებაში არაა შემთხვევით დაკავშირებული თავად-აზნაურული ყოფის სინამდვილის გამოხატავსთან, მის კრიტიკასთან. მაგრამ ეს, რასაკვირველია, სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ რეალისტური ხაზი ჩაკეტილი იყოს მხოლოდ თავად-აზნაურულ თემატიკაში. ასეთი მტკიცება იქნებოდა პრობლემის მეტად გამართლებება. ფეოდალიზმის, მისი გაბატონებული კლასის კრიზისის ჩვენებას, მის გააზრებას გ. ერისთავი მიყავდა კაპიტალისტური ცხოვრების წარმომადგენელთა რეალისტურ გამოხატვამდეც.

მიუხედავად იმისა, რომ გ. ერისთავი სინამდვილეს ითვისებს რეალისტურად, ვერ ვიტყვით, რომ ეს იმ სახის რეალიზმია, რომელსაც ახასია-

თებს ფრ. ენგელსი თავის წერილში მარგარიტო მარკსენსის მიმართ. ფრ. ენგელსი წერს: „ის, რომ ბუნებრივად ენდობოდა იყო წასულოყო თავისი საკუთარი კლასობრივი სიმპატიებისადმი, კური შეხედულებების წინააღმდეგ, ის, რომ იგი ხედავდა თავის საყვარელი არისტოკრატების აუცილებელ დაღუპვას და აგვიწერდა მათ ისეთ ადამიანებად, რომლებიც არ იყვენ უკეთესი ბედის ღირსნი, და ის, რომ იგი ხედავდა მომავლის წამდვილ ადამიანებს იქ, სადაც ამ დროს შეძლებოდა მათი ნახვა, — მე ამას ვთვლი რეალიზმის ერთ-ერთ უდიდეს გამარჯვებად, მოხუცი ბალზაკის ერთ-ერთ განსაკუთრებულ მხარედ“.

გ. ერისთავის რეალიზმი არასრული, განსაზღვრული რეალიზმია. გ. ერისთავის შემოქმედებაში არ არის ნაჩვენები ის თვალსაჩინო გამარჯვება რეალისტური მომენტებისა (ობიექტური სინამდვილის) ავტორის იდეურ მიზანდასახულობაზე, რომლის შესახებაც ლაპარაკობს ფრ. ენგელსი.

გ. ერისთავის რეალიზმი უარყოფითი ანუ თავდაზნაურული რეალიზმის კლასიკური ნიმუშია ქართულ ლიტერატურაში. მისი თავისებურება, როგორც უარყოფითი რეალიზმისა, განსაზღვრულია იმით, რომ იგი აღმოცენდა ფეოდალიზმის დაცემის ნიადაგზე.

გავრცელებული შეხედულებაა, რომ რეალიზმს წარმოიშვა, როგორც ახალი ბურჟუაზიული კულტურის მოვლენა. რეალიზმი თავდაპირველად იყო მწერლის შემოქმედების ბურჟუაზიულობის ნიშანი. მაგრამ ჩვენ რეალიზმის ასეთი გაგება მეტად გამარტივებულ სქემად მიგვაჩნია.

უდაოა, რომ რეალიზმი წარმოიშვა იმ პერიოდში, როდესაც ვითარდებოდა კაპიტალისტური ურთიერთობა, მისი მეშვეობით ახდენდა ბურჟუაზია სინამდვილისადმი ახალი დამოკიდებულების გამოვლენებას, მაგრამ რაკი ბურჟუაზიას თავისი აღმავლობის პერიოდში მოჰქონდა რეალისტური მსოფლმხედველობა, ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ რეალიზმი წარმოადგენდა მხოლოდ ბურჟუაზიულ მოვლენას.

რეალიზმს, როგორც ლიტერატურულ სტილს, აქვს ხანგრძლივი და რთული ისტორია, რომლის განმავლობაშიაც იგი ლიტერატურულ-სტილური იარაღი იყო სხვადასხვა კლასობრივ ჯგუფებისა და სხვადასხვა კლასობრივი იდეოლოგიებისა. ეს ისტორია არ განსაზღვრულა მარტო ბურჟუაზიული შემეცნების ჩარჩოებით. აქედან ცხადია, რომ რეალიზმი უნდა განვიხილოთ არა მარტო ისეთ სტილად, რომელიც ახასიათებდა ბურჟუაზიას მისი აღმავლობის პერიოდში. ფეოდალიზმის ნგრევისა და კაპიტალიზმის შეტევის პირობებში წარმოიშვა აგრეთვე თავდაზნაურული რეალიზმი. კრიზისს, რომელსაც განიცდიდა თავდაზნაურობა, ბრძოლა, რომელსაც ეს მომაკვდავი წოდება აწარმოებდა ბურჟუაზიასთან, აიძულებდა მას ხშირად მიემართა სინამდვილის რეალისტურ გახსნიასთვის. დასავლეთ ევროპის ლიტერატურაში „პლუტის“ რომანე-

ბის და სერგანტების „დონკიხოტის“ რეალიზმა სხვა კლასობრივ საფუძველზე აღმოცენდა, ვიდრე სტენდალის, ფლორენსის და სხვათა რეალიზში. „დონკიხოტის“ სინამდვილის სოციალ-ეკონომიკური ხასიათი ნათელყოფს იმ გარემოებას, რომ აქ საქმე გვაქვს კონკრეტული ხასიათის შემოქმედებით მეთოდთან, იმ კლასის შემოქმედებითს მეთოდთან, რომელიც თავისი ისტორიის მწვერვალებისაკენ მიიშრებოდა. არამედ იმ კლასის შემოქმედებითს მეთოდთან, რომელიც უკვე დაქანებული იყო სასიკვდილო თავდაღმართზე, რომელიც ესწრებოდა თავისი კლასის ისტორიული არსებობის უკანასკნელ ეტაპს. აი რატომ არის ეს რეალიზში ასე შეუფერავი სინამდვილის ბნელ მხარეთა ჩვენებაში, საფხე თვითმხილვებითი ძალით წარმავალი ცხოვრების სიმანჩინჯეთა მიმართ.

სწორედ ასეთი ხასიათისაა გ. ერისთავის რეალიზში. იგი არა შემთხვევით არის მორალურ-კრიტიკული რეალიზმის რელიეფური გამოხატულება ჭარბულ ლიტერატურაში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, გ. ერისთავის სოციალური პოზიციები — ეს განახლებული ფეოდალიზმია. ეს სოციალური მისწრაფებები კი შეიძლება გამოსახულიყო მხოლოდ უარყოფითი ანუ, თავადაზნაურული რეალიზმის პლანში.

არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ გ. ერისთავის მხილებანი განსაზღვრულია, შემოზღუდულია იმის გამო, რომ იგი ეძებს — ნახოს არსებულ სინამდვილეში ის წინამძღვრები, რომლებიც საშუალებას მისცემდნენ მას არ უარყოს მთლიანად ეს სინამდვილე. არამედ გაანთავისუფლოს იგი უარყოფითი, სუსტი მხარეებისაგან. გ. ერისთავი ახერხებდა ცხოვრების მხოლოდ ცალკეულ მოვლენათა სტატიურ ათვისებას, მაგრამ იგი უძლური იყო გაეთვალისწინებია ის კანონები, რომლებიც ამოძრავებდნენ ამ სინამდვილეს.

გ. ერისთავის მხილებანი არ წარმოადგენდა ფეოდალური სისტემის, როგორც ასეთის, კრიტიკას. გ. ერისთავი ფიქრობდა, რომ საჭიროა მხოლოდ ამ სისტემის ცალკეული უარყოფითი მხარეების გასწორება, თვით სისტემის შენარჩუნება კი მას საერთოდ საჭიროდ მიაჩნდა. ამაში მდგომარეობს მისი კრიტიკის აზრი. აქედან პირველ პლანზე გამოდის სინამდვილის შეფასების მორალური კრიტერიუმი.

სოციალური პრობლემები, რომლებსაც სვამს გ. ერისთავი თავის შემოქმედებაში, უმთავრესად გადატანილია მორალიზმის ფარგლებში. იგი ჰქმნის მორალისტურ-აღმზრდელობითი ხასიათის კომედიებს. გ. ერისთავისათვის ერთად-ერთ სწორ გზას წარმოადგენდა მორალური სრულყოფის გზა, რომელსაც უნდა გადაეწვეიტა სოციალური საკითხები. ეს გზა, მისი წარმოდგენით, იძლეოდა ბოროტების მოსპობის შესაძლებლობას, ისე რომ არ გამოვსულიყავით არსებული სინამდვილის გარეთ. შემთხვევითი არ იყო, რომ გ. ერისთავის შემოქმედებაში სოციალური თემა მთლიანად

დაყვანილია პიროვნების პრობლემაზე. სინამდვილის ხიზნაზე მას წარმოედგინა, როგორც ცალკეული ადამიანების მიერ მიღებული ნორმებისაგან გადახვევის შედეგი. სწორედ მათ აკისრებდა გერმანია მთელ პასუხისმგებლობას იმ არანორმალულობისათვის, რომელიც ცალკეული იყო თავად-აზნაურულ სინამდვილეში.

ზემონათქვამის შემდეგ სრულიად ბუნებრივად ისმის კითხვა: თუ გ. ერისთავი, უპირველეს ყოვლისა, მორალისტი მწერალია, რომელიც მთელს თავის მხატვრულ რესურსებს იყენებს იმისათვის, რომ გვიჩაღაგოს, მაშინ საიდან იხადება მისი სიცილი? როგორ თავსდება ერთმანეთის გვერდით მის შემოქმედებაში ეს ორი სტიქია — მორალისტური ჭადაგება და სიცილი? ცხადია, აქ არაერთარ წინააღმდეგობას არა აქვს ადგილი. სიცილი ისეთივე ატცილებლობით, როგორც გ. ერისთავის შემოქმედების სხვა ელემენტები, ემორჩილება ძირითად იდეოლოგიურ ხაზს.

გ. ერისთავს კარგად ჰქონდა შეგნებული კომედიის შემოქმედების სიძლიერე. დრამის თეორეტიკოსი კარლ ბატტე კომედიის ამოცანას ხედავდა ადამიანთა ზნეობის გასწორებაში. ამ მიზნს მისაღწევ საშუალებად კი მას მიაჩნია ადამიანთა სუსტი და უარყოფითი მხარეების დაცინვა. მისი აზრით, ეს საშუალება უფრო კარგ შედეგს იძლევა, ვიდრე ყოველგვარი ფილოსოფიური ტრაქტატი. ბატტე კონკრეტულად მიგვითითებს, თუ როგორ უნდა დავცინოთ ადამიანთა სუსტ და უარყოფით მხარეებს: „რომ წარმოვიდგინოთ ადამიანის სისუსტე უფრო სასაცილო მხრით, ამისთვის საჭიროა მოქმედი პირი ვაიძულოთ მოიქცეს არა ისე, როგორც მოიქცეოდა მოწმეების თანდასწრებით, არამედ მოიქცეოდა შარტო, ისე რომ არ შეეშინებოდა დაცინვისა და კრიტიკისა. ყოველი პიროვნება, როდესაც იგი იმყოფება საზოგადოებაში, ცდილობს დაფაროს თვის თავში არსებული სისუსტე. ხანს გადასული ქალი არ მიუჯდება რამდენიმე საათი სარკეს, რათა ხელოვნური საშუალებებით აღიდგინოს დამტკნარი სილამაზე, მაშინ, როდესაც მას უტკერენ; ასევე მოიქცევა მოხუცი მამაკაცი, რომელიც ცდილობს გაამაგროს თავისი სხეულის მოქნილობა, რომ მოაჯადოს ლამაზმანები“...

გ. ერისთავს მთელი თავისი სიღრმით აქვს შეთვისებული კომედიის ასეთი მორალისტური ყოვლის შემტლებლობა. სიცილი გ. ერისთავის შემოქმედებაში წარმოადგენს მწერლის მორალური იდეის მხატვრული რეალიზაციის მნიშვნელოვან მომენტს. ეს არ არის უდარდელ-თავდავიწყებული ადამიანის უსაგნო სიცილი. მასში არსებითად დიდი სერიოზულობა და სიღრმეა მოცემული. სიცილს გ. ერისთავი იყენებდა თავად-აზნაურობის ჭრელობების მორჩენის, ზნეობრივად გამოსწორების მიზნით. გ. ერისთავი, მსგავსად მ. ო. ლ. ი. ე. რ. ს. ა., ცდილობდა „სიცილით გაეწორებია ცხოვრება“. ისეთ სიცილს, რომელიც დაკავშირებულია ტკივილებთან.

სერიოზულ გრძნობებთან, ჩვენ ვუწოდებთ, ჰუმორს. სწორედ ეს ჰუმორი შეადგენს ძირითადს გ. ერისთავის შემოქმედებაში.

რით უნდა ავხსნათ ის, რომ გ. ერისთავმა თავის *ფეხიქვედუ* დაიხადა ჰუმორი და არა სატირა?

გ. ვ რ ა ხ თ ა ვ ე

როგორც ცნობილია, სატირა წარმოადგენს ლიტერატურული შემოქმედების ისეთ სახეს, რომელსაც მწერალი მიმართავს უმთავრესად მაშინ, როდესაც იგი „სუჯის“ კლასობრივ მტრებს. გ. ერისთავს კი, როგორც ვიცით, თავისი შემოქმედების საგნად ჰქონდა უპირველესად ყოვლისა, თავად-აზნაურ-მემამულეთა წრე, კლასობრივად მისთვის მახლობელი და ნათესავი წრე და თუმცა მწვავედ ამხელდა იგი ამ წრეს, მის უარყოფით მხარეებს, მას მაინც ბევრი საერთო ჰქონდა მასთან. გ. ერისთავმა მთელი თავისი შემოქმედებითი ძალა მიმართა იქითკენ, რომ მოერჩინა თავად-აზნაურობის „ქრილობა“. სიცილსაც იმიტომ იყენებდა იგი, რომ დარწმუნებული იყო მის განმაჯანსაღებელ ძალაში.

გ. ერისთავი ხედავდა არსებული სინამდვილის უარყოფით მხარებს, მაგრამ იგი მათ ამხელდა თავისი მორალური იდეალის მიხედვით, მას ძალზე სუჯეროდა „კეთილის“ უძლეელობა. ეს რწმენა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წარმოადგენდა დამახასიათებელ მომენტს გ. ერისთავის იდეური ბაზისა. ამიტომ იყო, რომ იგი მიისწრაფოდა სინამდვილის წინააღმდეგობათა არა ბოლომდე მხილებსაყენ, არამედ მის შერბილებსაყენ. რაც უფრო მეტია ის სინამდვილის სურათები, რომელსაც ჩვენს წინაშე შლის ცხოვრება, მით უფრო ძლიერდება გ. ერისთავში საწინააღმდეგო სამკურნალო წამლის გამოანახვის სურვილი, და აქ მის უპირველეს დამხმარედ გამოვიდა სიცილი. ებრძოლა ბოროტებას, მაგრამ ამავე დროს შეარბილო იგი, ისე, რომ არც ერთი წუთითაც არ შეასუსტო რწმენა იმისა, რომ შეიძლება მისი დაძლევა, — წარმოადგენს ძირითად გზას გ. ერისთავისთვის. თავისი სიცილით იგი შეგნებულად ანელებდა სინამდვილის მწვავე მხარეებს, ძლიერ ხშირად იქ, სადაც გ. ერისთავი იძულებული ხდებოდა მოეცა თავად-აზნაურობის უბადრუკობის მძიმე სურათები, იგი ჩქარობდა სიცილით შერბილებია შთაბეჭდილება.

ამგვარად, გ. ერისთავის კომიზმს აქვს ღრმა საფუძველი. იგი მის შემოქმედებაში მოცემულია, როგორც გარკვეული იდეოლოგიური ბაზის აუცილებელი შემადგენელი და შეგნებული მომენტი. ტენდენცია კომიკურის ხილვისა ცხოვრებაში და ამასთანავე მისი ძალზე შერბილებისა განუყოფელია გ. ერისთავის მორალისტურ ტენდენციებისაგან. მორალური სრულყოფლობა და კომიზმი შეადგენს მის შემოქმედებაში ერთ მთლიანობას. აქედანაა ის რთული ფუნქცია, რომელსაც ასრულებს სიცილი.

აქვე უნდა აღვნიშნოს ისიც, რომ მიუხედავად საკმაო სიმძაფრისა, გ. ერისთავის სიცილი არ გადადიოდა სატირაში. მაგრამ ეს რასაკვირ-

ველია, სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ მის შემოქმედება არ იყოს სატირის ელემენტები. ცხადია, გ. ერისთავის შემოქმედების მიხედვით შეიძლება ვილაპარაკოთ სატირის ელემენტებზე, მაგრამ არა სოციალურ სატირაზე, როგორც ასეთზე, ვინაიდან მისი სატირა მოითხოვს ფართო სოციალურ განზოგადოებას, რაც არ ჰქონდა გ. ერისთავს.

მართალია, ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ გ. ერისთავი თავის რეალისტურ ნაწარმოებებში იბრძვის თავისი კლასის მორალური სრულყოფილებიანათვის, რაც დაკავშირებულია მთელ მის სოციალურ პროგრამასთან და, კერძოდ, ფეოდალური ურთიერთობის განახლების მისწრაფებასთან, მაგრამ ამავე დროს გ. ერისთავის რეალიზმი საკმაოდ დიდი მანძილზე გამოდის მორალურ პრობლემათა საზღვრებს გარეთაც.

გ. ერისთავის რეალისტური სახეები წარმოადგენენ არა რალაციანარ ფსიქოლოგიურ კატეგორიებს, არამედ ფართო მხატვრულ განზოგადოებას, რომლებიც გამსჭვალულია სათანადო სოციალური შინაარსით, გ. ერისთავი თავის პერსონაჟებს გვიჩვენებდა, როგორც გარკვეული სოციალური წრის წარმომადგენლებს. აიღეთ თავდა-აზნაურთა გალერეია „დავა“-სა და „გაყრას“-დან და ნათლად დაინახავთ, რომ თითოეული პერსონაჟი წარმოსდგება, როგორც განსაზღვრული სოციალური სახე. გ. ერისთავის პერსონაჟების კავშირი წრესთან, კლასთან იმდენად რელიეფურადაა მოცემული, რომ არავითარ ეჭვს არ იწვევს შთი სოციალური პუნება. გ. ერისთავის პერსონაჟები გამოდიან განსაზღვრული სოციალური სახით, კონკრეტულ გარემოცვაში. მწერალი იძლევა ფეოდალურ-მემამულეთა მეურნეობისა და ცხოვრების დაცემის სურათებს, გვიჩვენებს კაპიტალისტური ურთიერთობის პირველად წარმომადგენლებს (ჩარჩ-ვაჟრებს) თავიანთი აგრესიულობით, მტაცებლური მოქმედებით და სხვ. სინამდვილის ეს სურათები წარმოადგენენ გ. ერისთავის ნაწარმოებების განუყოფელ ნაწილს. „დავასა“, „გაყრასა“ და სხვა კომედიებში თავდა-აზნაურობის დაცემა მოცემულია მისი ყოფის საფუძვლების შერყევასთან ერთად.

ამგვარად, არ იქნება სწორი, რომ გ. ერისთავის რეალისტური ნაწარმოებები დაეიყვანოთ მხოლოდ მორალურ პრობლემათა გამოხატულებამდე. მაგრამ ამავე დროს არ შეიძლება არ დავინახოთ ის სპეციალური შეგუება მორალური და სოციალური საკითხებისა, რომელიც დამახასიათებელია გ. ერისთავისათვის საერთოდ. მორალურ საკითხებიდან იგი ადიოდა სოციალურ განზოგადოებამდეც. ეს გარემოება კი საშუალებას გვაძლევს დავინახოთ მისი რეალიზმის ძლიერი და სუსტი მხარეები.

გ. ერისთავი, როგორც მწერალი, საყურადღებოა იმით, რომ მან გვიჩვენა თავდა-აზნაურობის სიციარილე, მისი უზადრუკობა და დაცემა. გვიჩვენა ჩარჩული კაპიტალის წარმომადგენლების შეუფერავი სახე. მაგ-

რამ გ. ერისთავმა უდიდესი სისუსტე, განსაზღვრულობა გამოამჟღავნა იმით, რომ ვერ დაინახა მის მიერ მხატვრულად დასურათებული მხედრეების კავშირი ძირეულ საზოგადოებრივ პროცესებთან, ვერ დაინახა ისინი პერსპექტივაში და ამიტომ მოგვცა მხოლოდ მათი ხატული სახე. გ. ერისთავს არ ესმოდა, რომ თავად-აზნაურობის დაცემა და ნიადაგმორღვეულობა გამოწვეული იყო იმით, რომ ფეოდალიზმმა უკვე ისტორიულად ამოსწურა თავისი თავი. გ. ერისთავისათვის არ იყო ნათელი ის ვარემოება, რომ იმ პრობლემათა გარკვევის დროს, რომელსაც იგი ებუზოდა თავის შემოქმედებაში, მთავარი იყო საზოგადოებრივი ურთიერთობის მთელი სისტემა და არა მარტო კლასის ცალკეული წარმომადგენლები. გ. ერისთავის კლასობრივი განსაზღვრულობა მოსჩანს იმაში, რომ იგი, აკრიტიკებდა რა თავად-აზნაურობას, განაწილებდა ბატონყმურ უფლებებს საკითხებს. თავად-აზნაურობის ასეთი შემოფარგლული კრიტიკა კა სათანადო დაღს ასევამს მის რეალიზმსაც.

თავისი კლასობრივი განსაზღვრულობის გამო გ. ერისთავს არ შეეძლო თავისი ჰუმორი განემსუვალა მძლავრი სოციალური პროტესტით. გ. ერისთავი ანდლუყაფარ-ამირინდოებს და ონოფრე-პავლეებს დასცინოდა არა მათი მოსპობის მიზნით, თავისი მხილებისაგან იგი ელოდა სასწაულს — „მკვდრების აღდგენას“, მათ ცოცხლებად დანახვას. მისთვის თავად-აზნაურული პერსონაჟების უბადრუკობა იყო არა სოციალური ურთიერთობის შერყევის, არამედ ადამიანების მორალური დაცემის, მათი დროებითი მიძინების შედეგი. და, დრამატურგი თავის კლასობრივ ამოცანას ხედავდა თავად-აზნაურობის ამ მდგომარეობიდან გამოყენებაში:

მე დავწერე იმაზედა, ვინც ზნეობით არის მრული...

ჩვენ ვეცადნეთ და განვდევნეთ, რაცა არის ჩვენში ცული.

(„გაყრა“).

ამ სიტყვებით გ. ერისთავი გარკვევით საზღვრავდა თავის როლს, როგორც მორალისტი მწერალი, როგორც თავისი კლასის მსახური. იგი თავის კომედიებს სწერდა ზნეობის გამოსასწორებლად.

რეალისტი გ. ერისთავი ხედავს, რომ ინგრეცა თავად-აზნაურულ-მემამულეთა საფლობელო, მაგრამ იგი მისი სისხლი სისხლთაგანია და ამიტომ ჯერ კიდევ დარწმუნებულია, რომ თავისი სიცილით გაასწორებს მას. იგი მოუწოდებს თავის კლასს გამოფხიზლებისაკენ, მოუწოდებს ებრძოლოს სიმახინჯეს, რომელიც თავად-აზნაურთა შორის დაბუდდა. გ. ერისთავს არ ესმოდა, რომ ეს სიმახინჯე იყო საზოგადოებრივ ურთიერთობათა ცვლის პროდუქტი.

ადამიანების გასწორება ნიშნავს გაასწოროთ სისტემა, — ფიქრობდა გ. ერისთავი. ამიტომ რეალისტური უბრალოებით წამოაყენა მან გაბაი-  
11. „მნათობი“ № 1.

ტონებული კლასის ადამიანების მახინჯი სახე. გ. ერისთავის კომედიები არსებითად იყო გაბატონებული კლასის თვითკრიტიკის ცდა რომელიც მიზნად ისახავდა თავად-აზნაურობის კლასობრივი თვითშეგნების აღზრდას და გამაზიარებას. მაგრამ თვითკრიტიკა შეიძლება შესაჩუქებლად გახდეს ამომავალი კლასისათვის, რომელიც გაბედულად შეპყრებს მომავალს, რომელსაც აქვს საშუალება იბრძოდოს არსებული სოციალური სისტემის ცალკეულ სიმახინჯეთა წინააღმდეგ, ვინაიდან ეს სიმახინჯეები არ წარმოადგენენ ამ კლასის ორგანიულ თვისებებს. სხვა საქმეა დაცემის გზაზე დამდგარი კლასი, რომლის ნიადაგიც შერყეულია, როგორც ეს იყო თავად-აზნაურობისათვის უკვე 50-იან წლებში. ასეთ პირობებში გაბატონებული კლასის თვითკრიტიკული სიტყვა ბრუნდება ისევ შის საწინააღმდეგეთ.

გ. ერისთავს უნდოდა თავისი პიესებით ეთქვა „მწარე სიმართლე“, სურდა ღრმად შეეხედა სინამდვილისათვის. მაგრამ როდესაც იგი შეეცადა ყველა ცუდი მხარის ერთად შეგროვებას, აღმოჩნდა, რომ ის გაცილებით უფრო მეტი და ძირეული იყო, ვიდრე ეს ერთი შეხედვით მოსჩანდა.

გ. ერისთავი ვერ გრძობდა, რომ თავად-აზნაურობის ნაკლთა წინააღმდეგ მიმართულ მის კრიტიკას არსებითად მიჰყავდა იგი იმ დადებითი იდეალების კრიტიკამდე, რომლისკენაც ასე თავგამოდებით მიისწრაფოდა.

მხატვრულმა მეთოდმა, რომელიც საფუძვლად ედვა „დავას“, „გაყრას“ და სხვა კომედიებს, ობიექტურად მოგვცა მათი ავტორის კლასობრივი სიმპატიების მხილება. ნიშნავს თუ არა ეს გარემოება იმას, რომ გ. ერისთავის შემოქმედებაში ადვილი აქვს წინააღმდეგობას მწერლის რეალისტურ მხატვრულ მეთოდსა და მსოფლმხედველობას შორის? ცხადია, არა! გ. ერისთავის პოლიტიკური შეხედულებანი, მხატვრული მეთოდი და ობიექტური შინაარსი შემოქმედებისა წარმოადგენს შინაგან წინააღმდეგობას შისი მსოფლმხედველობისა და გამოხატავს კონკრეტულ-ისტორიულ წინააღმდეგობას იმ სინამდვილისა, რომელზედაც აღმოცენდა მთელი ეს შემოქმედება.

გ. ერისთავი მწვავედ გრძობდა კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებას საქართველოში და ნთლად ხედავდა ამავე დროს აუცილებლობას, რომ თავად-აზნაურობა როგორმე გამოფხიზლებულიყო, რომ თავად-აზნაურობას შეუძლია გამოსავალი იპოვოს თავისი გაუარესებული მდგომარეობიდან ისე, რომ არ დადგეს ბურჟუაზიული განვითარების გზაზე. საჭირო იყო ბურჟუაზიული განვითარებისათვის თავად-აზნაურობის წარსულის „კარგი“ ტრადიციების დაპირისპირება.

მემამულეთა წყობილების დაცემის პირობებში მწერლის იდეალი, რომელიც თავის დანიშნულებას ხედავდა ფეოდალური „რაინდობის“ რესტავრაციაში, რომელიც ცდილობდა კომედიურ ტონებში ეჩვენებია თავისი თანამედროვე საზოგადოება და ამავე დროს დაესახა გზები მისი

მატერიალური საფუძვლების განმტკიცებისათვის, მისი მორატორი გა-  
ჯანსაღებისათვის — წინასწარ განწირული იყო. მომავალი მდგომარეობ-  
და არა გ. ერისთავის რესტავრატორულ ტენდენციებში.

## 5.

როგორც დავინახეთ, გ. ერისთავი იყო ნამდვილი ნოვატორი, ახალი  
გზის გამკაფავი ქართულს ლიტერატურასა და დრამატურგიაში. იგი არის  
ერთადერთი თვალსაჩინო ოსტატი რეალისტური კომედიისა, რომელიც  
შექმნა ჩვენში მომავლედმა თავად-აზნაურულმა კლასმა. გ. ერისთავი თავ-  
და-აზნაურობის დეკადანსის ნიჭიერი ამსახველია. მან თავის კომედი-  
ებში ფეოდალური საზოგადოების კრიზისი სრულყოფილ მხატვრულ სა-  
ხეებში გამოხატა. ჩვენის აზრით, არ იყო გადაჭარბებული ა. ხახანა-  
შვილის თქმა, როდესაც იგი ახასიათებდა გ. ერისთავის მოღვაწეობასა  
და შემოქმედებას და ამბობდა, რომ „ჩვენში იშვიათია სხვა მეორე ადამიანი,  
რომლის მოღვაწეობა ყოფილიყოს ასე ნაყოფიერი, ასეთი ფართო  
და ღრმა თავისი შედეგებით“... \*).

გ. ერისთავს, როგორც კომედიოგრაფს, არ ჰყოლია ჩვენში წინაპრები.  
მას არ შეეძლო მიეღო და განეეითარებია ქართველ დრამატურგთა რაიმე  
შემოქმედებითი მიღწევა (რადგან ასეთები თითქმის არც გვეყავდა მანამ-  
დე), ისე, როგორც ამას ადვილი ჰქონდა შექსპირის, მოლიერიის,  
ოსტროვსკის და სხვათა შემოქმედებაში. როგორც ცნობილია  
შექსპირმა კანონზომიერად დაასრულა წინამორბედ და თავის თანა-  
დროულ დრამატურგთა მთელი პლეადა (ლილი, ბენ ჯონსონი, მარლო და  
სხვ.), არც მოლიერი დაბადებულა „ცარიელ“ ადგილზე. იგი მომზა-  
დებული იყო მეორეხარისხოვან კომედიოგრაფთა მთელი თაობით, რომ-  
ლებიც ავსებდენ პარიზის თეატრების სცენებს მე-17 საუკუნეში. მოლი-  
ერმა ისერგებლა ამ ავტორთა და აგრეთვე იტალიელ და ისპანელ კომე-  
დიოგრაფთა (ნიკოლო პარბენი, ნიკოლო სეკი, ანდრეა ჩიკონინი, ანტონიო  
ურტადო დე-მენდოსი და სხვ.) მემკვიდრეობით საკმაოდ თავისუფ-  
ლად. ოსტროვსკიმ თავის შემოქმედებაში „შენსრუტა“ ტრადი-  
ციული რუსული ვოდვეილებისა და კომედიების ავტორები (პლავიწნი-  
კოვი, პოლევოი, დიაჩენკო, ლენსკი, კონი და სხვ.). იგი დიდად იყო დავა-  
ლებული აგრეთვე გოგოლისაგან. ასეთი მომზადებული და გა-  
პოზიერებული ნიადაგი არ დახვედრია ჩვენი დრამატურგიული ხელოვნე-  
ბის ფუძემდებელს. ამ მდგომარეობის საფუძველზე უნდა იქნას გათეა-  
ლისწინებული გ. ერისთავის შემოქმედების სუსტი მხარეებიც.

გ. ერისთავის მდიდარი და მრავალფეროვანი შემოქმედება წარსული  
კულტურის მნიშვნელოვანი მემკვიდრეობაა. გ. ერისთავმა თავის ნაწარ-

\* ხახანაშვილი — ქართული ლიტერატურის ისტორია. მე-9 საუკუნე“ გვ. 47.

მოებებში ობიექტურად (მიუხედავად თავისი სუბიექტური სურვილისა) მოგვცა ფეოდალურ-მემამულეთა წყობილების დაცემის დასაცავად მხატვრული სურათი. ძველ საქართველოს განსაზოგადოებრივ განვითარება გ. ერისთავის დრამატურგიას ზღის ისეთ მემკვიდრეობად, რომლითაც ვეცნობით მთელ ისტორიულ ეპოქას, თუმცა ამავე დროს არ ვიფიქსებთ იმას, რომ იგი სინამდვილისადმი დამოკიდებულების საკითხს სვამდა თავისი კლასის ინტერესების მიხედვით.

თავისი კრიტიკით თავად-აზნაურობისა გ. ერისთავმა გააკეთა ისტორიული საქმე, მაგრამ თავისი „მისწრაფებით — განემტკიცებია ფეოდალურ-მემამულეთა წყობილება, მოგვიწოდებდა უკან. ამიტომ გ. ერისთავის შემოქმედების „სუსტ“ მხარეს წარმოადგენს ის, რომ მან ვერ გაიგო ისტორიული პროცესის ობიექტური მიმდინარეობა, ვერ მოახერხა ისტორიულად-პროგრესიული გზის დაცვა საზოგადოებრივ განვითარებაში.

სამართლიანად სწერდა ფ. რ. ენგელსი: „მწერალი მოვალე არ არის გამზადებული სახით წარმოუდგინოს მკითხველს მის მიერ ასახული საზოგადოებრივი კონფლიქტების მომავალი ისტორიული გადაწყვეტა... და რომ იგი მთლიანად ასრულებს თავის დანიშნულებას, როდესაც კეთილსინდისიერად ასახავს რეალურ ურთიერთობებს და სწვევტს გაბატონებულ პირობითს ილუზიებს ამ ურთიერთობათა ბუნების შესახებ... მზადებს ექვს არსებული წესის საფუძველთა უცვლელობაში, თუნდაც ავტორი ამასთან არ გულისხმობდეს რაიმე განსაზღვრულ გადაწყვეტას და ზოგჯერ არ დგებოდეს აშკარად ვისმე მხარეზე“.

სწორედ ასეთი იყო ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში გ. ერისთავის ნაწარმოების როლი, მიუხედავად თვით დრამატურგის ძველი ცხოვრების დამცველობითი პოზიციებისა.



გამია დუდუჩავა

## გიორგი წერეთელი — დრამატურგი

გიორგი წერეთლის ადგილი ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში სრული სახით ჯერ კიდევ არ არის დადგენილი. მეტიც: დღემდე იმ მუშაობის შეწყვეტის გამო, რომელსაც განსვენებული სიმ. ზუნდაძე აწარმოებდა, მწერლის შემოქმედების შესწავლის პირველი პერიოდიც (არქივების დამუშავება, აკადემიური გამოცემა) არ არის შესრულებული. ამიტომ კვლევა-ძიება გ. წერეთლის შემოქმედებისა და ნააზრვეის ირგვლივ მხოლოდ ცალკე პრობლემების დამუშავების, ზოგადი შენიშვნების ფარგლებში მიმდინარეობს. ეს წერილიც მსოფლმხედველობრივ-სოციალოგიურ პრობლემებთან დაკავშირებულ რამდენიმე შენიშვნას შეიცავს, უმთავრესად მკვლევართა მიერ გამოყენებული მასალების საფუძვლებზე.

გ. წერეთლის მხატვრული და პუბლიცისტური კრიტიკის მსოფლმხედველობითი-სოციალური საფუძვლების შესახებ მეცნიერულ ლიტერატურაში ორგვარი ძირითადი შეხედულება არსებობს: პირველი მწერალს ბურჟუაზიული რადიკალიზმის გამომხატველად სთვლის (სიმ. ზუნდაძე), მეორე კი მას ბურჟუაზიის ლიბერალურ იდეებთან აკავშირებს, ფეოდალურ ლიბერალიზმისაგან პრინციპიალურად არ ანსხვავებს (მიხ. ზანდუკელი).

თერგდალეულების სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის ეპოქა (სამოციანი წლები) ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების თვალსაჩინო დიფერენციაციის ეპოქა იყო. მესამე წოდების იდეები, აღმავალი კლასის რადიკალიზმი, ფეოდალური კონსერვატიზმისაგან ლიბერალიზმის გამოიჯენა, — ძირითადად ასეთი გზებით დახასიათდა ამ უღელტეხილის იდეოლოგია. თერგდალეულები აღნიშნული აზროვნული მოძრაობის ცენტრში იდგნენ. მათი პოზიცია პირველ პერიოდში მთლიანი იყო, საერთო მოწინააღმდეგე ფეოდალურ კონსერვატიზმს (მამებს) უპირისპირდებოდა, ებრძოდა. სამოცდაათიანი წლებში, როდესაც ისტორიული სინამდვილე გადაიქცა, ერთის მხრით, მამების იდეების სასაფლაოდ, ხოლო მეორეს მხრით — ახალი სოციალური მიმართების, პრობლემების საშობლოდ, თერგდალეულებს შორის აშკარად გამოიკვეთა ორი ნაკა-

დი: თავადაზნაურულ-ლიბერალური და ბურჟუაზიულ-პროგრესიული. ეს პროცესი 1869 წელს დასრულდა თერგდალეულთა ილია ჭავჭავაძის ჯგუფიდან („პირველი დასიდან“) „ახალი ახალგაზრდობის“ („მეორე დასის“) გამოყოფით. რაც უფრო სცილდებოდა ისტორიის ნაპირებს, წლების გზაჯვარედინს, მით უფრო ძლიერდებოდა უთანხმოება და ანტაგონიზმი ამ მიმდინარეობებს შორის, მით უფრო პრინციპული ხდებოდა მათ შორის არსებული ბრძოლა. მაგრამ ეს დაჯგუფება, დაპირისპირება თერგდალეულებს შიგნით მხოლოდ ძირითად გზებს, მიმართულებას ეხება. ამიტომ აღნიშნული არ ნიშნავს, თითქოს „ახალი ახალგაზრდობის წრის“ ყველა წევრი პრინციპიალურად განირჩეოდა „პირველი დასის“ წარმომადგენლებისაგან. პირიქით, „ახალი ახალგაზრდობის წრეში“ იყვნენ ისეთებიც, რომელნიც ძალიან ახლო იდგნენ ილია ჭავჭავაძის ჯგუფთან როგორც მსოფლმხედველობითი კრედოს, ისე სოციალური დასაყრდენის თვალსაზრისით. მეტიც: „ახალი ახალგაზრდობის“ ჯგუფთან განსაზღვრულ პერიოდში დაკავშირებული იყო აკაკი წერეთელიც, რომელიც თუმცა თავისებურ ფორმებში, მაგრამ ძირითადად მაინც პირველი დასისათვის დამახასიათებელ სოციალურ-იდეურ საფუძვლებზე იდგა. ეს მნიშვნელოვანი მომენტი არა აქვს გათვალისწინებული თერგდალეულების პრობლემასთან დაკავშირებით განსვენებულ სიმ. ხუნდაძეს, რომელიც „ახალი ახალგაზრდობის წრეს“ მთლიანად ბურჟუაზიულ-რადიკალურ მიმდინარეობად სთვლიდა\*). „ახალი ახალგაზრდობის“ ამგვარი წარმოდგენა არ არის მართებული, იგი ვერ გამოხატავს ისტორიულად არსებულ ფაქტს, რადგან ეს თაობა ძირითადად თავისი ცალკეული წარმომადგენლების მიხედვით, იყო ბურჟუაზიულ-რადიკალური, უკეთ რომ ვსთქვათ, ბურჟუაზიულ-პროგრესიულ ინტერესების იდეების გამოხატველი და არა ყველა თავისი წევრებით მთლიანად.

თერგდალეულების საკითხთან დაკავშირებით არსებობს სხვა უკიდურესობაც. ეს პოზიცია უარყოფს თერგდალეულების შიგნით სხვადასხვა სოციალურ საფუძველზე მდგომ მიმდინარეობას. ამგვარი შეხედულება თავისებურ ფორმებში განავითარა მ. ზანდუკელმა. ამ მკვლევარის აზრით, „თუ ჩავეყვირდებით მათ მოღვაწეობას და ობიექტურად შევაფასებთ, დავრწმუნდებით, რომ ძირითადში ეს ორი ჯგუფი (ლაპარაკია თერგდალეულთა ჯგუფებზე. — მ. ლ.) უეჭველია ერთია. კლასობრივი საფუძველი მათ საერთო აქვთ. განსხვავება მხოლოდ გაჭანებაშია (в колеснани)“. თუმცა „განმასხვავებელი ნიუანსები მათ მსოფლმხედველობაში უდავოდ არის, მაგრამ ისინი არ არიან არსებითად სხვანი. ამ ჯგუფებს

\* ასეთივე თვალსაზრისით იქცევიან — მთლიანად „დემოკრატიულ-პროგრესიულ“, მიმდინარეობად სთვლის „ახალი ახალგაზრდობის“ ჯგუფს თვით ჯ. წერეთელი (იხ. მისი წერილი: „ა. აბაშიძე და ჩვენი ახალგაზრდობა“, „კვალი“, № 46, 1897 წ., გვ. 815).

შორის წინააღმდეგობა/ხშირად პიროვნულ ნიადაგზე იყო ხოლმე. ისევე გ. წერეთელია ამ ჯგუფში ყველაზე მემარცხენე თავის მსოფლმხედველობით\*).

გ. წერეთელი

ასეთ ახსნას არ ამართლებენ ფაქტები. შეუძლებელია, რომ წერეთელი, როგორც მემარცხენეობაც არ უნდა მივაკუროთ მას, იმავე სოციალურ საფუძველზე მოთავსდეს, რომლითაც დიდი სამოციანელის ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობა ხასიათდებოდა. ეგვე ითქმის ნიკო ნიკოლაძეზე. აგრეთვე ვერც პირადული მომენტები გახდის გასაგებს იმ ბრძოლას, რომელიც მიმდინარეობდა „ახალი ახალგაზრდობის“ ძირითად წარმომადგენლებსა და თერგდალეულების „პირველ დასს“ შორის. სხვადასხვა ნაკადის დანახვის გარეშე ვერ აიხსნება ეს მოძრაობა.

გ. წერეთლის შემოქმედება, პუბლიცისტური წერილები და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ხასიათი ერთ-ერთი ძირითადი ფაქტია თერგდალეულების შესახებ ზემოთ წარმოდგენილი შეხედულების დასასაბუთებლად. ამავე დროს თერგდალეულთა პრობლემა ძირითადი მომენტია, რომლის გაგების ხასიათი განსაზღვრავს როგორც გ. წერეთლის, ისე მთელი სამოციანი წლების ლიტერატურული ინტელიგენციის შემოქმედების გაგებას. ამიტომ შევჩერდით წინდაწინ ზოგადად ამ მომენტზე.

როგორც აღნიშნული იყო და საერთოდაც ცნობილია, გ. წერეთელი „ახალი ახალგაზრდობის“ ერთ-ერთი მეთაურთაგანი იყო. რადიკალურად განწყობილი ინტელიგენციის ეს ჯგუფი ორგანიზაციულად დიდხანს არ არსებობდა (დაიშალა 1877 წ.), მაგრამ მისთვის ძირითადად დამახასიათებელ რადიკალიზმს გ. წერეთელი თავისებურ ფორმებში ბოლომდის შერჩა. ბურჟუაზიულ-პროგრესიულ იდეების მთელი სისტემა წარმოდგენდა ამ თავისებურ და მრავალმხრივ საინტერესო ბელეტრისტის, პუბლიცისტის, ჟურნალისტის, ისტორიულ-საბუნებისმეტყველო წერილების ავტორის, დრამატურგისა და საზოგადო მოღვაწის აღნიშნულ რადიკალიზმის დასაყრდენს. ეროვნული პრობლემის თავისებურად გადაწყვეტა, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლა, ფეოდალური ურთიერთობის უარყოფა, ახალი სოციალური ტენდენციების გაიდევლება, უპროლეტარიატო ნაციონალური კაპიტალიზმის შექმნის იდეა, თუმცა სტიქიური, მაგრამ საკმაოდ მძლავრი ელემენტები მატერიალური მსოფლმხედველობისა და სხვა ანალოგიური მომენტები, — ასეთი იყო გ. წერეთლის იდეათა სისტემის დამახასიათებელი მომენტები. მწერლის მიერ განვლილი ეს გზა გარკვევით არის გამოკვეთილი უკვე ცნობილ მხატვრულ და პუბლიცისტურ ნაწარმოებებში. ეს მხარეები ხშირად უფრო მკვეთრად ან მეტად დამახასიათებელ ხაზებში მოსჩანს ზოგიერთ გამოუქვეყნებელ ნაწარმოებსა და დოკუმენტშიც, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია გ. წე-

\* ) მ. ზანდუკელი — „ახალი ქართული ლიტერატურა“, ტ. II, გვ. 469.

რეთლის შემოქმედების სრული სახით წარმოდგენისათვის, ამ შემოქმედების ბურჟუაზიულ ბუნების გამორკვევისათვის. ერთ-ერთ ასეთ დოკუმენტს წარმოადგენს 1890 წლის 17 აპრილის თარიღით გ. წერეთლისადმი მისი მომავალი მეუღლის, ცნობილი მოღვაწის ანასტასია თუმანიშვილის მიერ მიწერილი შემდეგი პირადი ბარათი:

„სწორედ იმ დროს, როდესაც მომივიდა „ღვთის წყალობა“, იმდენი უბედრო მასალა მომივიდა, რომ თქვენ კონვერტსაც, სინამ გავხსნიდი, ჩალაც ექვის თვალით გადავხედე და ვიფიქრე: ამას ვილა გზავნის? სახირო არა იქნება მეთქი — და მერე როცა გავხსენი საშინლად გამებარდა და ვიფიქრე — სწორედ ღვთის წყალობა მომივიდა მეთქი.

„ორი-სამი დღე დავტყუარდი და კი არ ვკითხულობდი — თავგსავით ტბილ ლუკმას შევტყუარდი... მერე როცა გადავიკითხე — მოთხრობა მომეწონა, მართლა ბევრი რამ დაწერილებით ირის აღწერილი (იმგვარ მოთხრობებს რუსები ეძახიან *поучительный рассказ*), მაგრამ ბავშვებისათვის სასარგებლოა. დედა-აზრმა კი ძალიან ჩამაფიქრა, სოციალურ აზრებშია ძალიან შემაშინეს, არ ავნოს ვურნალობს მეთქი, შეტადრე ეხლა ამ ჩვენ გაჭირებულ დროში (გაუფიქრის გამოცემას რომ თხოულობდნენ, უარი მოუვიდათ). გულში ძალიან გავჯავრდი თქვენზედ — გამოცდილი კაცია მეთქი და როგორ უწერს ბავშვებს, რომ „მიწა-წყალი კვებაში უნდა სწორად გავიანაწილოთ“.

„ვიფიქრე, ვიფიქრე... ერთ ადგილას, სადა სოციალისტურია აზრებია, ამოვშალე და ისე მივეცი დასაბეჭდად“. ვალარებ ჩემ დანაშაულობას, თუნდა ჯვარს მაცეთ — ხელიდამ კი ვერ გავუშვი ამისთანა მშვენიერი მოთხრობა“...

„...ეხლა, რასაკვირველია, ამ მოთხრობას ისე დააბოლოებეთ, როგორც ნამდვილი ცხოვრება გვიჩვენებს (ხომ მოგხსენებთ, რომ ყმაწვილების გამოგდება სასწავლებლიდან ხშირი მოვლენაა). კარგი იქნება, ყმაწვილს ნატურათ და ოცნებათ დარჩეს „ოჭროს ჭეყანა“. მაგრამ მე რა თქვენი მასწავლებელი ვარ, როგორც კეთა ვიპრიდეთ, ისე დასწერეთ და მალე მომაწოდეთ — ოღონდ სოციალურ აზრებს თავი დაიანებეთ, თორემ უიშისოდაც დაღუპულანასტასია მიხეილოვანას სრულიად დაღუპავთ, რადგან შესაძლო იქნება ეს ერთადერთი შვილი — „ჯეჯილი“ წამერთოს“... (ტურსივი ყველგან ჩენია — მ. დ.).

ამ დოკუმენტიდან აშკარად ირკვევა, რომ გ. წერეთელი ჯერ კიდევ 90-იან წლებში აყენებდა „მიწა-წყლის თანასწორად განაწილების“ იდეას, რაც მაშინდელ სოციალურ სიტუაციაში მხოლოდ ბურჟუაზიულ რადიკალიზმს შეიძლება დაუკავშირდეს. ეს გარემოება უფრო აშკარა გახდება, თუ გავითვალისწინებთ იმ საერთო ფონს, რომელშიაც წარმოდგენილია იგი „ღვთის წყალობაში“. ეს მოთხრობა, როგორც მოყვანილ ბარათიდანაც ირკვევა, საბავშვოა და ძირითადად ზღაპრულ ფაბულას ემყარება. მოთხრობის ცნობილი ტექსტი შეიცავს ორი ცხოვრების დაპირისპირ-

\*) გ. წერეთლის ეს მოთხრობა „ჯეჯილი“ 1891 წლის მე-4 და მე-5 ნომერში დაიბეჭდა. წერტილში ლაპარაკია მოთხრობის ნაწილზე, რომელიც მეოთხე ნომერში დაიბეჭდა.

რებას: ერთი მხრივ მოცემულია ძველი ფეოდალური ყოფა — ჩამორჩენილი ცხოვრება, ჩაგვრა, უმრავლესობის შიმშილი და ექსპლოატაცია. მეორე მხრივ — ახალი უბატონო, მაღალი ტექნიკის საფუძველზე აღმშენებელი და შრომაზე დამყარებული ცხოვრება, — სხვადასხვადასხვა კრიტიკული ურთიერთობა, როგორც თვით მწერალს იდეალად ჰქონდა წარმოდგენილი. მათი დაპირისპირების საფუძველზე ბელეტრისტი ყოველმხრივ ცდილობს დაამტკიცოს მეორის — უტოპიურად წარმოდგენილი თავისებური ბურჟუაზიული ცხოვრების უპირატესობა და საჭიროება. ორი ძირითადი პრინციპი უდევს ამ ცხოვრებას საფუძვლად: 1) მაღალი ტექნიკა, განვითარებული საწარმოო იარაღი და 2) მხოლოდ საკუთარი შრომით არსებობა. მოთხრობის ნამდვილ (პირვანდელ) ტექსტში მათთან დაკავშირებული ყოფილა აგრეთვე „მიწა-წყლის თანასწორად განაწილების“ მომენტი, რაც, როგორც ან. თუმანიშვილის პირადი წერილიდან ჩანს, საცნაურო პირობების მსხვერპლი გამხდარა. ცხადია, გ. წერეთლის ეს პოზიცია არ შეიძლება დაუკავშირდეს თავადაზნაურულ ლიბერალიზმს.

დამახასიათებელია, რომ ასეთი შეხედულებანი სხვადასხვა ფორმაში თუ სხვადასხვა პრობლემასთან დაკავშირებით, გ. წერეთლის თითქმის ყველა ნაწარმოებშია წარმოდგენილი ძირითადი მომენტის სახით.

გარკვევით ახასიათებს ეს გ. წერეთლის თუმცა თავის დროზე ცნობილ, მაგრამ დღემდის გამოუქვეყნებელ პიესებსაც. გ. წერეთელს ეკუთვნის სამი პიესა: „ჯიბრი“, „ოჯახის ასული“ და „დარია“. პირველი დაიბეჭდა 1871 წელს თურნალ „კრებულში“. „ოჯახის ასული“ და „დარია“ კი ოთხმოციანი წლებში დაიწერა, ხოლო 1880 წელს წარმოდგენილ იქნა ერთი წლის წინათ დაარსებული მუდმივი დრამატული დასის მიერ.

ამ პიესების, კერძოდ, უკანასკნელი პიესის ძირითადი მნიშვნელობა ჩვენთვის დღეს მხოლოდ მწერლის მსოფლმხედველობის პროფილის გამოკრევეასთან არის დაკავშირებული. ამ პიესებზე გარკვეული როლი ითამაშეს აგრეთვე ოთხმოციანი წლების ახლად ფეხადგმული ქართული დრამატურგიისა და თეატრის განვითარების საქმეში. განსაკუთრებით ეს ითქმის ოთხმოცედებიან „დარიას“ შესახებ. ეს უკანასკნელი ქრონოლოგიურად პირველ ქართულ დრამას წარმოადგენს, რომელიც არა ეროვნულ, არამედ სოციალური ურთიერთობის შინაგანი ანტაგონიზმის თემაზეა გაშლილი.

„დარია“ გლუბთა „გამანთავისუფლებელი“ რეფორმის მომდევნო პერიოდის, სახელდობრ, სამოცდაათიანისა და ოთხმოციანი წლების პირველი ნახევრის ფეოდალური არისტოკრატის ყოფის ასახვაა. როგორც ყოველთვის, აქაც მწერალი ამ თემას მძაფრი კრიტიკისა და დაპირისპირების ასპექტში იძლევა დევრადაციის გზაზე დამდგარი კლასის მოძველებულ და უვარგისს მორალს. აზროვნებას პიესაში ახალი იდეები და მორალი უპირისპირდება. ერთის მხრივ — სწავლით, საზოგადოებრივი იდეალებით

გატაცებული დარია, პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი ერეკლე, მეორეს მხრივ — პიესის ყველა სხვა პერსონაჟი, ფეოდალური არისტოკრატის ტიპური წარმომადგენლების სახით. ასეთი მხრივ განწყობა აღნიშნულ დაპირისპირებაში. პერსონაჟს შორის არსებული ინტრიგის განვითარების მანძილზე მრავალი პრობლემა აქვს ავტორს დასახული და განვითარებული, რასაკვირველია, მეტნაკლები სიერციით. მათგან პიესის ძირითად იდეურ ხერხემლად ფეოდალური ოჯახის ტრადიციების ფონზე წარმოდგენილია ქალის პიროვნების თავისუფლების პრობლემა. ეს პრობლემა ძირითადად დარიას ირგვლივ ტრიალებს.

ფეოდალური წარმომადგენლისა და ფეოდალური ყოფის არტახებში გამომწვევადეული ახალგაზრდა დარია ახალი იდეებით გატაცებული, სწავლის წყურვილით და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ოცნებით გატენილი პერსონაჟია. დარიას ეზიზღება გარემო, სძულს ყველაფერი, რაც ძველიდან ბორკილებად შემორჩა მისს თანამედროვეობას. განსაკუთრებით აუტანელია მისთვის ქალის მონური ბედ, ფეოდალური ცხოვრების ბნელეთმა რომ არგუნა მის წინაპრებს და მისაც.

ღმერთო, რა უბედურია ქალი. აკნინად სიბერემდის, როგორც დედოფალს, როგორც ტიკინას, ის უფურცუნ. განა ქალი აღმინი არ არის? განა ქალს ისეთივე ტვინი და ნება არ დაყოლია, როგორც ვაჟს! მაშ რათ ჰყავთ ქალი უსუსურს ბავშვსა-ვით ამოჩვენებული?"

ასეთი გაგებით, იდეებით ესარჩლება იგი ძველი ცხოვრების მიერ ფეხქვეშ გათელილ ქალთა სქესს.

დარიას გონებიდან არ შორდება სწავლის იდეა. მისი გარემო, კერძოდ, მშობლები ახალგაზრდა ქალის ამ მისწრაფების გადაულაბველ დაბრკოლებას წარმოადგენენ. დაბრკოლება უფრო მძლავრდება ქმრის ოჯახში. დარიას იზიდავს საზოგადოებრივი მოღვაწეობა, ახალი ცხოვრება; აქაც დაშლის გზაზე დამდგარი სოციალური ურთიერთობის ბორკილები ატყვევებენ მის განცდებს. დარია ბორჯავს, იბრძვის ამ ბორკილთა არტახებში, წყევლის და აფურთხებს თავის ბედს. მისთვის ჩვეულებრივია ლირიული წამოძახილი: „ფუ ამისთანა დატყვევებულ სიცოცხლეს“ და ეს სიცოცხლე დარიასთვის უფრო სასტიკი ხდება, როცა შურით, მტრობით, თუ ძველი მორალით დაბრმავებული მისივე წოდების აღამიანები ათასს ჩირქსა და ტალახს წაცხებენ მის სპეტაკ მოქმედებას, იდეალებს.

აზროვნებით დარიას გვერდში დგას ერეკლე. ეს უკანასკნელი მრავალ პროგრესულ იდეას უღვიძებს ძველი ცხოვრების მსხვერპლად ქცეულ ახალგაზრდა ქალს. ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია შემდეგი დიალოგი:

დარია: — თქვენ რომ ამ დღეს ქალს განთავისუფლებაზე მელაპარაკეთ, მე იმან ძალიან დამაფიქრა. მას აქვთ მოსვენება არა აქვს ჩემს გულს. მე კიდევ მცხებ-ნა ჩემი თავისა, რომ ზავედენია დამისრულება და არა ვიცი რა.

ერეკლე: ჯერ თქვენ დრო არა გიქვთ სწავლისათვის დაკარგეთ. ღვთის მადლით, მამათქვენი შეძლებული კაცია, რა გიჭირსთ. წაბრძანდით პეტერბურღში და იქ უმაღლესს ქალებს კურსში სწავლა დაასრულეთ.

დარია: მე ეგ ფიქრი კარგა ხანია გულში მაქვს; მაგრამ ~~მამის~~ ბევრი დაბრკოლება უდგას წინ. თქვენ არ იცით ჩემი დედამისი ამბავსა ~~წინა~~ მსგავსებური აზრისანი არიან. რომ გულშიალო — პეტერბურღს მინდა წასვლა მეთქი, ვგონებ კარ-შიაც აღიარ გამომახედონ.

ერეკლე: მტარველობის დრო წაივდა. თუ კი კაცს წრფელი წადილი აქვს, თავის აზრზე მტკიცეა და ამასთან საშუალებაც თან აქვს, იმას რა მოურჩება აუსრულდება.

დარია: მე ისე ბეჯითად მაქვს გადაწყვეტილი პეტერბურღს წასვლა, რომ სიყვდილის მგტი ვერა მომამღვინებს რა“.

ერეკლეს იდეები თითქოს წარმოადგენს გამოძახილს მესამოცე წლეულის რუსეთის მოაზროვნებისა. ეს იდეები შთაგონებისათანავე ბატონდება დარიას აზროვნებაში. ეს, რასაცვირველია, არ ნიშნავს, თითქოს დარიასა და ერეკლეს გატაცება ამგვარი იდეებით რევოლუციური ხასიათისა იყოს. პირიქით, ეს გატაცება უდავოდ პროგრესიულია. ძირითადი, რაც მათ ახასიათებს, არის ცხოვრების ახალი ტენდენციების საფუძველზე დგომა, ფეოდალური ოჯახის ტრადიციების უარყოფა, ქალის განთავისუფლების იდეა, სწავლა-განათლებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობისაკენ მისწრაფება. ამ მომენტებით მათი პოზიცია, რომელიც იმავე დროს ავტორის თვალსაზრისსაც გამოხატავს, არსებითად განსხვავდება პიესის სხვა პერსონაჟებისაგან.

დამახასიათებელია, რომ დარია მართლაც ენერგიულად ცდილობს პეტერბურღს წასვლას სწავლის განსაგრძობად. ყოველგვარ დათმობაზე მიდის იგი ამ იდეის განხორციელებისათვის. ძალდატანებით ათხოვებენ; იმავე მიზნით ამ ფაქტსაც ურიგდება. მაგრამ ფეოდალური ცხოვრების პირობები იმდენად ჩამორჩენილი და უკუღმართი აღმოჩნდა, რომ მათ სპეტაკი ქალი უზომო ტანჯვამდის მიიყვანეს, ტრადიციულად დაღუპეს.

დარიასა და ერეკლესაგან განსხვავებით ყველა სხვა პერსონაჟი პიესაში უარყოფით ტიპად არის წარმოდგენილი. ავტორი, დარიას ბედთან დაკავშირებით, ყოველთვის ხაზავს ამ პერსონაჟთან წრის ადამიანების ყოფის, აზროვნების, მოქმედების უფარვისობას, შეცვლის აუცილებლობას. მაგრამ მართა ამით არ შთაფრდება გ. წერეთლის კრიტიკა, მისი ოპოზიცია ფეოდალური ცხოვრების წინააღმდეგ. ის უფრო შორს მიდის: იგი გლეხების მდგომარეობის გაუარესებასაც ეხება. ეს მომენტი „დარიას“ მესამე მოქმედებაშია წარმოდგენილი. პიესის ეს ნაწილი ქალიშვილის ქორწილის სამზადისში მყოფ თავად ჭაიხოსროს ასეთი მონოლოგით იხსნება:

„მე ჩემს მამა-პაპის ჩვეულებას ვერ უღალატებ. მართალია, ახალი დრო მოვიდა. ბატონჯმობა ვითომც მოისპო; მაგრამ მე ჩემს მამულში თუ ვარ, ახლა ვარ ბატონი. დღეს კანონით ყოველი გლეხისაგან მეოთხედი მოსავალი მერგება; უწინ მეოთხედი კი არა, მერვედიც რომ მრგებოდა, ისიც დიდი იყო. გლეხები კი მაინც ისე მემსახურებიან, როგორც უწინ.“

აბა, თუ ბიჭია, ჩემს ნაყმევს დაუძახებ და მსახურად არ გამოვა, მუსაში არ შემეწყვე-  
ს არ მიახლება, თუ სადმე დაეასაქმე. რომ რასმეში უარი მიიხრას, ბატონ-ყმო-  
ბის დროზე უარეს დღეს დავაყენებ; აქვე უკუქუქულს  
აღარ მივცემ, წყალსაც არ ვასმევ, რაღაცაშიც კი ვე-  
მეშ, რასაც იქც, რომ არ დამეცემო რჩილემ და როგორც  
მე მინდა, ისე არ მხმსახურებო". (ხაზი ჩემია.—მ. დ.).

მოყვანილი ამონაწერი გარკვევით ახასიათებს იმ აუტანელ გაუარე-  
სებულ პირობებს, რომლებშიაც გლეხები ბატონყმობის „გაუქმების“ შე-  
მდეგ მოქცევენ. გ. წერეთელი გაბედულად ამელაენებს და უპირისპირდება  
თავაშვებულ თავადაზნაურობის ასეთ მოქმედებას. აღსანიშნავია, რომ  
გლეხთა ექსპლოატაცია, დამონება ბატონყმობის გადავირდნის შემდეგ  
სხვა მხრივაც ხდებოდა, ვიდრე ეს ზემოთ წარმოდგენილ ციტატაშია ასა-  
ხული. გ. წერეთელი ამ გარემოებასაც აქცევს ყურადღებას. პიესაში ეს  
მოვლენა შემდეგი დეტალის სახით არის მოცემული ქაიხოსროსა და მისი  
მოურავის მამუკას დიალოგში:

ქაიხოსრო (მამუკას): მად სტოლზე, ჩემს კაბინეტში სია არის შემოსაწყე-  
რებისა და აქ მომიტანე, სეფა უნდა გაეკეთო ორასი საყენი სივრცე, ჩემს ეზოს ვარ-  
შემოვლილი უნდა ჰქონდეს (მამუკა შიშითმეც ჭაღალდს და განზე დადგება). ჯერ  
ჩამოვსთვალათ შეძლებული გლეხები, რომელთაც შეუძლიათ ძროხის შემოწევა და  
ჩემს ჭორჩილშიაც ძროხა მოუყვანიოთ. მამუკა! ყური ადევნე, იქნება ან ვინმე დამიწი-  
ყებოდეს, ან თუ შეძლებული არ იყოს, გამახსენე.

მამუკა: კი, შენი ჭირიმე.

ქაიხოსრო: პართენა ხახიაშვილი — ერთი ძროხა.

მამუკა: არა, შენი ჭირიმე, იმას აღარ შეუძლია ძროხა. შარშან ჭირი გახლდა  
და პირუტყვი სულ ამოუწყდა.

ქაიხოსრო: კარგი, ჩაენიშნავ. იმაზე შემიწერია ცხვირი. გოგიტა ნუცუბიძე —  
ერთი ძროხა.

მამუკა: გოგიტამ, ბატონო, მოგეტყვებათ, თქვენი ჭირი წაიღო, დაარჩენ წერი-  
ლი ბოვშები. ძალიან ხელმოკლეთ გახლავინ.

ქაიხოსრო: რა გაეწყობა, იმაზედაც ცხვიარს დავნიშნავ. ქიტესა ხარშილაძე —  
ერთი ძროხა.

მამუკა: ქიტესას, ბატონო, ძროხა კი არა, ქთამიცი არა ჰყავს, ისე გადაუ-  
შენდა ყოველიფერა.

ქაიხოსრო (შეტყუებით): რას მიჰქარავ, მამ გლეხი არ მყოლია ძროხის შე-  
მოწერიავი!

მამუკა: შენმა სიციცხლემ, გაუჭირდებათ.

ქაიხოსრო: როგორ თუ გაუჭირდება? მამ მე ბატონი აღარა ვარ? ეს პირ-  
ველი არ არის, რომ შენ გლეხებს უდგინარ და იფარავ (წამოდგება რისხვით). მე არ  
გაგაკეთე, შე უცხვირპირო? სანამ ჩემს მოურავად გახდებოდი, აბა, რა იყავ? ფუნ-  
ტიტველა და თავშიშველა. დღეს ღებერნატორი რომ გეწეოთ, თავსაც არ შეიღებ.  
შენ გაიკარცე ჩემი ოჯახი და დღეს გლეხებსაც დაპატრონებინარ? შენ ყოფილხარ  
ბატონი, თორემ მე ვინლა ვარ, ჩემს შემოსაწყევარს შენ მოგგვირან ხოლმე ჩემია,  
მე ვინლა დამეტებს! (მუქარით) მამუკა, მიფრთხილდი, თორემ ასე თითოეით ში-  
შველს გაგიშვებ!...

ეს საკმაოდ ვრცელი ამონაწერი გარკვევით მიგვითითებს ავტორისა  
პოზიციებზე.

გ. წერეთლის მეორე გამოუქვეყნებელი პიესაც — „ოჯახის ასული“ ფეოდალური არისტოკრატის რღვევისა და გადაგვარების ფორმის განვითარებული, მაგრამ სხვა მიმართულებით, სახელდობრ, მისი მხარე პერსონაჟების ხასიათი და მოქმედება გამოხატავს იმ პროტესტს, რომელიც გორგის ხანაში გახრწნა თავადაზნაურობა ახალმა ბურჟუაზიულმა ცხოვრებამ, თუ როგორ იღუპებიან ძველი „ბრწყინვალე ოჯახები“. დომენტი გორდელაძის ოჯახის ბედი, მისი შვილი გრიგოლი („პოლკის ადიუტანტი, ახლად დაბრუნებული ბოლღარიიდან“, მფლანგველი, ბანკოს მოთამაშე და სხვა) და პიესის სხვა ტიპები ამ პროცესის შემცველ სახეებს წარმოადგენენ. ეს ერთის მხრივ. მეორეს მხრივ — „ოჯახის ასულში“ გადაყენებული „ჩინოვნების“, იმავე დომენტი გორდელაძისა და მისი სიძის დავითის პორტრეტების სახით წარმოდგენილია სახელმწიფო მოხელეების კრიტიკა. ეს მხარე განსაკუთრებული სიმკვეთრითაა მოცემული შემდეგ დიალოგში, რომელიც ცენზორს პიესის დასადგმელად ნებართვის გაცემის დროს გადაუხაზავს (აუკრძალავს)\*):

დომენტი (აღელვებული): ეჰ, ჩემო დავით, ჰუა ვისწავლე, მაგრამ გვიან-ლაა. ჩემი მთელი სიცოცხლე სხვის კალთის ქვეშ ვიყავი ამოფარებული, ეს მეგონა კარგი გზა, ამით დავაბერე ჩემი ცხოვრება, მაგრამ მითხარი, რა ვარ მე დღეს? სამსახურიდამ გამოვდებული ჩინოვნიკი, ყველასაგან პატივ-აღებული, თითოთ საჩვენებელი ყველანი დამკონიან, ავახაკს, მეჭრთამეს შემახიან. რათა? იმიტომ, რომ ჩინოვნიკი ვიყავი. რამდენი საბავლობა, დამცირება, სულმდაბლობა ვადამიტანია, და რა მომცა ამის წილ იმან, ვისიკ ყურმოკრფილი ყმა ვიყავი? პირველი იმანვე გამხადა ქვეყნის სასაკილოდ. აი ჩემო დავით, მე ეს მიკიდებს გულში ცეცხლს. ვაითუ გრიგოლს ჩემზე უარესი დავმართოს, ჩემზედ ბევრად ადრე გამოიყვანონ საქვეყნო მოედანზედ.

დავით: ერთი დრო, ბატონო, ვის შერჩენია ამ სოფლად.

დომენტი: იმას, შვილო, ვინც, რაკი დედის ძეძულს მოშორდა, მარტო თავის მარჯვენისა და თავის ჰუტის იმედი ჰქონია. მარტო ის ყოფილა ბედნიერი სიკვდილამდისინ.

დავით: მთელი ქვეყანა სამსახურითა ცხოვრობს და ჩვენ მარტო ვერ დაუდგებითი წინ ქვეყანას.

დომენტი: კიდევ მაგისტვის არის მთელი ქვეყანა მე და შენსავით პანლურ ამოკრული, ჩემო დავით.

ამ სტრიქონებში აშკარად არის გამოკვეთილვ როგორც რღვევის გზაზე დამდგარი თავადაზნაურობა, ისე პიესის ავტორის დამოკიდებულება მათ მიმართ. „კიდევ მაგისტვის არის მთელი ქვეყანა მე და შენსავით პანლურ ამოკრული“, — მონანიე დომენტის ეს სიტყვები გარკვევით გამოხატავს გ. წერეთლის პროტესტს ამგვარი ცხოვრების, ადამიანებისა და „ქვეყნის“ წინააღმდეგ.

გ. წერეთელს სხვა თავის ნაწარმოებებშიაც აქვს ყურადღება გამახვილებული მმართველი არისტოკრატის (თვითმპყრობელობის მოხელე-

\* პიესა ნებადართულია 1880 წლის 11 თებერვალს კავკასიის საცენზურო კომიტეტის მიერ.

ების) გადაგვარებისა და გახრწნის, უმსგავსო მოქმედებებს მიზრობ, მათი კრიტიკა ამ თხზულებებში უდავოდ მტრულია. ამავე დროს ზოგიერთ მათგანში ეს მომენტი გლახთა მდგომარეობასთან არის დაკავშირებული. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს პატარა მოთხრობა „ოცნა მსოფლის წინააღმდეგ“.

უდავოა, რომ ამ წერილში აღნიშნული გ. წერეთლის შემოქმედების დამახასიათებელი ფაქტები არ არის შემთხვევითი: ისინი გარკვეულ მთლიან მსოფლმხედველობითს სისტემიდან მომდინარეობენ. ეს მსოფლმხედველობა კი გ. წერეთლის ეპოქისათვის უდავოდ შედარებით პროგრესიული იყო. ამავე დროს, როგორც ვხადავხა დავინახეთ, იგი არ შეიძლება შეუთავსდეს თავადაზნაურულ ლიბერალიზმს.

დასასრულ, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, საჭიროდ მიგვაჩნია შევნიშნო შემდეგიც: ჩვენი მსჯელობა არ ვულისხმობს დასკვნას, თითქოს გ. წერეთლის რადიკალიზმი დასავლეთ ევროპის მოწინავე ქვეყნების ბურჟუაზიის მიერ აღმავლობის პერიოდში შემუშავებულ პოზიციებს უდრიდეს. პირიქით, მათ შორის გარკვეული განსხვავებაა, რაც ჩვენი ქვეყნის კაპიტალიზმის განვითარების თავისებურობით აიხსნება. ამ მხრივ ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ დასავლეთ ევროპის მოწინავე ქვეყნების, კერძოდ, საფრანგეთის ბურჟუაზიამ ბარიკადებით და სისხლით აიღო ისტორია, დიდი რევოლუციის ქარიშხლით დაღეწა ფეოდალური ურთიერთობის კართაგენი. მაშინ, როდესაც ჩვენში შედარებით უსისხლოდ გამოვიდა ეს სოციალური ფენა ცხოვრების ასპარეზზე: ევოლუციის, ფეოდალური ცხოვრების მასთან გადაზრდის გზით გადაიქცა იგი ჰეგემონ კლასად. ასეთი სახით, ე. წ. პრუსული სისტემის ნიადაგზე განვითარების გამო, ქართველ ბურჟუაზიას არ დასჭირებია „ადამიანის პიროვნების თავისუფლების დეკლარაცია“, არ ჰყოლია დიდი მატერიალისტი ენციკლოპედისტები. მისი ინტერესების გამოხატველი გ. წერეთელი, იმავე პოზიციებზე მდგომ სხვა ქართველ მწერლებთან ერთად, ბევრად უფრო მარჯვენა იდგა. მაგრამ, მეორეს მხრივ, მას ჰქონდა პრინციპიალური კონფლიქტი თავისი ეპოქის თავადაზნაურულ იდეებთან და მაშინდელ სიტუაციისათვის უდავოდ პროგრესიულ-ბურჟუაზიული პოზიციებიდან შეხედულებას ანივთარებდა \*).



\*) სიმ. ხუნდაძე გ. წერეთელს, ფრანგ მატერიალისტებისა და გასული საუკუნის 60-იანი წლების რუს რევოლუციონერ მოღვაწეთა ანალოგიურად, ბუნების მეცნიერებაში სრულ მატერიალისტად სთვლის, ხოლო ისტორიაში — იდეალისტად. ეს შეფასება არ არის მართებული. როგორც აღნიშნული იყო, გ. წერეთლის მსოფლმხედველობაში ბუნების გაგებასთან დაკავშირებით უდაოდ არის მატერიალიზმის მძლავრი სტიქიური ელემენტები; მაგრამ ეს ელემენტები არ იძლევიან საფუძველს მწერლის მთლიანად მატერიალისტად გამოცხადებისათვის, რადგან ამ ელემენტების მძებნედავად, გ. წერეთელი ძირითადად მანკ ბოლომდის იდეალისტად დარჩა აზროვნების ყველა სფეროში.

ი. მანსვეტაშვილი

წარსულიდან \*)

რა იყო მიზნე მთავარი საგანი ქვეყანაძისა და მაჩაბლის უთანხმოებისა, რომ ასე გამწვავდა საქმე?

მწერლობაში ჩამოვარდნილი უსიამოვნების თაობაზე ზემოთ გვქონდა ნათქვამი. ეხლა ბანკის საქმეს მივუბრუნდეთ. მაჩაბელი ჩიოდა, რომ ილიამ ბანკი სრულიად მიატოვაო, მთელი კვირაობით შიგ ალარ შემოახედაესო, საქმე ფერხდება, მსესხებლები მიგვირბიან, ბანკი გვეღუპებაო. ამდენს ვმუშაობ და არა გამოდის რა, ბანკის მეთაური ხელს არ გვიმართავსო.

ილიამ ამაზე ასე უბასუხა ერთ საზოგადო კრებაზე:

— მიჩივიან ზარმაცობას, შემდღურებიან, ბანკში იშვიათად დაიარებაო. ვთქვათ, ასეც იყოს. მერე მითომ რაო? აი ხომ ჰხედავთ ამ დიდ მაგიდას, ამის გადადგმა გინდათ: ზოგი იქნება მთელ კვირას ეფაფხუროს და ადგილიდან ძვრა ვერ უყოს, სხვა კი ერთხელ მოჰკიდებს ხელს, ნუკით ასწევს და ადგილს უნაცვლებს.

ილიას ერთი ზნე ჰქონდა: ჭირვეულობა იცოდა. ერთი თუ „არას“ იტყოდა, თავზე რომ კაკალი გემტვრიათ, „პოს“ ველარ ათქმევინებდით. ერთს რამეს აიჩემებდა, გაჯიქდებოდა და უკან ველარ დაახევინებდით. აი ერთი ამის მაგალითი.

ცნობილია, რომ საადგილ-მამულო ბანკის მოქმედების მთავარ ძარღვს შეადგენდა სესხის გაცემა ქალაქის თუ სოფლის მამულებზე. რასაკვირველია, აქ დიდი სიფრთხილე და თავდაპირა იყო საჭირო. რომ გირაოდ მიღებულ მამულში ღირებულებაზე მეტი არ მისცემოდა სესხად. ამ მოვალეობას ასრულებდა ეგრეთწოდებული დამფასებელი კომისია. ერთი წევრი ამ კომისიისა და, თუ საჭიროება მოითხოვდა, რამდენიმეც შეაფასებდა მამულს, დაფასების ოქმი, რომელზედაც ხელი უნდა ჰქონოდა მოწერილი სამ წევრზე არა ნაკლებს, მათ შორის კომისიის თავმჯდომე-

რეს, წარედგინებოდა გამგეობას გასასინჯად და საბოლოოდ გადასაწყვეტად, და მხოლოდ ამის შემდეგ მიეცემოდა მამულის დამფირავებელს სესხი. და აი აქ იწყებოდა სწორეთ ზემოთ ნათქვამი ჯერჯერობაში: მირვეულობა ილიასთ. არ ვიცი, რა მოსაზრება ჰქონდა ილიასს: მტკიცებითი სიფრთხილე და წინდახედულობა თუ უფრო მაჩაბლის ჯიბრი და გამოჯავრება, რომელსაც ხელგაშლილობა უყვარდა. მხოლოდ ერთხანად აიჩემა და რაც უნდა ფრთხილად, ხელმოჭერილად ყოფილიყო მამული დაფასებული, ილია მაინც იტყოდა: მეტად არის დაფასებული, უნდა შემცირდეს სესხის რაოდენობაო.

მაჩაბელი არ ეთანხმებოდა ილიას და ასეთს საბუთებს ადგენდა: დამფასებელ კომისიას მეტი ნდობით უნდა მოვეპყრათ. კომისიის წევრები ისეთივე პასუხისმგებლები არიან ბანკისა და საზოგადოების წინაშე, როგორც ჩვენ. იმათაც და ჩვენც ერთი და იგივე საზოგადო კრება ირჩევს და ორივეს ერთგვარ ნდობას ანიჭებს. მაშ ჩვენ რაღად უნდა დავწამოთ, იმათ არაკეთილსინდისიერება? შეიძლება, დამფასებელნი შესცდნენ. ეს შესაძლებელია. მაშინ აქ კაბინეტში კი არ უნდა შესწორდეს ეს შეცდომა, უნდა ადგილობრივ გავსინჯოთ, განვიხილოთ ყოველივე წვლილი საქმისა და მხოლოდ ასეთი კვლევა-ძიების შემდეგ გვექნება ნება დავადგინოთ: შევამციროთ სესხის რაოდენობა თუ არაო.

სრულიად საჭიროდ არ მიმაჩნია ადგილობრივ კვლევა-ძიება. საქმის გადაწყვეტა აქაც შემიძლიან, როგორც ჭკუა მიჭრის და რაც გამოცდილებით ვიცი. გარდა ამისა, მიჩვენეთ ბანკის წესდების მუხლი, რომელიც ვალად მადებდეს მამულების ადგილობრივ გასინჯვასო, — ასე ფორმალურად მოიშორა ილიამ თავიდან მაჩაბლის მოსაზრება.

მაგრამ საქმის გადაწყვეტა მარტო ილიაზე არ იყო დამოკიდებული. ილია, მართალია, თავმჯდომარე იყო გამგეობისა, მაგრამ, მაჩაბლის, გარდა, იყო კიდევ მეორე დირექტორი და აი ამ სამთა ხმის უმეტესობით უნდა გადაწყვეტილიყო ყოველი საქმე. მეორე დირექტორად იყო ალ. ჩოლოყაშვილი, რომელსაც „ოთარაანთ ქერივის“ ნათლობაზე რაფიელმა უთხრა: დღმა თალეო. მართლაც, ამ ჩოლოყაშვილს უყვარდა უფრო დღმის თლა, ვიდრე საქმის ქმნა, ამასთანავე იყო კაცი უსაქმური, ორპირი: აქეთაც იყო, იქითაც, შენიც იყო, იმისიც. მუდამ ორ სკამს შუა იჯდა. და სასწორს უფრო იქით გადახრიდა, სადაც ძალასა ხედავდა. ძალა ილიასკენ იყო, ამიტომ იმას მიემხრობოდა ხოლმე. ეს უფრო ამოროტებდა მაჩაბელს, მაგრამ რას ვააწყობდა. მხოლოდ გულზე კი იხვევდა და ბოლოს, როგორც ქვემოთ ენახავთ, კიდევ ვაღუხადა სამაგიერო.

ამგვარად ილიას თავისი ვაჰყავდა. მერე თითქმის ჩვეულებად გადაეჭკა, ბრალიანად და უბრალოდ ყოველ სესხს უსათუოდ ცოტა რამეს მაინც დააკლებდა: ახლა დამფასებელმა კომისიამაც ხმა ამოიღო, იწყინა ასეთი უნდობლობა, მაგრამ ილია თავისას არ იშლიდა.

მერე როგორ ვათავდა ეს ამბავი? რა მოხდა? მოხდა რა, რა შიშობდა ამგვარ შემთხვევაში მოხდება ხოლმე: დამფასებლებმა პირობები შეარქო-ლებს ილიას ვერ გაუბედეს და მიმართეს მოხერხებულ სურვილს. მას, ასე იქცოდნენ: მამულის შეფასება, მისი ღირებულება სესხისა დამყარებული იყო მამულის შემოსავალზე. მაშასადამე, თუ მეტი იყო შემოსავალი, მამულიც მეტად შეფასდებოდა. ავიღოთ, მაგალითად, ქალაქის სახლი, რომლის შემოსავალიც, ვთქვათ, უდრის 1000 მანეთს. ბანკის წესდების ძალით, ეს შემოსავალი უნდა გამრავლებულიყო ათჯერ. მივიღებთ 10.000 მანეთს. აი ეს შეადგენდა მამულის საფასურს. ესაა წარმოვიდგინეთ, რომ დამფასებელმა 1000 მან. მაგიერ, შემოსავალი აწვე-ნა 1.200 მან. მაშინ, ზემოაღნიშნული ანგარიშის კვალობაზე, ე. ი. ათ-ჯერ რომ გავამრავლოთ, მამული დაფასდებოდა 12.000 მანეთად. ეს 2.000 მან. არც ისე დიდი ვადამეტება იყო. თუ გაჭირდებოდა, მამული ასეთ ვალსაც გაუძღვებოდა. მაგრამ ამისი შიში არ იყო, რადგან იცოდ-ნენ, რომ 2.000 მან. ილია უსათუოდ ჩამოაკლებდა, მაშასადამე. მამული ისევ ნამდვილ ღირებულობის კვალობაზე იქნებოდა დაფასებული.

ასეთი ხრიკი არავისთვის საიდუმლო არ იყო. დამფასებლები ზედმეტს დანაფასს რომ დაურთავდნენ ხოლმე, თანაც დაატანდნენ სიცილით: ესეც ილიას ქირის სანაცვლო იყოსო. ეჭვი არ არის, ეს ამბავი ილიას ყურემ-დიც აღწევდა, მაგრამ ილია ყურსაც არ იბერტყდა, თავის ახირებას არ იშლიდა.

ილია ზაფხულში სააგარაკოდ იყო წასული საგურამოში. ამ დროს ბანკმა ქალაქში სამი დიდი მამული მიიღო გირაოდ და სესხად ვასცა. მგონი, ოთხასი ათასი მანეთი, მაჩაბელი ხომ გულუხვი და ხელგაშლილი იყო ამგვარ შემთხვევაში. მაგრამ არც გამგეობის დანარჩენი წევრები იყვნენ წინააღმდეგნი. ილია რომ დაბრუნდა სამსახურში, ერთმა დირექტორმა ახარა ეს ამბავი, ეგონა ვასიამოვნებო. ილიამ, ამის გამგონმა, შუბლში ხელი შემოიკრა და წამოიძახა: აი ახლა დაიღუბა ბანკით. ილიამ ამ საყვედურით თითქოს მახარებელ დირექტორს მიჰმართა, მაგრამ, ხომ მოვესსენებათ, ძაღლსა სცემდნენ, რძალს ასმენდნენო. აძულებული რძა-ლი, რასაკვირველია, მაჩაბელი იყო და ზემოთ ნათქვამიც სწორედ იმის-კენ იყო მიმართული. მაჩაბელი გამოეხმაურა.

ავიხსენით, რა საბუთები გაქვთ მაგის სათქმელადო.

მაგას რა დიდი ხაზი და ლარი სჭირია: დღეს რომ ბაქოში ნავთის წყაროები დაშრეს, იქაური მამულები ჩირის ფასად აღარ ეღირება, და თქვენი გაცემული სესხი წყალში გადაყრილი ფული იქნება, ბანკს და-ლუბავსო.

არ ვიცი, რა უპასუხეს ილიას. იმას კი ვიტყვი ჩემად, რომ ბაქოს შე-სახებ მარტო ილიას არა ჰქონია ასეთი შემცდარი აზრი, სხვებიც ბევრნი უყურებდნენ ბაქოს ამ თვალსაზრისით. ჯერ ერთი, ბაქოს ნავთის და-  
12 „მთაბი“ № 1.

შრობაზე ბევრს ლაპარაკობდნენ, მაგრამ ამ ლაპარაკს საოჩილოდ ედო უფრო ბაზრული, ქუჩური ლაყბობა და არა მეცნიერული, ვოლუგური საბუთები. მეორე კიდევ ის, რომ ბაქო არ ჰქონდათ ქარგვებზე მუშაობილი, შესწავლილი. იგიწყებდნენ, რომ ბაქოს, ნავთის ვარცხნილობა სიმდიდრეც ჰქონდა. ეს იყო მისი მდებარეობა. ბაქო ერთად-ერთი საუკეთესო, დაფარული და უშიშარი ნავთსადგურია მთელს კასპიის ზღვაზე. მთელი ნავოსნობა კასპიის ზღვისა ბაქოს უჭირავს ხელში. ბაქო აწარმოებს დიდ ვაჭრობას ირანთან, კასპიის იმიერ-მხარესთან, რუსეთთან ასტრახანის და ვოლგის გზით და საზღვარგარეთთან ტფილისზე და შავი ზღვით. ნუ თუ ყველა ეს ნებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ბაქოს უნდა ანდერძი აეგოს, თუ იქ ნავთი გამოილიათ. შემდეგმა დაამტკიცა და დღეს ზომ ყველანი ცხადად ვხედავთ, რომ ილია და მისი თანამოაზრენი შემცდარნი იყვნენ ბაქოს შესახებ. შემდეგში ბანკმა ოც მილიონამდე სესხი ვასცა ბაქოში და წელიწადში ასიათას მანეთამდე წმინდა მოგება რჩებოდა.

მაჩაბელი ხედავდა, რომ ილიასთან ვერას გასდებოდა, ვიდრე გვერდში ედგა ისეთი ორპირი და არა სანდო კაცი, როგორიც იყო დირექტორი ა. ჩოლოყაშვილი. ამ უკანასკნელს კაცი ხელს ვერ ჩაჰკიდებდა, თვეზივით უსხლტებოდა. უნდა ეფიქრა, მის ალაგას სხვა ვინმე, უფრო სანდო და საიმედო კაცი ჩაეყენებინა. ასეთი კაცი კიდევ აღმოჩნდა. ეს იყო გიორგი თარხნიშვილი, პოლკოვნიკი, კაცი მხნე, რიხიანი, კარგი და გაბედული მოლაპარაკე. საზოგადო კრებებზე ბევრში მაჩაბელს ამართლებდა, მის მომხრეობას იჩენდა, ილიას შეეახე სიტყვებს სთავაზობდა, რიხით და ზათქით ეკამათებოდა. მაჩაბელმა და მისმა მომხრეებმა იფიქრეს, სწორედ ასეთი კაცი გვინდა ჩვენათ, და ვადსწყვიტეს მისი დირექტორად არჩევა ჩოლოყაშვილის მაგიერად. იმასაც ნუ დაივიწყებთ, რომ თარხნიშვილი ჭართლელი იყო. ჩოლოყაშვილი გააშავეს და დირექტორად თარხნიშვილი აირჩიეს. მაჩაბელი გამარჯვებას დღესასწაულობდა, უხაროდა, ახლა კი ილიას ფრთებს შეეაკვცავათო. მაგრამ ხანმოკლე გამოდგა მაჩაბლის სიხარული. თარხნიშვილმა ყალთაბანდობა გამოიჩინა: დიდ ხანს არ გაუვლია, რომ მან მაჩაბელს ზურგი შეაქცია და სავსებით ილიას მიემხრო.

ასეთ ყოფაში ჩაეარდა მაჩაბელი. ახლა კეთილგონიერება იჭნებოდა მაჩაბლის შრიც, ან სრულიად გასცლოდა ბანკს, ან ჭედი მოეხარა და ჭაქვაეაძეს დამორჩილებოდა. არც ერთს გზას დაადგა, არც მეორეს, მესამე ირჩია, ე. ი. ვადსწყვიტა განეგრძო ისევ ბრძოლა. ბანკის ზღუდეთა შორის ეს ებლა, რასაკვირველია, შეუძლებელი იყო. ილიას რომ თავი დაეანებოთ. ახალი დირექტორი, თარხნიშვილი, მკვაზე და ცხარე კაცი იყო.

ახლა ბრძოლა ვატანილ იქნა გარეთ, ქართულ დაწესებულებებსა და სკოლებში. მაჩაბელს ბევრი მომხრე აღმოუჩნდა, რომელნიც მას აღიზიანებდნენ და აქეზებდნენ. სამწუხაროდ, მათ შორის უმეტესობა ისეთებიც, რომელთაც იდეური, საქმიანი მხარე ნაკლებად აწუხებდათ. ესენი ბრძოლაში ჩაერთვნენ მხოლოდ გასართობად, დროს გასატარებლად. ასეთი იყო, მაგალითად, კოლა ორბელიანი, პოეტ ვახტანგ ორბელიანი ს შვილი, კაცი განათლებული, პროკურორად ნამყოფი, კარგი მოლაპარაკე, ნიქს არ მოკლებული, მაგრამ თანაც კაცი ფუჭი ცხოვრების ამყოლი, უთავბოლო, გაქსუებული, კაცი, რომელმაც მამის მიერ დატოვებული დიდი შეძლება იმ დროს გამოჩენილ მოჭიდავეს, კულა გლდანელს და ნადირობას გადააგო. ამ ორბელიანმა ერთხელ თავისი შვილი გამაცნო და ასე დამიხასიათა:

— გთხოვთ იცნობდეთ, ხოლო სიყვარულით კი ნუ შეიყვარებთ. ჩემზე ხომ ამბობენ, წამბდარია, წრესგადასულიაო. ჩემმა შვილმა მე გადამაჭარბა. მე თუ თოთხმეტი ძაღლი მყავს და დღეში ოცდა რვა გირვანჭა ხორცს ვაჭმევ, ეს თვრამეტ ძაღლს ინახავს და დღეში ოცდა თექვსმეტ გირვანჭა ხორცს აჭმევს. მამ: კარგია მამულისათვის, რომ შვილი სჯობდეს მამასაო.

აი ეს ორბელიანი გამოუჩნდა ერთგულ მომხრედ და თანამებრძოლად მაჩაბელს. ამისი ტრაბახი და ბაჭი-ბუჭი მაჩაბელმა ხალას ოჭროდ მიიღო. ორბელიანი ასე იქადაგა:

— მოიცადეთ, მე გიჩვენებთ ილიას სეირს! ნახეთ, თქვენი ილია როგორ ჩავაღბო და ვავჭიმო საქალამნო ტყავივითო.

ხომ განსოვთ კრილოვის ივანე-არაკი, აი წყალ-წყალა ჩიტი, კვებნით რომ გამოვიდა და იძახდა, ზღვას ცეცხლს წაუუკიდებ და გადავწვავო. სწორედ ასეთი იყო ორბელიანის ქაღილიც: ილიას კი ვერაფერი დააკლო და თითონ კი თავი შეირცხვინა და მაჩაბელიც სასაცილოდ გახადა. ამაზე ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.

ერთ საზოგადო კრებაზე სასტიკი, გაცხარებული იერიში მიიტანეს ილიაზე. თითქოს ილიას მდგომარეობა შეირყა, რაღაც საფრთხე მოელოდა. ამ დროს წამოდგა სვიმონ ანდრონიკაშვილი, კაცი უბრალო, არა დიდად ნასწავლი, და ასე მიჰმართა ილიას მოწინააღმდეგეთ:

— რა გინდათ ამ კაცისაგან? გინდათ მაგის ბანკიდან განდევნა? მაგას ვერ მოესწრებით, დეე ისევ ბანკი დაიხუროს და ილიას კი სირცხვილს ვერ ვაჭმევთ. შავ წვერ-ულვაშიანი მოვიდა ილია ჩვენთან, თავი ჩვენ შემოგწვირა, კაცი აქ ჩვენთან დაბერდა, აგერ გათეთრებული დგას ჩვენ წინ და ესლა ვეუბნებით, გასწი აქედანაო. მერე მიუბრუნდა ილიას და ასეთი პათეტიური სიტყვებით მიჰმართა: — ეს ბანკიც და ეს ჩვენი თავიც შენი ჭირის სანაცვლო იყოს! შენ ხელს ვერაფერ გახლებს!

ეს სიტყვები ისეთი ალალ-მართალი გულით იყო ნათქვამი, რომელიც სიყვარული იყო შიგ ჩაქოვილი, რომ მხოლოდ ბრმა ვერ ეტყვიან, რომ ილიას დაძლევა იმ გზით, რომელიც მაჩაბელმა დაქვეყნებულა, აირჩიეს, უბრალო ატეხილობა და ენიაინობა იყო. მაგრამ მაჩაბელს უკან დახვევა აღარ შეეძლო. ის თავის თავს აღარ ეკუთვნოდა. ის მხოლოდ მედროშე იყო, მეზაიარახტრე. მეთაურობა მომხრეების, პარტიის ხელში გადავიდა. და, ვინ იცის, მაჩაბელს ძალიანაც რომ მოენდომებინა ბრძოლის შეწყვეტა, ესენი მისცემდნენ ნიბას? ნასკვი მეტად დაიზღარათა, მისი განსაა ისე ადვილი აღარ იყო. ან უნდა ძალით გადაჭრილიყო. ანდა ბუნებრივი მსვლელობა მისცემოდა. ასეც მოხდა, და რითი დამთავრდა ეს დრამა, ამას შემდეგ დავინახავთ.

ბანკის საქმე საზოგადო საქმედ გადაიქცა. ილიას და მაჩაბლის სახელი ყველას პირზე ეკერა. ვაზეთები ბევრსა სწერდნენ მათ შესახებ. ცნობილი ენა-ღვარძლიანი მეფეელეტონე ზოილი (დ. კ ე ზ ე ლ ი) დანავარდობდა „Тифлисский Листок“-ის ფურცლებზე. როგორც მუდამ სწევოდა ზოილს მერყეობა, აქაც ისე ორჭოფობდა: ხან მაჩაბელს მოუდგებოდა, ხან ჰკვავებოდა. ლაშაზი, მარილიანი სიტყვისათვის ზომ ღვიძლ მამასაც არ დაინდობდა. მეტადრე მიდგომით სწერდნენ მაჩაბელზე და მის მომხრეებზე. ამისთვის არა ერთხელ გაუსილაქიათ და მიუბერტკნიათ უმცროსი ხაჩატუროვი, რომელიც გაზეთის რედაქტორად ითვლებოდა, მაგრამ ის მაინც თავისას არ იშლიდა, რამდენსაც მეტს სცემდნენ. იმდენად უფრო მეტად გულისდებოდა და ონავარი ფუტკარივით მეტის სუსხით იკბინებოდა.

ბანკის კრებები მრავალრიცხოვანი შეიქნა. ბანკის შენობაში ყველას დატევა შეუძლებელი ვახდა. ამიტომ კრებების გამართვა გადატანილ იქნა ქართულ თეატრში. კრება ასე იყო ხოლმე მოწყობილი: სცენაზე თავსდებოდნენ გამგეობა ბანკისა, ზედამხედველი კამიტეტი, ბანკის მონხელენი და გაზეთების წარმომადგენელნი; პარტერში — ხმის უფლების მქონებელნი, ლოკები და ქანდარა გარეშე მაყურებელთ ექირათ. თეატრი ყველამდე გატენილი იყო ხოლმე. არა ერთი ანტრეპრენიორი ინატრებდა ამდენ მაყურებელს თავის წარმოდგენებზე.

ბანკის კრებები საღაყბოდ გადაიქცა, რომელსაც, თუ ვნებავთ, პარლამენტი უწოდეთ. ბრალიანი და უბრალო, მანკიანი და უმანკო, — ყველა აქ მოეკუმბოდა. მუჭით ვართობა ნახეს, ენიანმა და უფრომ. — ყველამ ენა ამოადგა, ყველას ლაპარაკის საღერღელი აეშალა, ყველას თავის თავი დიდ ორატორად მიიჩნდა. თვით ენა-ჩლოუნგებმაც პირი მოხსნეს და ლაპარაკი სკადეს.

როგორც ზემოთ ესთქვით, ბევრს აღებრა სურვილი ლაპარაკისა. ბევრმა თავის თავი ნამდვილ ორატორად წარმოიდგინა, მაგრამ, ეს ორატორები ცხრილში რომ გაგეტარებინათ, დაინახავდით, რომ უფრო მეტი

ნაგავი და ნაკმაზი იყო, ვიდრე საესე და მაძლარი მარცხლოვანი მანაც-კარგად რომ გადაარკვევდით, ორი ნამდვილი, შინაარსიანი, სიძის მცოდნე ორატორი დაგრჩებოდათ: ილია და მაჩაბელი. ორივე მსუქანს მსუქნით და მადლით მოხილი, საუცხოო მცოდნე ქართული ენისა მწვენივალს მოარისაც საზღვარი დიდი იღვა.

მაჩაბელი ერთფეროვანი იყო. ამასთან ბავშვივით გულახდილი, ალაღ-მართალი. ავიწყდებოდა, რომ ბევრჯელ თქმა სჯობს არა თქმასა, ბევრჯელ თქმითაც საქმე გაფუჭდება. რაც გულში ჰქონდა, პირზედაც ის ეყვრა. აჩქარებული იყო, მოუთმენელი და რაც გულში ეღო, უნდა ერთბაშად ამოეღაგებინა. ილია სულ სხვა იყო: დიდაგი, აუჩქარებელი, ვულის არ ამყოლი, სანამ ენიდან სიტყვა მოსწყდებოდა, მრავალჯერ მოფიქრებული, აწონ-დაწონილი უნდა ჰქონოდა. სიტყვის მრავალგვარი ფერადით იცოდა შორთვა. თვალი მარჯვე ჰქონდა და რამწამს შეატყობდა მსმენელთა მოწყენას ანუ უსიამოვნებას, მაშინვე ფანდს იცვლიდა: ან მკვებე სიტყვას ესროდა და გასაციანებელს რასმე ეტყოდა, ან სხვა ხერხს მიმართავდა. ხან თუ მედგარი იყო, უღმობელი, შეუბოვარი, ხან უკან დახევაც იცოდა. საცა არა სჯობს, ვაცლა სჯობს კარგისა ვაჭკაცისა-ვან, — კარგად ჰქონდა ეს ილიას შეთვისებული. დროზე მარჯვე პასუხი, დროზე მოსწრებული სიტყვა მოხერხებულად იცოდა ილიამ.

აიღეთ ასეთი მაგალითი. ერთ საზოგადო კრებაზე ილია გაშმაგებული იბრძოდა. თავმჯდომარედ იყო არტილერიის გენერალი დი.მ. მუსხელიაშვილი, დიდი მომზრე მაჩაბლისა. ცხარე ლაპარაკში რომ იყო ილია, თავმჯდომარემ უცბად შეაყენა ამ სიტყვებით:

— თქვენ, ბატონო, ძალას ატანთ კრებას, აიძულებთ, რომ უსათუოდ თქვენ მოგემზროს.

ილია არ შედრკა და სწრაფად უპასუხა:

— ბატონო თავმჯდომარე, არ მესმის, რა ძალადობაზე მიბრძანებთ? ერთად-ერთი ჩემი ბრძოლის იარაღი ჰკუა და აზრია, თუ ჩემი აზრი და ჰკუა ვისმე ძალას ატანს, ეს რა ჩემი ბრალია ან რა დანაშაულია. ასეთია ჰკუის ბუნება: დიდი ჰკუა ძალადობას იჩენს, პატარას სძლევეს, სჯობნის. ამ ძალადობის წინააღმდეგ ვერაინ ვერას გააწყობს. თუნდ მთელი ქვეყნის ხარბაზნები ზედ მიაყენოთო.

კრებაზე ყველამ იცოდა, რომ თუ ილია კრასმე იტყოდა, მაჩაბელი უსათუოდ წამოხტებოდა და უპასუხებდა. ილიას ეს არ მოსწონდა. გულში ჯაფრი მოსდიოდა, მაგრამ არას ამბობდა. ერთხელ ილია ლაპარაკობდა მაჩაბლისკენ ზურგშექცეული. უცბად შედგა და სიტყვა:

— აი ესლაც, მაჩაბელი უკვე წამოხტა და საპასუხოდ მზად არისო.

— ბატონო, ზურგს უკან რას მხედავთ? მაჩაბელი თავისთვის შის. — უთხრეს კრებიდან.

ილია არ შეკრთა და მოსწრებით თქვა:

— სულერთია წამოხტება, ვერ მოითმენს. აი, ბატონებო,  ვინაა ერთი სათამაშო აქეთ „ვანკა ვსტანკას“ ეძახიან. როგორც ვინდათ გადააბრუნეთ, საითაც ვინდათ გადაავდეთ, ის მაინც წამოხტება ქალაქში გასწორდება. აი სწორედ ასეთი ბუნება აქვს ჩვენ ვანკას. მისი სენიისა.

ეს, რასაკვირველია, მაჩაბლის საწყენად ითქვა. ამან მართლაც იწყინა. წამოხტა, სკენის უკან გავარდა და აღელვებული დადიოდა წინ და უკან სულს ამოსატარებლად. ამის მაგიერ. მასაც რომ ილიასთვის მოსწრებულნი პასუხი ვაეცა, რასაკვირველია, უკეთესი იქნებოდა, მაგრამ. აქი ვამბობთ. მაჩაბელს ეს ნიჭი აკლდა. პირიქით, ამგვარ შემთხვევაში ის დაიბნეოდა ხოლმე და ამით ბევრს ჰკარგავდა საზოგადოების თვალში: ამ დროს საზოგადოებას უყვარს მარილიანი, მოსწრებული სიტყვა და არა აბილიბილება, უკუაქცევა.

ზემოთ აზრი გამოეთქვით, რომ მოვა დრო, როდესაც ილიას ანგარიშებს წარმოუდგენენ-მეთქი. დადგა ეს დროც. ერთ კრებაზე განცხადება იყო შემოტანილი, რომ სოფლის მამულები წელს კალიამ ძალიან დააზარალაო და მამულის პატრონებს შემწეობა უნდა აღმოეჩინათო. საკვიროდ სცნეს შველა, აქ წამოდგა ქალაქის მსესხებელთა წარმომადგენელი და რიხით დაიწყო:

— აქ სულ ის გვესმის: სოფლის მემამულეებს ეს უბედურება ეწვიათ. ეს გასაჭირი ადგათო. წუწუნებენ და გაიძახიან: ბანკი ჩვენია და ჩვენ უნდა მოგვეშველოს, ხელი გაგვიმართოსო. მერე ჩვენ, ქალაქის სახლებს პატრონები, ვიღანი ვართ? ჩვენ ბანკის გერები ვართ? რატომ ჩვენ გაკვირვებას არ კითხულობთ, რატომ ჩვენზე არას ფიქრობთ?

— კმარა, კმარა! — მიიძახეს აქეთ-იქიდან, — დაიშლდი, გეყოფა!

— ვინდა თავი მომჭერით, არ გავჩუმდები, სანამ ჩემსას არ ეიტყვი. იძახით, კალიამ დაგვღუპაო. მერე, რატომ ჩვენ ქალაქის კალიებზე აღარას ამბობთ? გარწმუნებთ, რომ ქალაქში უფრო მსხვილი კალია იცის, ორდები კალია (ამ სიტყვებმა სიცილი გამოიწვია). ნუ გეცინებათ, ბატონებო, მართალს მოგახსენებთ. იცით, ბატონებო, რა არის მდგმური? არის მდგმური ღვთისწიერი, წამუსიანი, ესმის თავისი ვალდებულება, ქირას ვადაზე იხდის, მაგრამ არის — და უფრო ზშირადაც — სხვა ჯურის მდგმურიც. ურჯულს, უნამუსს, ცხოვრობს, ხმას არ იღებს, ქირის ვადახდას არ ფიქრობს. ვაივლის ასე ოთხი-ხუთი თვე და ბოლოს გეუბნება: არა მაქვს, რაც ვინდა მიყავიო. დაკარგულს ფულს ვინა ჩივის, შენი ჯიბიდან აძლევ კიდევ, ოღონდ თავიდან მოიშორე. ეს კალია ფებს გადაინაცვლებს და ახლა სხვის მოსაყალს მოსძოვს. აი, ბატონებო, ჩვენი გაკვირვება. მერე ვინ ფიქრობს ჩვენზე, ვის შესტყვივა ჩვენთვის თავი? ბანკსა? ბანკმა მხოლოდ ის იცის: არ შეიტანე დროზე გარდასახადი, დაპკრავს ჩაქუჩს და გაგიყიდის მამულს. ესლა თქვენ თითონ გადაწყვიტეთ:

რა უფრო საშიშია, სოფლის თუ ქალაქის კალია, და გვინდა ჩვენც შეველა თუ არა?



ილიამ ყველას საერთოდ უპასუხა:

— ჩვენც ვიცით, ბატონებო, რომ გაჭირვება დიდია, მაგრამ ბანკს სადა აქვს იმოდენა შეძლება, იმოდენა ღონე, რომ ყველას გაუძღვეს უსამართლობა, უსწორო-მასწორობა დიდია ცხოვრებაში, მაგრამ რა ვუშველოთ. გვისაყვედურებენ, მამულებს გვიყიდიათ. მაშ რა ვქნათ? გვიჩვენეთ სხვა გზა. ხომ მოგეხსენებათ, რომ ის ფული, რომელიც თქვენ გეძლევათ სესხად, თქვენი და ჩვენი ჯიბიდან არ ამოდის, ამ ფულს სხვისაგან ვსესხულობთ და თქვენ გაწვდით, იმათ მხოლოდ ჩვენი ბანკის გირავენობის ფურცლები უჭირავთ ხელში, ეს ფურცლები ჩვენი თამასუქებია, და თუ ეს თამასუქები დროზე არ გავუნაღდეოთ, თავნი და სარგებელი არ გადავუხადებოთ, მაშინ ისინი ჩვენს ბანკს დაუქრამენ ჩაქურს და გავვიყიდოთ მთელ ავლა-დიდებას, ე. ი. თქვენ მამულებსავე, რადგან, მოგეხსენებათ, რომ ბანკს აღებულ ვალების უზრუნველსაყოფელად სხვა ავლა-დიდება არ მოეპოვება რა.

— ყველა ეს ჩვენც ვიცით, ბატონო. ჩვენ სულ სხვა ტკივილი გვაწუხებს: გაჭირვებისთვის თავი ველარ აგვიცლია და ვთხოვთ რაიმე შეველას, ხსნას.

— კიდევ გიმეორებთ, ჩვენი ქვეყნის ხელმოკლეობა, გაჭირვება კარგად ვიცით ყველამ, მაგრამ ყოველ გაჭირვებულს ბანკი პირს ვერ მოსწმენდს. გაჭირვება, ბატონებო, უცნაური რამ ცხოველია, პირი გაულია და გაიძახის, ჩამაყარეთო და რაც უფრო მეტს აყრი, მით უფრო მეტად აღებს პირს, მეტს თხოულობს. გაჭირვება ძირ-გავარდნილი კასრია, რაც უნდა ბევრი აყაროთ, მაინც ვერ ამოაგსებ.

— თქვენ რა გენაღვლებათ, გაჭირვებას არა ხედავთ, — გაისმა აქეთიქიტიდან ხმაურობა: — ზოგი ჩვენ გულშიაც ჩამოიხედეთ. ლამის მამული ყველას ხელიდან გამოგვეცალოს. ხელ ყველა ცის ქვეშ უნდა დაეჭრეთ უსახლ-კაროდ, ბოგანო ხალხად უნდა გადავიქცეთ.

— ბანკის იმედზე ნუ იქნებით, — განაგრძობს ილია დარიგებას: — თქვენ თავს თქვენვე უნდა უშველოთ. მეტი მხნეობა, მეტი საქმიანობა, მეტი მომჭირნეობა, — აი რა გიხსნით გაჭირვებისაგან. მამულს ახირებულნი ზნე სჭირს: არ უყვარს მცონარე, უსაქმო, უსარიტო პატრონის ხელში ყოფნა, ასეთებს გაურბის და მიდის იმისკენ, ვისაც უკეთესად შეუძლიან მისი მოვლა, ვისაც მეტი ღონე, ხერხი, მუშაობის, საქმიანობის უნარი მოეპოვება. აქ წუწუნნი და ჩივილი უადგილოა, საქმეს ვერ უშველის.

ბევრმა იწყინა ილიას ასეთი მოძღვრება-დარიგება და, კოტა არ იყოს, გულისწყრომით უპასუხეს:

— ეხლა გვიქადაგებთ, მაგას? როცა ბანკს ვიარსებდით, ბანკის სულს ხედავს გვეუბნებოდით: ბანკია ჩვენი მხსნელიო, ბანკი, გვეუბნებოდა, საშუალებას, ჩვენი მამულები გავაუმჯობესოთ, ჩვენი მიწები გავაუმჯობესოთ, შევინარჩუნოთო. ასე გამოდის: ასე ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო! მაშ რაღა ოხრად გვინდა ბანკი, თუ კი ვაჭირვებაში ხელს ვერ გავვიმართავს? რა მოგვცა ბანკმა? იქამდის მიგვიყვანა, რომ ოჯახი აგვირიცხავდავით, შეილი მამას გადაჰკიდა, მეზობელი მეზობელს, ქართლელი კახეთს მოსისხლე მტრად გაუხდა. ჯანიც გავარდნია ასეთ ბანკს! ისევ სჯობია დაებუროთ, უბედურობის მეტი არა მოგვიტანა რა.

გამოჩნდა კაცი, რომელმაც არ იწამა ილიას აზრები. ეს კაცი იყო დ ი მ ი ტ რ ი ყ ი ფ ი ა ნ ი. ყოფიანმა დაბეჭდა გაზეთში წერილი. სადაც გამოსთქვამდა შემდეგ აზრს. ჩვენი მემამულენი დიდს ვაჭირვებას ვანიცდიან. ბანკის ვალს ვეღარ იხდიან. მამულები ხელიდან ეცლებათ. უნდა რაიმე ღონე ვილონოთ, რომ მამული ჩვენ შეგვრჩეს, უცხოელების ხელში არ გადავიდეს, თორემ სრულიად დავიღუბებით, მიწა-წყალი აღარ გვექნება. ერთად ერთი დაწესებულება გვაქვს, რომელსაც შეუძლია ხელი მოგვიმართოს. სახეში მაქვს ჩვენი საადგილ-მამულა ბანკი. თუ თვით ბანკს არ შეუძლიან გაუძღვეს ამ საქმეს, იქნება შეგქმნათ რაიმე კერძო დაწესებულება, რომელიც ამ საქმის მოთავეობას იკისრებს და ბანკთან იმუშავეს. ამ კერძო დაწესებულებას უნდა გადაეცეს დროებით განკარგულებაში ის მამულები, რომლებიც ბანკს გადადებული ექნება გასაყიდად სარგებლის დროით შეუტანლობის გამო. დაწესებულებაში მოწვეულნი უნდა იყვნენ მცოდნე, ნასწავლი ხალხი, რომელსაც უნდა შეეძლოს მამულის უკეთ მოვლა, მისი გამოკეთება და როდესაც ამ გზით მამული თავის ღონეზე დადგება, იგი ისევ ძველ პატრონს დაუბრუნდებოდეს.

ყიფიანმა მხოლოდ თავის გულის განზრახვა წარმოუდგინა საზოგადოებას და სურვილი გამოსთქვა, რომ სხვებსაც ხმა ამოეღოთ.

ილიამ ხმა ამოიღო, რადგან მას უფრო შეეხებოდა ეს საქმე, როგორც ბანკის მოთავეს. მაგრამ როგორ გამოეხმაურა? დაეცა ოთოთაანთ ქორივით, დააცხრა ზედ, ჩასკიდა ბასრი კლანკები და სულ ბურტყლები ადინა. რა არ დასწამა მოხუც კაცს: უვიცობა, არამკითხაობა. ჩვენი ბანკი დღესაც დასატვირთავ სახედრად მიგაჩნიათ, რომელიც, გვონიათ, აიტანს ყველაფერს, რაც უნდა სპაზლზე ჰქვიდოთო. გავიწყდებათ, რომ ჩვენი ბანკი საიპოტეკო დაწესებულებაა და, როგორც ამგვარ საკრედიტო დაწესებულებას, შეუძლიან ფულის ვაცემა მხოლოდ გირაოდ მიცემულ უძრავ მამულებში. თქვენ კი ეს ბანკი რაღაც საქველმოქმედო დაწესებულებად გინდათ გადააქციოთ, რომელმაც ამასთანავე უნდა მოაწყოს და მართოს რაღაც სამადლო თავშესაფარი დაკრძომილთა. „მცონარეთა“ და უძღურთათვის. მიჰყვა ასე და, როგორც ილიას მკაცრი, შეუბრალებელი კალმის ამბავი მოგახსენებათ, სულ ტყავი გააძრო მოხუც ყიფიანს, რომელსაც

მხოლოდ ის დანაშაული მიუძღოდა, რომ გაბედა და გულბრუნ სურვილი გამოსთქვა საქვეყნოდ.

ყიფიანი სახტად დარჩა, არ მოეოლდა, რომ ასე შეტყობის დასაწყისად ეცემოდნენ. პირიქით, მას იმედი ჰქონდა ძმური სიტყვის, დასაწყისი რჩევა-კვლევისა, აზრთა გაცვლა-გამოცვლისა. და, რა ნახა, რომ იმედი გაუტრუვდა, შეკრთა, შეშფოთდა, რომ ქვეყანაში არცხვენდნენ, თავსა სჭრიდნენ. გამკლავებოდა ილიას, არც ისე ადვილი საქმე იყო და, გარდა ამისა, სიბერის გამო, ამისთვის აღარც ღონე და აღარც უნარი მოსდევდა. ამაყმა, თავმომწონე ყიფიანმა ისევ არჩია ქველი მოედრიკა და ასეთი წერილით მიმართა ილიას:

— მაკმარეთ მაგდენი დამციობება. ქვეყნის სასაცილოდ ნუ გამზღით. პატივი ეცით ჩემს მოხუცებულებას, ჩემს ქალირას, შე დაჭრუმიდები, მოსპეთ თქვენც თქვენი ამხედრება.

ძლივს ვაი-ვაგლახით დავიყოლიეთ ილია მოესპო ამ საგნის შესახებ წერა.

ეუბრუნდები მაჩაბლისა და ილიას ბრძოლის ამბავს.

მაჩაბელს ვადა გაუვიდა საშსახურისა. კრებაზე ხელახალი არჩევანი უნდა მომხდარიყო. შეიქნა ბრძოლა, ბრძოლა უღმობელი, უკანასკნელი, ბედის გადამწყვეტი: ვინ დარჩებოდა ბანკში — ილია თუ მაჩაბელი. ილიას მომხრეები საქვეყნოდ აცხადებდნენ: თუ მაჩაბელი ხელახლად ამოირჩიეს, ილია ბანკს თავს დაანებებდა. ვნებათა ღელვამ უკიდურეს მწიკრვალს მიიღწია. ორივე მხარემ გაშალეს თავიანთი დროშები, შემოკრბნენ ძალში, ძალნი ზესკენლნი და ქვესკენლნი. ერთმანეთს აღარა ზოგავდნენ: აღარ იყო არავის შეწყალება, შებრალება. ილია გრგვინავდა, სკექდა და ქუხდა. მაჩაბელი ფიცხობდა, თრთოდა, ნერვებ-აშლილი დედაკაცივით ტინიანობდა.

ილიამ ხელგაშლით გამოამზევა სრული სიდიადე და ძლიერება თავისი ბრწყინვალე ქართული ენისა, გონების სიფხიზლე და გამჭკრიახობა. ელვისავით გამოჰკრთებოდა მისი მოულოდნელი ღამაში შედარება, მოსწრებული სიტყვა, რომელიც მომხრეებსაც და მოწინააღმდეგესაც, ხიბლავდა, სიამოვნების ღიმილს ჰგვრიდა. ტუჩებზე, მაჩაბელი არა ნაკლებ ენამზეობდა ქართულში, ამისი ღაპარაკი მჩქეფარე, მოჩუხჩუხე წყაროს ზოგავონებდათ. მისი სიტყვა შინააპროსიანი იყო, მდიდარი ბანკის საქმის ცოდნით, მაგრამ ფერადობა აკლდა. ამისი სიტყვა უცვლელად ერთ კალაპოტში მიმდინარეობდა, ყურს ხან აყრუებდა, ხან აბრუებდა, ცოტად ძილსაცა ჰგვრიდა. მაჩაბელს არ ეხერხებოდა ილიასავით მოხდენილი მიხვრა-მოხვრა, ხმისა და სიტყვის მიმდინარეობის შეცვლა, რომ მსმენელთათვის მოწყენილობა არ შეემჩნევიებინა, მათი ყურადღება არ დაედუნებინა. მაჩაბელი სრულებით მოკლებული იყო უნარს, ეხმარა სხვადასხვა ორატორული ფანდები. ილია დროზე მოაყრიდა სიტყვას მარჩლს,

პილპილსაც არ დააკლებდა, რაც მსმენელს სიფხიზლად მატებდა. სმენის მადას უღვიძებდა. ილიას, რაც უნდა ცეცხლი დატოვო, მის გულში, შეეძლო, თუ გარემოება მოითხოვდა, გარეგნულად შეეძინებინა. მაჩაბელი, პირიქით, გულის ვარაძს ვერა ფშრავდნ, თავს ვერ აჭერდა, თრთოდა. დელაედა, შფოთავდა, სახე გაუფითრდებოდა და ხმა ისტერიულ კვილიად გადაეჭყეოდა ხოლმე. ეს მეტად ხელს უშლიდა მაჩაბელს და მისი სიტყვა არასასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებდა. ილია წყნარად, დინჯად იჯდა, მოთმინებით უსმენდა მოწინააღმდეგეს, თვალყურს ადევნებდა ყველაფერს და წამოდგებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც ხედავდა, რომ ხმის ამოუღებლობა არ ივარგებდა. მაჩაბელი მოუსვენრად იჯდა. ჰზორგავდა ყოველ სიტყვაზე, მის წინააღმდეგ მიმართულზე, თუნდა ეს სიტყვა უმნიშვნელოც ყოფილიყო. ფიცხლად წამოვარდებოდა საპასუხოდ, თითქოს ელექტრონის მავთულუბი აქვს ტანში გაყვანილი და ელექტრონის ნაკადი მოსვენებას არ აძლევს და ახტუნებსო.

ილიასი და მაჩაბლის დაფნის გვირგვინები მოსვენებას არ აძლევდნენ სხვებსაც, რომელნიც თავიანთ თავს დიდ ორატორებად სთვლიდნენ. ჩაპბერეს სტვირის გუდას, მოხსნეს პირი და წარმოსქდა დაუსრულებელი ლიპარაკის ნიაღვარი. ნამდვილი წარღვნა იყო. სრული ოცდარვა დღე გაგრძელდა ეს წყლის ნაყვა. ბანკი ვიღას აგონდებოდა. ბანკიც და მისი საქმეებიც ყველას მიავიწყდა. ჭირვეულობის ტინმა გაიტაცა ყველა, აბა ვინ ვის აჯობებსო. თუ ვისმე მსესხებელს გაჭირვება ჰქონდა, შოდიოდა და იხვეწებოდა: ჩემი საქმე ააჩქარეთო, ფული მჭირიაო. მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევდა. ისიც დადგებოდა, დაუგდებდა ყურს, არ ესმოდა, რაზე ჩხუბობდნენ, რაზე იმტვრევდნენ თავ-პირს, ქვას მიაგდებდა. თან ამ სიტყვებს მიაყოლებდა: თავშიაც ქვა გიბლიათ და გულში ლანჯარიო, — და გასწევდა ქალაქის საკრედიტო საზოგადოებაში, რომელიც იმავე საქმეს ადგა, რასაც ჩვენი ბანკი. ჩვენი მეტოქე იყო და უხაროდა ჩვენი მამლაყინწობა, ჩვენ ანთებულ კოკონაზე ხელს ითბობდა. ჩვენები კი განაგრძობდნენ თავიანთ საქმეთა სავმირითა: ლაპარაკობდნ და ლაპარაკობდნენ.

მერე რა ჰქონდათ ამდენი სალაპარაკო? იმ ხანებში, იმ კონკლავამდე, სამინისტროს რევიზია მოხდა ბანკში. ბოროტმოქმედება, დიდი უწყობება, რასაკვირველია, არაფერი უპოვიათ, ამ მხრივ ილიას მმართველობა უმშკივლო იყო. წერილმანი ნაკლულევანება კი როგორც საქმის წარმოებაში, ისე საზოგადო საბანკო ოპერაციებში ბლომად აღნიშნეს. აი ეს დაიხვიეს ხელზე ილიას მოწინააღმდეგეთ და გააქონდათ და ვაპოქონდათ. ჩიტი ბდღვად არა ღირდა, დევნა მეტი იყოფო, — სწორედ ამაზე ითქმოდა.

მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვის მასალა იყო, თავი და თავი კი ის იყო, რომ რაიმე საბუთი ეპოვნათ, ილიასათვის კლანჭი გამოეკრათ. ლაპარაკ-



მეტეტი იჯდა, თან გააყვინენ სხეებიც, იარაღზე ხელ-წაფილნი ამავე დროს სენაზე საიდანაც, თითქოს მიწიდან ამოდერაო, გაიწია რაეზედ-ხელაღებული ლელო. ან დრონი კაშვი ფრკვეულენჯალ-ამოწვდილი გაეგება კოლა ორბელიანს. უსათუოდ უხედავნი მანძილად-დებოდა, რომ ამ დროს კორესპონდენტების ადგილიდან არ წამოშტა-რიყო მარდი დათამიქელაძე (მწერლობაში ცნობილი „მევე-ლეს“ ფსევდონომით) და შუაში არ ჩასდგომოდათ.

— ბატონო, — მიუბრუნდა ორბელიანს, — მობრძანდით თქვენ ალა-გას, როგორც ვხედავ, თქვენ იარაღის ხმარება არ უკოდნიათ!

ეს ისეთი დიჯის და თან მტკიცე კილოთი იყო ნათქვამი, რომ დარ-ცხვენილი ორბელიანი უსიტყვოდ უკან დაბრუნდა.

მამლები რომ წაძიძგილდებიან, ერთმანეთს ველარ მოშორდებიან. ან წყალი უნდა დაასხა, ან მაგარი ჯოხი უნდა არტყა, რომ გააშველო. ასე მოუხდათ ჩვენი ბანკის მამლაყინწებსაც. ადგილობრივმა მთავრობამ, ცხა-დია, იცოდა, რაც ბანკის კრებაზე უმსგავსოება და უწესობა ხდებოდა. თავისით, თუ ვისიმე დასმენით, ამ კრებაზე გამოცხადდა პოლიციის უფ-როსი თავის თანამშლებლებით და ასე უთბრა თავმჯდომარეს: ჩვენამდე მოაღწია ამბავმა, რომ აქ, კრებაზე, რაღაც არეულობა და უწესოება ხდე-ბა, ეს დაუშვებელია, გთხოვთ, ამ ორ-სამ დღეში თქვენვე დაამთავროთ კრება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ თვითონ დაეხურავთ. და თუ აქ მოხდა რამე, მთელი პასუხისგება თქვენ დაგეკისრებათო.

ამ თავზე ლაფის დასხმის ელოდნენ, ეს სირცხვილი უნდა ეჭამათ, რომ ჩვენი „ბრწყინვალე“, წარჩინებული გვარის კაცნი გონს მოსულნიყვნენ. საჩქაროდ მიაფუჩიჩეს საქმეები და შეუდგნენ ამ კომედიის თუ დრამის უკანასკნელ მოქმედებას, იმას, რისთვისაც თითქმის მთელი თვე თავს იმტერევდნენ, ე. ი. არჩვენებს, კენჭობას. ამ კენჭს უნდა გადაეწვიტა ილიასი და მაჩაბლის გაუთავებელი-დავი, ე. ი. ვინ უნდა ყოფილიყო ბანკში: ქაეჭაეაძე თუ მაჩაბელი.

ორივე ბანაკმა ერთხელ კიდევ გადაავლო თვალი თავის საკენჭაოდ მომზადებულ რაზმებს, დათვალეს, ანგარიში ჩაავდეს, იგარაუდეს და ნი-ხეს, რომ არ კმარა, სოფლად თუ ქალაქად დარჩენილი სათადარიგო ძა-ლებიც უნდა მოიშველიონ. აფრინეს სანდო კაცები და ჩამორეკეს ქართ-ლიდან რკინის გზით, ტივებით, ცხენით თუ ფეხით საჭირო ძალები, კა-ხეთიდანაც მოაშველეს, მხოლოდ არ ვიცი კი, რა გზით, რადგან მაშინ იქით რკინის გზა არ იყო და სატივე გზა ხომ არასოდეს არ ყოფილა. რამ არიე-დარიეა მებრძოლთა ანგარიშები, რად მოუხდათ ასე სასწრაფოდ მეშველი ძალები? აი რად. ამ კრების დროს თავი იჩინა ახალმა ჯგუფმა ახალგაზრდებიდან შედგენილმა, ესრედ წოდებულმა „ნეიტრალმა ჯგუფ-მა“. როგორც ბითონ სიტყვა ნეიტრალიდან სჩანს, ამ ჯგუფმა თავის მოქმე-დების საგნად დაისახეს ნეიტრალიზება, ე. ი. სრული მიუდგომლობა, ან და

მომხრეობა იმისი, ვისაც სიმართლე მიუძღვის. მაგრამ სიტყვაა, საქმე კი სხვაა. მალე ტყავი იბრუნეს და გვირგვინს თავიანთ ბანდილობუნებას: ამისაც იყენენ, იმისიც, აქეთაც იყენენ, იქითაც იყენენ. მტრს მტრს სახელიად პეტროები დაარქვეს. კარგი დაგვიღო დაგვიღო, ესენი იღებდნენ, ეძებდნენ, სად უფრო მეტი გამოსარჩენი იქნება, სად უფრო მეტი ძალააო. ჩქარაც მიაგნეს: ილია და მისი პარტია უფრო მძლავრი იყო, უფრო საიმედო, და ეს ჯგუფიც ამათ მიემხრნენ, თუმცა პირველად ბევრი მათგანი უფრო მაჩაბელს თანაუგრძნობდა.

მახსოვს, ერთ სადილზე, რომელსაც მაჩაბელიც დაესწრო, ერთმა პეტრომა სიტყვით მიჰმართა მაჩაბელს და თითქმის სიყვარულს და სრულ ერთგულებას უცხადებდა. არ გასულა ერთი კვირა, რომ იგივე პირი ვნახე მოლაპარაკე მეორე ალაგას, სადაც ჭავჭავაძე იყო. ახლა ამას ულაქუცებდა და მაჩაბელს წიხლსა ჰკრავდა, ჩემი თვალით რომ არ მენახა და ჩემი ყურით არ მომესმინა, არ დავიჯერებდი.

მალე ყველასთვის ცხადი შეიქნა, რომ ესენი ჭავჭავაძის ყურ-მოჭრილნი ყმები არიან. მაგრამ ილიას ძვირად დაუჯდა ამათი მოყმობა: ყმაში აღმოჩნდნენ ორგულნი და ვერაგნი. თითონ ამ ჯგუფის ხალხმა კი კარგი სასყიდელი მიიღეს ამ ვერაგობისთვის: ერთმა დირექტორობა მიიღო ბანკში, ორი ზედამხედველი კომიტეტის წევრად იქნა არჩეული და ერთსაც კიდევ კაი სუბსიდიამ მიეცა გვირგვინით თუ ორკვირეული სამეურნეო ჟურნალის გამოსაცემად. ეს ჯგუფი, მგონი, ორმოცი კაცისაგან შესდგებოდა. მაგრამ ესეც საკმარისია, რომ სასწოროს უღელი ერთ მხარეს ვადიხაროს. აი ეს იყო მიზეზი, რომ მაჩაბლისტები დაფაცურდნენ და მეშველი ძალეში მოიწვიეს.

არჩევნების დროც დადგა. დაიწყო კენჭების რახა-რუხი. ენების მაგიერ დაიწყო მუნჯი კენჭების ღილადი. ათასამდე კაცს უნდა ჩაეგდო კენჭი. მერე ისიც შეიძინა თუ რვა ყუთში, რადგან მაჩაბელს გარდა საარჩევნო ყუთები ედგათ დამფასებლებს და ზედამხედველ კომიტეტის წევრებსაც. ამას, რასაკვირველია, დიდი დრო მოუწოდებოდა. მართლაც, დილით დაიწყო კენჭის ყრა და თითქმის შუალამე იყო მოტანებული, რომ გაათავეს. დათვლა ყოველად შეუძლებელი გახდა, ღამე უნდა გაეთენებიათ. ამიტომ დათვლა მეორე დღისთვის გადაიდო. კენჭის ყუთებს ყარაულები დაუყუნეს და დაიშალნენ.

დაიშალნენ, მაგრამ მაინც კენჭებს გარეშემო დასტრიალებდნენ. ბჭობდნენ, ანგარიშობდნენ, მაჩაბელი ვაფა თუ არაო. მაჩაბლის ერთმა თავგადასდებულმა მომხრემ, გადარეულმა კი კო ჩოლოყაშვილმა ყური მოჰკრა სადღაც, რომ მაჩაბელს ცოტა უჩანს ყუთში თეთრი კენჭიო. და ასტყდა: ეხლავე წავალ, ყუთებს აჭრე-დაჭრე, დაპნეულ კენჭებს აეკრებ და მაჩაბლის ყუთში თეთრებს მივემატებო. რის ვაი-ვაგლახით დააჯერეს, რომ ეს ყოველად შეუძლებელი იყო. მეორე დღეს შეუდ-

გუნენ კენჭების თვლას. მაჩაბელი ხელახლად არჩეული კომისიის ერთის მხრივ — სიბარული და ტაშის ცემა, მეორეს მხრივ — დაღვრულიობა და კბილების ღრჭენა.

ამ დროს სცენაზე წინ წამოდგა ილია. ილიაში ბასრის კბილები, ხელში ქელი, — და მოღლილი, მოწყვეტილი ხმით განაცხადა:

— კარგად მოგებხენებათ, რომ მე მაჩაბელთან მუშაობა არ შემოდ-  
ლიან. და რაკი ეგ ისევ ამოირჩიეს, მე თავს ვანებებ სამსახურს და ბანკი-  
დან მივდივარ, — და წავიდა.

ეს განცხადება ბევრს ელდასავეთ ეცა. ვაშეშდნენ. მაგრამ მალე ისევ გონს მოვიდნენ და დაიწყეს ყვირილი: დ ა ვ ი თ ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი (მეო-  
რე დირექტორი) გამოვიდეს აქ და იმანაც უარი განაცხადლოსო. ავალიშვი-  
ლი ორკოფობდა, ტორტმანობდა, დიდხანს გამოსვლას არ აპირებდა. ბო-  
ლოს ძალდატანებით, ავალიშვილი მინც წარმოსდგა წინ და განაცხადა:

— ბანკი მთელი თვე არ მუშაობდა. აუარებელი საქმე მოგროვდა.  
დღეს-ხვალ დავალიანებული მამულების სიჯარო ვაჭრობით გასყიდვა უნ-  
და მოხდეს, ამის გადადება ყოველად შეუძლებელია, კანონი პასუხისგება-  
ში მიგვეცემს. ქვეყანავე წავიდა და ახლა მეუბნებით, შენც წადიო. მერე,  
ბანკს რაღას ეუბნებით? ნუ თუ ერთი მაჩაბლის გულისთვის მთელი ბანკი  
უნდა დაიღუბოს? ასეთ ყოფაში ჩემი წასვლა მიუტყვევებელ დანაშაულე-  
ბად მიმაჩნია, ეს ჩემი მხრივ დალატი იქნება ბანკის წინაშე. ამიტომ ვრჩე-  
ბი და ჩემს მოვალეობას ისევე მტკიცედ ავასრულებ, როგორც წინად  
ამისრულებია.

ჯერ არც კი დაემთავრებინა სიტყვა, რომ მიაძახეს. იუდა! იუდა!

ავალიშვილს გაბედულად, დაურიდებლად პირში თქმა უყვარდა სი-  
მართლისა, თანაც ძალიან თავმოწმონე, თავმოყვარე იყო, და დიდად იწყი-  
ნა, რომ ერთგულობისა და სიმართლისათვის იუღობა დასწამეს. ამუთოდა,  
ამრეზდა, წყრომის და რისხვის თვალით უმზერდა კარვა ხანს აღელვებულ  
ხალსს, მაგრამ აღარა უთქვამს რა, გაბრუნდა და წავიდა.

შეუდგა მაჩაბელი ბანკში საქმის მართვას, მაგრამ საქმე საქმეზე ვერ  
მოდიოდა, ბანკის წესდების ძალით, ყოველი დადგენილება გამგეობისა  
კანონიერად ჩაითვლებოდა იმ შემთხვევაში, როდესაც ხელს აწერდნენ  
გამგეობის ორი წევრი და თავმჯდომარე. რაკი ილია წავიდა, თავმჯდომარ-  
ე აღარ იყო. შეიქნა ისეთი მდგომარეობა, რომ ბანკში შეიძლებოდა მხო-  
ლოდ წვრილმანი მიმდინარე საქმეების წარმოება, სავასუხისგებო საქმეები  
კი სრულიად შეფერხდა. მაჩაბელმა ეს იგრძნო და დაიფანტა. ბანკი რომ  
არ დაღუბულიყო, — იძულებული შეიქნა თავი მიენებებინა და სრულიად  
მოშორებოდა ბანკს.

ილიასა და მის მომხრეებსაც არ ეძინათ. ეტყობა, წინაღვე იცოდნენ,  
რომ ასე მოხდებოდა და, სანამ მაჩაბელი უილაჯოდ აქეთ-იქით აწყდებ-  
ოდა, რომ ბანკის საქმე როგორმე მოეწყო, მათ მოაწყეს საჩქარო კრება,

რომელმაც მაჩაბლის არჩევანი უკანონოდ სცნო და გააბათილა, და თავ-  
მჯდომარედ ისევ ქავექავაძე აირჩიეს. მაჩაბლის მაგიერ მოწვეულ იქნა  
მისი კანდიდატი. ამგვარად ქავექავაძე ისევ დაუბრუნდა ქვეყნის მართვით  
შერყეული მისი ბატონობა ბანკში კვლავ აღდგენულად.

მაჩაბელი მიწვეულ იქნა ხელმძღვანელად, მოთავედ ეგრეთწოდებულ  
„გორის სინდიკატისა“, რომელიც იმ ხანებში დაარსდა და რომელსაც საგ-  
ნად ჰქონდა, კოოპერატიულ წესით, შესყიდვა და გასაღება, ჩარჩების და-  
უხმარებლად, ყოველგვარი სოფლის მოსავლისა, როგორც, მაგალითად,  
ხორბლეულისა, ხილეულის და სხვისა, რაც კი ქართლში მოჰყავდათ. მაგ-  
რამ ფული არ ჰქონდათ და არც კრედიტი. მაჩაბელმა ფრთები ვერ გაშა-  
ლა და აღარც დასცალდა.

ერთხელ ბანკში მოვიდნენ და გვითხრეს — მაჩაბელი დაიკარგაო. წუ-  
ხელის შუა-ღამისას შინიდან გასულა და სახლში აღარ დაბრუნებულაო.  
მისი მახლობელნი და მეგობრები აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ, მაგრამ კვალ-  
საც ვერ მიაგნეს. უკვირდათ, რა მოუვიდა კაცსაო: მიწამ ჩაყლაპა თუ ცამ  
შთანთქაო. მისმა უფროსმა ძმამ, ეასო მაჩაბელმა, რომელსაც ვა-  
ნო შეილივით ჰყავდა გაზრდილი და შეილივითვე უყვარდა, მთელი ქალა-  
ქი შესძრა, მაგრამ ვერას ვახდა. იფიქრეს, მტკვარში თუ გადავარდა და  
თავი დაიხრჩოო. დაიჭირეს მენავეები და თითქმის მთელი მტკვარი აჩხრიკ-  
დაჩხრიკეს: არსად არა სჩანდა. აქაც აკაკიმ ვერ მოითმინა და თავისე-  
ბური ოხუნჯობით კლანჭი გაპკრა დაღუპულ მაჩაბელს:

— მენავეები რა საქირაო. თუ ვანო მართლა მტკვარშია გადავარდნი-  
ლი, ქავექავაძე მოიწვიეთ და კუკიის ხიდზე დააყენეთ: სადაც უნდა იყოს  
ვანო, იმის დანახვაზე მაშინათვე წყლიდან ამოვარდებო.

ეს კი სთქვა აკაკიმ, მაგრამ საერთოდ ენა დაიდუმა. როდესაც მაჩა-  
ბლის დაკარგვის გამო ჰკითხავდნენ რასმე, პირი მაგრა ჰქონდა მოკრული.  
საქმე იმაშია, რომ აკაკი მაჩაბლის ოჯახში შინაური კაცი იყო. დღე იქ  
ულამდებოდა და ხშირად ღამეც იქ უთვნდებოდა. იმ საღამოსაც, როდესაც  
მაჩაბელი ისე მოულოდნელად დაიკარგა, აკაკი იმისთან ყოფილა და  
შუალამემდღე ნარდი უთამაშნიათ. ღამეც იქ დარჩენილა. ვთქვათ, ვერა-  
ფერი შეიტყო, როგორ გავიდა ვანო სახლიდან და ან როდის. თუ ვანოს  
მართლა გადაწყვეტილი ჰქონდა თავის მოკვლა, აკაკი მთელ საღამოს  
ნარდს ეთამაშებოდა და როგორ ვერაფერს შეამჩნევდა? ვანო ხომ ბავ-  
შევივით გულახდილი კაცი იყო და, თუ გულში რამე ჰქონდა განზრახული,  
ვერ დაჰფარავდა, სახეზე, საქციელში, მიხერა-მოხერაში, ხმაზე შეეტყო-  
ბოდა. ეკითხებოდნენ ამის შესახებ აკაკის, მაგრამ მას ხმას ვერ აღები-  
ნებდნენ, იყო გაჩუმებული, თითქოს პირში წყალი აქვს ჩაყენებულიო.

ასე დაიღუპა დიდად ნიჭიერი, ჰკვიანი, ბევრი ღირსებით შემკული  
ქართველი, რომელზედაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, თვით ქავექავაძე სწერ-  
და: „ჩვენთვის ვანო დიდი ნუგეში იქნებაო“, და იყო კიდევ.

ორიოდე სიტყვა კიდევ „ნეიტრალისტებზე“: ნეიტრალისტები სანდვილი-გაოეთადან იყო ჩამოსული, მათ „ნეიტრალიზაციის“ კარგი ადგილები და სუბსიდიები ვაჭარეს. ერთმა, როგორც აღვსახელებულა, დირექტორობაც მიიღო. ამ ახლად გამომცხვარმა დირექტორმა არ ისურვა ტფილისში, გამგეობაში მუშაობა, მან არჩია მართვა-გამგეობა ბანკის განყოფილებაში, რომელც იმ ხანებში გაიხსნა ბაქოში, იქაური მამულების გირაოდ მიღების გასაადვილებლად. სულ ოთხი თუ ხუთი თვე დაჰყო ბაქოში და მისი მართვა-გამგეობა ისეთი სამაგალითო აღმოჩნდა, რომ ბანკმა და განსაკუთრებით ილიამ დიდხანს, თავი იფხანეს. ამ დირექტორმა შეებულება ითხოვა საზღვარ-გარეთ წასასვლელად, ვითომც რაღაცა ავადმყოფობის მოსარჩენად. მხოლოდ შემდეგ აღმოჩნდა, რა გეგარი იყო ეს ავადმყოფობა: ოთხმოცი ათას მანეთამდე ბანკის ფული შემოხარჯოდა ან, უკეთ ვთქვათ, ქალაქში წაეგო და რომ პასუხისგებნიდამ თავი დაეღწია, საზღვარგარეთ გაქცევა ამჯობინა.

ამ ამბავმა ბევრს დაუფრთხო ძილი, ილიას აქამდე უმწიკვლო სახელს ჩირქი წაეცხო. ბანკს უნდა აენაზღაურებინა ეს ფული. საიდან, რომელი თანხიდან? რასაკვირველია, ბანკის მოგებიდან, ილია ეხლა იტანჯებოდა, თავში ბელს იცემდა, რომ ასეთი მარცხი მოუფიქრა. იქნება სინდისიც კჭეჯნიდა, რომ პატიოსანი, რაინდი, ნაცადი მაჩაბელი გასცვალა ამ ახლად მოვლენილ ახალგაზდაზე, რომელიც ჯერ გაუჭრელი წესეი იყო, შემოუსვლელი ხალი. აკი კბილიც მოიჭრა ილიამ. კიდევ იმის ბედი, რომ დიდი პატივი და სიყვარული ჰქონდა დამსახურებული, თორემ ადვილად მოსალოდნელი იყო, მთელი ეს გაფლანგული ფული გამგეობისათვის დაეკისრებინათ.

აი ამ დირექტორის საქმენი საგმირონი ჰქონდა სახეში აკაკის, როდესაც ასეთი ეკლიანი სიტყვებით მიჰმართა ბანკის გამგეობას:

მაშინ სიტყვს დირექტორებმა.

ახლა კი დადგა თვლიყო:

აღარც თუ სადმე ფულია

და აღარც ჩვენი პალია!

(გაგრძელება შემდეგ №-ში).



უ მ შ ა ნ ნ ი: „შ ა კ ნ ა ვ ა ზ ი ა ნ ი“.

ბ. ლემონიძისა და სოლ. იოს. რადანიშვილის რედაქციით. საბელგაში. 1935.

ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლების გამოცემის მხრით უკანასკნელ ხანებში მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული. ჩვენი წიგნის ბაზარზე ამჟამად მოიპოვება მე-XVII—XVIII საუკუნის ქართული პოეტებისა და მთარგმნელების პოეტური და პროზაული ნაწარმოებები ტექსტოლოგიური და კომენტატორული მუშაობა, რომლის დიდი ტრადიცია ჩვენში არ არსებობდა, საბჭოთა პერიოდში უკვე მტკიცე მეცნიერულ ნიადაგზეა შემდგარი. პირველი სერიოზული მუშაობა ქართული ლიტერატურის ძეგლებზე რევოლუციამდე დაიწყო განსვენებულმა ნ. ი. მარშიამ. როგორც ფილოლოგიური კვლევის იშვიათი მოვლენა, ნ. მარსის მოღვაწეობა დღემდე რჩება წასაბამ მაგალითად. „ხანძოელის ცხოვრებისა“ და ქართულ მეხოტბეთა (ჩახრუხაძისა და შავთელის) ოდების გამოცემა უდიდესი კულტურული ფაქტია ქართული ლიტერატურის ისტორიაში საერთოდ. გამოცემებში იშვიათი ფილოლოგიურ კვლევასთან (ტექსტის ლინგვისტური ანალიზი) შეერთებულია ზოგად კულტურულ-ისტორიული პრობლემების მიმოხილვის დიდი უნარი. არაჩვეულებრივი ერთდროეა კულტურის ყველა საკითხებში ნ. ი. მარსის საშუალებებს აძლევდა გასკოლებოდა ვიწრო ტექსტოლოგიური ან ლინგვისტური ანალიზის ფარგლებს და ყველა ძირითადი პრობლემა ტექსტისა დაკავშირებინა იდეოლოგიურ პრობლემისათვის. ნ. მარსი არ ემაყოფილებოდა, მაგალითად, „ოდებში“ მათი პანეგირიკული ტონის ანალიზით მხოლოდ და მეფის სახელთან შვის ეპიტეტების დაკავშირებას ხსნიდა აღმოსავლეთში იშვიათად გავრცელებულ წარმოდგენით მეფე-მზეზე, როგორც ღვთაების ინკარნაციაზე. ასეთი გასვლა ვიწრო ფილოლოგიური კვლევის ფარგლებიდან, რომელიც არ გამოირჩევადა მტკიცე ანალიტიკურ საფუძველს, ქართული ლიტერატურის ისტორიკოსების მიერ შემდეგ მიუღწეველი დარჩა. ამ უკანასკნელთა შრომებიდან თითქმის განდევნილია პოეტური პარაფრაზები და მხატვრული ანალიზი ტექსტისა, რომელიც მეტწილად ტრადიციული ფრაზებით ამოიწურება. პედანტიზმი დეტალების გადმოცემის სფეროში ნაწილობრივ შეიძლება მისაღებაც იყოს, მაგრამ ასეთი ერთგულება, ვსთქვათ, ტექსტის ვარიანტებისადმი, არ უნდა სჭარბობდეს თვითონ ტექსტის ისტორიულ-საოცტორიკო გაგების მომენტს. პოეტური ტექსტის გამოცემებს უნდა ესმოდეს თვითონ ტექსტის პოეტური დიქცია. უამისოდ და სკარგავს მასზე მუშაობის უფლებას.

უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნდა ღირსეულად გამოცემული ძეგლები ძველი ქართული ლიტერატურიდან: ნ. ი. მარსის „შეიდი მოიეზი“ (რედაქტ. პროფ. კ. კვეციანი) თ. გ. მ. შ. რ. ა. ზ. ი. ს. „თხზულებანი“ (რედაქტ. ა. ბარამიძე და გ. ჭავჭავაძე), შ. რ. უ. ს. თ. ა. ე. ლ. ი. ს. „ვეფხისტყაოსანი“ (რედ. კ. ჭავჭავაძე) და უკანასკნელად ფ. ე. შ. ა. ნ. გ. ი. ს. „შაჰნავაზიანი“ (გ. ლეონიძისა და სოლ. იოს. რადანიშვილის რედაქციით). ზოგიერთი სადაო საკითხებსა და ცალკეულ დეტალების მიუხედავად, ეს გამოცემანი უსათუოდ ამჟამოფილებენ აკადემიურ დონეს.

ქართველ მეცნიერთაგან „შანავეზიანს“ ადრე ვრცლად შეეხო პოეტ-ლირიკ თავის „ქართ. ლიტ. ისტორიის“ II ტომში, სადაც ის მოკლედ პოეტის შინაარსსაც გადმოგვცემდა. მის შემდეგ პოემას არაფერ შეხებია და არც ცენტრალურ ჟურნალში იგი. „შანავეზიანის“ რედაქტორებმა უსათუოდ მისაგვეყენებინათ, რომ მე-17 საუკუნის ეს საინტერესო პოემა ყველასათვის ხელმისაწვდომი გახადეს. ტექსტი პირველად ქვეყნდება ერთად-ერთი ხელნაწერის მიხედვით, რომელიც საკავშირო სამეცნ. აკადემიის აღმოსავლეთ-მკოდნობის (ყოფ. სასწიო მეცნიერ.) ბროსკეტელ კოლექციაში ყოფილა დაცული და, უნდა ვივარაუდოთ, ყოველი დეტალი ამ გამოცემისა წარმოგვიდგენს პოემას იმ სახით, როგორც ის ხელნაწერს დაუცავს (ცხადია, რედაქტორებს შეგნებულ კორექტივების გამოკლებით).

გ. ლეონიძის წინასიტყვაობა ამ გამოცემაში მოხრილლ მონოგრაფიას წარმოადგენს რედაქტორის აღუდგენია პოემის ავტორის, ფეშანგის, ბიოგრაფია. თავის აზრითა გ. ლეონიძეს კარგად აქვს შესრულებული აღსანიშნავია კრიტიკა იმ ისტორიკოსთა, რომელნიც ფეშანგს ვინაობის საკითხს ეხებოდნენ (ზ. ქვიციანი და სხვ.).

ფეშანგის მეცნიერული ბიოგრაფია შოლოდ ამჟამად ხდება ცნობილი. ის სტემა, რომელიც წარმოდგენილი აქვს გ. ლეონიძეს მომავალში შესაძლებელია იფიქროს ახალი მასალით, თუმცა ისედაც საკმაოდ ვრცელი ემპირიკი (ზოგჯერ შენიშვნებით გაკეთებული) ამას შინადაშინა არც საჭიროებს. ამევე დროს რედაქტორის ზოგიერთ მტკიცებას, ჩვენის ფიქრით, მეტი სიფრთხილით ესაჭიროება დასაბუთება.

გ. ლეონიძის მონოგრაფიაში განსაკუთრებით საინტერესო ნაწილს წარმოადგენს მე-XVII — XVIII საუკუნეებში მდივან-შწიგნობაობის ისტორიის მიმოხილვა. ეს საინტერესო საკითხი დღეს პირველად ფეშანგის რედაქტორს გამოაქვს. მაგრამ ჩვენს გადაჭარბებულად გვეჩვენება განცხადება იმის შესახებ, თითქოს მდივან-შწიგნობაობის „საეაღდებულო მოთხოვნალებად“ პოეტობაც იყო შინადაშინა. მდივან-შწიგნობაობა ლიტერატურის პერიფერიის მოვლენად უნდა ჩაითვალოს, რადგან „მდივანობის“ განსაკუთრებით ფასეულ შემოქმედებას ჩვენ არ ვიკნობთ ქართულ ლიტერატურაში. გ. ლეონიძე კი სწერს „მდივან-შწიგნობაობა ამევე დროს იყო კარგი პოეტი (ხაზგასმა ჩვენია, გ.), ლიტერატორი, პოეტის მკოდნე“. ასეთი შეხედულება მდივან-შწიგნობაობა როლზე ქართულ პოეზიის ისტორიაში, ძნელად თუ შეიძლება ვინმემ გაიზიაროს. ამას ჩვენი პოემის ავტორიც ამტკიცებს — როგორც პოეტი, ფეშანგი სუსტია, ზოლო ეს უკანასკნელი მდივან-შწიგნობაობა შორის პირველ მგოსნად უნდა ჩითვალოს.

თავისთავად მდივან-შწიგნობაობის — ლიტერატურის პერიფერიის მწერლობის — ისტორია უსათუოდ იწვევს ცხოველ ინტერესს და გ. ლეონიძე საინტერესო ცნობებს გვაწვდის ამ დაუმუშავებელი საკითხის ირგვლივ.

რედაქტორის საკმაოდ ვრცლად აქვს მიმოხილული მე-XVII საუკ. საქართველოს ეკონომიური ვითარება, საზოგადოებრივი ფენების ურთიერთობანი და სხვ. ვრცლად არჩევს ის ფეშანგის ლიტერატურულ გარემოს, ავტორის შოაფლმხედველობას და პოემას ფორმალურ შხარეს. რედაქტორი უსათუოდ მართალია: ეს პოემა, როგორც დოკუმენტალური ნაწარმოები (რომელიც ვახტანგ მე-V-ის და მისი შვილის მოღვაწეობის ქრონიკასა და პანეგირიკს წარმოადგენს) პირველ რეაღისტრატ თხზულებად უნდა ჩითვალოს ქართული პოეზიის ისტორიაში. ამ მხრით ის უსათუოდ იწვევს ჩვენს ინტერესს. რაც შეეხება ფეშანგის „ნოვატორობის“ როლს, ჩვენის ფიქრით, გ. ლეონიძეს ის ოდნავ გაზვიადებულად წარმოუდგენია.

„შანავეზიანის“ ავტორი საკმაოდ უმწეო პოეტი თავისი გამოშახველობითი უნარის მხრით (მისი „ფორმალური ეპიგონობა“ რედაქტორისაც აქვს აღნიშნული) და ნოვატორის როლი მას ვერ მივუთენება. როგორც ლექსის ისტორიკი ფეშანგი ქართველ ეპიგონებზედ დაბლა დგას, ზოლო ნოვატორად ჩვეულებრივ ითულება ის,

ვინც ლიტერატურის შემდგომ განვითარებას უკარნახებს რაიმეს (თეატრულად და ფორმალურად). ასეთი რამ, ცხადია, „შანავეზიანი“-ს ავტორს არ მოელოებოდა. ეს პოემა უფროსად საინტერესო ტრონიკა მხოლოდ. მისი „მდიდარი სიტყვითი შეკაზმულობა“ (?) მაინც და მაინც ვერ არის ეფექტური, ავტორის ანტი-მანტიკისტის „მხატვრული სტილი“ ახასიათებს, როგორც ამის აღმოჩენა სტრს პოემაში გ. ლეონიძეს. მაგრამ არც ის უნდა დაევიწყოთ, რომ ზოგჯერ ავტორი მაინც ახერხებს სუფთა ეპიურ სტილით მოგვითხროს, „შანავეზიანში“ შედარება ან მეტაფორა არ არის მოულოდნელი მე-XVII საუკუნის პოემების საერთო სტილის თვალსაზრისით, მაგრამ გაკეთოთ კლიშეებს ხშირად ის მოხერხებულად ხმარობს.

„შანავეზიანის“, როგორც ისტორიული დოკუმენტის ღირებულება, უსათუოდ მნიშვნელოვანია. მისი გამოცემა კი — კულტურული მოვლენაა ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში. იგი ნათლად ღაღადებს საბჭოთა საზოგადოებრივობის გამსაკეთებელი უკრძალუბის შესახებ წარსულის კულტურის მემკვიდრეობისადმი.

წიგნი კარგად არის გამოცემული. მხატვრული გაფორმება ეკუთვნის ლ. გუდაიაშვილს.

ბ. ა.



# შინაარსი

83-

## მხატვრული ლიტერატურა

მიხეილ ჯავახიშვილი — ქალის ტვირთი (რომანი)	5
ალიო მამაშვილი — წლები (ლექსი)	46
ირაკლი აბაშიძე — ყვევილები ქალაქში (ლექსი)	48
პანტელეიმონ ჩხიკვაძე — მურზაყან დაღეშქელიანი (რომანი, გაგრძელება)	50
გიორგი ლეონიძე — წიგნიდან „ტფილისის განთიადები“. მეტიკეები, წვიმა შავ ზღვაზე	64
გიორგი კაკაბიძე — დაბრუნება (ლექსი)	71
მოსე გვასალია — ძილისპირი (ნოველა)	73
გრიგოლ ცეცხლაძე — გონიო (ლექსი)	77
ა. დავითიანი — ელიდა (მოთხრობა)	80

## უსხომეთის ლიტერატურა

პორაციუსი — ლექსები (თარგმ. გ. გაჩეჩილაძის მიერ)	93
--	----

## სალიტერატურო არქივი

ე. ნინოშვილის წერილები თ. სახოკიასაძეში	96
---	----

## ლიტერატურის ისტორია

ალი არსენიშვილი — პორაციუსი	107
შალვა რადიანი — გიორგი ერისთავი	111
მამია დუდუჩავა — გიორგი წერეთელი — დრამატურგი	165

## მოგონებანი

ი. მანხვეტაშვილი — წარსულიდან	175
-------------------------------	-----

## ბიბლიოგრაფია

გ. ა. — ფეშანგი: „შაჰნავაზიანი“	193
---------------------------------	-----





ეროვნული  
ბიბლიოთეკა

### შეცდომების გასწორება.

- გიორგი ლეონიძის ლექსებში შეპარულია შემდეგი კორექტორული შეცდომები:  
დაბეჭდილია:  
გული კლდით აქნდა გებული.  
უნდა იყოს:  
გული კლდით ჰქონდა გებული.  
დაბეჭდილია:  
ხმა ვაჟკაცური, მეგრული,  
უნდა იყოს:  
ხმა ვაჟკაცური, მედგრული  
დაბეჭდილია:  
ქაღიან ჩქარში ზვიროთის მწებველი  
უნდა იყოს:  
ქაღიან ჩქარში ზვიროთის მწებველი

— შესმის. ისინი ხელოსნები არიან, შენ კი გული სხვაგან <sup>სხვაგან</sup> აქცევს — მიუგო ქეთომ და მართა ისე შეათვალღერა, როგორც <sup>ქალი</sup> ქალის ათვალღერებს ხოლმე.

მართაც და ქეთოც ამ სახლში დაიბადნენ, ამ ეზოში აღდგეს ფეხი და ერთმანეთს, სიყრმის შეგობრებით შეეზარდნენ.

ქეთოს აზრადაც არ მოსვლია, რომ მართა ოდესმე მეტოქეობას გაუწევდა. არც ახლა გაიფიქრა, მაგრამ წელანდელი ვაჟი უნებურად ამოღვივდა მის თვალწინ, ვიღაცამ თუ რაღაცამ ისიც გაახსენა, რომ ეს ჭალი და ის ვაჟი ერთმანეთს იცნობდნენ და თავის თავი უნებურად შეადარა მართას. რათა სხვაობა უკეთ დაენახა, სარკისკენ გაიწია, შიგ ჩაიხედა და შემდეგ თვალი მართაზე გადაიტანა. გადაიტანა და შერმა და შიშმა უჩხელიტა.

ქეთო, მართაზე უფრო მაღალია, უფრო თხელი, სტილისტურად უკეთ არის მოკვეთილი, უფრო მუქი, უფრო ნაზი და კდემამოსილი.

სამაგიეროდ მართა უფრო მკვრივია, უფრო ჩახხმული, თითქმის ქერა. თითქმის მრგვალსახოვანი. უფრო ღრმა თვალები აქვს და უფრო საზრიანი; გამოხედვაც უფრო მეტად გაშლილი და მახვილივით პირდაპირი; თმაც უფრო ხშირი და ტალღოვანი. ყველაზე სახიფათო კი ის არის, რომ მას ქეთოზე უფრო მაღალი მკერდი აქვს, უფრო განიერი თქორები, უფრო სანდომიანი ტუჩები და უფრო მეტი მარილ-პილბილი. მაგრამ ხელები...

„უჯაცრავად! ჩემისთანა ხელფეხის გამოკვეთას ათი თაობა სჭირდება“ — გაიფიქრა ქეთევანმა და შურის ღელვა შეინელა.

— საწყალი მამაჩემი ძალიან ჯავრობდა: ხელოსნობას არაფერი სჯობიაო. — განაგრძო მართამ. — მაგრამ მე და ლევანს ცალი ფეხი სხვაგან გვედგა და ამის გამო საწყალი მამაჩემი მეტისმეტად ნაღვლობდა. შემკვიდრე არ დამრჩება და ჩემი ხელობა ვის გადავცეო. რომ კვლავობდა, იცი რა მაჩუქა? აპა, ნახე. — და სატუალეტო მაგიდაზე მიუთითა.

ქეთომ ახალა შენიშნა: სარკის წინ ექვსი ნაპერი სატუალეტო ხელსაწყო ეწყო: პაწია სურები, კოლოფები და კაკლის ოდენა ბურთები. ექვსივე ნაპერი ლაგვარდის მინანქრისა იყო; ხოლო ზემოდან ოქროს აბლაბუდა ჰქონდა მოოჭვილი.

— რა მშვენიერია! — წამოიძახა ქეთომ. — ჩემსას ისევე სჯობია. ის მანქანის ნაკეთებია და ათასობით იშოვება, ეს კი ერთადერთია და ნამდვილი ოსტატის ნახელავია. რატომ აქამდე არ მაჩვენებ?

— აი კიდევ. — და მართამ ქვეიდან ვერცხლის სურა ამოიღო, რომელიც ქართული ჩუქურთმებით და ტარიელის, ნესტანის, ავთანდილისა და თინათინის სურათებით იყო ამოჭვილილი.

— რა საუცხოვოა!